

# მაია ბითაძე საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი

სახელმძღვანელო





მაია ბითაძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორია. წლების განმავლობაში მაია ბითაძე იყო კავკასიის უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის იურიდიული მიმართულებების პროფესორი/პედაგოგი.

მაია ბითაძეს, როგორც გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს, გარემოს დაცვისა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში აქვს არაერთი პუბლიკაცია და ნაშრომი გამოქვეყნებული. იგი არის საქართველოში პირველი მეცნიერი იურიდიული მიმართულებით, რომელმაც შეიმუშავა სასწავლო კურსი საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართალში.

მაია ბითაძე წლების განმავლობაში იყო გარემოსდაცვითი სამართლის ექსპერტი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტში. ეკავა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილისა და თბილისის მერის მოადგილის თანამდებობები.

ამჟამად მაია ბითაძე საქართველოს პარლამენტის წევრი და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეა. მისი საქმიანობა, როგორც საჯარო, ასევე საერთაშორისო და აკადემიურ სფეროებში, მუდმივად დაკავშირებულია და დაკავშირებული იყო გარემოსდაცვით სამართალთან.

მაია ბითაძე 2015 წლიდან დღემდე ორჯერ იქნა არჩეული გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) – ორჰუსის კონვენციის (კონვენცია გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოს დაცვის სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ) მხარეთა შეხვედრის ბიუროს თავმჯდომარედ და ორჰუსის კონვენციის მხარეთა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ.



**მაია ბითაძე**

**საერთაშორისო  
გარემოსდაცვითი  
სამართალი**

სახელმძღვანელო



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

ეს პუბლიკაცია მომზადდა და დაიბეჭდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით განხორციელებული პროგრამის – „ბუნებრივი რესურსების მართვა და ეკოსისტემური მომსახურებებით უზრუნველყოფა სოფლად მდგრადი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (ECOserve) – ფარგლებში.

ამ პუბლიკაციაში აღწერილი ინფორმაცია და გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორ(ებ)ს და, შესაძლოა, ყოველთვის არ ემთხვეოდეს GIZ-ის და/ან BMZ-ის ოფიციალურ პოზიციას.



რეცენზენტები:

**ირინე ქურდაძე** – სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პროფესორი, დირექტორი

**ეკა სირაძე** – სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; შპს „ქართული იურიდიული ჯგუფი“ – უფროსი იურისტი; IMSAS (საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სავალდებულო აუდიტის სექცია), ექსპერტი

ენობრივი რედაქტორი – თამარ გაბელაია  
ტექნიკური უზრუნველყოფა – გვანცა მახათაძე

*გამოცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.*

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021

© მაია ბითაძე, 2021

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: [lawlibrary.info/ge](http://lawlibrary.info/ge)

ISBN 978-9941-8-3765-4

## რეცენზენტების წინასიტყვაობა

თანამედროვე მსოფლიოში გარემოსდაცვითი პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად იქცა, რომელზეც პასუხი მხოლოდ ერთობლივი კოორდინირებული ქმედებებით შეიძლება გაცივს.

გარემოსდაცვითმა სამართალმა დიდი გზა და შთამბეჭდავი პროგრესი განიცადა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში, 1972 წელს სტოკჰოლმში ჩატარებული პირველი გლობალური გარემოსდაცვითი კონფერენციიდან დღემდე. ფაქტობრივად, არ დარჩა საერთაშორისო სამართლის დარგი, რომელშიც გარემოსდაცვით საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი არ უჭირავს, იქნება ეს ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი თუ საზღვაო და საჰაერო სამართალი. შედეგად, საერთაშორისო გარემოსდაცვითმა სამართალმა საკუთარი გამორჩეული ადგილი დაიკავა საერთაშორისო სახელმძღვანელო და ჩვეულებით სამართალში.

ასევე შთამბეჭდავი პროგრესია დარგის ინსტიტუციონალიზაციის კუთხითაც და უამრავ გლობალური თუ რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციის სტრუქტურაში ვხვდებით გარემოსდაცვით კომიტეტებს თუ პროგრამებს.

სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულს ეძღვნება მაია ბითაძის სახელმძღვანელო „საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი“, რომელშიც დეტალურად არის განხილული გარემოსდაცვითი სამართლის ისტორიული განვითარება, წყაროები და პრინციპები, გარემოსდაცვით სფეროში მომუშავე საერთაშორისო ინსტიტუტები, გარემოსდაცვით სფეროში მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები და მათი აღსრულების მექანიზმები და საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის დარგობრივი რეჟიმები.

წინამდებარე გამოცემა არის პირველი ქართულენოვანი სიღრმისეული კვლევა საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართალში, რომლის მიზანია გააცნოს ყველა დაინტერესებულ პროფესიონალსა და დარგის მომავალ სპეციალისტს, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის თანამედროვე ეტაპზე არსებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

თავად ავტორი გახლავთ საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლის ერთ-ერთი პირველი წარმატებული წარმომადგენელი. მისი სამეცნიერო საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მრავალწლიან პრაქტიკულ გამოცდილებასთან. სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მაია ბითაძე, ათწლეულებია, წარმატებით ასწავლის საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართალს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტში. მას ღრმა თეორიული ცოდნის პარალელურად უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება აქვს მიღებული საჯარო სექტორში სხვადასხვა, მათ შო-

რის გარემოსდაცვით სფეროში, მაღალ თანამდებობაზე მუშაობის შედეგად. სწორედ მისი პროფესიონალიზმის საერთაშორისო აღიარებაა ის გარემოება, რომ ქ-ნი მიაბიბითაძე 2017 წელს ხელმეორედ იქნა არჩეული გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ორჰუსის კონვენციის მხარეთა შეხვედრისა და ბიუროს თავმჯდომარედ. ავტორის პრაქტიკული გამოცდილება კარგად ჩანს სახელმძღვანელოშიც, რომელიც ერთგვარად აჯამებს მის მრავალწლიან ნაყოფიერ შრომას.

„საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის“ სახელმძღვანელო სერიოზული შენაძენია ქართულენოვანი სამართლებრივი ლიტერატურისთვის. ის გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სახელმძღვანელო ბაკალავრიატისა და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის და არის ამომწურავი ინფორმაციის მიღების საუკეთესო წყარო საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა – როგორც პრაქტიკოსების, ისე თეორეტიკოსთა – ფართო წრისთვის, და ზოგადად, ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისთვის.

„საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის“ სახელმძღვანელო ნამდვილად ხვდება იმ სარეკომენდაციო წიგნების რიცხვში, რომელთაც აუცილებლად უნდა გაეცნოს ამ საკითხზე მომუშავე პირები.

**ირინე ქურდაძე**

სამართლის დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პროფესორი, დირექტორი,  
ჟან მონეს სახ. კათედრის ხელმძღვანელი

**ეკა სირაძე**

სამართლის დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი,  
საზღვაო სამართლის ექსპერტი

# სარჩევი

<b>რეცენზენტების წინასიტყვაობა</b> . . . . .	5
<b>წინასიტყვაობა</b> . . . . .	11
<b>აბრევიატურები</b> . . . . .	13
<b>1. შესავალი</b> . . . . .	17
<b>2. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ცნება და რეგულირების სფერო</b> . . . . .	19
2.1. კლიმატის ცვლილება . . . . .	22
2.2. ოზონის შრის შემცირება . . . . .	24
2.3. მჟავური წვიმები . . . . .	26
2.4. გაუდაბნობა . . . . .	28
2.5. ბიოლოგიური მრავალფეროვნების გამოწვევები . . . . .	29
2.6. მოსახლეობის რაოდენობის ზრდა . . . . .	31
<b>3. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ისტორიული ევოლუცია</b> . . . . .	32
3.1. 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენცია ადამიანის გარემოს შესახებ . . . . .	36
3.2. გზა სტოკჰოლმიდან რომდე . . . . .	40
3.3. ბრუნდელანდის ანგარიში – ჩვენი საერთო მომავალი . . . . .	43
3.4. 1992 წლის რიოს კონფერენცია – გარემო და განვითარება . . . . .	45
3.5. 2002 წლის მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტი . . . . .	49
3.6. სამიტი „რიო+20“ და 2015 წლის მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) . . . . .	50
<b>4. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის წყაროები</b> . . . . .	53
4.1. საერთაშორისო სამართლის წყაროების ზოგადი მახასიათებლები . . . . .	54
4.2. საერთაშორისო ხელშეკრულებები . . . . .	56
4.3. ჩვეულებითი სამართალი და სამართლის ზოგადი პრინციპები . . . . .	59
4.4. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების რეზოლუციები და დეკლარაციები . . . . .	63
4.5. მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები . . . . .	67
4.6. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის წყაროების აღსრულება . . . . .	69
<b>5. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ძირითადი პრინციპები</b> . . . . .	72
5.1. სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპი . . . . .	74
5.2. სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპი . . . . .	76
5.3. მდგრადი განვითარების პრინციპი . . . . .	78



5.4.	სხვა პრინციპები, რომლებმაც საფუძველი შეუქმნეს გლობალურ და ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვითი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს . . . . .	81
<b>6.</b>	<b>საერთაშორისო ინსტიტუტები გარემოს დაცვის სფეროში . . . . .</b>	<b>84</b>
6.1.	გაეროს განვითარების პროგრამა . . . . .	87
6.2.	მდგრადი განვითარების კომისია . . . . .	89
6.3.	გაეროს განვითარების პროგრამა . . . . .	91
6.4.	მხარეთა კონფერენცია . . . . .	92
6.5.	სამდივნოები . . . . .	93
6.6.	არასამთავრობო ორგანიზაციები და ტრანსნეროვნული კორპორაციები . . . . .	95
6.7.	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია . . . . .	101
6.8.	საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია . . . . .	103
6.9.	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია . . . . .	104
<b>7.</b>	<b>მართვის მექანიზმები გარემოს დაცვის სამართალში – რეგულირების ზომები და სტანდარტები . . . . .</b>	<b>106</b>
7.1.	შეზღუდვები და აკრძალვები . . . . .	112
7.2.	სავაჭრო ზომები . . . . .	114
7.3.	მინის გამოყენების რეგულირება . . . . .	118
7.4.	გარემოზე ზემოქმედების შეფასება . . . . .	120
7.5.	ლიცენზიები და ნებართვები . . . . .	124
7.6.	მართვის ეკონომიკური მექანიზმები . . . . .	127
<b>8.</b>	<b>ატმოსფერული ჰაერის დაცვა . . . . .</b>	<b>129</b>
8.1.	ბირთვული იარაღის გამოცდის საკითხი . . . . .	131
8.2.	გაეროს რიო-დე-ჟანეიროს კონფერენცია და მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტი . . . . .	135
8.3.	1979 წლის კონვენცია ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების შესახებ და მისი 1985 წლის გოგირდის შესახებ ოქმი . . . . .	137
8.4.	1998 წლის ორჰუსის ოქმი მძიმე მეტალების შესახებ და 1998 წლის ორჰუსის ოქმი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ . . . . .	140
8.5.	1999 წლის გოთენბურგის ოქმი ჟანგვის, ათროფიკაციისა და მიწისპირა ოზონის დონის შემცირების შესახებ . . . . .	142
<b>9.</b>	<b>კლიმატის ცვლილების შერბილება . . . . .</b>	<b>144</b>
9.1.	1992 წლის კლიმატის ცვლილების კონვენცია . . . . .	147
9.2.	1997 წლის კიოტოს ოქმი . . . . .	150
9.3.	ბალის მოქმედებათა გეგმა და კანკუნის შეთანხმება . . . . .	152
9.4.	2015 წლის პარიზის შეთანხმება . . . . .	153

<b>10. წყლის რესურსების დაცვა</b> . . . . .	155
10.1. გაეროს საზღვაო სამართლის კონვენცია . . . . .	158
10.2. 1992 წლის კონვენცია ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტიკის ოკეანეში საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ და 1973-1978 წლების კონვენცია გემებიდან დაბინძურების პრევენციის შესახებ . . . . .	160
10.3. წყლის ეკოსისტემისა და წყალქვეშა გარემოს დაცვა . . . . .	161
10.4. სახმელეთო წყაროებიდან და ატმოსფეროდან დაბინძურება . . . . .	163
<b>11. ბიომრავალფეროვნების დაცვა</b> . . . . .	164
11.1. საერთაშორისო რეგულირება . . . . .	166
11.2. ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენცია, ნაგოიას ოქმი და რამსარის კონვენცია . . . . .	168
11.3. ბიოტექნოლოგია და მოდიფიცირებული ორგანიზმები . . . . .	172
<b>12. ნარჩენების მართვა</b> . . . . .	174
12.1. ნარჩენების სახეობები . . . . .	177
12.2. ნარჩენების პრევენცია, გადამუშავება და განთავსება . . . . .	180
12.3. ნარჩენების საერთაშორისო გადაზიდვა . . . . .	183
<b>13. საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვა</b> . . . . .	185
13.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ჩარჩო ხელშეკრულებები . . . . .	189
13.1.1. კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ . . . . .	189
13.1.2. კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ . . . . .	190
13.1.3. კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ . . . . .	191
13.1.4. შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენციის ოქმი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ . . . . .	192
13.2. საშიში ქიმიური ნივთიერებების რეგულირების მექანიზმები . . . . .	193
13.2.1. ხელშეკრულებების მოქმედების სფერო . . . . .	193
13.2.2. მხარეთა ვალდებულებები არსებულ და ახალ ქიმიკატებთან მიმართებით . . . . .	194
13.2.3. მხარეთა ვალდებულებები საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტისა და რეექსპორტისას . . . . .	194
<b>14. ადამიანის ეკოლოგიური უფლებები</b> . . . . .	196
14.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში . . . . .	203

14.2. ეკოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება . . .	209
14.3. ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით . . . . .	215
<b>15. გარემოს დაცვა და შეიარაღებული კონფლიქტები . . . . .</b>	<b>224</b>
<b>ბიბლიოგრაფია . . . . .</b>	<b>228</b>
საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონფერენციები . . . . .	229
სასამართლო გადანაცვტილებები . . . . .	231
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებები . . . . .	231

## წინასიტყვაობა

საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართლის სახელმძღვანელო არის პირველი ქართულენოვანი გამოცემა, რომელიც შექმნილია სხვადასხვა მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულების ანალიზის საფუძველზე. სახელმძღვანელოში თავმოყრილია საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ყველა ის მნიშვნელოვანი წყარო, რომლებმაც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საერთაშორისო სამართლის ამ მიმართულებას დაუდეს სათავე. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის სახელმძღვანელოს მიზანია, დაინტერესებულ პირებს მისცეს სიღრმისეული ცოდნა საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის არსის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის წარმოშობის ისტორიის შესახებ, დეტალურად აღწეროს საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის წყაროები და პრინციპები, გააცნოს მკითხველს იმ ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების საქმიანობა, რომლებიც წლების განმავლობაში ქმნიდნენ და ქმნიან საერთაშორისო სამართალს გარემოს დაცვის სფეროში, არეგულირებენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს ამ მიმართულებით. სახელმძღვანელოში დეტალურად არის განხილული ძირითადი გლობალური გამოწვევები, რომლებმაც საფუძველი დაუდეს საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. სახელმძღვანელოში აღწერილია საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის რეგულირებისა და მართვის მექანიზმები, ის ძირითადი სტანდარტები, რომელთა საფუძველზეც საერთაშორისო სამართალში დღეს უკვე დარეგულირებულია ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მართვის საკითხები, შექმნილია კლიმატის ცვლილების შედეგებისა და ადაპტაციის რეგულაციები, ნარჩენების მართვისა და საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენების, განთავსებისა და გადაადგილების სტანდარტები. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის სახელმძღვანელოში აღწერილია ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციის ძირითადი მარეგულირებელი მექანიზმები, ხაზგასმულია ბიომრავალფეროვნებისა და მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობა, მისი გავლენა ადამიანის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზებაზე. ამასთან, სახელმძღვანელოში დეტალურად არის მიმოხილული ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების ადგილი ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივ სისტემაში და დეტალურად არის აღწერილი სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტის როლი ადამიანის ეკოლოგიური უფლებების ჩამოყალიბების მიმართულებით, ისევე როგორც მოცემულია ინფორმაცია საერთაშორისო გარემოს დაცვისა და ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთმიმართების შესახებ. სახელმძღვანელოში განხილულია ის საერთაშორისოსამართლებრივი წყაროები, მათ შორის საერთაშორისო ჩვეულებები, საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებმაც დღეს მოგვცეს საშუალება, რომ საერთაშორისო ურთიერთობები გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო სამართლის რეგულირების პრიორიტეტად ქცეულიყო.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის სახელმძღვანელო შექმნილია იმ მასალებზე დაყრდნობით, რომლებითაც წლების განმავლობაში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლებოდა საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი. ეს მასალებია: საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებები გარემოს დაცვის სფეროში, მწირი ქართულენოვანი ლიტერატურა გარემოს დაცვისა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიმართულებით, უცხოენოვანი ლიტერატურა გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სამართლის სფეროში. სახელმძღვანელო სტრუქტურულად შედგენილია იმ სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსების მიხედვით, რომლებიც შექმნილია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურებზე სწავლებისათვის.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის სახელმძღვანელო არის ერთგვარი კრებული იმ ქართულენოვანი და უცხოენოვანი ლიტერატურისა, ისევე როგორც საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის წყაროებისა, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რათა დაინტერესებულ პირს მისცეს სრული ინფორმაცია საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის მნიშვნელობასა და მის გავლენაზე საერთაშორისო სამართლის სხვა ინსტიტუტებზე.

ძალიან დიდ მადლობას ვუხდით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ხელმძღვანელობას, ქალბატონ თამარ ზარანდიასა და ირაკლი ბურდულს, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, ქალბატონ ირინე ქურდაძეს, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ეკა სირაძეს და ინსტიტუტის მთელ შემადგენლობას მხარდაჭერისთვის.

ასევე, ძალიან დიდ მადლობას ვუხდით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ), განსაკუთრებით მის წარმომადგენლებს: ჰანს-იოჰიმ ლიჰსა და კრისტიან გიონერს ნდობისა და მხარდაჭერისთვის, აგრეთვე სახელმძღვანელოს დასაბეჭდად რესურსების მობილიზაციისთვის. მადლობას ვუხდით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ კარლო ამირგულაშვილს მხარდაჭერისთვის, ასევე ჩემს თანაშემწე ანა თევზაძეს განუვლი დახმარებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო აკადემიკოს ლევან ალექსიძეს, ჩემს აღმზრდელს, პროფესორსა და მასწავლებელს, ადამიანს, რომელიც მენდო და მომცა საშუალება, მომეზადებინა საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის პირველი სასწავლო მოდული საქართველოში, და რომელიც მუდმივად მანქარებდა და მაძლევდა სტიმულს, რომ შემექმნა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართალში. ამ სახელმძღვანელოს ვუძღვნი ბატონი ლევან ალექსიძის ხსოვნას.

## აბრევიატურები

<b>ASEAN</b>	The Association of Southeast Asian Nations	სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია
<b>BAT</b>	Best Available Techniques	საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები
<b>CEP</b>	Committee on Environmental Policy	გარემოსდაცვითი პოლიტიკის კომიტეტი
<b>CIEL</b>	Center for International Environmental Law	საერთაშორისო სამართლის განვითარების ცენტრი
<b>CITES</b>	The Convention on International Trade in Endangered Species of Wild Fauna and Flora	კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე
<b>CSD</b>	The United Nations Commission on Sustainable Development	გაეროს მდგრადი განვითარების კომისია
<b>CSR</b>	Corporate Social Responsibility	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
<b>DPCSD</b>	The Policy Department of the UN Commission on Sustainable Development	პოლიტიკის კოორდინაციისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი
<b>ECOSOC</b>	The United Nations Economic and Social Council	გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო
<b>EMEP</b>	European Monitoring and Evaluation Programme	თანამშრომლობის პროგრამა, ევროპის ტერიტორიაზე შორ მანძილზე გავრცელებადი ჰაერის დამაბინძურებლების მონიტორინგისა და შეფასებისთვის
<b>ENMOD</b>	The Environmental Modification Convention	გარემოზე ზემოქმედების (გარემოსმოდიფიკაციის) კონვენცია
<b>ENVSEC</b>	The Environment and Security Initiative	გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ინიციატივა
<b>GATT</b>	The General Agreement on Tariffs and Trade	ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება
<b>GBO</b>	Global Biodiversity Outlook	გლობალური ბიომრავალფეროვნების პერსპექტივები
<b>GEF</b>	Global Environmental Facility	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი
<b>GESAMP</b>	Group of Experts on the Scientific Aspects of Marine Environmental Protection	წყალქვეშა გარემოს დაცვის მეცნიერ-ექსპერტების ერთიანი ჯგუფი

<b>GHGs</b>	Greenhouse gas emissions	სათბური გაზები
<b>GPA</b>	The Global Programme of Action for the Protection of the Marine Environment from Land-based Activities	გლობალური სამოქმედო პროგრამა საზღვაო გარემოს სახმელეთო საქმიანობისგან დაცვისთვის
<b>HLPF</b>	High-level Political Forum on Sustainable Development	მდგრადი განვითარების მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი
<b>IACSD</b>	The Inter-agency Committee on Sustainable Development	მდგრადი განვითარების უწყებათაშორისი კომიტეტი
<b>IAEA</b>	International Atomic Energy Agency	ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო
<b>ICJ</b>	International Court of Justice	გაეროს მართლმსაჯულების სასამართლო
<b>IDI</b>	Institut de Droit International	საერთაშორისო უფლებათა ინსტიტუტი
<b>ILA</b>	International Law Association	საერთაშორისო სამართლის ასოციაცია
<b>ILC</b>	International Law Commission	საერთაშორისო სამართლის კომისია
<b>ILO</b>	International Labour Organization	გაეროს საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია
<b>IMCO</b>	Inter-Governmental Maritime Consultative Organization	სამთავრობათაშორისო საზღვაო საკონსულტაციო ორგანიზაცია
<b>IMO</b>	International Maritime Organization	საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია
<b>INDC</b>	Intended Nationally Determined Contributions	ეროვნულად განსაზღვრული წვლილი
<b>INFOTERRA</b>	Global Environmental Information Exchange Network of UNEP	გლობალური ინფორმაციის გაცვლის სისტემა
<b>IPCC</b>	Intergovernmental Panel on Climate Change	კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო პანელი
<b>ITLOS</b>	International Tribunal for the Law of the Sea	საერთაშორისო საზღვაო სამართლის ტრიბუნალი
<b>IUCN</b>	International Union for the Conservation of Nature	ბუნების კონსერვაციის მსოფლიო კავშირი
<b>IWC</b>	The International Whaling Commission	ვეშაპების დაცვის საერთაშორისო კომისია
<b>LRTAP Convention</b>	The air pollutant emissions data viewer	ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების კონვენცია
<b>MEAs</b>	Mutual Environmental Agreements	საერთაშორისო მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები

<b>MEPC</b>	Marine Environment Protection Committee	წყალქვეშა გარემოს დაცვის კომიტეტი
<b>NAFTA</b>	The North American Free Trade Agreement	ჩრდილოეთ ამერიკაში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
<b>NBSAP</b>	National Biodiversity Strategies and Action Plans	ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიები და მოქმედებათა გეგმები
<b>NEAFC</b>	The North East Atlantic Fisheries Commission	ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტიკის თევზჭერის კომისია
<b>OECD</b>	Organisation for Economic Co-operation and Development	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების კომისია
<b>OILPOL</b>	International Convention for the Prevention of Pollution of the Sea by Oil	ნავთობით დაბინძურების პრევენციის შესახებ კონვენცია
<b>OSCE</b>	The Organization for Security and Co-operation in Europe	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
<b>OSPAR</b>	The Convention for the Protection of the Marine Environment of the North-East Atlantic	კონვენცია ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტის ოკეანის სამღვაო გარემოს დაცვის შესახებ
<b>PCA</b>	Permanent Court of Arbitration	არბიტრაჟის მუდმივი სასამართლო
<b>PIC</b>	Prior informed consent	წინასწარი დასაბუთებული თანხმობა
<b>UNCUR</b>	United Nations Conference on the Conservation and Utilisation of Resources	გაეროს კონფერენცია ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების შესახებ
<b>UNCED</b>	The United Nations Conference on Environment and Development	გაეროს კონფერენცია გარემოსა და განვითარებაზე
<b>UNCLOS</b>	The United Nations Convention on the Law of the Sea	გაეროს სამღვაო სამართლის შესახებ კონვენცია
<b>UNCSD</b>	United Nations Committee on Sustainable Development	გაეროს მდგრადი განვითარების კომისია
<b>UNDP</b>	The United Nations Development Programme	გაეროს განვითარების პროგრამა
<b>UNEA</b>	The United Nations Environment Assembly	გაეროს გარემოს ასამბლეა
<b>UNECE</b>	The United Nations Economic Commission for Europe	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
<b>UNEP</b>	The United Nations Environmental Programme	გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა
<b>UNESCO</b>	The United Nations Educational, Scientific and Cultural Organization	გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
<b>UNFAO</b>	Food and Agriculture Organization of the United Nations	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია



<b>UNFCCC</b>	The United Nations Framework Convention on Climate Change	კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩოკონვენცია
<b>WHO</b>	World Health Organization	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
<b>WHO</b>	World Health Organization	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
<b>WMO</b>	World Meteorological Organization	მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაცია
<b>WSSD</b>	World Summit on Sustainable Development	მსოფლიო სამიტი მდგრადი განვითარების შესახებ
<b>WTO</b>	TheWorld Trade Organization	მსოფლიოსავაჭრო ორგანიზაცია
<b>WWF</b>	World Wildlife Fund	მსოფლიოს ველური ბუნების ფონდი

## 1. შესავალი

მსოფლიო დღეს უპრეცედენტო გარემოსდაცვითი კრიზისის წინაშეა. გარემოს მდგომარეობის გაუარესება საფრთხეს უქმნის უშუალოდ იმ პროცესებს, რომლებიც დედამიწის არსებობის საფუძველია. განვითარების დაბალანსებისა და დედამიწის რესურსების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნების მნიშვნელობა, საბედნიეროდ, უკვე დადასტურებული და სწორად აღქმულია. განსაკუთრებული სამართლის როლი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სფეროში. სამართალი არის საშუალება, გაკონტროლდეს და გონივრულად შეიზღუდოს ადამიანის საქმიანობა, რათა, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების, პლანეტის მოსახლეობის რაოდენობის ზრდისა და სიღარიბის დაძლევის მექანიზმების გათვალისწინებით, თანაბრად გადანაწილდეს ყველა ის სიკეთე, რასაც დედამიწის თვითაღდგენის უნარი გვაძლევს. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი მნიშვნელოვანი ბერკეტია მდგრადი განვითარებისთვის, რამეთუ ქმნის საფუძვლებს სახელმწიფოთა პოლიტიკისა და სამართლის ფორმირებისთვის ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გარემოს კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსების თანასწორი და ზომიერი გამოყენება.

საერთაშორისო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, ეყრდნობა სუვერენულად თანასწორი სახელმწიფოების ურთიერთობებს. გლობალურმა ცვლილებებმა და მსოფლიო ინდუსტრიულმა პროგრესმა სახელმწიფოები დააკავშირა გარემოს შემადგენელი ელემენტებით, როგორც კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობით თანაბარზომიერი და მდგრადი სარგებლობის ვალდებულებით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის საქმიანობა კაცობრიობის განვითარების მთელი პერიოდის განმავლობაში დაკავშირებული იყო გარემოზე ზემოქმედებასთან, მხოლოდ გასული საუკუნიდან ხდება ეს ზემოქმედება რეალურად აშკარა, გლობალურად მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, ბუნებრივი გარემოს გაუარესებაზე შეუქცევადი ზეგავლენის მქონე.

გარემოზე ანთროპოგენური ზეგავლენის ზრდამ ადეკვატურად დააყენა კაცობრიობის საერთო ინტერესებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების თანაფარდობის საკითხი, უფრო მეტიც, სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულფასოვან სუბიექტებს, დაეკისრათ გლობალური გარემოსდაცვითი საკითხების გადაჭრისა და მართვის ვალდებულება.

მსოფლიო სამართლებრივ სისტემებში დამკვიდრებული განმარტების თანახმად, საერთაშორისო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, ეყრდნობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ურთიერთობებს, რომლებიც საკუთარ ტერიტორიებზე აბსოლუტურ ეროვნულ სუვერენიტეტს ახორციელებენ. გლობალურმა

ცვლილებებმა და მსოფლიო სამრეწველო პროგრესმა ამ განმარტების ახლებური ფორმით დამკვიდრებას დაუდო სათავე, რამაც სახელმწიფოები დააკავშირა გარემოს შემადგენელი ელემენტებით, როგორც კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობით თანაბარზომიერი და მდგრადი სარგებლობის ვალდებულებით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის საქმიანობა კაცობრიობის განვითარების მთელი პერიოდის განმავლობაში დაკავშირებული იყო გარემოზე ზემოქმედებასთან, მხოლოდ ნახევარი საუკუნეა, რაც ამ ზემოქმედებამ გლობალური, მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, შეუქცევადი ზეგავლენა მოახდინა გარემოს ეკოლოგიურ ცვლილებაზე. გარემოზე ანთროპოგენური ზეგავლენის ზრდამ ადეკვატურად დააყენა კაცობრიობის საერთო ინტერესებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების თანაფარდობის საკითხი, უფრო მეტიც, სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულფასოვან სუბიექტებს, დაეკისრათ გლობალური ეკოლოგიური გამოწვევების გადაჭრისა და მართვის ვალდებულება.

## **2. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ცნება და რეგულირების სფერო**

საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ცნებასა და რეგულირების სფეროზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მართვისა და კონტროლის იმ მექანიზმებზე, რომლებიც საერთაშორისო გარემოსდაცვითმა სამართალმა დაამკვიდრა გლობალური გარემოსდაცვითი საკითხების რეგულირებისათვის. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის შექმნისა და განვითარების, ამ სფეროში სახელმწიფოთა ვალდებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაძლიერების პარალელურად დღევანდელ მსოფლიოში პრიორიტეტად იქცა დემოკრატიული გარემოსდაცვითი მმართველობა და მისი ურთიერთკავშირი საერთაშორისო სამართლის სხვა სფეროებთან.

სხვადასხვა სახელმწიფოს მუნიციპალურ სამართალში დამკვიდრებული ნორმების ჰარმონიზაციისა და უნიფიცირების უმნიშვნელოვანესი საშუალება საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებაა, რაც მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და არასავალდებულო ძალის მქონე შეთანხმების შემუშავება-მიღებით გამოიხატება.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი განსაზღვრავს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფოთა პოლიტიკასა და მოქმედებებს გარემოს კონსერვაციის სფეროში, ისევე, როგორც უზრუნველყოფს მათ მიერ ბუნებრივი რესურსებით თანასწორ და მდგრად სარგებლობას.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის რეგულირების არსის სრულყოფილად აღსაქმელად მნიშვნელოვანია, განიმართოს, თუ რას მოიაზრებს ტერმინი „გარემო“ სამართლის ამ დარგის მიზნებისათვის. ზოგადად გარემო, როგორც ადამიანის სიცოცხლისათვის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, კაცობრიობის განვითარების ყველა ეპოქისათვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო. ადამიანთა საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო იზრდებოდა ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის მოთხოვნილება. ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ფლორა, ფაუნა და ადამიანი – გარემოს შემადგენელი ნაწილებია, რომელთა ურთიერთქმედებასა და ადამიანის, როგორც გარემოს განმკარგავისა და, იმავდროულად, ქმნილების, ქმედებებზე იყო, არის და იქნება დამოკიდებული, თუ რა სახით შენარჩუნდება ეს პარადიგმა მომავალი თაობებისათვის.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალმა გარემოს განმარტების ორი ფორმალური ხედვა ჩამოაყალიბა, რაც აისახა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ სახელმწიფოთა მიერ მიღებულ სამართლებრივ დოკუმენტებში: ერთი მხრივ, გარემო, როგორც ბუნებრივი ელემენტების ერთობლიობა და, მეორე მხრივ, გარემო, როგორც ბუნებრივი და ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილი ელემენტების

(მაგალითად: ხელოვნური წყალსაცავები, არხები, შენობა-ნაგებობები, ასევე გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმები, ანუ ისეთი ცოცხალი ორგანიზმები, რომელთაც აქვთ გენეტიკური მასალის ახალი, თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოყენებით მიღებული კომბინაცია) ურთიერთკავშირი. გარემოს განმარტებიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება სპექტრი იმ ურთიერთობებისა, რომლებიც სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვენ. სახელმწიფოთა პოლიტიკა და სამართალი, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო, ვითარდებოდა და ვითარდება იმ გამოწვევების ადეკვატურად, რომლებიც გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით არის გამოწვეული, რაც თავისთავად ორი გზით ხდება: ერთი მხრივ, თვით ბუნებრივი პროცესების გამო, მაგალითად: უხვი ნალექი, გვალვა, აბრაზია, მიწისძვრა თუ სხვ., მეორე მხრივ კი, ადამიანის მიერ გარემოზე ზემოქმედების შედეგად. ნათელია, რომ პოლიტიკა და სამართალი ვერ მოახდენს შემაკავებელ გავლენას ბუნებრივ პროცესებზე, თუმცა მათი გამოყენება აუცილებელია ადამიანის საქმიანობის რეგულირებისათვის, მათ შორის, ბუნებრივი კატასტროფების აცილებისა თუ შედეგების ლიკვიდირების თვალსაზრისით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად იკვეთება, რომ ადამიანი გარემოს დაცვის სფეროში საკვანძო როლს ასრულებს – იგი არის დაცვის ობიექტი, რომელზეც გარემოს მდგომარეობის გაუარესებამ არ უნდა იმოქმედოს უარყოფითად; იგი არის ეკოლოგიური წონასწორობის რღვევის გამომწვევი ანთროპოგენური ფაქტორი – ადამიანის მიერ იქმნება ამ სფეროს რეგულირების მექანიზმები და ადამიანივე გვევლინება ამ რეგულაციების შემსრულებლად თუ დამრღვევად.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში თითოეული სახელმწიფოს შიდა იურისდიქციაში არსებული, თუნდაც ძალიან დახვეწილი, სამართლებრივი მექანიზმების არსებობაც კი, საბოლოო ჯამში, ვერ უზრუნველყოფს გარემოს დაცვის საკითხების მოგვარებას მთელ პლანეტაზე. ეკოლოგიური სამართალი სწორედ იმით განსხვავდება სამართლის სხვა დარგებისგან, რომ მას არა აქვს საზღვრები, იგი აუცილებლად ტრანსსასაზღვრო კონტექსტში განიხილება და, ასევე, ეხება ურთიერთობების რეგულირებას ისეთ ტერიტორიებზე, რომლებიც არცერთი სახელმწიფოს იურისდიქციას არ ექვემდებარება (მსოფლიო ოკეანე, ანტარქტიდა, კოსმოსი და სხვ.) და მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდის საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ამასთანავე, საკუთარ ტერიტორიაზე სამეურნეო თუ სხვა საქმიანობის განხორციელებისას სახელმწიფოებმა შესაძლოა, ზეგავლენა და უარყოფითი ზემოქმედებაც კი მოახდინონ მეზობელი სახელმწიფოების გარემოს მდგომარეობაზე, რაც ასევე საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლის რეგულირების სფეროა. და ბოლოს, ეროვნული გარემოსდაცვითი რეგულირების მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, სახელმწიფოები იძულებულნი არიან, ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოებთან და გარემოს დაცვის შეთანხმებული საშუალებები გამოიყენონ.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს, თუ როგორ შეგვიძლია და როგორ ვიყენებთ კანონმდებლობას გლობალური ეკონომიკის განვითარების პირობებში, გარემოსათვის მიყენებულ დადებით თუ უარყოფით

შედეგებთან მიმართებით. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს გარემოზე ადამიანის საქმიანობის ზემოქმედების ხარისხის შესწავლას, რაც ხშირად ეკოლოგიური ჯაჭვის რღვევით გამოიხატება. სამართლის ამ დარგის მიზანია, ერთი მხრივ, დაადგინოს, თუ როგორ იზრდებოდა და იზრდება ანთროპოგენური ზემოქმედება გარემოზე მსოფლიო მოსახლეობისა და მათ მიერ ბუნებრივი რესურსების მოხმარების ზრდასთან ერთად, ხოლო მეორე მხრივ, დაადგინოს სამეურნეო საქმიანობის ის ლიმიტი, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობას ისე, რომ „მდგრადობა“ და „განვითარება“ ერთ საფეხურზე იდგეს. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი თავისი შინაარსით რამდენიმე ძირითად მიმართულებას არეგულირებს, რომელთა საერთო მიზანია: გარემოს შენარჩუნება და დაცვა; ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და ბუნებრივი რესურსების გონივრული და რაციონალური გამოყენება.

გარემოს დაცვა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენება თანამედროვეობის გლობალური პრობლემაა და მისი გადაწყვეტა შესაძლებელია ყველა სახელმწიფოს კოლექტიური ძალისხმევით, საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე. გარემოსდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მოგვარებაში ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული უნივერსალური პრინციპები და ნორმები, რომლებიც ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და სხვა უნივერსალურ საერთაშორისოსამართლებრივ აქტებში. მათ რიცხვს მიეკუთვნება: სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემა, სახელმწიფოთა თანასწორობა, ტერიტორიული მთლიანობა და ხელშეუხებლობა, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება და ყველა ის დანარჩენი პრინციპი, რომლებიც არეგულირებენ სამართლებრივ ურთიერთობებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში.

როგორც აღინიშნა, თანამედროვე მსოფლიოში გლობალური გარემოსდაცვითი საკითხები რეალურ პრობლემად რჩება. ამ პრობლემების უმრავლესობა ადამიანის საქმიანობის შედეგია. სწორედ ადამიანის საქმიანობის რეგულირებისათვის შეიქმნა საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი. გარდა შედარებით მცირე მასშტაბის გარემოსდაცვითი პრობლემებისა, დღეისათვის მსოფლიო რამდენიმე გლობალური და მეტად სახიფათო ეკოლოგიური გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა რეგულირების გარეშე კაცობრიობა გარდაუვალი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. რა პრობლემებია ეს?

## 2.1. კლიმატის ცვლილება

მსოფლიოში კლიმატის ცვლილება აღიარებულია როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა. კლიმატი, ფაქტობრივად, გასაშუალოებული ამინდია, რომელიც მთლიანად დედამიწის ან კონკრეტული რეგიონის საშუალო ამინდის ხანგრძლივ ცვლილებას აღნიშნავს. კლიმატის ცვლილების საბოლოო შედეგი გლობალური დათბობაა, რაც დედამიწაზე ჰაერის მიწისპირა საშუალო ტემპერატურის თანდათანობით ზრდას ნიშნავს. ეს პროცესი წინაინდუსტრიული პერიოდიდან, დაახლოებით მე-18 საუკუნიდან, დაიწყო და მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან საგრძნობლად გაიზარდა. კლიმატის ცვლილება განიმარტება როგორც მთლიანად დედამიწის ან კონკრეტული რეგიონის საშუალო ამინდის ხანგრძლივი ცვლილება. როგორც აღინიშნა, კლიმატის ცვლილება გლობალური დათბობის წინაპირობაა, რისი ძირითადი მიზეზიც ადამიანის საქმიანობის შედეგად ე.წ. „სათბურის გაზების“ ემისია (გაფრქვევა) და, შესაბამისად, ატმოსფეროში კონცენტრირებაა.

ტერმინი „გლობალური დათბობა“ ასახავს იმ ფაქტს, რომ, რაც უფრო მეტი ნახშირორჟანგი  $CO_2$  (ან სათბურის სხვა აირი) დაემატება ატმოსფეროს და შთანთქავს დედამიწის ზედაპირიდან გამოსხივებულ სითბოს, მით უფრო მოიმატებს ჰაერის ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე. უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში კაცობრიობა სულ უფრო დიდი რაოდენობით მოიხმარს ქვანახშირს, ნავთობსა და ბუნებრივ აირს. წვის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგის გარკვეულ ნაწილს ოკეანეები და მცენარეები შთანთქავენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ აირის თითქმის ნახევარი ატმოსფეროში მაინც რჩება. ადამიანის სამრეწველო საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში იფრქვევა სათბურის სხვა აირებიც. გამოთვლების თანახმად, ამ აირების ზემოქმედებით გასულ საუკუნეში დედამიწაზე საშუალო ტემპერატურა  $0.6^{\circ}C$ -იდან  $- 0.7^{\circ}C$ -ამდე გაიზარდა. კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო საბჭოს (IPCC) თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიოში არ შემცირდება ენერჯის მიღების მიზნით სანჯავის გამოყენება სახლებში, წარმოებაში, ავტომანქანებსა და სხვაგან, 2100 წლისთვის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის რაოდენობა ორჯერ გაიზარდება და გამოიწვევს საშუალო გლობალური ტემპერატურის გაზრდას  $1^{\circ}C$ -იდან  $3.5^{\circ}C$ -ამდე. დედამიწაზე კლიმატის დათბობა მთელ პლანეტაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს და ცხოვრებას გაართულებს, წარმოშობს ისეთ პროცესებს, როგორებიცაა: უფრო ცხელი და მშრალი კლიმატი მთელ მსოფლიოში, გაუდაბნოების პროცესის გაძლიერება, ზღვის დონის აწევა, შტორმები, გახშირებული წვიმები; გავლენას მოახდენს ბიომრავალფეროვნებაზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და სხვა სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან პროცესებზე.

მთავარი მიზეზი, რის გამოც დღესდღეობით კაცობრიობა ამ პრობლემის წინაშე დგას, როგორც აღინიშნა, არის ადამიანის აქტიური სანარმოო საქმიანობა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სწრაფ ინდუსტრიალიზაციას. ასევე კლიმატის ცვლილება უკავშირდება ბუნებრივ ცვლილებებს, როგორებიცაა: კონტინენტებისა და ოკეანეების

ზომების ცვლა და მათი ორმხრივი განლაგება, შშის ნათების ცვლა, დედამიწის ორბიტის პარამეტრების შეცვლა, ატმოსფეროს გამჭვირვალობის შეცვლა, ატმოსფეროს სათბურის აირების კონცენტრაციის ცვლა ( $\text{CO}_2$  და  $\text{CH}_4$ ), ოკეანის სიღრმეში არსებული სითბოს რაოდენობის ცვლა და სხვ.

კლიმატის ცვლილების მავნე შედეგები მოიცავს: მყინვარების დნობას მთებზე და ყინულის ფენების განლევის ოკეანეებში, ე.წ. „სიცხის ტალღებს“, გვალვებს, ერთი მხრივ, და ძლიერ წვიმებს, მეორე მხრივ, ოკეანის დონის აწევას, დატბორვების, წყალდიდობების, ღვარცოფების, მეწყრების, ზვავების გახშირებას, ცუნამების, სხვადასხვა ქარიშხლის გაძლიერებასა და გახშირებას. კლიმატის შეცვლის შედეგად იცვლება ბუნება, ეკოსისტემები, რომელთაგან მრავალი ვერ ასწრებს ადაპტაციას და გადაგვარდება; იზრდება ადამიანთა დაავადების რისკი, მათ შორის, ეპიდემიების გავრცელებისაც. „სათბურის ეფექტით“ გამოწვეული მავნე შედეგები სულ უფრო მეტ მრავალფეროვნებასა და ინტენსივობას ავლენს წლიდან წლამდე, გაზრდილია ექსტრემალური მოვლენების ინტენსივობა და სიხშირე, შავი ზღვის სანაპირო ზონაში გაძლიერდა ნაპირის ეროზიისა და ჩარეცხვის პროცესი, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს და სასწრაფოს ხდის პრობლემის მოგვარების აუცილებლობას.

კლიმატის ცვლილება, ასევე, განიხილება უსაფრთხოების პრობლემადაც, ვინაიდან ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად იზრდება ეკოლოგიურ დევნილთა და ლტოლვილთა რიცხვი. ნავარაუდევია, რომ 2050 წლისთვის დედამიწაზე შეიძლება იყოს 50-150 მილიონი ეკოლოგიური დევნილი/ლტოლვილი, მაშინ, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შედეგადაც კი ევროპაში მხოლოდ 7 მილიონი ლტოლვილი იყო.



## 2.2. ოზონის შრის შემცირება

ოზონი არის ჟანგბადის მოლეკულის ნაირსახეობა ( $O_3$ ), რომელიც სტრატოსფეროში მთლიანად შთანთქავს მზიდან მომავალი ულტრაიისფერი გამოსხივების ბიოლოგიურად აქტიურ მოკლეტალღოვან ნაწილს, რაც იცავს სიცოცხლეს დედამიწაზე. ოზონის შრის მდგომარეობაზე მუდმივი კონტროლი მიმდინარეობს 1978 წლიდან. ოზონის ხვრელი – დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენაში, სტრატოსფეროში, ოზონის კონცენტრაციის მკვეთრი შემცირების ფენომენი – ბოლო ათწლეულებში გაფართოვდა, სავარაუდოდ, ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად. 1000 კმ-დიამეტრიანი ოზონის ხვრელი პირველად აღმოაჩინეს 1986 წელს სამხრეთ ნახევარსფეროში, ანტარქტიკის თავზე. იგი ჩნდებოდა ყოველ აგვისტოს, ხოლო დეკემბერში ან იანვარში ქრებოდა; ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, არქტიკაზე კი ჩნდებოდა მეორე ხვრელი, თუმცა გაცილებით მცირე ზომებით.

ოზონის შრის დაშლას იწვევს ქლორისა და ბრომის ატომები, რომელთაც ადამიანის მიერ შექმნილი ქიმიური ნივთიერებები შეიცავენ. ამგვარად, სტრატოსფერული ოზონის დაშლა გამოწვეულია ჰალოგენების შემცველი ორგანული ნაერთების: ქლორ-ფტორ-ნახშირწყალბადების (ქფნ), ქლორ-ბრომ-ნახშირწყალბადების (ქბნ) და ჰალონების ატმოსფეროში მოხვედრით. ამ ნივთიერებათა წარმოება მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო. ისინი გამოიყენება როგორც იდეალურად უსაფრთხო მაცივარაგენტები, დეზოდორანტების შემავსებლები, ელექტრომონოცილობის გამმენდები, ცეცხლჩაქრობი ნივთიერებები, მცენარეთა დაცვის საშუალებები. ითვლება, რომ ატმოსფეროში მოხვედრილი მოლეკულები ათწლეულების განმავლობაში არ იშლება და სტრატოსფერომდე აღწევს, სადაც მზის ულტრაიისფერი გამოსხივების ზეგავლენით იშლება და ქლორის ატომებს გამოყოფს. ეს უკანასკნელი კი შემდგომ მუშაობს როგორც ოზონის მოლეკულების დაშლის კატალიზატორი. ითვლება, რომ თითო მოლეკულა ქლორ-ფტორ-ნახშირბადი ასე ათასამდე ოზონის მოლეკულას შლის.

ოზონის შრის რღვევას და „ოზონის ხვრელების“ წარმოქმნას იწვევს: *კოსმოსური რაკეტების გაშვება* – წვადი სათბობი ოზონის შრეში „გამონვავს“ დიდ ხვრელებს. ოდესღაც ვარაუდობდნენ, რომ ეს ხვრელები იკვრება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ – არა, ისინი არსებობენ საკმაოდ დიდხანს; *12-15 კმ სიმაღლეზე მფრინავი თვითმფრინავები* – მათ მიერ გამოტყორცნილი ორთქლი და სხვა ნივთიერებები შლიან ოზონს, მაგრამ, იმავდროულად, 12 კმ-ზე დაბლა მფრინავი თვითმფრინავები ოზონს ამატებენ. ქალაქებში ის ფოტოქიმიური ბოლ-ნისლის ერთ-ერთი შემადგენელია; *აბოტის ოქსიდები* – მათ გამოტყორცნიან იგივე თვითმფრინავები, მაგრამ ყველაზე დიდი რაოდენობით ისინი გამოიყოფა ნიადაგის ზედაპირიდან; *ბირთვული იარაღის გამოცდა; პლანეტის ტყის სავარგულების შემცირება*; არსებობს ასევე თეორია, რომლის თანახმადაც, ოზონის შრის გათხელებას განაპირობებს *გლობალური დათბობა*. ოზონის დაშლის რეაქციებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჯაჭვურ პროცესებს მრავალი

რადიკალის მონაწილეობით, რომელთა წინამორბედები როგორც ბუნებრივი კომპონენტები, ისე ატმოსფეროს ანთროპოგენური დამაბინძურებელი ნივთიერებებია. ოზონის შრე, როგორც ოზონის მოლეკულების ერთობლიობა, სასიცოცხლოდ ერთეულის გარს პლანეტას და იცავს მზის მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებისგან, ხოლო მავნე ულტრაიისფერი გამოსხივება იწვევს ისეთ უარყოფით მოვლენებს, როგორებიცაა: კანის კიბო, თვალის კატარაქტა, იმუნოსისტემის დაქვეითება, მოსავლიანობის შემცირება, ფიტოპლანქტონის ზრდის შეფერხება, ქვირითის დაზიანება და ა.შ. ოზონის შრის 10%-ით შემცირება იწვევს მავნე ულტრაიისფერი გამოსხივების 20%-ით ზრდას.

### 2.3. მჟავური წვიმები

ითვლება, რომ ნებისმიერ ნალექს უნდა ჰქონდეს მჟავიანობა 5,6-5,8 pH დიაპაზონში. ამ შემთხვევაში, წყალი კონკრეტულ ადგილას ჩამოდის, სუსტად მჟავე ხსნარია. ის უვნებელია გარემოსა და ადამიანისთვის. თუ ნალექების მჟავიანობა იზრდება, მათ მჟავე ეწოდება. ჩვეულებრივ, წვიმა ოდნავ მჟავეა ქიმიური რეაქციის გამო, რომელიც ჰაერში ხდება – ნახშირორჟანგისა და წყლის ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება ნახშირმჟავა. სწორედ ის აძლევს წვიმას ოდნავ მჟავე თვისებებს. ნალექების მჟავიანობის ზრდა აიხსნება ქვედა ატმოსფეროში სხვადასხვა დამაბინძურებლის არსებობით.

გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და გამოწვევა მჟავური წვიმებია. ეს ისეთი მოვლენებია, როგორებიცაა: მჟავური ნისლი, მჟავე თოვლი და ა.შ., მაგრამ თითოეული მათგანი ატმოსფერულ ტენში მჟავათა არსებობას და გარემოზე მათ დამაზიანებელ მოქმედებას გულისხმობს. მჟავური წვიმის მოვლენა 1800 წელს ბრიტანეთში ანგუს სმიტმა აღწერა და 1950 წლამდე მივიწყებული იყო. ეს პროცესი ბუნებრივ წვიმასთან შედარებით წვიმის წყლის მჟავიანობის მომატებას გულისხმობს. მჟავური წვიმის ორი უმთავრესი კომპონენტია გოგირდმჟავა და აზოტმჟავა. ზოგჯერ მჟავური წვიმები საკმაოდ შორს მოდის იმ ადგილებიდან, სადაც პირველადი დამაბინძურებელი ნაერთების წყაროებია. ამდენად, მჟავური წვიმების პრობლემა ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებით არ შემოიხზლება, რადგანაც ატმოსფერული დამაბინძურებლები ხშირად ფართო მასშტაბით გადაადგილდებიან. მაგალითად, უმეტესობა მჟავური წვიმებისა, რომლებიც ნორვეგიაში, შვედეთსა და ნიდერლანდში მოდის, ევროპის სხვა ქვეყნებში გამოყოფილი გოგირდისა და აზოტის ოქსიდებისგან წარმოიქმნება. მჟავიანობის მომატება უარყოფითად მოქმედებს როგორც მცენარეულ, ისე ცხოველურ სამყაროზე. გაზრდილი მჟავიანობა თევზის პოპულაციის მკვეთრ შემცირებას იწვევს. თევზების სახეობათა მხოლოდ მცირე რიცხვს შეუძლია გადარჩეს და მჟავე არეში რეპროდუქცია განახორციელოს. ბოლო დროს ცხადი გახდა, რომ ჰაერის დაბინძურებას ტყის მასივზეც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა, რის შედეგადაც შეინიშნება ტყის მასივების შემცირების ტენდენცია.

მჟავური წვიმები, ასევე, ანადგურებს შენობა-ნაგებობებს, ძეგლებს, რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს. მათი მოხვედრა ნიადაგში იწვევს ძლიერ მჟავიანობას, რის შედეგადაც ნიადაგიდან გამოიღვენება კალიუმი და კალციუმი. ნიადაგი საკვები ნივთიერებებით ღარიბდება და მოსავლიანობა მცირდება. მჟავური წვიმების მიწაში ჩაჟონებით იწლება ისეთი ნივთიერებები, როგორებიცაა: ტყვია, ნიკელი და ვერცხლისწყალი. ისინი თხევად მდგომარეობაში გადადიან და ჯერ მიწისქვეშა წყლებში, შემდეგ კი ტბებსა და ოკეანეებში ხვდებიან; ხოლო წყალში, სადაც მჟავური წვიმები დიდი რაოდენობით ხვდება, იხსნება ტოქსიკური ნივთიერებები და მისი სასმელად გამოყენება უმძიმეს დაავადებებს იწვევს. ზოგჯერ მჟავური წვიმები საკმაოდ შორს მოდის იმ

ადგილებიდან, სადაც პირველადი დამაბინძურებელი ნაერთების წყაროებია. ამრიგად, ეს პრობლემა ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებით არ შემოსაზღვრება, რადგანაც ატმოსფერული დამაბინძურებლები ხშირად დიდი მასშტაბით გადაადგილდებიან. მაგალითად, მჟავური წვიმების უმეტესობა, რომელიც ნორვეგიაში, შვედეთსა და ნიდერლანდში მოდის, ევროპის სხვა ქვეყნებში გამოყოფილი გოგირდისა და აზოტის ოქსიდებიდან წარმოიქმნება.

## 2.4. გაუდაბნობა

გაუდაბნობა არის მიწის დეგრადაცია არიდულ, სემიარიდულ და მშრალ სუბჰუმიდურ ტერიტორიებზე. დეგრადაცია შესაძლოა, გამოწვეული იყოს კლიმატისა და სხვა ბუნებრივი ფაქტორებით, მაგრამ ადამიანის საქმიანობა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ამ პროცესზე. გაუდაბნობა დღეს გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ოდესმე ყოფილა დედამიწის ისტორიაში. ჩვეულებრივ, ეს ხდება მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, ინტენსიური მიწათმოქმედებისა და ძოვების გამო. გაუდაბნობის შედეგად მცირდება (იკარგება) ბიომრავალფეროვნება, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერება ქვეითდება. მრავალფეროვანი ბუნებრივი ეკოსისტემები იცვლება ერთგვაროვანი (ერთი დომინანტი მრავალწლოვანი სახეობის შემცველი) ეკოსისტემით. მეცნიერთა ვარაუდით, უახლოეს მომავალში გაუდაბნობის პროცესის შედეგად მსოფლიო უდაბნოთა საერთო ფართობი 17%-ით გაიზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ფაქტორების ზეგავლენით გამოწვეული გაუდაბნობა ბუნებრივი მოვლენაა, ინდუსტრიალიზაციამ ეს პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა და მისი არეალი გააფართოვა. კერძოდ, არასწორი ირიგაცია, ნიადაგის გადაჭარბებული კულტივაცია, ძოვება და ტყის საფარის კარგვა კლიმატურ ფაქტორებთან ერთად გაუდაბნობის პროცესის გააქტიურების მიზეზია, რაც ხშირად დაკავშირებულია, გარემოს დაცვის ნაკლები პრიორიტეტულობის გამო, ბუნებრივი რესურსების არასათანადო მართვასთან. გადაჭარბებული ძოვება და, იმავდროულად, ჩლიქოსანი პირუტყვის მიერ მიწის ტკეპნა, ერთი მხრივ, ნიადაგის შემცავებელი მცენარეული საფარის დაზიანებას იწვევს, მეორე მხრივ კი, შეუძლებელს ხდის წვიმის წყლის ნიადაგში ჩაჟონვას. ასეთი ნიადაგი ქარისა და წვიმის ზემოქმედებით ადვილად განიცდის ეროზიას. ტყის გაჩეხა შეშის მოპოვების მიზნით ნიადაგის ტემპერატურის მკვეთრი ზრდის მიზეზია, რაც ნიადაგის ზედაპირიდან წყლის აორთქლებას მნიშვნელოვნად აჩქარებს და ნიადაგის დამლაშებას უწყობს ხელს. ასეთ ნიადაგებზე იზღუდება მცენარეული საფარის ხელახალი აღმოცენება. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ტროპიკულ არიდულ ტერიტორიებზე, სადაც შეშა როგორც სოფლის, ასევე ქალაქის მოსახლეობისთვის ენერჯის მიღების ძირითადი წყაროა. ხშირად მიწის დეგრადაციის პროცესს აძლიერებს ფერმერების მიერ ინტენსიური სოფლის მეურნეობის წარმოება, მაშინ როდესაც მოსავლის მოყვანა ხდება გვალივან ადგილებზე და მრავალჯერადად მოსავლის მიღების მიზნით მცირდება მიწის დასვენების პერიოდი; ხდება მონოკულტურების მოყვანა და მოსავლის აღების შემდგომ ნიადაგის არაადეკვატური განოყიერება. ასეთი ინტენსიური სოფლის მეურნეობის შედეგად ნიადაგი თვითაღდგენის უნარს კარგავს, რადგან ნიადაგიდან მინერალური თუ ორგანული ნივთიერებების ამოღება მნიშვნელოვნად აღემატება მისი ბუნებრივი რეგენერაციის უნარს.

## 2.5. ბიოლოგიური მრავალფეროვნების გამონვევები

ჰაბიტატების რღვევისა და მზარდი, არარეგულირებული მოხმარების გამო, მცენარეებისა და ცხოველების მრავალი სახეობა გადაშენების ზღვრამდეა მისული.

ბიომრავალფეროვნება სხვადასხვა ეკოსისტემის, ამ ეკოსისტემებში არსებული ცოცხალი ორგანიზმების სახეობებისა და ამ სახეობების გენების ერთიანობაა. დედამიწაზე არაფერია ისე კომპლექსური, დინამიკური და მრავალფეროვანი, როგორც ამ ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც ცხოვრობენ როგორც დედამიწის ზედაპირზე, ისე მსოფლიო ოკეანეში და, იმავდროულად, არაფერი განიცდის უფრო მტკივნეულ ცვლილებებს ადამიანის ზემოქმედების შედეგად, როგორც სწორედ ამ ცოცხალ ორგანიზმთა ერთობლიობა. ცოცხალი ორგანიზმების ეს ერთობლიობა – ბიოსფერო – მცენარეების, ცხოველებისა და მიკრობების მილიონობით სახეობის კოლექტიური მეთაბოლური მოქმედებებით ფიზიკურად და ქიმიურად აერთიანებს ატმოსფეროს, გეოსფეროსა და ჰიდროსფეროს ერთ გარემოსდაცვით სისტემაში, რომლის ფარგლებშიც წარმოიშვა და განვითარდა ცოცხალ ორგანიზმთა მთელი სისტემა, მათ შორის ადამიანიც.

არსებობს მეცნიერული ვარაუდი, რომ დედამიწაზე ოდესღაც მობინადრე სახეობების 99% დღეისათვის გადაშენებულია. გარემოს დეგრადაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი – სახეობათა გადაშენება ტყიანი ეკოსისტემების განადგურებას მჭიდროდ უკავშირდება. ტყის საფარის განადგურება შესაძლოა, გამოიწვიოს როგორც ადამიანის საქმიანობამ (სოფლის მეურნეობა, ურბანიზაცია, არამდგრადი სატყეო მეურნეობა, უკონტროლო ძოვება, ნავთობისა და სხვა ნიაღისეულის მოპოვება), ისე ბუნებრივმა კატაკლიზმებმა, როგორებიცაა: ცუნამი, ტყის ხანძრები, ვულკანის ამოფრქვევა, გამყინვარება და გაუდაბნობა (ეს პროცესიც ადამიანის საქმიანობით იმართება). სახეობათა გადაშენებაში იგულისხმება სახეობის ან ტაქსონის არსებობის შეწყვეტა ბუნებაში, რაც ბიომრავალფეროვნების შემცირებას იწვევს. დღეისათვის დადგენილია სახეობათა გადაშენების ოთხი ძირითადი მიზეზი, რასაც „საბედისწერო კვარტეტს“ უწოდებენ: ჭარბი მოპოვება (ნადირობა, თევზჭერა), საბინადრო გარემოს განადგურება და ფრაგმენტაცია (მაგ., ტყეების ჩეხა), უცხო სახეობები (ეკოსისტემაში უცხო სახეობის შემოყვანა, ინვაზია, იწვევს ადგილობრივი სახეობის პირდაპირ განადგურებას ან ჰაბიტატის მოსპობას), და გადაშენების ჯაჭვები (ერთი სახეობის ამოწყვეტა ჯაჭვისებურად იწვევს სხვა სახეობების გადაშენებასაც). უფრო კონკრეტულად, ცხოველთა და მცენარეთა სახეობების შემცირების მრავალ მიზეზს შორის უმრავლესობა ანთროპოგენურ ზემოქმედებას უკავშირდება, ისეთებს, როგორებიცაა: ტყეების გაჩეხა; დასახლებული პუნქტების ტერიტორიების გაფართოება; მავნე ელემენტების რეგულარული გამოყოფა ატმოსფეროში; ბუნებრივი ლანდშაფტების გარდაქმნა სამეურნეო ობიექტებად; სოფლის მეურნეობაში ქიმიკატების გამოყენება; წყლის ობიექტებისა და ნიადაგის დაბინძურება; გზის მშენებლობა და კომუნიკაციების პოზიცია; დედამიწის მოსახლეობის ზრდა, რაც სიცოცხლისთვის მეტ საკვებს და ტერიტორიებს

მოითხოვს; ბრაკონიერობა; ექსპერიმენტები მცენარეთა და ცხოველთა სახეობების გადაკვეთაზე; ეკოსისტემების განადგურება; საქმიანობით გამონწვეული ეკოლოგიური კატასტროფები.

## 2.6. მოსახლეობის რაოდენობის ზრდა

მსოფლიო მოსახლეობა უკვე 7,7 მილიარდ ადამიანს აჭარბებს. ნავარაუდევია, რომ 2050 წლისთვის მოსახლეობა 9,7 მილიარდს, ხოლო 2100 წლისთვის 10,9 მილიარდს გადააჭარბებს. აქედან გამომდინარე, შეზღუდული ბუნებრივი რესურსების ფონზე უნდა დაკმაყოფილდეს მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობის მოთხოვნილებები. მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა იწვევს არა მარტო შიმშილსა და სიღარიბეს, არამედ, ასევე, გარემოს განადგურებას, რადგან მეტ ადამიანს მეტი საცხოვრებელი სივრცე და მეტი საკვები სჭირდება. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობა გაცილებით მეტად ამიანებს გარემოს, ვიდრე ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა. გარემოს დეგრადაცია იზრდება არა მარტო ინდუსტრიული წარმოებისას, არამედ გარემოს საყოფაცხოვრებო პირობებში ენერჯის გამოყენებით, გათბობის მონწყობილობათა გამონაბოლქვებით, ისევე როგორც ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით (მაგალითად, სარეცხი და სანმენდი საშუალებები), ასევე სასმელი წყლის გაფლანგვით. მოსახლეობის რაოდენობის მომატებისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგად გაიზარდა მოთხოვნა წყალზე, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობაზე. მოსახლეობის ზრდა განაპირობებს მოთხოვნის მნიშვნელოვანმატებას საკვებზე, საწვავსა და სხვა რესურსებზე, რომელთა რაოდენობაც შეზღუდულია. ეს, ბუნებრივია, დიდ პრობლემას ქმნის, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რესურსები მცირდება, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა კვლავ იზრდება.



### **3. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ისტორიული ევოლუცია**

პირველი ინდივიდუალური გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები ათეულობით წლის წინათ დაიდო, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სახელშეკრულებო სამართალი კი მაინც ახლი სფეროა. პირველი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებიდან შესაძლებელია ხაზი გაესვას, მაგალითად, 1911 წლის 7 ივლისის იაპონიის, რუსეთის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მიერ ხელმოწერილ კონვენციას – „ზღვის გოჭების დაცვის შესახებ“. პირველ კონვენციას კი 1902 წლის 19 მარტამდე მივყავართ. ისტორიულად საერთაშორისო თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში ჩაისახა მე-19 საუკუნის მიწურულს, მაგრამ მას არ ჰქონდა მუდმივი ხასიათი და კონკრეტულ ბუნებრივ ობიექტებზე ორმხრივი შეთანხმებებით შემოიფარგლებოდა. მას შემდეგ გარემოს დაცვის საკითხებმა საკმაოდ დიდი აქტუალურობა შეიძინა და არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) სპეციალიზებული ორგანიზაციები (UNESCO – გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, FAO – გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია და სხვ.) ჩაებნენ ამ პროცესში, სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. მაგალითად, 1968 წელს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ უზრუნველყო არასამთავრობო ექსპერტების შეკრება ბიოსფეროს პრობლემების გადასაწყვეტად. კონფერენციამ განიხილეს ადამიანისა და გარემოს ურთიერთკავშირის სხვადასხვა საკითხი, რის შემდეგაც მიღებულ იქნა რეკომენდაციები. 1949 წელს გაეროს ეგიდით ჩატარდა კონფერენცია – ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების შესახებ (UNCCUR), რომლის შედეგადაც გაეროსა და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციებისათვის ჩამოყალიბდა ერთგვარი მოქმედებათა გეგმა ფლორისა და ფაუნის დაცვის შესახებ. 1954 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოიწვია კონფერენცია ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვის საკითხებზე, რომელზეც ყურადღება ბირთვულ გამოცდებსა და ნავთობით დაბინძურებას დაეთმო, რასაც, საბოლოოდ, 1963 წელს „გამოცდების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების“ შემუშავება და მიღება მოჰყვა. სწორედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე შეიტანეს ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ გაეროს საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი საფრანგეთის წინააღმდეგ ბირთვული გამოცდების შეწყვეტის მოთხოვნით.

ამასთან, ნავთობით ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციის სფეროში, გაეროს ფარგლებში, კიდევ ორი გლობალური კონვენცია იქნა მიღებული: 1958 წლის კონვენცია „ღია ზღვაში თევზაობისა და დაცვის შესახებ“, რომელიც ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვის ინოვაციურ მიდგომებს შეიცავდა; და 1958 წლის კონვენცია „ღია ზღვის შესახებ“, რომელიც წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებდა, თავიდან აეცი-

ლებინათ ნავთობით დაბინძურება და ზღვაში რადიოაქტიური ნარჩენების განთავსება. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი რეგიონალური პროცესები მიმდინარეობდა და ეს პროცესები მიზნად ისეთი საკითხების რეგულირებას ისახავდა, რომლებიც ადრე საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში არ ხვდებოდა. 1959 წლის ანტარქტიკის ხელშეკრულება მხარეებს ამ რეგიონში მხოლოდ მშვიდობიანი საქმიანობის წარმართვას ავალდებულებდა და ბირთვულ გამოცდებს ან რადიოაქტიური ნარჩენების განთავსებას კრძალავდა. გაეროს ეკონომიკურმა კომისიამ ევროპისათვის (UNECE) მიიღო ჰარმონიზებული რეგულაციები ავტომობილების გამონაბოლქვის შესახებ, ხოლო 1971 წლის რამსარის კონვენციამ ჩამოაყალიბა პირველი საერთაშორისო სამართლებრივი მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის ეკოსისტემის დაცვის პრინციპებსა და მეთოდებს განსაზღვრავდა.

შესაბამისად, 1972 წლისთვის უკვე არსებობდა გლობალური და რეგიონული დონის გარემოსდაცვითი სამართლის ჩანასახი. დაწესდა შეზღუდვები, რომლებიც სახელმწიფოებს საკუთარი ბუნებრივი რესურსების მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილის შესაბამისად განკარგვის საშუალებას არ აძლევდა. თუმცა ეს ხელშეკრულებები და ინსტიტუციური პროცესები ფრაგმენტირებული იყო და კოორდინაციის ნაკლებობა ერთიანი გლობალური გარემოსდაცვითი სტრატეგიის შემუშავების პროცესს აყოვნებდა. მეტიც, არ არსებობდა ორგანიზაცია, რომელსაც საერთაშორისო გარემოსდაცვით პოლიტიკასა და სამართალზე ზოგადი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა და, ამასთან, არ არსებობდა რეგულაციები, რომლებიც პროცედურულ სტანდარტებს (მაგ.: გარემოზე ზემოქმედების შეფასება ან გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელება და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა) განსაზღვრავდა.

ზემოაღნიშნული კონვენციის ლოგიკური გაგრძელებაა 1992 წლის 3-14 ივნისის გაეროს კონფერენცია რიო-დე-ჟანეიროში, რომელზეც მიღებულ იქნა დეკლარაცია „გარემოსა და განვითარების შესახებ“, ასევე ცნობილი „დედამიწის სამიტის“ სახელით. დეკლარაციის მიღების პერიოდში მსოფლიო „ცივი ომის“ თუ „მსოფლიო ომის“ დასასრულს უახლოვდებოდა და ის ალიანსი, რომელიც მანამდე არსებობდა მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის, უკვე აღარ იყო იმდენად აქტუალური. დასაწყისიდანვე ჩაითვალა, რომ რიოს კონფერენცია ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი შეკრება იყო, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის ძირითადი მიზნები.

რიოს კონფერენციის მეთუ წლისთავის აღსანიშნავად და მისი სულისკვეთების გასაგრძელებლად 2002 წლის სექტემბერში იოჰანესბურგში მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტი (WSSD) ჩატარდა და ძირითადად მოსახლეობის რაოდენობის ზრდის გამოწვევებსა და სიღარიბის დაძლევის საკითხებს შეეხო.

ამასთან, 2012 წლის ივნისში რიო-დე-ჟანეიროში UNCED-ის 20-წლიანი შედეგების განხილვისადმი მიძღვნილი სამიტი („რიო+20“) გაიმართა. სამიტი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოიწვია და მისი მიზანი იყო მდგრადი განვითარების უზრუნ-

ველყოფის პოლიტიკური ნების მინელების დაუშვებლობა და განახლება; მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი სამიტების შედეგების განხორციელების პროცესში დღემდე მიღწეული პროგრესისა და დარჩენილი ხარვეზების შეფასება და ახალი და სამომავლო გამოწვევებისთვის პასუხის გაცემა.

შემდგომი ეტაპი საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებისა და კავშირებულია 2015 წლის 25 სექტემბერს ნიუ-იორკში (აშშ) ჩატარებულ მდგრადი განვითარების სამიტთან, სადაც სახელმწიფოთა ლიდერები შეთანხმდნენ მსოფლიოს განვითარების ახალ დღის წესრიგზე – „მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs)“. განვითარების ახალი დღის წესრიგი მოიცავს 17 გლობალურ მიზანს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტები 15 წლის განმავლობაში – 2016 წლიდან 2030 წლამდე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების კონცეფცია წარმოიშვა 2012 წელს გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების კონფერენციაზე – „რიო+20“. მისი მიზანია, მსოფლიოს შესთავაზოს უნივერსალური დღის წესრიგი, რომელიც წონასწორობაში მოიყვანს განვითარების სამ განზომილებას – გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებს.

გემოლანიშნულიდან გამომდინარე და საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ფორმირების საკითხების დინამიკისა და თემატიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სამართლის ამ ინსტიტუტს 5 ძირითადი საყრდენი საერთაშორისო კონფერენცია აერთიანებს, რომლებსაც დღევანდლამდე მოვყავართ. ამასთან, საინტერესოა საერთაშორისო რეგულირების ის ტენდენციები, რომლებიც პირველი ორი, ეგრეთ წოდებული ფუძემდებლური, კონფერენციის შედეგად ჩამოყალიბდა და, პირობითად, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები ორ თაობად დაყო.

„პირველი თაობის“ გარემოსდაცვითი კონვენციები, სტოკჰოლმის დეკლარაციის სულისკვეთებით გაჯერებულნი, ძირითადად, წყლისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული პრობლემების დარეგულირების მიზნით შეიქმნა. გარემოსდაცვითი ხელშეკრულების შექმნის პროცესმა ფართო მასშტაბი მიიღო და ბევრი ორგანიზაციამ ჩაერთო ამ საქმიანობაში. მაგალითად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ ხელი შეუწყო ზღვის დაბინძურებასთან მიმართებით კონვენციების ჩამოყალიბებას. სტოკჰოლმის კონფერენციის შედეგად ახალშექმნილმა იუნეპოს ორგანიზაციამ აქტიური როლი შეასრულა სხვადასხვა გარემოსდაცვითი ხელშეკრულების შექმნის პროცესში და გაიმყარა თავისი პოზიციები, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციამ. განსაკუთრებით მისი აქტიურობა დაფიქსირდა 1974 წლის პარიზის „ხმელეთზე არსებული ობიექტებიდან ზღვის დაბინძურების შესახებ“ კონვენციის მიღებისას და რეგიონალური საზღვაო პროგრამების განვითარებისას. გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ უზრუნველყო ატმოსფერული ჰაერის დიდი ოდენობით ტრანსსასაზღვრო დაბინძურების კონვენციის შემუშავება. ველური სამყაროს სახეობების დაცვის საკითხმა წინა პლანზე წამოიწია 1970-იან წლებში. გლობალური კონვენციები ამ სფეროში მოიცავენ: 1973 წლის კონვენციას „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი

სახეობების დაცვის შესახებ“; კონვენციას „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ“ (1971), ცნობილია „რამსარის“ კონვენციის სახელით, რადგანაც სწორედ ირანში, ქალაქ რამსარში მოხდა მისი რატიფიცირება; კონვენციას „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ“ (1972), რატიფიცირებული გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის ეგიდით (UNESCO); და 1979 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია გარემოს დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) ეგიდით ხელმოწერილ კონვენციას „ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ“; ამავე პერიოდში მიღებულ იქნა რეგიონალური ხელშეკრულებები ველური სამყაროს დაცვის სფეროში, მაგალითად, 1979 წლის კონვენცია „ევროპის ველური სამყაროს დაცვის შესახებ“.

„მეორე თაობის“ გარემოსდაცვითი კონვენციები სათავეს 1980-იან წლებში იღებს. ისინი უფრო გლობალური და ყოვლისმომცველი ხასიათით გამოირჩევიან. 1980–1990-იან წლებში მიღებულ კონვენციათა უმრავლესობა სახელმწიფოთაშორის კონსენსუსს მოითხოვდა. მაგალითად შეიძლება დასახეულდეს ვენის კონვენცია „ოზონის შრის დაცვის შესახებ“ და ამ კონვენციის მონრეალის ოქმი. 1980-იანი წლების კონვენციათა შორის, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას „სამღვალო სამართლის შესახებ“ კონვენციას, რომელმაც საფუძველი დაუდო ოკეანისა და ზღვის გარემოს დაცვის საერთაშორისოსამართლებრივ რეგულირებას; ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებზე კონტროლის თაობაზე“ (1989); კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (1992) და კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ (1992).

გარემოსდაცვითი საერთაშორისო სამართლის შექმნის აღნიშნულმა პროცესმა დაარწმუნა კაცობრიობა ამ საკითხის აქტუალობაში და გამიჯნა რეგიონალური და გლობალური შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში. დღესდღეობით გარემოს დაცვის სფეროში არსებობს სამ ათეულზე მეტი გლობალური ხელშეკრულება, რომლებიც, შინაარსის მიხედვით, სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. გარემოს შემადგენელი ელემენტების დაცვის ხელშეკრულებები; 2. გარემოს დაბინძურების პრევენციისა და აღმოფხვრის ხელშეკრულებები; 3. გარემოსდაცვით მმართველობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები.

### 3.1. 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენცია ადამიანის გარემოს შესახებ

ეკოლოგიურმა კრიზისმა და გარემოს მდგომარეობის გლობალურმა გაუარესებამ აიძულა კაცობრიობა, უფრო აქტიურად დაფიქრებულიყო ამ პრობლემაზე. სწორედ მას მიეძღვნა გაეროს 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენცია, რომელზეც მიღებულ იქნა გარემოს დაცვის საერთაშორისო პრინციპების დეკლარაცია, სამოქმედო გეგმა, ორგანიზაციულ-ფინანსური გადანყვეტილებები და რეკომენდაცია გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის შექმნის თაობაზე. სტოკჰოლმის კონფერენციის გახსნილად გამოცხადების შემდეგ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა, რომ ამ კონფერენციის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის საფუძვლის შექმნა და, იმავდროულად, კაცობრიობისათვის გარემოსდაცვითი საკითხების ერთ-ერთ პრიორიტეტად ქცევა.

1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციას საფუძველი 1968 წელს UNESCO-ს მიერ მოწვეულმა მთავრობათაშორისმა კონფერენციამ (1968 წლის ბიოსფეროს საკითხებზე კონფერენცია) ჩაუყარა. ეს უკანასკნელი ჰაერისა და წყლის დაბინძურების, გადაძვების, ტყეების განადგურებისა და ჭაობების დაშრობის საკითხებს მოიცავდა. შემუშავდა 12 რეკომენდაცია, რომლებიც შემდგომ 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციაზე განხილულ თემებში აისახა. სტოკჰოლმის კონფერენცია გენერალური ასამბლეის მიერ 1968 წლის დეკემბერში იქნა მოწვეული და 1968 წლის ივლისის შვედეთის მიერ ინიცირებული რეზოლუციის ერთგვარი გაგრძელება იყო, რომელიც გენერალურ ასამბლეას გაეროს კონფერენციის მოწვევის მიზანშეწონილობის განხილვას სთავაზობდა. კონფერენცია სტოკჰოლმში 1972 წლის 5-16 ივნისს ჩატარდა. მისი თავმჯდომარე კანადის წარმომადგენელი მორის სტრონგი გახლდათ. კონფერენციაში 114 სახელმწიფო და დიდი რაოდენობით საერთაშორისო ორგანიზაცია და არასამთავრობო დამკვირვებელი მონაწილეობდა. სტოკჰოლმის კონფერენცია გაეროს მიერ ოდესმე ჩატარებული კონფერენციებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა. შეხვედრა ჩატარდა ცივი ომის პერიოდში, რამაც თავისებური ზეგავლენა მოახდინა მასზე, თუმცა პოსტსოციალისტური ქვეყნები დღეს აქტიურად იზიარებენ სტოკჰოლმის კონფერენციის შედეგებს. კონფერენციამ სამი არასავალდებულო რეზოლუცია მიიღო: რეზოლუცია ინსტიტუციური და ფინანსური მოწყობის შესახებ; 26 პრინციპის შემცველი დეკლარაცია; და 109 რეკომენდაციისაგან შემდგარი სამოქმედო გეგმა.

სტოკჰოლმის დეკლარაციამ (1972) საფუძველი დაუდო გარემოსდაცვითი უსაფრთხოების კონცეფციასაც. მისი შექმნის პერიოდში გარემოსდაცვითი მოძრაობა, როგორც აღინიშნა, ახალდარსებული იყო და ქვეყნებს, რომლებიც აღიარებდნენ გარემოსდაცვით პრობლემებს, წარმოადგენდნენ მხოლოდ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები. საკითხები, რომლებსაც ისინი საჭაროდ აცხადებდნენ, იყო ინდუსტრიალიზაციის შედეგად წარმოშობილი გარემოსდაცვით პრობლემები, როგო-

რებიცაა, მაგალითად, წყლის დაბინძურება და სმოგი. ამ მხრივ ლიდერ შეერთებულ შტატებში 1972 წელს მოქმედებდა გარემოსდაცვითი სააგენტო, რომელიც მხოლოდ ორი წლის დაარსებული იყო და ამ პერიოდში დაიდო მხოლოდ რამდენიმე ხელშეკრულება, რომლებიც ბუნებრივ რესურსებს ეხებოდა, მაგალითად, შეთანხმება პოლარული ზღვების შესახებ. ამ დროისთვის არსებობდა ორმხრივი, რეგიონალური ლეგალური ინსტრუმენტები, რომლებიც ქვეყნებს შორის სპეციფიკურ გარემოსდაცვით პრობლემებს აგვარებდა, მაგრამ არცერთი მათგანი არ აშუქებდა გარემოს დეგრადაციის ყოვლისმომცველ ხასიათს და მის გლობალურ შედეგს. არ არსებობდა არანაირი ფორმალური საერთაშორისო კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნების მიერ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. „სტოკჰოლმმა“ კი საფუძველი ჩაუყარა გარემოსდაცვის საერთაშორისო დღის წესრიგს და შექმნა პირველი საერთაშორისო ეკოლოგიური ურთიერთობებისა და ქმედებების პრეცედენტი. 1972 წლის კონფერენციის მნიშვნელოვანი მიღწევა, როგორც აღინიშნა, იყო სტოკჰოლმის დეკლარაცია, რომელიც არის პრინციპთა ჩამონათვალი და არ ატარებს სავალდებულო იურიდიულ ხასიათს.

სტოკჰოლმის მოქმედებათა გეგმამ განსაზღვრა 109 პრიორიტეტული გარემოსდაცვითი რეკომენდაცია. ეს რეკომენდაციები კონსენსუსით იყო მიღებული და 6 ძირითადი თემისაგან შემდგარ დღის წესრიგს ასახავდა:

1. ადამიანის დასახლებების დაგეგმვა და მართვა გარემოს ხარისხის უზრუნველსაყოფად;
2. ბუნებრივი რესურსების მართვის გარემოსდაცვითი ასპექტები;
3. დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე დამაბინძურებლებისა და დამაზიანებელი ფაქტორების განსაზღვრა და კონტროლი;
4. გარემოსდაცვითი საკითხების საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სოციალური და კულტურული ასპექტები;
5. განვითარება და გარემო;
6. შემოთავაზებული ქმედებების საერთაშორისო საორგანიზაციო შედეგები.

ამასთან, გეგმა შეიცავდა წინადადებებს: გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის, ბუნებრივი რესურსების მდგრადი და რაციონალური მართვის; გარემოსდაცვითი განათლების, სწავლების და ინფორმაციის გავრცელების სისტემების მხარდაჭერისთვის აუცილებელი ზომების შემუშავებისა და გაძლიერების შესახებ. კონსენსუსი თითქმის სრული იყო, თუმცა გარკვეული დათქმებიც გაკეთდა. აშშ-ისთვის მიუღებელი იყო დამატებითობის პრინციპი, რომლის თანახმადაც საჭირო იქნებოდა მისი საერთაშორისო დახმარების ბიუჯეტის გაზრდა, რათა დაფარულიყო განვითარების პროექტების გარემოსდაცვითი ზომებით გამოწვეული ხარჯების ზრდა (109-ე რეკომენდაცია), ხოლო იაპონიამ უარი თქვა იმ რეკომენდაციის შესრულებაზე, რომლის თანახმადაც ვეშაპების კომერციულ ჭერაზე 10-წლიანი მორატორიუმი ცხადდებოდა (33-ე რეკომენდაცია). ამასთანავე, გეგმამ საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა ბევრ შემდგომ გარემოსდაცვით ხელშეკრულებაზე. მაგალითად, გეგმის 33-ე რეკომენდაცია: „ყვე-

ლა სახელმწიფომ ... სასწრაფოდ ... დაიწყო ხელშეკრულების მომზადება ვეშაპების დაცვის საერთაშორისო კომისიის მხარდაჭერით და შემდგომი 10 წლის განმავლობაში აკრძალონ ვეშაპების გარემოდან ამოღება“. მოქმედებათა გეგმის სწორედ ამგვარი კონკრეტული მითითების შედეგად შეიქმნა ბონის კონვენცია „მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ“ და კონვენცია „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“.

ზოგადად, კონფერენცია შეფასდა როგორც წარმატებული, რადგანაც მომზადების პროცესში, მის დაწყებამდე, შესაძლებელი გახდა საკითხების უმრავლესობის გარშემო შეთანხმების მიღწევა. კონფერენციის ფარგლებში გამოჩნდა ინოვაციის მნიშვნელოვანი ელემენტები: (1) საერთაშორისო საკითხების ახლებურად განსაზღვრის; (2) თანამშრომლობის აუცილებლობის დასაბუთების; (3) საერთაშორისო პასუხისმგებლობისადმი ახალი მიდგომების დანერგვის; და (4) საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის კონცეპტუალიზაციის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციის პარალელურად საერთაშორისო სამართალს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია, ზღვის, ჰაერისა და წყლის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების და გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომ ცხოველთა და მცენარეთა სახეობების დაცვის მანამდე არსებული ტენდენციები სტოკჰოლმის კონფერენციამ კიდევ უფრო გააძლიერა. კონფერენციის შედეგად სამართლის დახვეწის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წინსვლა იყო ახალი ინსტიტუტების დაარსება და არსებულ ინსტიტუტებს შორის საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება (ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმა), საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სამომავლო ქმედებების განხორციელების ჩარჩოების განსაზღვრა (რეკომენდაციები) და სახელმძღვანელო პრინციპების ახალი კრებულის მიღება (პრინციპები).

სტოკჰოლმის დეკლარაციის პირველი პრინციპი გარემოს დაცვას ადამიანის უფლებების ნორმებთან აკავშირებს და ადგენს, რომ ადამიანს აქვს „ფუნდამენტური უფლება, იყოს თავისუფალი, თანასწორი და ჰქონდეს ადეკვატური საცხოვრებელი პირობები ისეთ გარემოში, რომელიც მას ღირსეულად და უზრუნველყოფილად არსებობის საშუალებას უქმნის, და მას ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა, დაიცვას და გააუმჯობესოს გარემო ამჟამინდელი და მომავალი თაობებისთვის“. სხვა პრინციპები შეიძლება თემებად დაჯგუფდეს. მე-2-მე-5 პრინციპები ამჟამინდელი და მომავალი თაობების სარგებლისათვის დედამიწის რესურსების დაცვის, ისევე როგორც მნიშვნელოვანი განახლებადი რესურსების გაუმჯობესებისა და არგანახლებადი რესურსების ამონურვისაგან დაცვის ზოგადსახელმძღვანელო პრინციპებს განსაზღვრავს. მე-4-მე-7 პრინციპები კონკრეტულ გარემოსდაცვით საფრთხეებს განსაზღვრავს და მოუწოდებს ადამიანებს, გამოიჩინონ პასუხისმგებლობა და სათანადოდ დაიცვან ველური ბუნების მემკვიდრეობა და ჰაბიტატები, შეწყვიტონ ეკოსისტემებისათვის სერიოზული ან შეუქცევადი ზიანის მომტანი ტოქსიკური ან სხვა ნივთიერებებისა თუ სითბოს გაფრქვევა და თავიდან აიცილონ ზღვების დაბინძურება ან ცოცხალი რესურსებისა და ზღვის სიცოცხლისათვის ზიანის მიყენება. მე-8-მე-15 პრინციპები განვითა-

რებასა და გარემოს დაცვას შორის ურთიერთობების საკითხებს ასახავს: ისინი აღიარებდნენ კავშირს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასა და გარემოს ხარისხს შორის; მოუწოდებდნენ „დაჩქარებული განვითარებისაკენ“ ფინანსური და ტექნიკური დახმარების განწესებას და საქონლისა და ნედლეულის სტაბილური და ადეკვატური ფასების უზრუნველყოფის გზით; მხარს უჭერდნენ გარემოს რესურსების მმართველი ეროვნული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას; მოუწოდებდნენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებისაკენ; და ახალისებდნენ განათლებას, სამეცნიერო კვლევებსა და განვითარებას.

სახელმწიფოთა თანამშრომლობისა და კოორდინაციის მნიშვნელობას ეხება სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე პრინციპი, რომელიც ადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას, რომ მის იურისდიქციას ან კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განხორციელებულმა ქმედებებმა არ მიაყენონ ზიანი სხვა სახელმწიფოს ან ნებისმიერი იურისდიქციის გარეთ მყოფ ტერიტორიებს, მაგალითად, კოსმოსს ან ღია ზღვას. ნაგულისხმევია, რომ ეს პასუხისმგებლობა აგრეთვე ვრცელდება სახელმწიფოს „კონტროლის“ ქვეშ მყოფ ქმედებებზე, როგორებიცაა: მისი მოქალაქეების ან მის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საზღვაო თუ საჰაერო ხომალდების მიერ განხორციელებული ქმედებები. ამასთან, 22-ე მუხლი სახელმწიფოებისაგან საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის შემუშავების პროცესში თანამშრომლობას მოითხოვს. 23-ე პრინციპი საერთაშორისო რეგულირების შემლუდულ როლს აფიქსირებდა და განსაზღვრავდა, რომ გარკვეული სტანდარტები „ეროვნულ დონეზე უნდა შემუშავდეს“, თითოეულ ქვეყანაში არსებული ფასეულობათა სისტემის, სოციალური ხარჯებისა და გარემოსდაცვითი საჭიროებების შესაბამისად. ნიშანდობლივია დეკლარაციის 24-ე პრინციპიც, რომელიც მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს თანამშრომლობისაკენ, რათა საქმიანობის ყველა მიმართულება იმგვარად იყოს მართული, რომ მინიმუმამდე შემცირდეს გარემოსადმი მიყენებული ზიანი. 24-ე პრინციპი მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ მათ კოორდინებული, ეფექტიანი და დინამიკური როლი შეასრულონ. საბოლოო ჯამში, სტოკჰოლმის კონფერენციის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი გაეროს განვითარების პროგრამის (UNEP) შექმნა და 21-ე პრინციპის მიღება იყო.



### 3.2. გზა სტოკჰოლმიდან რიომდე

სტოკჰოლმის კონფერენციამ რეალურად დიდი ზეგავლენა მოახდინა სამართლებრივ და ინსტიტუციურ განვითარებაზე გარემოს დაცვის სამართალში. სტოკჰოლმის შემდგომი პროცესები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: უშუალოდ სტოკჰოლმთან დაკავშირებული და მისი შედეგებიდან გამომდინარე; და სტოკჰოლმთან ირიბი კავშირის მქონე. პირველი რიგი პროცესებისა უკავშირდება საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების რაოდენობის ზრდასა და არსებული ორგანიზაციების მიერ გარემოს დაცვისაკენ მიმართული ძალისხმევის გაძლიერებას; მეორე რიგი პროცესებისა ეხება განვითარებისა და გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრაციას, მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების სფეროებში.

სტოკჰოლმის კონფერენციას მრავალი მნიშვნელოვანი რეგიონული პროცესი მოჰყვა, მათ შორის: ევროკავშირის გარემოს დაცვის წესების შემოღება და „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) გარემოსდაცვითი კომიტეტის შექმნა. სხვა მნიშვნელოვანი რეგიონული პროცესები მოიცავდა: ყველა მიგრირებადი სახეობის დაცვისაკენ მიმართულ მრავალმხრივ ხელშეკრულებებს; ჰაბიტატების დაცვას; ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების თავიდან აცილებას; ანტარქტიკაში სასარგებლო წიაღისეულის კომერციული მოპოვების რეგულირებას და აკრძალვას; და განვითარებული ქვეყნების მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის განვითარების დახმარების მიზნით დადებულ ხელშეკრულებებში გარემოსდაცვითი თანამშრომლობისა და ქცევის გათვალისწინების წესებს. 1971 წელს ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადმა ხელშეკრულებამ (GATT) „გარემოსდაცვითი ზომებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ჯგუფი“ შექმნა. ამასთან, 1990 წელს „ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის“ დაფუძნებისას მის წესდებაში გარემოსდაცვითი ვალდებულებები იქნა ასახული. 1991 წელს მსოფლიო ბანკმა, UNEP-მა და გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) დააფუძნეს „გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი“, რომელიც გლობალურ დონეზე აღიარებული მიზნების შესაბამისი პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. იმავედროულად, GATT-მა გადანწყობა, დიდი ხნის მიძინებული „გარემოსდაცვითი ზომების და საერთაშორისო ვაჭრობის ჯგუფი“ გამოეცოცხლებინა.

სტოკჰოლმიდან რიომდე პერიოდი – ეს იყო ეპოქა, როდესაც პირველად გახდა საგრძნობი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული აქტების გავლენა. ბევრ ორგანიზაციას სავალდებულო ან არასავალდებულო გადანწყვტილებების, რეზოლუციების, რეკომენდაციების ან სხვა აქტების მიღების უფლება ჰქონდა. ეს ორგანიზაციები აგრეთვე ფორუმების როლს ასრულებდნენ, ფორუმების, სადაც შესაძლებელი იყო ახალი საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის შემუშავება, მიღება და აღსრულების კონტროლი. ამასთან, მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით რამდენიმე არასავალდებულო იურიდიული ძალის მქონე რეგულაცია იქნა მიღებული. ამ ინსტრუმენტთაგან სამმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა:

UNEP-ის 1978 წლის პრინციპების პროექტმა; 1981 წლის მონტევიდოს პროგრამამ; და 1982 წლის ბუნების მსოფლიო ქარტიამ. არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით კიდევ ორი მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე ინიციატივა შეიქმნა: IUCN-ის, UNEP-ის და ველური ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF) 1980 წლის „მსოფლიო კონსერვაციის სტრატეგია“; და 1991 წლის დოკუმენტი სათაურით „დედამიწაზე ზრუნვა: მდგრადი სიცოცხლის სტრატეგია“.

UNEP-ის პრინციპების პროექტი 1978 წელს იქნა შემუშავებული. პრინციპების პროექტი გენერალური ასამბლეის მოთხოვნის შესაბამისად UNEP-ის მმართველი საბჭოს მიერ 1976 წელს დაარსებული მთავრობათაშორისი სამუშაო ჯგუფის ძალისხმევით შეიქმნა. სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ შეიმუშავებდა პრინციპებს და სახელმძღვანელო დოკუმენტებს. ეს დოკუმენტი მოიცავს 15 პრინციპს, რომლებიც მართავენ კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროცესს. თავად ეს ტერმინი პრინციპებში განსაზღვრული არაა, თუმცა, როგორც ამას UNEP-ის აღმასრულებელი დირექტორის ანგარიშიდან ვიგებთ, იგი არ არის „გლობალური საკუთრების“ ეკვივალენტი. 1-ლი და მე-2 პრინციპები აღიარებს სახელმწიფოების ვალდებულებას, ითანამშრომლონ უარყოფითი გარემოსდაცვითი ზეგავლენის კონტროლის, პრევენციის, შერბილებისა და აღმოფხვრის მიმართულებით და მოითხოვს მათგან, ამ მიზნების მისაღწევად დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც მათ ქცევას დაარეგულირებდა. მე-5 და მე-6 პრინციპები ინფორმაციის გაზიარებას, კონსულტაციებსა და შეტყობინებებს შეეხება, რაც მე-7 პრინციპში განსაზღვრული კეთილსინდისიერებისა და კეთილმზობლობის ცნებების ელემენტს შეადგენს. დოკუმენტი სამეცნიერო კვლევებისა და შეფასების (მე-8), საგანგებო სიტუაციებში მოქმედების (მე-9) და საერთაშორისო ორგანიზაციების „მომსახურების“ გამოყენების (მე-10) პრინციპებს მოიცავს. დავების მოგვარება, პასუხისმგებლობა და ვალდებულებები მე-12 და მე-13 პრინციპებშია განსაზღვრული, ხოლო მე-13 და მე-14 პრინციპები არადისკრიმინაციის ამოცანებს სახავს და სხვა იურისდიქციაში მცხოვრებ იმ პირთა უფლებებს (ადმინისტრაციული და სასამართლო პროცესების თანახმად) უფლებებიანი ხელმისაწვდომობა) იცავს, რომლებზეც გარემოსდაცვითმა ზიანმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს. მე-15 პრინციპი აცხადებს, რომ UNEP-ის პრინციპების პროექტი ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული და ისე უნდა გამოიყენებოდეს, რომ „ხელი შეუწყოს ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების განვითარებას, და უარყოფითი ზეგავლენა არ იქონიოს ამ პროცესზე“.

რაც შეეხება მონტევიდოს 1981 წლის პროგრამას, იგი UNEP-ის ეგიდით მონტევიდოში ჩატარებულ საპეციალურ თემატურ შეხვედრაზე მომზადდა, რომელშიც მონაწილეობა გარემოსდაცვით სამართალთან მუშაობაში გამოცდილების მქონე მაღალი თანამდებობის პირებმა მიიღეს. მომზადდა „გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებისა და პერიოდული გადახალისების პროგრამა“. პროგრამის თანახმად, აუცილებელია პრინციპებისა და ხელშეკრულებების განვითარება ისე, რომ მათ გადაჭრან შემდეგი პრობლემები: ზღვის დაბინძურება სახმელეთო წყაროებიდან; სტრატოსფე-

როში არსებული ოზონის შრის დაცვა; ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება, დამუშავება და განთავსება. პროგრამა ასევე უთითებს, რომ აუცილებელია შემდგომი მუშაობა გარემოსდაცვითი სამართლის განვითარების ხელშეწყობისათვის, მათ შორის: კვლევების ჩატარება და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, გარემოსდაცვითი სამართლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების სწავლება და ინფორმაციის გავრცელება.

„ბუნების მსოფლიო ქარტია“ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1982 წელს. დოკუმენტი განსაზღვრავს ეგრეთ წოდებულ „დაცვის ძირითად პრინციპებს“, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ბუნებაზე ზეგავლენის მქონე ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, და რომლებითაც უნდა განვსაზოთ ასეთი ქმედებები. ქარტიის 1-ლი თავი განსაზღვრავს: ბუნებისა და მისი სასიცოცხლო პროცესების პატივისცემის მნიშვნელობას, ჰაბიტატების, მათ შორის გადაშენების წინაშე მყოფი სახეობების დაცვის არეალების დაცვისა და კონსერვაციის აუცილებლობას; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დეგრადაციისგან დაცვის ვალდებულებას. ქარტიის მეორე თავში აღწერილია ნიადაგების ნაყოფიერების შენარჩუნების მნიშვნელობა, რესურსების რეციკლირების ან ხელმეორედ გამოყენების აუცილებლობა, ისევე როგორც ნიადაგისა და ლანდშაფტის რეკულტივაციისა და აღდგენის საჭიროება. ქარტია ასევე ეხება განათლების, გარემოზე ზემოქმედების შეაფასების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ფინანსური რესურსების, პროდუქტებისა და სანარმოო პროცესებისთვის სტანდარტების დანერგვის, შესაბამისი საერთაშორისო სასამართლო დებულებების შესრულების საკითხებს, ისევე როგორც ზომებს, რომლებიც აუცილებელია რომელიმე სახელმწიფოს ქმედებების გამო სხვა სახელმწიფოებში ან ქვეყნის იურისდიქციის გარეთ ბუნებრივი სისტემებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

1980 წლის კონსერვაციის მსოფლიო სტრატეგია და 1991 წლის „დედამიწაზე ბრუნვის“ სტრატეგია ასევე მნიშვნელოვანი არასავალდებულო იურიდიული სახის დოკუმენტებია. ამასთან, სწორედ 1980 წლის სტრატეგიამ შემოიღო ტერმინი „მდგრადი განვითარება“ და სახელმწიფოთა უმრავლესობაში ეროვნული და სუბეროვნული გარემოსდაცვითი სტრატეგიების შემუშავებას შეუწყო ხელი. 1980 წლის სტრატეგია ხაზს უსვამს სამ ძირითად მიზანს – ეკოლოგიური პროცესების შენარჩუნებას, გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და სახეობათა და ეკოსისტემების მდგრად გამოყენებას.

ამასთან, 1991 წლის სტრატეგიამ ახლებურად გაიაზრა გარემოს დაცვისა და განვითარების საკითხები და საერთაშორისო თანამეგობრობას საერთაშორისო სამართლის განვითარებისაკენ მოუწოდა, რაც არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანითა და ახლების შემუშავება/მიღებით უნდა განხორციელებულიყო.

### 3.3. ბრუნდტლანდის ანგარიში – ჩვენი საერთო მომავალი

ეკოლოგიისა და ეკონომიკის ინტეგრაციის თეორია ფართოდაა განხილული გარემოსა და განვითარების საერთაშორისო, ეგრეთ წოდებული ბრუნდტლანდის კომისიის ანგარიშში: „ჩვენი საერთო მომავალი.“ შემდგომში ამ თეორიამ შეიძინა მდგრადი განვითარების კონცეფციის სახელწოდება.

„გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისია“ (WCED), რომელსაც ნორვეგიის პრემიერმინისტრი გრო ჰარლემ ბრუნდტლანდი თავმჯდომარეობდა, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1983 წელს შექმნა. კომისიის ანგარიში (ბრუნდტლანდის ანგარიში) 1987 წელს გამოქვეყნდა. კომისია დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენდა და მისმა მუშაობამ მნიშვნელოვნად დააჩქარა UNCED-ის ჩატარება. ანგარიშში კონსტატირებულია, რომ თანამედროვე საზოგადოება განვითარების პრობლემებს წააწყდა, რის მიზეზადაც გარემოს მდგრადი განვითარების გაუარესებით გამოწვეული ეკონომიკური ზრდის შეფერხებაა დასახელებული. ავტორთა აზრით, გარემოს დეგრადაცია გამოწვეულია ეკონომიკური განვითარების არასწორი ორიენტირებით. კაცობრიობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად წარმოება ყველაზე მარტივ გზას ირჩევდა: რაც უფრო მეტია მოთხოვნილება, მით უფრო მეტია ბუნებრივი რესურსების მოხმარება. იმდენად, რამდენადაც ბუნებრივი რესურსების გადაძვინდებულ ექსპლუატაციას ეყრდნობა, განვითარების ამგვარი გზა, ავტორთა აზრით, უპერსპექტივოა, რადგან ეს ბუნებრივი რესურსები ისედაც საკმაოდ გამოფიტულია და მათი პირვანდელი სახით შენარჩუნება უკვე გამორიცხებულია, რომ აღარაფერი ითქვას მათ შესაძლო განადგურებაზე. „მომავალ თაობებს ჩვენ დავუტოვებთ „ეკოლოგიურ კაპიტალს,“ თუმცა, სამწუხაროდ, ვალის დაბრუნება უკვე აღარ ძალგვიძის“.

ანგარიშის ავტორები, მდგრადი განვითარების მიზნით, აქცენტს აკეთებენ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის მასშტაბების შემცირებაზე, სოფლის მეურნეობისა და მოქალაქეთა მოთხოვნილების ერთგვარი რეგულირების გზით. ამ შემთხვევაშიც, საქმე გვაქვს ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინტერესების ინტეგრაციის აუცილებლობასთან. ბრუნდტლანდის ანგარიში განსაზღვრავს, თუ რამდენად განსხვავებულად ვუყურებთ ჩვენ მსოფლიოს, დაადასტურა, რომ მდგრადი განვითარება და გაეროს მდგრადი განვითარების პროგრამა სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, და ძირითადი სამართლებრივი და ინსტიტუციური პრობლემები განსაზღვრა. ანგარიშმა პოლიტიკური საკითხების ფართო სპექტრზე (მოსახლეობა, სურსათის უზრუნველყოფა, სახეობებისა და გენეტიკური რესურსების გაქრობა, ენერგეტიკა, წარმოება და ადამიანის დასახლებები) კონკრეტული რეკომენდაციები წარმოადგინა და აღიარა, რომ ეს საკითხები ურთიერთკავშირშია და მათი გადაჭრა ერთმანეთისაგან განცალკევებულად შეუძლებელია. ამას გარდა, ანგარიშში განხილულია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინსტიტუციური რეფორმის საკითხები; ურთიერთკავშირები მშვიდობას, უშიშროებას, განვითარებასა და გარემოს შორის. ბრუნდტლანდის ანგარიშმა განსაზღვრა ექვსი პრიორიტეტული სფერო, რომლებშიც სამართლებრივი და ინსტიტუციური

ცვლილებების განხორციელება იყო საჭირო, და არსებულ სამართლებრივ მოწყობას პრობლემის ნაწილი უწოდა. ამასთან, თითოეულმა ამ შემოთავაზებამ მთავრობებისა და UNCED-ის მხარდაჭერა მიიღო. ანგარიში სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებდა:

1. ეროვნულ და საერთაშორისო ინსტიტუტებს – მხარი დაეჭირათ ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მდგრადი განვითარებისთვის, სრულად ჩაერთოთ გარემოსდაცვითი საკითხები თავიანთ მიზნებსა და საქმიანობებში, და გაეუმჯობესებინათ თანამშრომლობა და კოორდინაცია;
2. UNEP-ს, როგორც გარემოსდაცვითი მონაცემების, შეფასებისა და ანგარიშგების ძირითად წყაროს, – გაეძლიერებინა საერთაშორისო თანამშრომლობა;
3. საერთაშორისო თანამეგობრობას – შესაძლებლობებისა და თანამშრომლობის გაძლიერებისაკენ შეუქცევადი გარემოსდაცვითი ზიანის აღმოფხვრის მიმართულებით;
4. საერთაშორისო თანამეგობრობას – ინფორმირებული საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო და კერძო წრეების ჩართულობის გაზრდის აუცილებლობისკენ.
5. მთავრობებს – გამოესწორებინათ ხარვეზები და შეევისთ ნაკლოვანებები ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რათა დაცული ყოფილიყო ამჟამინდელი და მომავალი თაობების უფლება, იცხოვრონ ჯანსაღ გარემოში;
6. გაეროს – მდგრადი განვითარების პროგრამის შექმნისაკენ.

### 3.4. 1992 წლის რიოს კონფერენცია – გარემო და განვითარება

1990 წლებისთვის უკვე არსებობდა საერთაშორისო სამართლის სრულიად დამოუკიდებელი სფერო – საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი. გლობალურ და რეგიონულ დონეზე ეს გულისხმობდა მრავალ მატერიალურსამართლებრივ ნორმას, რომელიც სახელმწიფოებს გარემოსათვის საზიანო საქმიანობის განხორციელებას უკრძალავდა. 1987 წელს გენერალურმა ასამბლეამ განიხილა ბრუნდტლანდის ანგარიში და შემდეგ წელს მოიწვია გაეროს კონფერენცია გარემოსა და განვითარების საკითხებზე (UNCED). UNCED ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში, ჩატარდა 1992 წლის 3-14 ივნისს და მასში მონაწილეობა 178-მა სახელმწიფომ, 50-ზე მეტმა მთავრობათაშორისმა ორგანიზაციამ და რამდენიმე ათასმა კორპორაციამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო.

იმ ძირითადი 20 ერთმანეთისაგან განსხვავებული გარემოსდაცვითი მიზნიდან, რომლებიც დაფიქსირდა რიოს კონფერენციაზე, ხაზი შეიძლება გაესვას შემდეგ ოთხს:

- სათანადოდ შესწავლილ იქნეს გარემოს მდგომარეობა და ცვლილებები სტოკჰოლმის დეკლარაციის შემდგომი პერიოდის განმავლობაში;
- განსაზღვრული დროის განმავლობაში იდენტიფიცირებულ იქნეს რეგიონალური და გლობალური გარემოსდაცვითი სტრატეგიები ერთიან გარემოსდაცვით პოლიტიკასთან მიმართებით;
- განვითარებადი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს იმ რეკომენდაციების ნუსხა, რომლებიც ხელს შეუწყობენ გარემოს განვითარებას;
- განვითარებადი ქვეყნების ინტერესებისა და სტოკჰოლმის დეკლარაციის პრინციპების გათვალისწინებით, ხელი შეეწყოს საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებას, რომლის მეშვეობითაც ზუსტად განისაზღვრება სახელმწიფოთა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის სფეროში.

საბოლოო ჯამში, რიოს კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შემდეგი შეთანხმებები:

- რიოს დეკლარაცია – „გარემო და განვითარება“;
- ორი კონვენცია – ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების შესახებ;
- 21-ე საუკუნის მდგრადი განვითარების პრინციპები – „დღის წესრიგი – 21-ის“ სახით;
- ტყის სექტორში დაგეგმილი პრინციპების პროექტი;
- შეთანხმება შემდეგი შესაბამისი კონვენციების შესამუშავებლად: „გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენცია“, „ზღვის ხმელეთიდან დაბინძურების კონვენცია“ და „თევზის მარაგების კონვენცია“;
- შეთანხმება მდგრადი განვითარების კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც მონიტორინგს განახორციელებდა რიოს შეთანხმებებისა და „დღის წესრიგი – 21-ის“ შესრულებაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, UNCED-მა სამი არადაამავალდებულებელი დოკუმენტი მიიღო: რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების საკითხებზე (რიოს დეკლარაცია); არასავალდებულო ავტორიტეტული განცხადება ყველა ტიპის ტყის მართვის, დაცვისა და მდგრადი განვითარების გარშემო გლობალური კონსენსუსის პრინციპების შესახებ (UNCED-ის სატყეო პრინციპები) და „დღის წესრიგი – 21“. აგრეთვე, ხელმოწერისთვის გაიხსნა ორი ხელშეკრულება: „კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“; და გაეროს ჩარჩო კონვენცია „კლიმატის ცვლილების შესახებ“.

რიოს დეკლარაცია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მიღწეული კომპრომისების მთელ რიგს წარმოადგენდა და იცავდა ბალანსს გარემოს დაცვასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. იგი დამტკიცდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1992 წლის დეკემბერში. დეკლარაცია მოიცავს 27 პრინციპს, რომლებიც სახელმწიფოებსა და ადამიანებს შორის „მდგრადი განვითარების სფეროში საერთაშორისო სამართლის“ შემუშავებისა და განვითარების საკითხებზე თანამშრომლობის საფუძვლებს განსაზღვრავს (27-ე პრინციპი). მიუხედავად იმისა, რომ არადაამავალდებულებელია, ზოგიერთი დებულება ჩვეულებითი სამართლის პრინციპებს ეყრდნობა. რიოს დეკლარაციის 1-ლი პრინციპი გარემოსდაცვითი და განვითარების საკითხებისადმი ანთროპოცენტრული მიდგომისაკენ იხრება და აცხადებს, რომ „მდგრადი განვითარების მოსაზრებების ცენტრში“ ადამიანი დგას და მას „ბუნებასთან ჰარმონიაში ჯანმრთელი და პროდუქტიული ცხოვრების უფლება გააჩნია“; ეს სრულად ვერ შეესაბამება სუფთა და ჯანმრთელ გარემოში არსებობის უფლებას. რიოს დეკლარაციამ ერთი დამატებით დაადასტურა სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე პრინციპი. შესწორებების გათვალისწინებით, მე-2 პრინციპი ადგენს, რომ: *სახელმწიფოებს, გაეროს წესდების და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, გააჩნიათ სუვერენული უფლება, განკარგონ საკუთარი რესურსები საკუთარი გარემოსდაცვითი და განვითარების პოლიტიკების შესაბამისად, და ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმის უზრუნველყოფაზე, რომ მათ იურისდიქციაში ან მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განხორციელებულმა ქმედებებმა არ მიაყენოს ზიანი სხვა სახელმწიფოების ან მათი იურისდიქციის ან კონტროლის გარეთ არსებული ტერიტორიების გარემოს.*

რიოს დეკლარაციის დედააზრი მე-3 და მე-4 პრინციპებშია ჩადებული. ისინი ერთობლივად უნდა განვიხილოთ, რათა გავიგოთ პოლიტიკური კონტექსტი და დათმობები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. მე-3 მუხლი ადგენს: „განვითარების უფლება ისეთნაირად უნდა განხორციელდეს, რომ ამჟამინდელი და მომავალი თაობების როგორც განვითარების, ასევე გარემოსდაცვითი საჭიროებები დააკმაყოფილოს“. მე-3 პრინციპის სანაცვლოდ, განვითარებულმა ქვეყნებმა გაიტანეს მე-4 პრინციპი, რომელშიც ნათქვამია: „იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს და დაუშვებელია ამ ორი პროცესის ერთმანეთისაგან განცალკევებით განხილვა“.

ეს გარემოსდაცვითი მოსაზრებებისა და მიზნების საერთაშორისო ურთიერთობების პროცესის პერიფერიიდან ეკონომიკურ ცენტრში გადატანის ვალდებულებას ასახავს. რიოს დეკლარაციამ „ერთობლივი, მაგრამ დიფერენცირებული პასუხისმგებლობის“ ახალი კონცეფცია განსაზღვრა. მე-7 პრინციპი აღნიშნავს, რომ რეგიონულ და გლობალურ დეგრადაციაში სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული წვლილი შეაქვთ. ამ პრინციპმა უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა ადრეულ ინსტრუმენტებში განსაზღვრული დებულებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ხელშეკრულებებში უნივერსალურ მონაწილეობას ტექნიკური ან ფინანსური სტიმულირების გზით. რიოს დეკლარაციის მე-11 პრინციპი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, შეიმუშაოს „ეფექტიანი გარემოსდაცვითი სამართალი“, თუმცა სტანდარტები, მიზნები და პრიორიტეტები „იმ გარემოსდაცვით და განვითარების კონტექსტს უნდა ასახავდეს, რომლისთვისაც ისინი გამოიყენება“. მე-11 პრინციპი, აგრეთვე, აღიარებს, რომ ზოგიერთი ქვეყნის მიერ გამოყენებული სტანდარტები შეიძლება მიუღებელი და გაუმართლებელი ეკონომიკურ და სოციალურ ხარჯებთან დაკავშირებული იყოს სხვა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის. რიოს დეკლარაციამ მდგრადი განვითარების საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებიც განსაზღვრა. „სიფრთხილის პრინციპი“ მე-15 პრინციპშია მოცემული, ხოლო „პრინციპი – დამაბინძურებელი იხდის“ მე-16 პრინციპშია ნაგულისხმები.

რიოს დეკლარაცია ირიბად ასევე ეხება: ურთიერთკავშირს გარემოს დაცვასა და თავისუფალი ვაჭრობის ვალდებულებებს შორის; ეროვნული და საერთაშორისო სამართლის შემუშავებას დაბინძურებისა და სხვა გარემოსდაცვითი ზიანის მსხვერპლთათვის კომპენსაციისა და მათ მიმართ პასუხისმგებლობის საკითხებს; სიღარიბის აღმოფხვრისა და ცხოვრების დონეებს შორის უთანასწორობის აღმოფხვრის საჭიროებას; და „წარმოებისა და მოხმარების არამდგრადი მიდგომების“ შემცირებისა და აღმოფხვრის აუცილებლობას. რიოს დეკლარაცია მხარს უჭერს ქალების, ახალგაზრდებისა და ძირძველი მოსახლეობის და მათი თემების სრულუფლებიან მონაწილეობას; აღიარებს, რომ „ომი თავისი არსით დამანგრეველია მდგრადი განვითარებისთვის“; რომ მშვიდობა, განვითარება და გარემოს დაცვა „ურთიერთდამოკიდებული და ერთმანეთისაგან განუყოფელია“; და რომ გარემოსდაცვითი დავები მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს. მთლიანობაში, რიოს დეკლარაცია სტოკჰოლმისაზე უფრო კონკრეტულია. მან გარემოსდაცვითი სამართლის ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე განვითარების ჩარჩოები შექმნა, და ეს ჩარჩო მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილის როლს ასრულებს გადანაცვლებების მიღების პროცესში.

რიოს კონფერენციაზე მიღებულ იქნა ასევე, 21-ე საუკუნის „დღის წესრიგი“ გლობალური პარტნიორებისთვის. იგი განიხილება როგორც მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის მოქმედების გეგმა, რომელიც შემუშავდა, რათა გააერთიანოს გარემოსდაცვითი და განვითარების ასპექტები. „დღის წესრიგი – 21“ ორმოცი თავისაგან და ასობით პროგრამული მიმართულებისგან შედგება. ამ დოკუმენტზე დაყრდნობითა და მისი რეკომენდაციით შეიქმნა მდგრადი განვითარების კომისია და გაეროს და



სხვა ორგანოებს შორის ახალი საკოორდინაციო მექანიზმები. მისი შემოთავაზებულია კონვენცია „გვალვისა და გაუდაბნობის შესახებ“ (მიღებულია 1994 წელს), თუმცა ვერ მიაღწია შეთანხმებას ტყეების შესახებ შესაძლო საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე (რაც აქამდე, ოც წელზე მეტის გასვლის შემდეგ, გადაუჭრელ ამოცანად რჩება). მისი წინადადებით, ჩატარდა ორი მთავრობათაშორისი კონფერენცია, რომლებიც პროცესის გაგრძელება იყო: ზღვის ცოცხალი რესურსების „ტრანსსასაზღვრო მარაგების“ საკითხზე (კონვენცია 1995 წელს იქნა მიღებული) და მცირეკუნძულოვანი სახელმწიფოების მდგრადი განვითარების საკითხებზე (მესამე საერთაშორისო კონფერენცია მცირეკუნძულოვანი განვითარებადი სახელმწიფოების საკითხებზე 2014 წელს ჩატარდა). მან დაადასტურა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრი (სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასახელმწიფო მონაწილეები) გარემოს დაცვისა და განვითარების სფეროში რეგულაციებისა და პოლიტიკების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში პარტნიორის როლს ასრულებს.

„დღის წესრიგი – 21“ პრეამბულისა და 4 კარისაგან შედგება. 1-ლი კარი „სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას“ ეხება. ამ კარის შვიდ თავში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო თანამშრომლობასთან, სიღარიბესთან, მოხმარების ტენდენციებთან, მოსახლეობასთან, ადამიანის ჯანმრთელობასთან, ადამიანთა დასახლებებსა და გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მოსაზრებების გადანაცვლებების მიღების პროცესში გათვალისწინებასთან დაკავშირებული ქმედებები განხილული; მე-2 კარი „განვითარებისთვის საჭირო რესურსების დაცვასა და მართვას“ შეეხება. მისი 14 თავი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას ეთმობა, როგორებიცაა: სხვადასხვა დარგში გამოყენებული ბუნებრივი რესურსების დაცვა და მდგრადი მოხმარება – ატმოსფეროს დაცვიდან სახიფათო ნარჩენების მართვამდე; მე-3 კარი „ძირითადი ჯგუფების როლის გაძლიერებაზე“ საუბრობს. ეს კარი აღიარებს, რომ „მდგრადი განვითარების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას გადანაცვლებების მიღების პროცესში საზოგადოების ფართო მონაწილეობა წარმოადგენს“, რაც მონაწილეობის ახალ ფორმებსაც მოიცავს. თითოეული თავი გარკვეულ კონკრეტულ ჯგუფს ეხება და იგი განსაზღვრავს, თუ რა როლის შესრულება შეუძლია ამ ჯგუფს „დღის წესრიგი – 21-ის“ ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე შესრულებაში. ეს ჯგუფებია: ქალები, ბავშვები და ახალგაზრდობა, ძირძველი მოსახლეობა და მათი თემები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ორგანოები, მუშები და მათი პროფკავშირები, ბიზნესი და წარმოება, სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამეგობრობა, ფერმერები.

### 3.5. 2002 წლის მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტი

UNCED-ის შემდგომ პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი ახალი ხელშეკრულება იქნა მიღებული. ამ ხელშეკრულებაში UNCED-ის მიერ დამტკიცებული მრავალი პრინციპი (სიფრთხილე, დამაბინძურებელი იხდის) და სამართლებრივი მეთოდი (გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ეკონომიკური ინსტრუმენტები) იქნა ასახული. 1995 წელს 1982 წლის UNCLOS-ის მხარეებმა დადეს გლობალური ხელშეკრულება თევზის ტრანსსასაზღვრო მარაგების შესახებ. 1997 წელს მიღებულ იქნა 1992 წლის კლიმატის ცვლილების კონვენციის კოტოს ოქმი, ხოლო 2000 წელს მიიღეს 1992 წლის ბიომრავალფეროვნების კონვენციის ბიოსაფრთხოების ოქმი. 1998 წელს, UNECE-ს ეგიდით, სახელმწიფოებმა ორჰუსის კონვენცია მიიღეს. ეს იყო პირველი ხელშეკრულება, რომელიც რიოს დეკლარაციის მე-10 პრინციპში აღწერილ მონაწილეობის უფლებას ყოვლისმომცველად განსაზღვრავდა. 2003 წელს ეს ინოვაციური ხელშეკრულება კიდევ უფრო გაფართოვდა, დაემატა რა ოქმი დამაბინძურებლების გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრის შესახებ.

UNCED-ის მეათე წლისთავის აღსანიშნავად, 2002 წლის სექტემბერში იოჰანესბურგში მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტი (WSSD) ჩატარდა. იოჰანესბურგის 2002 წლის სამიტი – მსოფლიო სამიტი მდგრადი განვითარების შესახებ – აერთიანებდა ათიათასობით მონაწილეს, მათ შორის, სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურებს, ეროვნულ დელეგატებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს, ბიზნესებსა და სხვა მნიშვნელოვან ჯგუფებს, რათა ყურადღება გაემახვილებინათ მსოფლიოში არსებულ რთულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე, როგორებიცაა: ადამიანთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება მოსახლეობის ზრდის, საკვებსა და წყალზე, თავშესაფარზე, სანიტარიაზე, ენერგეტიკაზე, ჯანმრთელობის სერვისებსა და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მუდმივად მზარდი მოთხოვნის პირობებში. WSSD-ს არ მიუღია რაიმე კონვენცია ან პრინციპების დეკლარაცია, და, ძირითადად, სიღარიბის აღმოფხვრის საკითხებზე მსჯელობდა. იოჰანესბურგის „დეკლარაცია მდგრადი განვითარების შესახებ“ აღნიშნავს, რომ გარემო ჯერ კიდევ განიცდის უარყოფით ზემოქმედებას, თუმცა არ გვთავაზობს ამის მოსაგვარებლად რაიმე კონკრეტულ ქმედებებს, გარდა მდგრადი განვითარების ზოგადი ვალდებულებებისა. WSSD-ს განხორციელების გეგმა ბევრ ზოგად ვალდებულებას და მისწრაფებას განსაზღვრავდა, თუმცა კონკრეტულად განსახორციელებელი ქმედებების ჩამონათვალი გაცილებით მოკრძალებული იყო.

### 3.6. სამიტი „რიო+20“ და 2015 წლის მდგრადი განვითარების მიზნები (SDG)

2012 წლის ივნისში რიო-დე-ჟანეიროში UNCED-ის 20-წლიანი შედეგების განხილვისადმი მიძღვნილი სამიტი („რიო+20“) გაიმართა. სამიტი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოიწვია და მისი მიზანი იყო მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის პოლიტიკური ნების მინელების არდაშვება და განახლება, მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი სამიტების შედეგების განხორციელების პროცესში დღემდე მიღწეული პროგრესის და დარჩენილი ხარვეზების შეფასება და ახალი და სამომავლო გამოწვევებისთვის პასუხის გაცემა. სამიტს შედეგად მოჰყვა პოლიტიკური შედეგების დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მკაფიო და პრაქტიკულ ნაბიჯებს მდგრადი განვითარების მისაღწევად. სწორედ ამ კონფერენციაზე დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შემუშავების პროცესი. აღნიშნული უნდა ყოფილიყო ათასწლეულის განვითარების მიზნების ბუნებრივი და ბევრად ეფექტური გაგრძელება. ამავ კონფერენციაზე მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის მიმართულებით.

სწორედ 2012 წლის გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენცია – Rio+20-ზე ჩამოყალიბდა უმაღლესი რანგის პოლიტიკური ფორუმი მდგრადი განვითარებისთვის (High-level Political Forum on Sustainable Development (HLPF), რომელიც პირველად 2013 წლის 24 სექტემბერს შეიკრიბა. აღნიშნულმა ჩაანაცვლა 1993 წლიდან არსებული მდგრადი განვითარების კომისია. სწორედ 2013 წლიდან, ყოველი წლის სექტემბერში ტარდება აღნიშნული შეხვედრა. გენერალურმა ასამბლეამ სამიტს ორი საკითხის განხილვა განუსაზღვრა: (1) მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის კონტექსტში; და (2) მდგრადი განვითარების ინსტიტუციური ჩარჩოები. ამას გარდა, გენერალურმა ასამბლეამ მოითხოვა, რომ კონფერენციის შედეგი „ფოკუსირებულ პოლიტიკურ დოკუმენტი“ ყოფილიყო. „მწვანე ეკონომიკის“ ცნება დასავლეთის ქვეყნების მიერ იყო წინ წამოწეული და ძირითად ყურადღებას იგი დაბალნახშირბადიანი, რესურსების დამზოგავი ბიზნესების მიერ სამუშაო ადგილების და შემოსავლების შექმნას უთმობდა. სამიტ „რიო+20“-ისთვის მომზადების პროცესში განისაზღვრა კიდევ შვიდი მიმართულება, რომლებიც პრიორიტეტულ ყურადღებას იმსახურებდა: ღირსეული სამუშაო ადგილები, ენერგეტიკა, მდგრადი ქალაქები, სურსათის უზრუნველყოფა და მდგრადი სოფლის მეურნეობა, წყალი, ოკეანეები და კატასტროფებისთვის მზადყოფნა.

UNCED-ისაგან განსხვავებით, ამ სამიტს – „რიო+20“-ს – სახელმწიფოებს შორის რაიმე ახალი ხელშეკრულება ან მათი მხრიდან რაიმე ვალდებულებების კისრება არ მოჰყოლია. სამიტის ძირითადი გამოსავალი – პოლიტიკური დოკუმენტი სათაურით „მომავალი, რომელიც ჩვენ გვინდა“ – თითქმის ორმოცდაათ გვერდს შეიცავს, თუმცა კონკრეტულ ვალდებულებებს არ განსაზღვრავს. რეალურად, სამიტმა „რიო+20“-მა საფუძველი ჩაუყარა ინსტიტუციურ პერსპექტივას, რომელიც მომავალში მდგრადი

განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერისათვის აუცილებელი უფრო ამბიციური ზომების მიღების საშუალებას მოგვცემს, თუკი სახელმწიფოები ამისათვის საჭირო ნებას გამოიჩინენ. სამიტ „რიო+20“-ზე მთავრობები შეთანხმდნენ, რომ გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) არის წამყვანი გლობალური ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს გლობალურ გარემოსდაცვით დღის წესრიგს, ხელს უწყობს გაეროს სისტემის მიერ მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი კომპონენტის ჰარმონიულ განხორციელებას და გლობალური გარემოს ავტორიტეტული დამცველის როლის გაძლიერებას.

ამასთან, 2012 წლიდან 2015 წლამდე მიმდინარეობდა კონსულტაციები გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების შესამუშავებლად. ამ პერიოდში 4 მილიონზე მეტი ადამიანი ეწვია სპეციალურად შექმნილ ვებგვერდს: MyWorld; 100-ზე მეტ ქვეყანაში ჩატარდა ადგილობრივი კონსულტაციები; 7,3 მილიონზე მეტმა ადამიანმა დააფიქსირა თავისი აზრი გლობალური მიზნების პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით; ჩატარდა 11 გლობალური თემატიკის კონსულტაცია; გაერთიანებული ერების 32 ქვეორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობდა ამ პროცესში. ასეთი მაღალი ჩართულობა მიზნად ისახავდა მდგრადი განვითარების მიზნების თითოეული ადამიანისთვის, ბიზნესისა და მთავრობისთვის პრიორიტეტად ქცევას. საბოლოოდ, 2015 წლის 25 სექტემბერს მსოფლიოს სახელმწიფოთა ლიდერები შეიკრიბნენ მდგრადი განვითარების სამიტზე ნიუ-იორკში (აშშ) და შეთანხმდნენ მსოფლიოს განვითარების ახალი დღის წესრიგის – მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესახებ, რომლებიც გამტკიცდა რეზოლუციით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა. მდგრადი განვითარების მიზნები არის ათასწლეულის განვითარების მიზნების ლოგიკური გაგრძელება, რომელთა შესრულების ვადა 2000-2015 წლების პერიოდს მოიცავდა. განვითარების ახალი დღის წესრიგი მოიცავს 17 გლობალურ მიზანს და 169 ამოცანას, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტები 15 წლის განმავლობაში – 2016 წლიდან 2030 წლამდე. მდგრადი განვითარების 17 მიზანია:

- მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
- მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისადა გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;
- მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის;
- მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის;

- მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა;
- მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
- მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის;
- მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;
- მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის;
- მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება;
- მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება;
- მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგადაუდებელი ზომების გატარება;
- მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის;
- მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, წიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება;
- მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე;
- მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

## 4. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის წყაროები

ზოგადად, სამართლის წყაროს ორი გაგება აქვს: ერთი მხრივ, სამართლის წყარო შეიძლება მოვიაზროთ როგორც ინსტიტუციური წარმონაქმნი, რომელიც ქმნის სამართლებრივ დოკუმენტებს, მაგალითად, ესენია ეროვნული საკანონმდებლო ორგანოები ან სამთავრობო წარმომადგენლობები, რომლებიც სახელმწიფოს სახელით აფორმებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს; მეორე მხრივ, სამართლის წყაროს აქვს უფრო ფორმალური გაგება, რაც აისახება იურიდიულ დოკუმენტსა და სხვა სამართლებრივ ინსტრუმენტებში, სადაც ქცევის წესებია დადგენილი, მაგალითად, კანონები და სხვა აღმასრულებელი დოკუმენტები, მათ შორის: ბრძანებულებები და ბრძანებები, ხელშეკრულებები, ჩვეულებითი სამართალი, სამართლის ზოგადი პრინციპები, სასამართლო გადაწყვეტილებები და საერთაშორისოსამართლებრივი დოქტრინები.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის, როგორც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტის სრულყოფილი და კონცეპტუალური აღქმის თვალსაზრისით, აუცილებელია, ზოგადად, საერთაშორისო სამართლის ძირითადი მიმართულებებისა და რეგულირების მეთოდების სწორი გაგება-გამოყენება. როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალი წარმოიშვა სახელმწიფოთა წარმოქმნისთანავე და ვითარდებოდა და ვითარდება იმ გამოწვევების შესაბამისად, რაც კაცობრიობის განვითარების თითოეულ ეტაპს ახლავს თან. დღეისათვის საერთაშორისო სამართლის განუყოფელი ნაწილი მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებია, რაც, როგორც სამართლის წყარო, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ინსტიტუტის მამოძრავებელ რგოლს ქმნის. ამდენად, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის წყაროების შესწავლისას მეცნიერება ეყრდნობა სწორედ იმ ძირითად სამართლებრივ მიდგომებს, რომლებიც, ზოგადად, საერთაშორისო სამართალშია დამკვიდრებული სამართლის წყაროების არსისა და მოქმედების სფეროს დასადგენად.

#### 4.1. საერთაშორისო სამართლის წყაროების ზოგადი მახასიათებლები

საერთაშორისო სამართლის ის წყაროები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირებისათვის გამოიყენებოდა მეორე მსოფლიო ომამდე, განსაზღვრულია პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის, ერთა ლიგის სასამართლო შტოს – მართლმსაჯულების მუდმივი პალატის 1920 წელს დამტკიცებული წესდებით, რაც 1945 წელს, მაშინ, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) ფაქტობრივად ჩაანაცვლა ერთა ლიგა, სრულად აისახა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლის პირველ პუნქტში. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ, გაეროს წესდების 93-ე მუხლის თანახმად, გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო *ipso facto* არის საერთაშორისო სასამართლოს წევრიც. საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლის პირველი პუნქტით დგინდება, რომ საერთაშორისო დავების გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს: 1. იმ საერთაშორისო კონვენციებით, როგორც ზოგადით, ასევე სპეციალურით, რომლებიც აღიარებულია დავაში მონაწილე მხარეების მიერ; 2. საერთაშორისო ჩვეულებით, როგორც სამართლის მიერ აღიარებული ზოგადი პრაქტიკით; 3. ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპებით; 4. სასამართლოს გადაწყვეტილებებითა და სხვადასხვა ერის გამოჩენილი სპეციალისტების სწავლებებით, როგორც სამართლის უზენაესობის განსაზღვრის დამხმარე საშუალებებით.

პრაქტიკულად, 38-ე მუხლი აწესებს ერთგვარ იერარქიას საერთაშორისო სამართლის წყაროებისას, რაც საერთაშორისო დავების გადაწყვეტის დროს უნდა იქნეს გამოყენებული. უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირებისას გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებები; თუ არ არსებობს ეს უკანასკნელი, გამოიყენება ჩვეულებითი სამართალი, რაც სახელმწიფოთა ქმედებების შინაგანი რწმენის შედეგად განსაზღვრული, დაუნერვლი ქცევის წესების ერთობლიობაა. ამ ორი ფაქტორის არარსებობის შემთხვევაში კი გამოიყენება სამართლის ზოგადი პრინციპები და მხოლოდ ამის შემდგომ დგება დღის წესრიგში სამართლის დამხმარე წყაროების გამოყენების საკითხი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ საერთაშორისო სამართლისათვის უცხოა სამართლებრივი იერარქიის იმგვარი გაგება, რაც მუნიციპალური სამართლისთვისაა დამახასიათებელი. საერთაშორისო სამართალში გამოიყენება იერარქიის ეგრეთ წოდებული ჰორიზონტალური სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლის წყაროები მხოლოდ ავსებენ ერთმანეთს, მაშინ, როდესაც მუნიციპალური სამართლის იერარქიული სისტემა ვერტიკალურია და სამართლებრივი კოლიზიის დროს იერარქიის ზედა საფეხურზე მდგომი სამართლის წყაროს გამოყენების ვალდებულებას ადგენს.

საერთაშორისო სამართალმა 1945 წლის შემდგომ უამრავი საერთაშორისო სამართლის წყარო შექმნა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა საერთაშორისო კონფერენციებზე იქნა მიღებული. საერთაშორისო კონფერენციებზე დამტკიცებულ სამართ-

ლის წყაროთა უმრავლესობას (გარდა სახელშეკრულებო სამართლის წყაროებისა) არა აქვს იურიდიულად სავალდებულო ძალა, რამეთუ, საერთაშორისო სამართლის თანახმად, უმრავლესობა საერთაშორისო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო კონფერენციებისა მოკლებულია უფლებამოსილებას, შეიმუშაოს და დაამტკიცოს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტები. იურიდიულად არასავალდებულო დოკუმენტებს საერთაშორისო სამართალში „რბილ სამართალს“ უწოდებენ, რაც გამოიხატება წევრი სახელმწიფოების სურვილით, მიიღონ და გამოცადონ გარკვეული წესები და პრინციპები. „რბილი სამართლის“ ფენომენი დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ სახელმწიფოებს ჯერ არ სურთ სამართლებრივი ვალდებულებების აღება, თუმცა მათთვის საინტერესო და მისაღებია ის დებულებები, რომლებსაც იურიდიულად არასავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტები ადგენენ. როგორც წესი, ამგვარი ნორმები სამართლისა და პოლიტიკის გასაყარზე მოქმედებს და მეტწილად საერთაშორისო პოლიტიკისა და გარემოს დაცვის სამართლის თავისებურებად ითვლება. ხშირად „რბილი სამართალი“ ხელს უწყობს კონსენსუსის მიღწევას, რაც იურიდიულად სავალდებულო, იმავე „მყარი სამართლის“ გამოყენებით გაცილებით რთული იქნებოდა. ასეთი პრაქტიკის თვალსაჩინო მაგალითებია: 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაცია „გარემო ადამიანისათვის“, 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია „გარემო და განვითარება“, ამავე წელს დამტკიცებული „21-ე საუკუნის დღის წესრიგი“ და ა.შ. „რბილ სამართალს“ საერთაშორისო სამართლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ამ შემთხვევაში სახელმწიფოები გამოხატავენ კონსენსუსს იმ ნორმების გამოყენების შესახებ, რომლებმაც ერთგვარად უნდა უხელმძღვანელონ მათ ქმედებებს. ერთი შეხედვით, თეორიულია, თუმცა მაინც ფაქტია, რომ „რბილი სამართალი“ საფუძველს უდებს სახელმწიფოთა მიერ ერთგვაროვანი ქმედებების დინამიკურ განხორციელებას, რაც თავისთავად იურიდიულად სავალდებულო, „მყარი სამართლის“ ნაწილის, ჩვეულებითი სამართლის მახასიათებელი ნიშანია. მიუხედავად იმისა, რომ რთული და პრაქტიკულად შეუძლებელია იმ მომენტის დადგენა, თუ როდის გარდაიქმნება „რბილი სამართალი“ ჩვეულებაში, ფაქტი ფაქტად რჩება – შესასრულებლად არასავალდებულო დოკუმენტები, საბოლოოდ, შესასრულებლად სავალდებულო ჩვეულებებში ისახებიან.



## 4.2. საერთაშორისო ხელშეკრულებები

საერთაშორისო ხელშეკრულებები სახელმწიფოთა მიერ ურთიერთობათა რეგულირების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ისინი ქმნიან თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველსა და სამართლის ძირითად წყაროებს. თუ რას ნიშნავს ხელშეკრულება, ამაზე განმარტებას იძლევა თვით ერთ-ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, კერძოდ კი 1969 წელს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მიღებული და 1980 წელს ძალაში შესული კონვენცია „საერთაშორისო ხელშეკრულებების“ შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ვენის კონვენციას, 2012 წლის მდგომარეობით, 111 ხელშეკრულები მხარე სახელმწიფო ჰყავს გაეროს წევრი 193 ქვეყნიდან, მისი დებულებები სავალდებულოდ ითვლება ყველა სახელმწიფოსათვის, რამეთუ კონვენციის არანაწევრი სახელმწიფოები იდენტურ მიდგომებს იყენებენ ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში. ვენის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: *ხელშეკრულება – ეს არის საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც იდება სახელმწიფოებს შორის წერილობითი ფორმით და რეგულირდება საერთაშორისო სამართლით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია თუ არა იგი ერთი ან რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით, და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა*. საგულისხმოა, რომ ვენის კონვენცია არ არეგულირებს ხელშეკრულებებს, რომლებიც იდება სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ეს უკანასკნელნი რეგულირდებიან სხვა ხელშეკრულებით, რომელიც ჯერ ძალაში არ შესულა.

საერთაშორისო ხელშეკრულებას სხვადასხვა სახელი შეიძლება ჰქონდეს – ხელშეკრულება, კონვენცია, ოქმი, პაქტი, შეთანხმება, ურთიერთგაგების მემორანდუმი, ნოტების გაცვლა. საერთაშორისო ხელშეკრულების სახელს მნიშვნელობა არა აქვს იმდენად, რამდენადაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მათში დადგენილ სახელმწიფოთა ვალდებულებების იურიდიულ ძალას, რასაც „რბილი“ და „მყარი“ სამართლის თეორიულ და პრაქტიკულ გამიჯვნამდე მივყავართ.

ხელშეკრულებები, როგორც წესი, შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: პრეამბულა, სადაც აღწერილია სახელმწიფოთა მოტივაცია და მიზანი ხელშეკრულების დადებისა, რაც არ შეიცავს იურიდიულად სავალდებულო დებულებებს, თუმცა ფართოდ გამოიყენება თვით ხელშეკრულების განმარტებისათვის; ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი შეიცავს არსებით დებულებებს, რომლებიც მხარეთა ვალდებულებებს განსაზღვრავს. ასევე, აქვეა მოცემული ხელშეკრულების აღსრულების მექანიზმები, მაგალითად, წესები, თუ როგორ უნდა შეიქმნას კონვენციის სამდივნო ან მხარეთა კონფერენციის მონვევის რეგულაციები; და ბოლოს, დასკვნითი ნაწილი, რომელიც ხელშეკრულების მოქმედების ვადებს, მასზე მიერთების, დათქმების გაკეთების, დავების გადაწყვეტისა და ცვლილებების შეტანის საკითხებს ეხება. საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელია სპეციალური წესების ხელშეკრულებათა დანართებში ასახვის პრაქტიკა. როგორც წესი, ასეთი დანართები მოიცავს იმ ნივ-

თიერებათა, ბიომრავალფეროვნების სახეობათა და საქმიანობათა ჩამონათვალს, რომლებიც ხელშეკრულებით რეგულირდება. თუმცა საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებისთვის ასევე დამახასიათებელია დანართებით განსაკუთრებული ტექნიკური დეტალების განსაზღვრა, მაგალითად, შესაბამისი ფორმულების გარემოსათვის მიყენებული ზიანისა თუ გარემოში ემისირებული ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გამოსათვლელად.

როგორც წესი, ხელშეკრულებებზე მუშაობა საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში მიმდინარეობს სხვადასხვა მოლაპარაკების მოდელების გამოყენებით და სრულდება საბოლოო ტექსტის კონფერენციაზე ხელმოწერით, რომელიც სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდითა და მასპინძლობით იმართება. მიუხედავად იმისა, რომ, ტრადიციული საერთაშორისო სამართლის განმარტების თანახმად, მხოლოდ სახელმწიფოები და მათ მიერ შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციები არიან საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სუბიექტები, თანამედროვე, განსაკუთრებით კი, საერთაშორისო გარემოსდაცვითმა სამართალმა ნათელი გახადა, რომ არასამთავრობო სექტორი და სამეცნიერო ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულნი ხელშეკრულებების შემუშავება-მიღების პროცესებში, იმ განსხვავებით, რომ მათ უშუალოდ საბოლოო დოკუმენტის მიღების ეტაპზე ხმის უფლება არა აქვთ.

ხელშეკრულების მიღების შესახებ მოლაპარაკებები სრულდება საბოლოო ტექსტის ხელმოწერით, რასაც გარემოსდაცვით სამართალში, როგორც წესი, თან ერთვის განმარტებები, მადლიერების წერილები, ხოლო ზოგ შემთხვევაში, დეკლარაციები, მოქმედებათა გეგმები, დღის წესრიგები, გეგმები და პროგრამებიც კი, რომელთაც თავისთავად იურიდიულად სავალდებულო ძალა არა აქვთ. არსებობს ღია ტიპის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთაც შემდგომ პერიოდში სხვა სახელმწიფოებიც შეიძლება მიუერთდნენ. ხელშეკრულების „გაცოცხლების“ შემდგომ ეტაპს შიდასახელმწიფოებრივ, იმავე მუნიციპალურ, სამართალმდე მიყვავართ. თითოეული სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს იმ პროცედურებს, რომელთა მიხედვითაც ისინი უერთდებიან ხელშეკრულებას რატიფიცირებითა თუ ქვეყნის პირველი პირის შესაბამისი ნორმატიული აქტით. ამ პროცედურის გავლის შემდგომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, ორმხრივი ხელშეკრულებისას გაცვალონ ეგრეთ წოდებული სარატიფიკაციო სიგელები, რაც იმის დასტურია, რომ სახელმწიფომ აღიარა ხელშეკრულება; ხოლო მრავალმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში ევალებათ, გადასცენ სარატიფიკაციო სიგელი შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის სამდივნოს. სარატიფიკაციო სიგელის მიმღებ მხარეს დეპოზიტარი ეწოდება.

ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი თითოეულ ხელშეკრულებაზე დამოკიდებული, რომლის დასკვნით ნაწილშია მითითებული ეს პროცესი. როგორც წესი, მრავალმხრივი ხელშეკრულება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდგომ, ან პროცესიდან რაღაც დროის გასვლის შემდეგ. მაგალითად, 1992 წლის ბიომრავალფეროვნების კონვენციის 36-ე მუხლი

განსაზღვრავს, რომ ხელშეკრულება ძალაში შედის 30-ე სარატიფიკაციო სიგელის ჩაბარებიდან 90-ე დღეს. ამ კონვენციისათვის ეს დღე 1993 წლის 29 დეკემბერს დადგა. ამ ეტაპის გავლის შემდგომ, გაეროს წესდების 102-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება სასწრაფოდ უნდა გადაეგზავნოს გაეროს სამდივნოს რეგისტრაციისა და გამოქვეყნებისათვის.

საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული მიდგომების მიხედვით, ხელშეკრულება არ უნდა ადგენდეს ვალდებულებებს არანევრი სახელმწიფოებისათვის, თუმცა საერთაშორისო გარემოსდაცვითმა სამართალმა ამ მხრივ განსხვავებული მიდგომა დაამკვიდრა. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ გარემო – ეს არ არის მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებული ობიექტი და იმის გათვალისწინებით, რომ, ზოგადად, სამართალი ეკოლოგიურ პროცესებს ვერ შეაჩერებს, არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებისა, რომლებიც ადგენენ შებლდვებს არანევრი სახელმწიფოებისათვის. როგორც წესი, ეს მიდგომა გამოიყენება, როდესაც საქმე ეხება სახიფათო ნარჩენებისა თუ ნივთიერებების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვას. არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები ცდილობენ, საკუთარ იურისდიქციას დაქვემდებარებული ტერიტორიიდან მოახდინონ სახიფათო ნარჩენების ექსპორტი სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე და ამაში საკმაოდ სოლიდურ თანხასაც იხდიან. სწორედ ამგვარი ქმედებების საწინააღმდეგოდ, ზოგიერთ შემთხვევაში, ხდება აკრძალვების დაწესება. ამ მხრივ ის ფაქტიც საინტერესოა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სახიფათო ნარჩენების განთავსება ათჯერ უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში, ხოლო საბოლოოდ საერთოდ აიკრძალა.

### 4.3. ჩვეულებითი სამართალი და სამართლის ზოგადი პრინციპები

გაეროს საერთაშორისო სასამართლოს წესდების თანახმად, საერთაშორისო სამართლის წყაროა ასევე საერთაშორისო ჩვეულება, იგივე სახელმწიფოთა პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებული, იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე, ქცევის ერთგვაროვანი წესები. ხელშეკრულებისგან განსხვავებით, ჩვეულება დაუნერეელი ქცევის წესია და, მიუხედავად მისი ამ ფორმისა, სავალდებულოა, იურიდიული ძალის მქონეა, რამეთუ ემყარება *Opinio juris sive necessitates* პრინციპს, რაც ერთგვარი რწმენაა იმისა, რომ მოქმედება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც ეს სავალდებულოა. რწმენა საერთაშორისო ჩვეულების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტია, რაც „ფსიქოლოგიურ მომენტანაა“ დაკავშირებული, რის შედეგადაც სახელმწიფოები ნებაყოფლობით აღასრულებენ ამა თუ იმ ქმედებას; ჩვეულების მეორე ძირითადი ფაქტორია ზოგადი პრაქტიკა, რაც ამ ფენომენის მატერიალური შემადგენელი ელემენტია.

კლასიკური გაგების თანახმად, ჩვეულების ჩამოსაყალიბებლად წლები და, ზოგ შემთხვევაში, საუკუნეები იყო საჭირო, რაც არსებითად შეცვალა საერთაშორისო გარემოსდაცვითმა სამართალმა, რისი ნათელი დადასტურებაა „რბილი სამართლის“ წესების სისტემატური შესრულების შედეგად მათი ჩვეულებითი სამართალში გადამზრდის დამკვიდრებული პრაქტიკა.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების, დეკლარაციებისა და რეზოლუციების რაოდენობის სწრაფმა ზრდამ დააფიქრა მეცნიერები იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა საერთოდ ჩვეულებითი გარემოსდაცვითი საერთაშორისო სამართალი. საბოლოოდ, ყველა მეცნიერი თანხმდება, რომ გარემოსდაცვითი ჩვეულებითი სამართლის სანიშნო მაგალითებია: პრინციპი, რომლის თანახმადაც, არცერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, საკუთარი ტერიტორია გამოიყენოს ისე, რომ ამით ზიანი მიაყენოს სხვა სახელმწიფოს; აგრეთვე, მდგრადი განვითარების, გაფრთხილების, გარემოზე ზემოქმედების პრინციპები. ასევე საგულისხმოა, რომ ჩვეულებითი სამართლის ზემოაღნიშნულ მაგალითებს თუ ჩვეულებითი სამართლის დამახასიათებელი ნიშნების შემსწავლელ ფორმალურ ტესტს ჩავუტარებთ, მათ აშკარა პრობლემები შეექმნებათ სახელმწიფოთა პრაქტიკისა და *Opinio juris* თვალსაზრისით. თუმცა მათი ასახვა საერთაშორისო დოკუმენტებში *Opinio juris*-ის არსებობის ერთგვარი დადასტურებელი ნიშანია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეს პრინციპები, რომლებიც ჩვეულებითი გარემოსდაცვითი სამართლის ნაწილადაა აღიარებული, ხშირად ასახულა საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებებსა და თუ განმარტებებში.

სასამართლოების გადაწყვეტილებები და განმარტებები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ გარემოსდაცვითი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის განვითარების თვალსაზრისით. გარემოსდაცვითი საერთაშორისო ურთიერთობების ფუძემდებლურ

პრინციპს, – რომლის მიხედვითაც, არცერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, საკუთარი ტერიტორია გამოიყენოს ისე, რომ ამით ზიანი მიაყენოს სხვა სახელმწიფოს, – საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1941 წლის გადანყვეტილებამდე მივყავართ. ეგრეთ წოდებული „სმელტერის“ სასამართლო პროცესი გაიმართა აშშ-სა და კანადას შორის, როდესაც მოხდა გოგირდის დიოქსიდის (SO<sup>2</sup>) გაფრქვევა აშშ-კანადის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში, კანადის ტერიტორიაზე განთავსებული გადამდნობი საწარმოდან და სერიოზული ზიანი მიაყენა აშშ-ს. ეს საქმე პრაქტიკულად ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილია გარემოსდაცვით საერთაშორისო დავებს შორის. ქარხანამ აშშ-ის ეგიდით ფუნქციონირება დაიწყო 1896 წელს ტერიტორიაზე, რომელსაც თრეილი ეწოდებოდა. ხოლო 1906 წელს კანადურ კომპანიას გადაეცა საწარმოს მმართველობა და, საბოლოოდ, ამერიკის კონტინენტზე ყველაზე ეფექტიანად მომუშავე საწარმოს სტატუსი მოიპოვა. 1925–1927 წლებში მოხდა საწარმოს ტექნოლოგიური გაფართოება და მან თუთიისა და ტყვიის მადნეულის დღიური გადადნობის ნორმა ერთიორად გაზარდა. წარმოების ზრდამ, შესაბამისად, გოგირდის დიოქსიდის გაფრქვევისა და ატმოსფერულ ჰაერში კონცენტრაციის დონის მატება გამოიწვია. თუ 1916 წელს საწარმოდან თვიურად 5000 ტონა გოგირდის დიოქსიდი გაიფრქვეოდა, ამ მაჩვენებელმა 1926 წლისთვის 9000 ტონამდე მოიმატა. სხვა სიტყვებით, საწარმო, დღიურად, 300–350 ტონა გოგირდის დიოქსიდს აფრქვევდა.

გაფრქვეული ნივთიერება კვეთდა საზღვარს და აზიანებდა აშშ-ის ტერიტორიაზე, ვაშინგტონის შტატის ფერმერების საკუთრებას – ვაშლის პლანტაციას. ვინაიდან, გარკვეული პროცედურების გავლის შემდგომ ფერმერებმა ვერ შეიტანეს საარჩელი ვერც საკუთარ შტატში და ვერც კანადაში, 1927 წელს მათ მიმართეს საერთაშორისო არბიტრაჟს, რის შედეგადაც დაიწყო გრძელი სასამართლო პროცესი. ეს იყო დავა აშშ-ის მოქალაქეებსა და კანადურ კომპანიას შორის, რომლის ფარგლებში მოსარჩელები თავდაპირველად ირწმუნებოდნენ, რომ მეორე მხარემ მათ 350. 00 აშშ-ის დოლარის ზიანი მიაყენა. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ დაბინძურებულმა ტერიტორიამ შეადგინა 567 კმ<sup>2</sup>, სადაც დაზიანდა ნარგავები, ნიადაგი, შინაური ცხოველები, საცხოვრებელი ობიექტები და რამაც, გარემოს დეგრადაციისა და საკუთრების დაზიანების თვალსაზრისით, ჯამურად 1 849 156. 16 აშშ-ის დოლარის ზარალი გამოიწვია. ამასთანავე, მოსარჩელები კანადის მხარეს სუვერენიტეტისა და საკუთრების უფლებების დარღვევაში ადანაშაულებდნენ. სასამართლომ საქმე მიიღო მხოლოდ მინის გაუვარგისებისა და მდგომარეობის გამოსწორების მოთხოვნის მოტივით. სასამართლო დავის მიმდინარეობის პერიოდში კომპანიას დაევალა, შეეცვალა ტექნოლოგიები, როგორც დროებითი ღონისძიება. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ, მიუხედავად იმისა, არავის სუვერენული უფლებები არ დაურღვევია, არცერთი სახელმწიფო არაა უფლებამოსილი, გამოიყენოს თავისი ტერიტორია ისე, რომ ამით ზიანი მიაყენოს სხვა სახელმწიფოსა და მის ტერიტორიაზე არსებულ საკუთრებებს. სასამართლომ დაავალდებულა კანადური კომპანია, გაეუმჯობესებინა ტექნოლოგიები, აენამლაურებინა ზიანი (რაც მას საბოლოოდ 20 000 000 აშშ-ის დო-

ლარი დაუჯდა) და თავი შეეკავებინა იმგვარი საქმიანობისგან, რომელიც სხვა სახელმწიფოს დააზიანებდა.

საინტერესოა, რომ „სმელტერის“ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას ხშირად ადარებენ ზოგად პრინციპს რომის სამართლიდან, რომელიც საკუთრების სამართლის საფუძვლად ითვლება – *Sic utere tuo ut alienum non laedas*, რაც ნიშნავს: ისე უნდა ისარგებლო შენი საკუთრებით, რომ სხვის ქონებას არ ავნო. „სმელტერის“ გადაწყვეტილება პირდაპირ აისახა 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე პრინციპში და პრაქტიკულად საერთაშორისო გარემოსდაცვითი ჩვეულებითი და რბილი სამართლის ფუძემდებლურ დებულებად იქცა. იგი კიდევ უფრო გაამყარა სხვა საქმეებმა და ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა 1996 წლის გაეროს საერთაშორისო სასამართლოს განმარტება, რომელიც ბირთვული იარაღის მუქარისა და გამოყენების სამართლიანობის საქმეზე იქნა მომზადებული. სასამართლომ განმარტა, რომ გარემო ყოველდღიური საფრთხის წინაშე დგას და ბირთვული იარაღის გამოყენებამ შესაძლოა, მისთვის კატასტროფა გამოიწვიოს. სასამართლომ ასევე აღიარა, რომ გარემო არა აბსტრაქტია, არამედ ცოცხალი ორგანიზმების საცხოვრებელი ადგილია, იგი უზრუნველყოფს ცხოვრების ხარისხსა და ადამიანის ჯანმრთელობას, მათთვისაც, ვინც ჯერ არ დაბადებულა. სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოთა ზოგად ვალდებულებას, რომ საკუთარ ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობით ზიანი არ მიაყენონ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიას. ტრანსსასაზღვრო დავასთან დაკავშირებით იმსჯელა საარბიტრაჟო სასამართლომ *ლანოუქსის ტბის* საქმეშიც და დაადგინა, რომ „იმ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც მდინარე იღებს სათავეს, უკრძალავს წყლის ისეთი სახით ცვლილებას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს იმ სახელმწიფოს, სადაც მიედინება ეს მდინარე“. აღნიშნული პრინციპი ასევე გამყარდა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებაშიც. გაეროს საერთაშორისო სასამართლომ, პირველად *კორფუს არხის* საქმეში დაადგინა, რომ „ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა, გაცნობიერებულად არ დაუშვას თავისი ტერიტორიის გამოყენება სხვა სახელმწიფოს უფლებების წინააღმდეგ მიმართული ქმედებებისთვის“. მართალია, ყველა ზემოაღნიშნულ საქმეში მართლმსაჯულების შესაბამისმა ორგანოებმა დაადგინეს, რომ მათი გადაწყვეტილება ეყრდნობოდა საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპს და არა ჩვეულებითი სამართალს, მაგრამ სწორედ ეს გადაწყვეტილებები გახდა საფუძველი შემდგომში მისი ჩვეულებითი სამართლის ნორმად აღიარებისა.

საინტერესოა კიდევ რამდენიმე საქმე, რომლებიც საბოლოოდ გაერთიანდა და ცნობილია ერთ სასამართლო საქმედ, რომელიც განიხილა გაეროს საერთაშორისო სასამართლომ და რომელიც 1974 წლიდან 1995 წლამდე პერიოდს მოიცავს. ეგრეთ წოდებული „ბირთვული იარაღის გამოცდის“ საქმეები, სადაც დავა ავსტრალიასა და საფრანგეთს და ახალ ზელანდიასა და საფრანგეთს შორის მიმდინარეობდა. ორივე შემთხვევაში საქმე ეხებოდა საფრანგეთის მიერ სამხრეთ წყნარ ოკეანეში ბირთვული იარაღის ჯერ წყლის თავზე, ატმოსფეროში, შემდგომ კი წყლის ქვემოთ გამოცდის

საკითხს. მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ იარაღის გამოცდა აზიანებდა მათ ტერიტორიას და რადიოქტიურ დასხივებას განიცდიდა მოსახლეობა. ამ საქმეებზე მოსარჩელები სწორედ იმას ამტკიცებდნენ, რომ საფრანგეთი იარაღის გამოცდისას ზიანს არ უნდა აყენებდეს სხვა სახელმწიფოების გარემოს მდგომარეობას.

#### 4.4. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების რეზოლუციები და დეკლარაციები

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცემული რეზოლუციები და საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებული დეკლარაციები შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამართლის ახალ წყაროდ. ისინი იყოფიან ორ კატეგორიად: პირველ კატეგორიაში ერთიანდება იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტები და ისინი ქმნიან „მყარ სამართალს“ ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისთვის. იმ საერთაშორისო აქტებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სავალდებულო იურიდიული ძალა, უწოდებენ რეკომენდაციებს და ისინი აყალიბებენ „რბილი სამართლის“ ძირითად პრინციპებს, როგორც ეს ზემოთ იქნა განხილული. საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული დეკლარაციები შეიძლება მივაკუთვნოთ მეორე კატეგორიას. თუმცა, მიუხედავად არასავალდებულო ძალისა, დეკლარაციებს მაინც დიდი წვლილი მიუძღვით ჩვეულებითი საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებაში.

სავალდებულო ძალის მქონე რეზოლუციები არის ერთგვარი გამონაკლისი საერთაშორისო სამართალში. ზოგადად, საერთაშორისო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება, გამოსცენ სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე აქტები. არსებობს მხოლოდ სამი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთაც შეეხება აქვთ გარემოს დაცვასთან და ფლობენ ამ უფლებამოსილებას, კერძოდ, ესენი არიან: გაეროს უშიშროების საბჭო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და ევროკავშირი. ამათგან გაეროს უშიშროების საბჭოს წვლილი საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებაში უმნიშვნელოა, თუ არ ჩავთვლით, შეიარაღებული კონფლიქტის დროს შექმნილ ვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წესდების თანახმად, ამ ორგანიზაციას უფლება აქვს, მიიღოს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტები, მას, ჩვეულებითი საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განვითარების თვალსაზრისით, მეტი წვლილი აქვს შეტანილი იმ ნორმების მიღებით, რომლებიც არ შეიცავენ ვალდებულებებს. რეალურად, მხოლოდ ევროკავშირი იყენებს უფლებამოსილებას, გამოსცეს საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებისთვის საჭირო სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე აქტები, მაგრამ ეს ნორმები არ განეკუთვნება უნივერსალურ საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართალს. ისინი, მიუხედავად იმისა, რომ ხელს უწყობენ გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებას, იერარქიულად ინარჩუნებენ კვაზიფედერალური ჩარჩო სამართლის ადგილს შიდასახელმწიფოებრივ სამართლის სისტემასა და საერთაშორისო სამართალს შორის.

საერთაშორისო კონფერენციებზე ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული არასავალდებულო ძალის მქონე რეზოლუციები მათი შინაარსის გათვალისწინებით შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: ნორმატიული რეკომენდაციები, სამოქმედო



პროგრამები და დეკლარაციები, რომლებიც შეიცავენ ძირითად პრინციპებს.

ნორმატიული რეკომენდაციები არ შეიცავენ ვალდებულებებს, მაგრამ აყალიბებენ ქცევის გარკვეულ წესებსა და სტანდარტებს, რომლებიც უნდა შესრულდეს წევრი სახელმწიფოების მიერ. ასეთი რეკომენდაციების მნიშვნელობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიერთებისას წევრი ქვეყნები ნებაყოფლობით იღებენ გარკვეულ ვალდებულებებს, რომლებიც მოცემულია ზოგად და აბსტრაქტულ ნორმებში. ორგანიზაციის კომპეტენტური ორგანოს მიერ ხდება ამ ვალდებულებების განმარტება კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით. ზოგადი ვალდებულებების ინტერპრეტაცია ხდება კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ რეზოლუციებში, რომლებიც მოქმედებენ საერთაშორისო ორგანიზაციის სახელით. თუმცა, ვინაიდან წევრი ქვეყნები იცავენ თავიანთ სუვერენიტეტს, ისინი იყენებენ უფლებას, გადაწყვიტონ, შეასრულებენ თუ არა ამ რეზოლუციებს. ამგვარად, რეზოლუციები არ შეიძლება ჩაითვალოს სავალდებულო ძალის მქონედ, ისინი რეკომენდაციები და სახელმძღვანელო წესებია, რომლებიც მიუთითებენ წევრ ქვეყნებს, თუ როგორ შეასრულონ წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები და როგორი გადაწყვეტილება მიიღონ კონკრეტულ შემთხვევებში, მაგალითად საშიშ ნარჩენებთან მიმართებით.

ნორმატიული რეკომენდაციები ქმნიან მოქმედებათა ძირითად ბაზისს რეგიონალური და საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაციებისთვის. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ მიიღო რეკომენდაციები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გარემოს დაცვის სხვადასხვა სფეროს განვითარებაში, როგორებიცაა, მაგალითად: ბუნებრივი რესურსების, სანაპირო ზოლებისა და ნარჩენების მართვა, ქიმიური ნივთიერებების კონტროლი, ტრანსსასაზღვრო დაბინძურება, ტურიზმი და ა.შ. ანალოგიურად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გააფართოვა სწავლება და მოქმედებები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა კლიმატის ცვლილებების შერბილება ან დრიფტული ბადით თევზჭერის აკრძალვა.

დეკლარაციებს, რომლებიც შეიცავენ ძირითად პრინციპებს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებაში. ისინი განსხვავდებიან ნორმატიული რეკომენდაციებისაგან იმით, რომ არ შეიცავენ ქმედებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს. ისინი განსაზღვრავენ ძირითად სახელმძღვანელო წესებს, რომლებიც უნდა შეასრულონ წევრმა ქვეყნებმა და, ამგვარად, შეიძლება, ჰქონდეთ ზეგავლენა სამართლებრივი ნორმების განვითარებაზე. მათი როლი შეიძლება აიხსნას სამართლის ფუნქციით საზოგადოებაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტური მიზანია იმ ღირებულებების დაცვა, რომლებიც აღიარებულია საზოგადოების მიერ. როდესაც საზოგადოება იცვლება ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური ან სოციალური ფაქტორების ზეგავლენის შედეგად, მისი ფასეულობები შეიძლება უფრო გაძლიერდეს ან ტრანსფორმირდეს. ახალი ღირებულებების ცნობა საზოგადოებისა და, საბოლოოდ, სამართლის მიერ საკმაოდ დელიკატური პროცესია. სამართალში ახა-

ლი პრინციპების ფორმულირება იმ მიზნით, რომ დაცულ იქნეს საზოგადოებაში არსებული ფასეულობები, საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეს მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენციებზე საერთაშორისო საზოგადოების სახელით დეკლარაციების მიღებით. მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტიტუციების, როგორცაა, მაგალითად, გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუციების შეიძლება აფუძნებდეს ფუნდამენტურ პრინციპებს, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული თვალსაზრისით ისინი რეზოლუციებია. ასე მოხდა, მაგალითად, ადამიანის უფლებების 1948 წლის დეკლარაციისა და ბუნების შესახებ 1982 წლის მსოფლიო ქარტიის შემთხვევაში.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი მთლიანად დაფუძნებულია გარემოს, როგორც კაცობრიობის ფუნდამენტური ღირებულების, აღიარებაზე. ამრიგად, სტოკჰოლმის 1972 წლის დეკლარაცია აცხადებს, რომ ბუნებრივი რესურსები, მათ შორის: წყალი, ნიადაგი, ფლორა და ფაუნა და, განსაკუთრებით, ეკოსისტემის წარმომადგენელი სახეობები დაცული უნდა იქნეს ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის; იგი აღიარებს დაცვის აუცილებლობას ბუნებრივი რესურსებისას, რომლებსაც მანამდე ნაკლები ეკონომიკური ღირებულებების მქონედ მიიჩნევდნენ, მათი იოლი მოპოვების შესაძლებლობის გამო. მოგვიანებით ხელშეკრულებები იქნა მიღებული, რათა დაცული ყოფილიყო გარემოს კომპონენტები და, ამრიგად, მოხდა ახალი ღირებულებების დამკვიდრება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრინციპების შემცველი დეკლარაციების გადმოტანა ზუსტად არ მოხდება სავალდებულო ხასიათის მქონე აქტებში, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ სახელმძღვანელოდ სახელმწიფოების მიერ კანონმდებლობის მიღების პროცესში.

დეკლარაციები შეიძლება განსაზღვრავდეს ძირითად მიზნებს საერთაშორისო საზოგადოების საორიენტაციოდ. ეს ფუნქცია შეიძლება შევადაროთ სახელმწიფოების შიგნით კონსტიტუციების როლს. ეს არის რიოს დეკლარაციის მნიშვნელობა, რომელიც იცავს მდგრად განვითარებას და აყალიბებს სახელმწიფოების საერთო, მაგრამ განსხვავებულ ვალდებულებებს გარემოს დაცვის სფეროში.

მოქმედებათა პროგრამა შეიძლება მიჩნეულ იქნეს დეკლარაციებით აღიარებული პრინციპების განმარტებად კონკრეტულ გეგმებში. ისინი, აგრეთვე, ითვალისწინებენ გრძელვადიანი გეგმებისა და საშუალებების შემუშავების საჭიროებას. პირველი მოქმედებათა პროგრამა გარემოს დაცვის სფეროში იყო „მოქმედებათა გეგმა გარემოსთვის“, მიღებული 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციაზე. მოგვიანებით კი რიოს 1992 წლის კონფერენციაზე მიღებული „21-ე საუკუნის დღის წესრიგი“. ეს ვრცელი პროგრამა განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფოებისა და საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიის ამოცანებს გარემოს დაცვის სფეროში და ხაზს უსვამს ასეთი სახის ქმედებების დაფინანსების მნიშვნელობას. სტოკჰოლმისა და რიოს პროგრამები საფუძვლად დაედო საერთაშორისო ხელშეკრულებებს, სწავლებებს, აგრეთვე, შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობასაც. ერთ-ერთი მიზეზი მდგრადი განვითარების 2002 წლის მსოფლიო სამიტის მოწვევისა იყო ხელახლა

დადასტურება რიოს „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ შესრულებისა და მისი შემდგომი განხორციელების დაგეგმვა. 2002 წლის მსოფლიოს სამიტზე, შესრულების გეგმასთან ერთად, მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელიც შეიცავდა ამისთვის საჭირო საშუალებებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მდგრადი განვითარების 2002 წლის მსოფლიოს სამიტზე, რომელიც ჩატარდა იოჰანესბურგში 2002 წლის 4 სექტემბერს, მიღებულ იქნა დეკლარაცია მდგრადი განვითარების შესახებ და იმპლემენტაციის გეგმა, რომელიც შედგებოდა 152 პარაგრაფისგან. თუმცა ამ ტექსტების იურიდიული მნიშვნელობა შედარებით ლიმიტირებულია.

#### 4.5. მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციების როლი ეკოლოგიური ხელშეკრულებების შემუშავება-განხორციელებაში ფასდაუდებელია, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ ეს ორგანიზაცია საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის განვითარების საყრდენად იქნეს აღქმული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი კონვენციების ისტორია მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „პირველი თაობის“ ეკოლოგიური კონვენციები, სტოკჰოლმის დეკლარაციის სულისკვეთებით გაკრებულნი, ძირითადად წყლისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამონვლელი პრობლემების დარეგულირების მიზნით გაჩნდა. ეკოლოგიური ხელშეკრულების შექმნის პროცესმა ფართო მასშტაბი მიიღო და ბევრი ორგანიზაციაც ჩაერთო ამ საქმიანობაში. მაგალითად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ ხელი შეუწყო ზღვის დაბინძურებასთან მიმართებით კონვენციების ჩამოყალიბებას (მარპოლის, ლონდონის კონვენცია, 1972). სტოკჰოლმის კონფერენციის შედეგად ახალშექმნილმა საერთაშორისო გარემოსდაცვითმა ორგანიზაციამ (UNEP) აქტიური როლი შეასრულა სხვადასხვა გარემოსდაცვითი ხელშეკრულების შექმნის პროცესში და გაიმყარა თავისი პოზიციები, როგორც სპეციალიზებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ. განსაკუთრებით ორგანიზაციის აქტიურობა დაფიქსირდა 1974 წლის პარიზის „ხმელეთზე არსებული ობიექტებიდან ზღვის დაბინძურების შესახებ“ კონვენციის მიღებისას და რეგიონული საზღვაო პროგრამების განვითარებისას. გაეროს, მასთან, გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ უზრუნველყო ატმოსფერული ჰაერის დიდი ოდენობით ტრანსსასაზღვრო დაბინძურების კონვენციის შემუშავება. საგულისხმოა, რომ ველური და გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვის საკითხმა წინა პლანზე წამოიწია 1970-იან წლებში. გლობალური კონვენციები ამ სფეროში მოიცავენ 1973 წლის კონვენციას „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის შესახებ“; კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ“ (1971). კონვენცია „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ“ (1972), რატიფიცირებული გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის ეგიდით და 1979 არასამთავრობო ორგანიზაცია – გაეროს დაცვის მსოფლიო კავშირის ეგიდით ხელმოწერილი კონვენცია „ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ“. ამ დროის განმავლობაში აგრეთვე მიღებულ იქნა რეგიონული ხელშეკრულებები ველური სამყაროს დაცვის სფეროში, მაგალითად, 1979 წლის კონვენცია „ევროპის ველური სამყაროს დაცვის შესახებ“.

„მეორე თაობის“ ეკოლოგიური კონვენციები სათავეს 1980-იან წლებში იღებენ. ისინი უფრო გლობალური და ყოვლისმომცველი ხასიათით გამოირჩევიან. 1980-1990-იან წლებში მიღებული უმრავლესობა სახელმწიფოთაშორის კონსენსუსს მოითხოვდა. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს ვენის კონვენცია „ოზონის შრის დაცვის შესახებ“ და მონრეალის ოქმი „აღნიშნულ კონვენციაში შესაბამისი ცვლილებების შესა-

ხებ „. 80-იანი წლების კონვენციათა შორის ნიშანდობლივია ხაზი გაესვას კონვენციას „საზღვაო სივრცის შესახებ“, რომელმაც საფუძველი დაუდო ოკეანისა და ზღვის გარემოს დაცვას; ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებზე კონტროლის თაობაზე“ (1989); „კლიმატის ცვლილების“ ჩარჩო კონვენცია (1992) და კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ (1992).

გემოაღნიშნული კონვენციების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის დაცვის ობიექტი პლანეტა დედამიწაა. დაცვის ძირითადი ობიექტის გარდა, არსებობს დაცვის სამართლებრივ რეჟიმში მოქცეული ამ ობიექტის შემადგენელი ნაწილები, ისეთები, როგორებიცაა: მსოფლიო საზღვაო სივრცე, მატერიკები, ატმოსფერული ჰაერი და კოსმოსი. ამგვარად, ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის სამართლებრივ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა გაამყარა გაეროს ხელშეკრულებებმა, რამაც საფუძველი სამართლის ამ დარგის სპეციალიზებული ინსტიტუტების განვითარებას ჩაუყარა, მათ შორის: ატმოსფერული ჰაერის, ტერიტორიული წყლების, ზღვების დაცვის, ნარჩენების მართვის, ნიაღისეული გამოყენების, დაცული ეკოსისტემების სფეროში, რამაც თავისთავად ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებიც გაამყარა. დღესდღეობით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რჩება ყველაზე მძლავრ საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით უზრუნველყოფს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიების შემუშავებასა და განვითარებას. ყოველივე ამის ნათელი დადასტურებაა ის ასეულობით ხელშეკრულება და შეთანხმება, რომლებიც გაეროს ეკიდით სწორედ გარემოს დაცვის სფეროში იქნა მიღებული.

#### **4.6. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის წყაროების აღსრულება**

სამართლებრივი ნორმების აღსრულება ნიშნავს მათ განხორციელებას, რაც გულისხმობს ვალდებული პირის დარწმუნებას და, საჭიროების შემთხვევაში, მის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენებას. თუმცა საერთაშორისო სამართლის აღსრულება არ შეიძლება განხორციელდეს ისეთივე საშუალებებით, როგორებითაც ეს ხდება შიდა სახელმწიფოებრივი კანონების შემთხვევაში. საერთაშორისო საზოგადოებას არ გააჩნია აღმასრულებელი ძალა, პოლიცია ან სავალდებულო იურისდიქცია. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებას აქვს მრავალი საერთაშორისო ინსტრუმენტი, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვის სფეროში, წევრი ქვეყნების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების პრობლემა პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, რადგან საშუალებები და ტექნიკა, რომლებითაც შეიძლება იქნეს მიღწეული ყოველივე ეს, განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. საერთაშორისო სამართლის აღსრულების პოლიტიკის ძირითადი კომპონენტებია: დარწმუნება, საზოგადოებრივი აზრის ზეწოლა, დახმარება და ფინანსური წახალისება, აგრეთვე სრულყოფილი სამართლის ნორმის პროექტების შედგენა და ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში იმ სამართლებრივი ბარიერების აღმოფხვრა, რაც ხელს უშლის საერთაშორისო სამართლის ნორმის იმპლემენტაციას. ეს პოლიტიკა ბევრად უფრო უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლის აღსრულებას, ვიდრე იძულებითი ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი სანქციების გამოყენება.

საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტები ხშირად საუბრობენ მოლაპარაკებების საჭიროებაზე საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების პროცესში. ახალი შეთანხმებები დამყარებულია სრულიად ახლებურ მიდგომებზე. მრავალ შემთხვევაში მოლაპარაკებები წარმატებულად ხორციელდება, როდესაც ის დამყარებულია იმ ელემენტებზე, რომლებიც უკვე არსებობს შიდასახელმწიფოებრივ სამართალსა თუ საერთაშორისო კონვენციებში. ფორმალურად არასავალდებულო ინსტრუმენტებს, როგორებიცაა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციები ან საერთაშორისო კონფერენციებზე, – მაგალითად, სტოკჰოლმის 1972 წლის, ან რიოს 1992 წლის კონფერენციებზე, – მიღებული დეკლარაციები, შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ, რადგან შეიცავენ იმ პრინციპებს, რომლებიც შეიძლება გახდნენ ახალი შეთანხმებების საფუძველი.

გარემოსდაცვითი შეთანხმებების სწორი აღსრულება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეიცავენ გარკვეულ წამახალისებელ ნორმებს ან, სულ მცირე, ეხმარებიან ცალკეულ სახელმწიფოებს თავიანთი ვალდებულებების შესრულებაში. განვითარებადი ქვეყნები უკეთ შეასრულებენ გარემოსდაცვით ხელშეკრულებებს, როცა ისინი წახალისებულია პროექტების დაფინანსებით, შესაძლებლობების გაძლიერებით, ტექნოლოგიებისა და სპეციალური რეჟიმების გადაცემით. ყველა გლობალური გარემოსდაცვითი კონვენცია, რომლებიც მიიღეს 1980 წლიდან, უზრუნველყოფს ტექნოლო-

გიების გადაცემას ან ფინანსურ დახმარებას, მათ შორისაა: ბაზელის 1989 წლის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ (მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი); 1987 წლის მონრეალის ოქმი, რომელშიც ცვლილება შევიდა 1992 წლის ჩარჩო კონვენციით კლიმატის ცვლილებების შესახებ (მე-4 მუხლის მე-3, მე-5, მე-7, მე-10 პუნქტები, მე-11 მუხლი) და ბიოლოგიური მრავალფეროვნების 1992 წლის კონვენცია (მე-16, მე-20 და 21-ე მუხლები).

გარემოსდაცვითი ხელშეკრულების მიღება და მისი შემდგომი აღსრულება ნევრი ქვეყნების მიერ უფრო მარტივია, როცა გათვალისწინებულია ცალკეულ ქვეყანაში ან ქვეყანათა განსაზღვრულ ჯგუფში არსებული პრაქტიკული სიტუაცია. კლასიკური მეთოდია დათქმები, რაც ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრველი მხარე უფლებამოსილია, არ აღიაროს ხელშეკრულების რომელიმე დებულება სავალდებულო იურიდიული ძალის მქონედ. ეს დათქმა გავლენას არ უნდა ახდენდეს ხელშეკრულების არსებით ნორმებზე. საერთაშორისო სამართალში არსებული მეორე მეთოდი არის ჩარჩო ხელშეკრულებები, რომელთა შევსება ხდება დამატებითი ოქმებით. ოქმებზე მიერთება არ არის სავალდებულო ყველა იმ ქვეყნისთვის, რომლებიც ძირითადი ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს. განსხვავებული მეთოდი იქნა გამოყენებული „გაუდაბნობასთან ბრძოლასთან დაკავშირებით იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან სერიოზულ გვალვას და/ან გაუდაბნობას, განსაკუთრებით აფრიკაში“, გაეროს 1994 წლის კონვენციასთან მიმართებით, კერძოდ, კონვენციის დანართებით შემუშავდა განსხვავებული დებულებები სხვადასხვა რეგიონის ან ქვეყნის მიმართ.

როგორც გარემოსდაცვით სფეროში არსებული ცოდნა ცხადყოფს, საშუალებები მუდმივად ვითარდება, რაც იწვევს ხელშეკრულებების არსებულ სიტუაციაზე მორგების საჭიროებას. არსებობს გარემოსდაცვით ხელშეკრულებებში ცვლილებების განხორციელების ორმაგი სისტემა. ტექნიკური დებულებები ხშირად მოცემულია ძირითადი ხელშეკრულების დანართში. ამ დებულებებში, როგორებიცაა, მაგალითად, დაცული სახეობების ან რეგულირებას დაქვემდებარებული ნივთიერებების ნუსხა, შეიძლება, ცვლილება შევიდეს უფრო გამარტივებული პროცედურების შედეგად. კერძოდ, ცვლილებების განსახორციელებლად საკმარისია მონაწილე ქვეყნების უმრავლესობის თანხმობა. ტრადიციულ წესი, რომელიც გულისხმობს ყველა ქვეყნის თანხმობას ცვლილებაზე, ხდება ხელშეკრულების ძირითად დებულებებთან მიმართებით. ეს ორმხრივი პროცედურა ამარტივებს ნევრი სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულებების მიღებასა და იმპლემენტაციას.

ხელშეკრულებების აღსრულების ხელშემწყობი გარემოება შეიძლება გახდეს არასრულყოფილი პროექტების შემუშავება. საკანონმდებლო ტექნიკა უკეთ უნდა გამოიყენებოდეს ხელშეკრულებების მომზადების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი მიღება და იმპლემენტაცია. შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებული პრაქტიკული ღონისძიებები უნდა გაგრძელდეს სამართლებრივი ნორმების მომზადების პროცესში.

ზოგადად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების იმპლემენტაცია და ჯეროვანი შესრულება სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერ შესრულებაზე დამოკიდებულია. ამ მხრივ საერთაშორისო სამართალი საკმაოდ მკაცრია და თითოეული ხელშეკრულების პერმანენტული დარღვევისათვის სახელმწიფოები გარკვეულ სანქციებსა და უფლებების შეზღუდვებს ექვემდებარებიან. მრავალმხრივი ხელშეკრულებების შემთხვევაში საკმაოდ რთულია, გაკონტროლდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს ქმედებები ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით. ამდენად, ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების შედეგად საერთაშორისო სამართალმა დაამკვიდრა ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბების პრაქტიკა. ამ მხრივ საინტერესოა ის სიახლე, რომელიც საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლისთვისაა მეტწილად დამახასიათებელი: მხარეთა კონფერენცია – ეს ის ინსტიტუციური წარმონაქმნია, რომელთა უმრავლესობა გარემოსდაცვით ხარჩო ხელშეკრულებებს ეფუძნება. მაგალითად, 1992 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ხარჩო კონვენციის მე-7 მუხლი ადგენს, რომ კონვენციის უმაღლესი ორგანოა მხარეთა კონფერენცია, რომელიც ვალდებულია, რეგულარულად ამონშებდეს ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობას, ამის მისაღწევად კი იგი უფლებამოსილია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები კონვენციის აღსრულების მეტი ეფექტიანობის მისაღწევად. ამ მიზნით, მხარეთა კონფერენცია ხელს უწყობს მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლას, საჭიროებისამებრ ამონშებს მათ, პერიოდული ანგარიშების მოსმენის გზით, ამზადებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს, ხელს უწყობს დაფინანსების წყაროების მობილიზაციას, ისმენს და იხილავს ინფორმაციებს კონვენციის შესრულების შესახებ კომპეტენტური სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.



## 5. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ძირითადი პრინციპები

ზოგადად, სამართლის პრინციპის შინაარსის განმარტება არცთუ ისე ადვილ საკითხად ითვლება. სამართლის პრინციპი ერთგვარი ინტელექტუალური წყაროა, რომელიც სამართლებრივ დოქტრინებში ინკორპორაციის გზით გამოიყენება სხვადასხვა დოკუმენტის სამართლებრივი ხარისხის შეფასებისა და მიზნების განსაზღვრისათვის. ეს სახელმწიფოთათვის ერთგვარი სახელმძღვანელოა, რომელიც განსაზღვრავს სამართლისა და პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. სამართალში დამკვიდრებული თეორიისა და პრაქტიკის მიხედვით, პრინციპი იერარქიულად ჩვეულებრივ ნორმებზე უფრო მაღლა დგას და ყოველი ქვევის წესი მას უნდა შეესაბამებოდეს. საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული იერარქიის პორიზონტალური სისტემა სწორედ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, როგორც სამართლის ზოგადი პრინციპების შემადგენელ ნაწილს, შეესაბამება და ნებისმიერი ქვევის წესი მასთან უნდა იყოს ჰარმონიზებული.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლისა და, ზოგადად, სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, აერთიანებს და ემყარება ყველა იმ პრინციპს, რომლებიც სახელმწიფოსა და სამართლის დაარსების დღიდან ჩამოყალიბდა და ვითარდება კაცობრიობის განვითარებასთან ერთად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი, როგორც დამოუკიდებელი სისტემა, თვითონ ჩამოყალიბდა სწორედ სამართლის ახალი პრინციპის წარმოშობის საფუძველზე, რასაც გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლის პრინციპი ჰქვია. 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაცია სწორედ ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლის ამ დარგისთვის. სტოკჰოლმის დეკლარაცია, რომელიც პრინციპებისგან შედგება, პირველი ამკვიდრებს საერთაშორისო სამართლის ამ ახალ, დამოუკიდებელ პრინციპს, რომელიც ისევეა შესასრულებლად სავალდებულო მთელი კაცობრიობისათვის, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი.

ამასთანავე, წარმოდგენელია, იარსებოს სამართლის პრინციპმა და იგი არ მოიცავდეს დარგის მარეგულირებელ სხვა პრინციპებს, სწორედ იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც იქმნება სახელმწიფოთა ურთიერთობის მარეგულირებელი პოლიტიკა კონკრეტული მიმართულებით, და სამართლის უზენაესობის მცნების გათვალისწინებით ყალიბდება და ვითარდება ქვევის წესები სხვადასხვა იურიდიული ფორმით. საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის პრინციპები თეორიულად შესაძლებელია სამ ძირითად კატეგორიაში გაერთიანდეს. აქედან პირველ კატეგორიაში ერთიანდება პრინციპები, რომლებიც, ზოგადად, საერთაშორისო სამართლის პრინციპებადაა ცნობილი, მათ შორის, შემდეგი პრინციპები: სახელმწიფო სუვერენიტეტი,

დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა, სამართლის წინაშე თანასწორობა, ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება, სახელმწიფოთა თანამშრომლობა, ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპი და ა.შ.;

მეორე კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს პრინციპები, რომლებიც, ზოგადად, გლობალურ გარემოსდაცვით საკითხებთანაა დაკავშირებული, მათ შორის: მდგრადი განვითარების პრინციპი, ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი, რეციკლირების პრინციპი, რესტიტუციის პრინციპი, სიფრთხილის პრინციპი, „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპი, პრიორიტეტულობის პრინციპი;

მესამე კატეგორიაში შესაძლებელია, გაერთიანდეს პრინციპები, რომელთა საფუძველზეც რეგულირდება ტრანსსასაზღვრო ურთიერთობები გარემოს დაცვის სფეროში, მათ შორის: რისკის შემცირების პრინციპი, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი, წინასწარ შეტყობინების პრინციპი, ინფორმაციის გაცვლის პრინციპი, კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის დაცვის პრინციპი.

ბემოალნიშნული პრინციპებიდან ამ თავში განიხილება ის პრინციპები, რომლებიც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ფორმირებაზე და საკვანძო რგოლია სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებისას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სფეროში, რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ სხვა პრინციპები ნაკლებად მნიშვნელოვანია.

## 5.1. სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპი

სახელმწიფოთა სუვერენიტეტი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უძველესი პრინციპია, რაც ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს, უზენაესობის ამსახველი პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობაა. 1933 წლის მონტევიდეოს კონვენცია „სახელმწიფოთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ“ განსაზღვრავს სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტის, ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს, მათ შორისაა: 1. მუდმივი მოსახლეობა, 2. განსაზღვრული ტერიტორია, 3. ხელისუფლება და 4. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების უნარი, ანუ სახელმწიფოს ძირითადი ნიშანი – სუვერენიტეტი.

სუვერენიტეტის პრინციპის თანახმად, სახელმწიფოს აქვს აბსოლუტური იურისდიქცია მთელ თავის ტერიტორიაზე, მხოლოდ მას აქვს უფლება, შემოიღოს ნორმები და უზრუნველყოს მათი აღსრულება. საინტერესოა, რომ სახელმწიფო ტერიტორია, რომელზეც აბსოლუტური იურისდიქცია ვრცელდება, მოიცავს როგორც სახმელეთო, ასევე საწყლო (მათ შორის, შიდა წყლებსა და აკვატორიას) და მათ თავზე არსებულ საჰაერო საზღვრებს შორის მოქცეულ სივრცეს. 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს ტერიტორიული წყლები მოიცავს 12-საზღვაომილიან საზღვაო სივრცეს, სადაც სახელმწიფოს აბსოლუტური სუვერენიტეტი ვრცელდება. ამავე კონვენციამ, ბუნებრივი რესურსების მოხმარების ინტენსიობის ზრდისა და ამ სფეროში სახელმწიფოთა ურთიერთობების დამატებითი რეგულირების თვალსაზრისით, სახელმწიფოთა საწყლო ტერიტორიების განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ტერმინი და განმარტება დაამკვიდრა, რაც ფარავს 188 საზღვაო მილს, ტერიტორიული წყლების გარდა. ამ ზონის მიზანია სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებულ იურისდიქციის მინიჭება ზღვის ბუნებრივი რესურსების კვლევის, შესწავლის, კონსერვაციისა და მოპოვების სფეროებში. სახელმწიფოთა ექსკლუზიური უფლებამოსილება საკუთარ ტერიტორიაზე ნიშნავს, რომ არცერთ სხვა სუბიექტს საერთაშორისო სამართლისას არა აქვს უფლება, სახელმწიფოს ნებართვის გარეშე განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა ამ ტერიტორიაზე. ეს მიდგომა ასევე გამყარებულია გაეროს წესდების მე-2 მუხლითაც, რომლის მიხედვით, არავის აქვს უფლება, ჩაერიოს სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. ის, რომ გაეროს წესდების ეს მუხლი გარემოსდაცვით საკითხებსაც ეხება, დასტურდება სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე პრინციპით, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, – სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლება, საკუთარი გარემოსდაცვითი პოლიტიკის საფუძველზე მოიხმარონ საკუთარი ბუნებრივი რესურსები. საგულისხმოა, რომ რიოს დეკლარაციის მე-2 პრინციპმა ანალოგიური მიდგომა ჩამოაყალიბა, იმ დამატებით, რომ სახელმწიფოები ბუნებრივი რესურსების მოხმარებას უკვე მდგრადი განვითარების პოლიტიკის ფარგლებში უნდა ახორციელებდნენ.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი ეკოლოგიური ციკლი, ბუნებრივი რესურსების მოხმარების კუთხით, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპის გამოყენებას ერთგვარად

დაბრკოლებებს უქმნის, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გარემოს საზღვრები არა აქვს. მიგრირებადი სახეობები, თევზის რესურსი, მდინარეები, ზღვები, ტბები და ატმოსფერული ჰაერი – მხოლოდ სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმებული ქმედებებისა და სწორი მართვის ობიექტებია, რომელთა გამოყენება ისე უნდა ხდებოდეს, რომ ამით სხვა სახელმწიფოებს საფრთხე არ შეექმნათ. ამასთანავე, საინტერესოა, რომ საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი იცნობს ეგრეთ წოდებულ კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია, არსებობდეს სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ არსებული უბნები, რომლებიც, იმავდროულად, საერთაშორისო სამართლის დაცვის ობიექტებია და სახელმწიფოებს ამ ტერიტორიებზე ქმედებების განხორციელებისას შესაბამისი საერთაშორისო რეგულაციების გათვალისწინება უწევთ, ანუ, გარკვეულწილად, შეზღუდულია მათი აბსოლუტური სუვერენიტეტი. მაგალითად, ასეთია ეგრეთ წოდებული „რამსარის დაცული ტერიტორიები“, რომლებიც იქმნება იმ ქვეყნებში, რომლებიც ქ. რამსარში (ირანში) 1971 წელს მიღებული „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ“ კონვენციის წევრი სახელმწიფოები არიან.

## 5.2. სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპი

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს იმ ძირითად, მისთვის საინტერესო საერთაშორისო საკითხებს, რომლებზეც ურთიერთობის დამყარება სურს სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო სამართალი ადგენს პრინციპს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები ვალდებული არიან, ითანამშრომლონ ერთმანეთთან, მიუხედავად მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების განსხვავებებისა. თანამშრომლობის მთავარია მიზანია, სახელმწიფოებმა დაიცვან საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება და ხელი შეუწყონ საერთაშორისო ეკონომიკურ სტაბილურობასა და განვითარებას.

სწორედ ამ პრინციპს ემყარება ათასობით ხელშეკრულება საერთაშორისო სამართალში, როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი. გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპის პირუთვნელი დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბუნებრივი პროცესების გლობალური მართვა, განსაკუთრებით კი ტრანსსასაზღვრო კონტექსტის გათვალისწინებით, წარმოდგენილია სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის სწორი დაგეგმვის გარეშე. გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობის ყველაზე მყარი და გავრცელებული ფორმაა საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოთა განწევრება, შესაბამისი ხელშეკრულებების მხარეთა კონფერენციებისა და სამდივნოების საქმიანობებში აქტიური მონაწილეობა და ა.შ.

სწორედ სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპის მნიშვნელობას აქვს ხაზი გასმული სტოკჰოლმის კონფერენციის 24-ე პრინციპში, რომელიც ადგენს, რომ გარემოს დაცვისა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხების მართვა საუკეთესოდ მხოლოდ სახელმწიფოთა თანამშრომლობის შედეგად მიიღწევა, და რომ გარემოსათვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ძირითადი საშუალება მათ მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებაა.

ამასთანავე, საინტერესოა მიდგომა, რომელიც ამ მხრივ რიოს დეკლარაციის მე-7 პრინციპმა ჩამოაყალიბა – პლანეტის ეკოსისტემის კონსერვაციის, დაცვისა და ჯანსაღი მდგომარეობის აღდგენის სფეროში სახელმწიფოებს თანამშრომლობის ვალდებულება ეკისრებათ, ამასთან, გარემოს დეგრადაციამ სახელმწიფოთა მიერ სხვადასხვა მოცულობის გავლენის გათვალისწინებით, მათ საერთო, მაგრამ განსხვავებული ვალდებულებებიც აქვთ. ამ მხრივ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებს, რომელთა გავლენა გარემოზე და ფინანსური შესაძლებლობები ამკარად აღემატება განვითარებადი სახელმწიფოებისას.

ასევე საინტერესოა, რომ რიოს დეკლარაციის მე-9 პრინციპი სახელმწიფოთა თანამშრომლობის ეფექტიან მექანიზმებს სთავაზობს კაცობრიობას, მათ შორისაა სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროცესებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაციათა

მუდმივი გაცვლა, რაც ბუნებრივი რესურსების უტილიზაციის პროცესში საუკეთესო ტექნოლოგიების გამოყენების პროცესს უდებს საფუძველს. სახელმწიფოთა თანამშრომლობის საინტერესო მაგალითია, ასევე, რიოს დეკლარაციის მე-14 პრინციპი, რაც შემდგომში კარგად აისახა 1989 წელს ქ. ბაზელში (შვეიცარია) მიღებულ კონვენციაში „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ.“ კერძოდ, ამ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ აკრძალოს ან მკაცრად შეზღუდოს საკუთარ ტერიტორიაზე სახიფათო ნივთიერებებისა და საქმიანობების იმპორტი, სხვა სახელმწიფოები ვალდებული არიან, პატივი სცენ მის გადაწყვეტილებას. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობათა გაღრმავება იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც ინაწილებენ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში ამა თუ იმ ბუნებრივ რესურსებს, მაგალითად, საერთაშორისო მნიშვნელობისა და ტრანსსასაზღვრო მდინარეებს.

### 5.3. მდგრადი განვითარების პრინციპი

მდგრადი განვითარების პრინციპი ეფუძნება საზოგადოების განვითარების ისეთ სისტემას, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. ეს პრინციპი გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის, გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალურად გათვალისწინებით. ამასთანავე, მდგრადი განვითარების პრინციპის მიზანია ბიოლოგიური რესურსების ისეთი გზით და სისწრაფით გამოყენება, რაც მომავალში არ გამოიწვევს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირებას და მას მომავალი თაობები საჭიროებების გათვალისწინებით შეინარჩუნებენ.

ხშირად განვითარებული ქვეყნები, ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეკოლოგიური საკითხების გადაჭრის გზების წინააღმდეგ გამოდიან. მაგალითად, მსოფლიო ბანკის პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბანკის ფინანსურ დახმარებაზე უარი უთქვამთ განვითარებად ქვეყნებს, რადგანაც მსოფლიო ბანკი ამ დახმარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლეოდა, თუ ამ თანხით, ეკონომიკურთან ერთად, ეკოლოგიური პროგრამებიც დაფინანსდებოდა. ძირითადად, განვითარებადი ქვეყნების ამგვარ მიდგომას გარკვეული გამართლება მაინც აქვს, თუ მორალურ მხარეს არ გავითვალისწინებთ. ზოგადად, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკურ განვითარებას ეკოლოგიური ზარალი სდევს თან, თუმცა, როდესაც საუბარია ეკოლოგიურ ზარალზე, იქვე ჩნდება კითხვები: სად არის ამ ზარალის საწყისი და ბოლო ზღვარი? რომელი მომენტიდან დგება რეალური ეკოლოგიური საფრთხე?

შესაძლებელია, გამოითქვას მოსაზრება, რომ ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ერთია და იგი ბუნებრივი რესურსების რაციონალურ სარგებლობასა და მდგრად გამოყენებას ეფუძნება. ყველა შემთხვევაში, ამ საკითხის გადაჭრის ერთადერთი გზა ეკოლოგიური და ეკონომიკური სფეროების ინტეგრაციაა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა იმის საშუალებას იძლევა, რომ ეკონომიკა განვითარდეს გარემოს მართვისადმი უფრო რაციონალური მიდგომით და გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციით. ზემოაღნიშნულმა იდეამ მსოფლიოში აღიარება პოვა და კონცეფციის დონეზე განიხილეს კიდევ სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრაზე. მაგალითად, უკანდაში 1989 წელს გარემოს განვითარების აფრიკულ კონფერენციაზე დელეგატებმა მიიღეს პროგრამა სახელწოდებით: „მოქმედებათა გეგმა: აფრიკის მდგრადი განვითარების

გზაზე“, რომლის საფუძველზე საერთაშორისო განვითარების ბანკებისათვის შემუშავდა ხუთწლიანი სამართლებრივი რეფორმების გეგმა. ეს პროგრამა ეროვნული ეკოლოგიური პოლიტიკის გაძლიერების თვალსაზრისით გამყარებულ იქნა გარემოსა და განვითარების რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის კონფერენციაზე, სადაც მიიღეს „21-ე საუკუნის დღის წესრიგი“. მასში ვკითხულობთ: „ეკონომიკისა და გარემოს დაცვის საკითხების განვითარება უნდა მოხდეს შეთანხმებულად.“

ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინტეგრაციის იდეამ აქტიური გამოხმაურება პოვა სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებშიც. მაგალითად, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ მომზადებულ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სტრატეგიაში ვკითხულობთ: „გარემოს დაცვა საქმიანობის დამოუკიდებელი ერთეული არ არის, ის უნდა განიხილებოდეს კომპლექსურად, ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასა და სხვა საზოგადოებრივ საქმიანობებთან მიმართებით.“

გარემოს დაცვა და შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში საკმაოდ რთული ამოცანაა და მოითხოვს არა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის განსხვავებულ დაგეგმვას, არამედ მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ კულტურულ, მორალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან, რომლებთანაც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობაა დაკავშირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკოლოგიური პრინციპები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ხელისუფლების დაგეგმვისა და განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად უნდა იქნენ. ინტეგრაციის ამგვარ, კომპლექსურ, მიდგომას მხარი დაუჭირეს გერმანიის მრეწველთა ასოციაციის წევრებმა. მათ განაცხადეს: „სამომავლო ეკოლოგიური პოლიტიკა უნდა ინტეგრირდეს ეროვნულ პოლიტიკაში. პოლიტიკის განსხვავებული და, ზოგ შემთხვევაში, კონკურენტული მიმართულებები უნდა იქნეს ოპტიმიზებული, რომელიმე მათგანის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების გარეშე. ეს თანაბრად ეხება გარემოს დაცვას, ენერგეტიკას, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობას. მათი მიზნები და ამოცანები უნდა დაბალანსდეს და შემდგომ აისახოს შეთანხმებულ გადაწყვეტილებაში.“

ეკოლოგიისა და ეკონომიკის ინტეგრაციის თეორია ფართოდაა განხილული გარემოსა და განვითარების საერთაშორისო, ეგრეთ წოდებული ბრუნდტლანდის, კომისიის ანგარიშში: „ჩვენი საერთო მომავალი.“ შემდგომში ამ თეორიამ შეიძინა მდგრადი განვითარების კონცეფციის სახელწოდება. ანგარიშში კონსტატირებულია, რომ თანამედროვე საზოგადოება განვითარების პრობლემებს წააწყდა, რის მიზეზადაც გარემოს მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული ეკონომიკური ზრდის შეფერხება დასახელებული. ავტორთა აზრით, გარემოს დეგრადაცია გამოწვეულია ეკონომიკური განვითარების არასწორი ორიენტირებით. კაცობრიობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად წარმოება ყველაზე მარტივ გზას ირჩევდა: რაც უფრო მეტია მოთხოვნილება, მით უფრო მეტია ბუნებრივი რესურსების მოხმარება. იმდენად, რამდენადაც ბუნებრივი რესურსების გადამეტებულ ექსპლუატაციას ეყრდნობა, განვითარება



რების ამგვარი გზა, ავტორთა აზრით, უპერსპექტივოა, რადგან ეს ბუნებრივი რესურსები ისედაც საკმაოდ გამოფიტულია და მათი პირვანდელი სახით შენარჩუნება უკვე გამორიცხულია, რომ აღარაფერი ითქვას მათ შესაძლო განადგურებაზე. „მომავალ თაობებს ჩვენ დავესხებით „ეკოლოგიურ კაპიტალს“, თუმცა, სამწუხაროდ, ვალის დაბრუნება უკვე აღარ ძალგვიძს.“

ანგარიშის ავტორები, მდგრადი განვითარების მიზნით, აქცენტს აკეთებენ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის მასშტაბების შემცირებაზე, სოფლის მეურნეობისა და მოქალაქეთა მოთხოვნილების ერთგვარი რეგულირების გზით. ამ შემთხვევაშიც, საქმე გვაქვს ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინტერესების ინტეგრაციის აუცილებლობასთან.

#### **5.4. სხვა პრინციპები, რომლებმაც საფუძველი შეუქმნეს გლობალურ და ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვითი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს**

**რისკის შემცირების პრინციპი** – ეს ნიშნავს, რომ საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას ვალდებულია, მიიღოს სათანადო ზომები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. რისკის შემცირების პრინციპი იმავე პრევენციულობის პრინციპია, რაც გარემოს დაცვის ერთგვარი „ოქროს სამართალია“. წარმოდგენილია, ადამიანი სამართლის ძალით წინ აღუდგეს ბუნებრივ პროცესებს, თუმცა სამართლის ძალით შესაძლებელია, განისაზღვროს მექანიზმები, რომლებიც მოსალოდნელ რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს. მაგალითად, 1991 წლის ქ. ესპოოში (ფინეთი) მიღებული კონვენცია „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ იძლევა ნათელ მაგალითს იმისას, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს საქმიანობა ისე, რომ შესაძლო უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. ამასთანავე, გარემოს დაცვის სფეროში მიღებული ყველა ხელშეკრულება სწორედ ზემოაღნიშნულ პრინციპს ემყარება და მასზე დაფუძნებით ადგენს დაბინძურების, ხმაურისა და ვიბრაციის აღკვეთის, გადაშენების საფრთხის წინაშე სახეობების შენარჩუნებისა და სხვა გარემოსდაცვით მექანიზმებს.

**გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპი** – სწორედ რისკის შეფასების პრინციპის შედეგია გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის პროექტირების ან დაგეგმვის დროს ვალდებულია, გაითვალისწინოს და შეაფასოს ამ საქმიანობის შესაძლო ზემოქმედება გარემოზე სამართლით დადგენილი წესით. მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ ესა თუ ის დაგეგმილი საქმიანობა შესაძლოა, გარემოსათვის მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე იყოს, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია, ჩაატაროს საქმიანობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება. გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიზანია, როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლა, ისე განსახორციელებელი პროექტის გარემოზე ყველა შესაძლო ზეგავლენის გამოვლენა და საქმიანობის იმგვარად დაგეგმვა, რომ უზრუნველყოფილი იყოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება.

**გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპი** – ამ პრინციპის თანახმად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა. პრინციპი მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღებისას. გარდა ამისა, პრინციპი მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობას გარემოსთან დაკავშირებული გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკის მომზადების პროცესში და აღმასრულებელი დებულებების და/ან საყოველთაოდ მისაღები სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში. რიო-დე-ჟანე-

იროს 1992 წლის დეკლარაციის ერთ-ერთი ძირითადი ღერძი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობაა. დეკლარაციის მე-10 პრინციპის გარდა, რომელიც უშუალოდ ამ საკითხს ეხება, დეკლარაცია აყალიბებს მთელ რიგს დებულებებისას, რომლებიც ითვალისწინებენ საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიის ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ასევე ხაზგასმულია რიოს კონფერენციაზე მიღებული მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ „21-ე საუკუნის დღის წესრიგში“, რომლის პრეამბულა ადგენს: „მდგრადი განვითარების მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა საზოგადოების ფართო წრეების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთანავე, უშუალოდ მდგრად განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის ურთიერთკავშირმა დღის წესრიგში დააყენა საზოგადოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება. ეს გულისხმობს ინდივიდების, ინდივიდთა ჯგუფებისა და ორგანიზაციების მონაწილეობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, კერძოდ, მათი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ექსპლოატაციისას. ეს პირები შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უზრუნველყოფილნი უნდა იქნნენ მათთვის საინტერესო ნებისმიერი ინფორმაციით, რომელიც შეეხება გარემოზე ზემოქმედებას და, ზოგადად, გარემოსდაცვით ღონისძიებებს.“

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი** – ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. ეს პრინციპიც ასევე ასახულია რიოს დეკლარაციის მე-10 პრინციპში. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს როგორც გარემოს მდგომარეობის შესახებ, ასევე გარემოსდაცვით ინფორმაციაზე. გარემოსდაცვითი ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას როგორც გარემოს ელემენტების შესახებ, ასევე იმ ფაქტორებზე, საქმიანობებსა ან ღონისძიებებზე, რომლებიც მოქმედებენ, ან შესაძლოა, იმოქმედონ გარემოზე, აგრეთვე ინფორმაციას გარემოს ელემენტების ზემოქმედების შესახებ ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

**პრიორიტეტულობის პრინციპი** – ამ პრინციპის მიხედვითაც, ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ზეგავლენა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, შეიძლება შეიცვალოს სხვა ნაკლები საფრთხის შემცველი, თუნდაც უფრო ძვირადღირებული, ტექნოლოგიის გამოყენებით. პრიორიტეტი ენიჭება უკანასკნელს, თუ მისი ღირებულება არ აღემატება ნაკლებად ღირებული ქმედებით მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შედეგად ზარალის ანაზღაურების ხარჯებს. ამ პრინციპის შემადგენელი ნაწილია ასევე ნარჩენების მინიმუმაციის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ისეთ ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მინიმუმაციას; ასევე რეციკლირების პრინციპი, რომლის მიხედვითაც, საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ხელმეორედ გამოყენებად ან გადამუშავებად, ბიოლოგიურად დეგრადირებად ან გარემოსათვის

უნებლად დაშლად ნივთიერებებს, მასალებსა და ქიმიურ ნივთიერებებს.

**პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“** – ამ პრინციპის მიხედვით, საქმიანობის სუბიექტის, ასევე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის ვალდებულებაა აანაზღაუროს გარემოსათვის მიყენებული ზარალი. ეს პრინციპი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) დანერგილია და იგი გარემოს დაცვისთვის ეკონომიკური მექანიზმების ამოქმედების საფუძველია. გამოიყენება სახელმწიფოების მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ქმედებასა თუ რეგულაციებში – ესენია: დაბინძურებაზე ნებართვების/ლიმიტების ან გადასახადების დანესება, დაბინძურების შემცირება/აღმოფხვრის ხარჯების დაკისრება დამბინძურებელზე, დაბინძურების შემცირებისა და თავიდან აცილების ხარჯების პროდუქციის ფასში ასახვის ხელშეწყობა (რათა მომხმარებელმა ყიდვისას გარემოს ნაკლებად დამბინძურებელი პროდუქტები აირჩიოს), სახეცვლილი გარემოს პირველად მდგომარეობაში აღდგენის (რემედიაციის) ან გარემოსადმი მიყენებული ზიანის ვალდებულების დაკისრება ამ ზემოქმედების განმახორციელებელზე და სხვ. ამ პრინციპის რეალიზაციის ერთ-ერთი გზაა პროდუქციის ფასში დაბინძურების ხარჯების ასახვა. ამ ღონისძიების მიზანია, ერთი მხრივ, მწარმის დაინტერესება, რათა მან გამოიყენოს ტექნოლოგიები, რომლებიც გარემოს ნაკლებად აბინძურებს; მეორე მხრივ კი, ეს მიდგომა წარმოქმნის მომხმარებლის დაინტერესებას ასეთი (გარემოსთვის ნაკლებად საზიანო) პროდუქტებით. ეს მიდგომა ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ევროპის მდგრადი განვითარების სტრატეგიაში დეკლარირებულია: „ფასებმა სწორი ბიძგი უნდა მისცეს ბიზნესს, რათა მან განავითაროს ისეთი პროდუქტები და სერვისები, რომლებიც ... გარემოზე ზეწოლას ამცირებს“.

**სიფრთხილის პრინციპი** – ეს როს დეკლარაციის მე-16 პრინციპია და ადგენს, რომ იგი „სახელმწიფოების მიერ, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ძალიან ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული გარემოს დაცვის მიზნით. როდესაც არსებობს სერიოზული ან შეუქცევადი საფრთხე გარემოს დეგრადაციისა, სრული სამეცნიერო კვლევების არარსებობა არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ მიზნით, რომ გადაიდოს გარემოს დეგრადაციის ალკვეთის ეფექტური ეკონომიკური ზომები“. სიფრთხილის პრინციპი შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც რისკის შეფასების პრინციპის გაუმჯობესებული ვერსია. ისევე, როგორც ეს უკანასკნელი, სიფრთხილის პრინციპის მთავარი მიზანაც გარემოზე შესაძლო ზიანის მიყენების ალკვეთა და მინიმუმამდე შემცირებაა, თუმცა იგი უფრო მაშინ გამოიყენება, როდესაც უმოქმედობამ, შესაძლოა, ფართო მასშტაბის შეუქცევადი ზიანი გამოიწვიოს, მაგალითად, სახეობათა გადაშენება. ამასთანავე, ამ პრინციპის პრაქტიკაში დანერგვა საკმაოდ რთული საკითხია, რამეთუ ეფუძნება სამეცნიერო კვლევების ნაკლოვანებას, ანუ, როდესაც ვერ ხერხდება სამეცნიერო დასაბუთება, თუ რა საფრთხე შეიძლება გამოიწვიოს ამა თუ იმ საქმიანობამ – ასეთ შემთხვევაში საკითხი გარემოს დაცვის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, მაგალითად: დანესდეს მორატორიუმი გარკვეული სახეობების გარემოდან ამოღებაზე, გამოყენებულ იქნეს უფრო ძვირადღირებული ტექნოლოგია წარმოებისას და ა.შ.

## 6. საერთაშორისო ინსტიტუტები გარემოს დაცვის სფეროში

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გარემოს დაცვის სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ძალზე დიდია. სწორედ მათი დახმარებით გვარდება წარმოქმნილი ძირითადი ეკოლოგიური პრობლემები საერთაშორისო მასშტაბით. ამდენად, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს იმის დადგენასა და გაანალიზებას, თუ რას მოიცავს ამ ორგანიზაციების საქმიანობა, რა არის ის ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც ამ ორგანიზაციების ეგიდით იქნა გატარებული ამ მხრივ.

როგორც საერთაშორისო სამართლის სხვა დარგების განვითარებაში, ასევე ეკოლოგიური სამართლის ჩამოყალიბება-განვითარებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გაერო, მისი სპეციალიზებული სააგენტოები, დამხმარე ორგანოები და პროგრამები საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის შექმნისა და განვითარების ყველაზე მძლავრი საშუალებაა. აღსანიშნავია, რომ გაეროს წესდება ორგანიზაციას პირდაპირ არ ანიჭებს კომპეტენციას გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებით. გაეროს შესაბამისი მიზნებია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება, ზომების მიღება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების მიზნით და თანამშრომლობის მიღწევა საერთაშორისო ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ ჰუმანიტარული პრობლემების გადასაჭრელად. თუმცა 1960-იანი წლების ბოლოდან ორგანიზაციის პრაქტიკა მისი ძირითადი ორგანოების, კერძოდ გენერალური ასამბლეისა და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) მეშვეობით, მიზნად ისახავდა ამ ფართო მიზნების ინტერპრეტაციას და გამოყენებას, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. გაერო, როგორც გლობალური გარემოსდაცვითი სამართლის მთავარი ფორუმი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის შემუშავებაში, რომლის უნივერსალური ხასიათი მას აქცევს უნიკალურ ინსტიტუტად გლობალური გარემოსდაცვითი გამოწვევების თვალსაზრისით პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გაეროს, სამდივნოს გარდა, აქვს ძირითადი ორგანოები: გენერალური ასამბლეა, უსაფრთხოების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამეურვეო საბჭო და საერთაშორისო სასამართლო. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს თავისი წვლილი აქვს გარემოსდაცვითი სამართლის ფორმირებაში.

1977 წლიდან 2000 წლამდე სამდივნოს დონეზე გაეროს სხვადასხვა სტრუქტურასა და სპეციალიზებულ ორგანიზაციის შორის მოხდა კოორდინაცია. სპეციალიზებული სააგენტოების ხელმძღვანელები წელიწადში რამდენჯერმე იკრიბებოდნენ გენერალური მდივნის თავმჯდომარეობით, გარემოსდაცვითი საკითხების დანიშნულ ოფიციალურ პირთა საბჭოსთან ერთად, რათა მიეღოთ რეკომენდაციები სპეციალიზებული დანესებულებების მიერ გარემოსთან დაკავშირებული ყველა პროგრამის კოორდინა-

ციისთვის. 1992 წლის ოქტომბერში შეიქმნა მდგრადი განვითარების უწყებათაშორისი კომიტეტი (IACSD) შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების მიზნით და გაეროს სხვადასხვა სტრუქტურასა და სპეციალიზებულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გასაუმჯობესებლად მდგრადი განვითარების საკითხებში, მათ შორის გარემოს დაცვის საკითხებში. კომიტეტის ფარგლებში შეიქმნა კოორდინაციის დამხმარე მექანიზმები, რეკომენდაციების ნაციონალიზაციის „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ განხორციელებისა და ფინანსური საკითხების მონიტორინგის მიზნით. 1992 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა მდივანმა დააარსა პოლიტიკის კოორდინაციისა და მდგრადი განვითარების ახალი დეპარტამენტი (DPCSD) ეკონომიკური და სოციალური განვითარების დეპარტამენტში, რომელიც დახმარებას უწევდა ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსა და მდგრადი განვითარების კომისიას. მოგვიანებით იგი გაერთიანდა სხვა დეპარტამენტებთან. იგი ფუნქციონირებას განაგრძობს როგორც მდგრადი განვითარების საკითხებზე პოლიტიკისა და პროგრამების განვითარების მთავარი საკოორდინაციო მექანიზმი, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აკადემიურ და კერძო სექტორთან ურთიერთობების ჩათვლით.

როდესაც საუბარია გაეროს სპეციალიზებულ დაწესებულებებზე, პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას, მათ შორის, ყველაზე სპეციფიკურებს: პირველი, 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციის შედეგად დაარსებული გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ არის მთავარი გარემოსდაცვითი ინსტიტუტი მთელს მსოფლიოში, უფლებამოსილება და რესურსი საკმაოდ შეზღუდული აქვს; მეორე, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), რომლის ძირითადი მიზანი, მართალია, სიღარიბის შემცირება და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაა, თუმცა გარემოს დაცვის კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს; და მესამე, გაეროს მდგრადი განვითარების კომისია (CSD), რომელიც გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის დაარსებიდან 20 წლის შემდეგ, როს კონფერენციის შედეგად, შეიქმნა და მთავარ მიზნად გაეროს ფარგლებში ეკოლოგიური და ეკონომიკური საკითხების კოორდინაცია და ინტეგრაცია განესაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ძალიან ბევრია საერთაშორისო ინსტიტუტი (გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროსაბჭო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია), რომელთა საქმიანობა პირდაპირ თუ ირიბად გარემოს დაცვის საკითხებს ეხება, მიზანშეწონილია, მნიშვნელობიდან გამომდინარე, გემოალინიშნული სამი მთავრობათაშორისი ორგანიზაცია იქნეს განხილული. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს არასამთავრობო სექტორისა და ტრანსნეოგნულ კომპანიების როლი საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებაში, რამეთუ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საერთაშორისო სამართლის სუბიექტები არიან, მათი ზეგავლენა ამ სფეროზე საკმაოდ დიდი და დინამიკურია. ამჟამად მსოფლიოში ფუნქციონირებს 1500-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში. მოღვაწე-

ობის სფეროს გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციები იყოფა სამ ჯგუფად: უნივერსალური, რეგიონალური და სუბრეგიონალური. უნივერსალური ორგანიზაციის (მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) საქმიანობის სფერო მოიცავს მთელ მსოფლიოს; რეგიონალური – ერთ რომელიმე კონტინენტს; და სუბრეგიონალური (მაგალითად, შავი ზღვის კომისია) აერთიანებს ორ ან რამდენიმე ქვეყანას, რომლებიც მდებარეობენ გეოგრაფიული ან ეკონომიკური სუბრეგიონის ფარგლებში და აქვთ საკუთარი სპეციფიკური ინტერესები.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის ამ ნაწილში დეტალურად მიმოიხილება გაეროს მხოლოდ სამი ზემოაღნიშნული ინსტიტუტი, მიზანშეწონილია, ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო ზოგიერთი სხვა ინსტიტუტის მიმოიხილვაც.

გარემოს დაცვის პირველი მუდმივმოქმედი ინტერეროვნულ ორგანიზაცია დაარსდა ჯერ კიდევ 1902 წელს – ფრინველების დაცვის საერთაშორისო საბჭო. 1910 წელს საერთაშორისო ბოლოლოგიურ კონგრესზე გამოტანილი იყო დადგენილება ბუნების დაცვის საერთაშორისო დროებითი კონგრესის შესახებ. 1913 წელს ქ. ბერნში (შვეიცარია) შედგა 18 ქვეყნის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ბუნების დაცვის საერთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ. პირველმა მსოფლიო ომმა შეწყვიტა ამ კომისიის მუშაობა.

1920 წელს პარიზში დაარსდა ბუნების დაცვის საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე არსებობდა. 1945–1947 წლებში ჰოლანდიაში (ქ. ბრიუკენში) გამართულმა კონფერენციებმა დააარსეს ბუნების დაცვის საერთაშორისო ლიგა, რომელიც თავის პირველ გენერალურ ასამბლეაზე ფონტებლოში (საფრანგეთი, 1948 წ.) ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირად იქნა გადაკეთებული. შემდგომში ედინბურგში (შოტლანდია, 1956 წ.) მეხუთე გენერალურ ასამბლეაზე ამ კავშირმა საბოლოოდ დააზუსტა თავისი სახელწოდება და დაერქვა ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი. ამ კავშირის ხელმძღვანელობის ადგილმდებარეობაა ქ. მორუი (შვეიცარია). ეს ორგანიზაცია შექმნილი იყო გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის იმდროინდელი დირექტორის, ცნობილი ბიოლოგისა და ფილოსოფოსის, ილიან ხაკოლის ინიციატივით. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო კავშირი არის ქვეყნების და, აგრეთვე, სახელმწიფოებრივი, საზოგადო და საერთაშორისო ორგანიზაციების თავისებური გაერთიანება. ამჟამად ის აერთიანებს 100-ზე მეტი ქვეყნის 400-ამდე ეროვნულ სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციას და, აგრეთვე, 8 საერთაშორისო ასოციაციას. 25 ქვეყანა მონაწილეობს ამ კავშირში მთავრობის დონეზე. ზოგიერთი ქვეყნიდან განსაკუთრებით ბევრი ორგანიზაცია მონაწილეობს, მაგალითად: აშშ-იდან – 36, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ინგლისიდან – 9, ბელგიიდან – 8 და ა.შ.

## 6.1. გაეროს განვითარების პროგრამა

გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დაარსდა 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციის – „გარემო ადამიანისათვის“ – შედეგად. ეს პროგრამა არის გაეროს პირველი სააგენტო, უშუალოდ გარემოსდაცვითი საკითხებისადმი განსაზღვრული პროგრამით. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს მმართველობითი საბჭო, რომელიც ოთხი წლის ვადით აირჩევა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ამორჩეულ სახელმწიფოთა 58 წარმომადგენლისაგან, აქედან თექვსმეტი წევრი იყო აფრიკის სახელმწიფოებიდან, ცამეტი – აზიიდან, ექვსი – აღმოსავლეთ ევროპიდან, ათი – ლათინური ამერიკიდან და ცამეტი – დასავლეთ ევროპიდან. თვით მმართველობითი საბჭოს სხდომებს შორის იუნეპის მუშაობას უზრუნველყოფენ აღმასრულებელი დირექტორი, მისი სამდივნო და მუდმივი წარმომადგენლები. გაეროს გარემოსდაცვით პროგრამას ემსახურება 500 პროფესიონალი თანამშრომელი, რომელთა 60 პროცენტი განთავსებულია სათავო ოფისში – ქ. ნაირობიში (კენია). თავისი ფუნქციების სრულყოფილად შესრულების მიზნით ორგანიზაციას მსოფლიოს მასშტაბით დაფუძნებული აქვს სამდივნოები და სხვადასხვა ოფისი. რაც შეეხება დაფინანსებას – გლობალური გარემოს დაცვის ფონდი არის ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტრატეგიას. ფონდი მთლიანად დამოკიდებულია წევრ სახელმწიფოთა მიერ გადახდილ ნებაყოფლობით შემოწირულობებზე, ნდობის ფონდზე, ხელშეკრულებებსა და რეგულარულ ბიუჯეტზე. ბოლო წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, საგრძნობლად შემცირდა წევრ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი შემოწირულობების რაოდენობა.

გაეროს განვითარების პროგრამის პროგრამების განყოფილება, რომელიც ნაირობიშია განთავსებული, პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის ძირითადი მიმართულების უზრუნველყოფაზე. ამ განყოფილებაში არის კიდევ შიდა სამსახურები. ერთ-ერთი ასეთია საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განყოფილება, რომელიც ხელს უწყობს სამართლის ამ დარგის განვითარებას, ამზადებს კონვენციებისა და სხვადასხვა ნორმატიული აქტის პროექტებს. სწორედ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ მომზადდა ვენის კონვენცია „ოზონის შრის დაცვის შესახებ“ და მონრეალის ოქმი „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“. ბოლო 30 წლის განმავლობაში 40-ზე მეტი მრავალმხრივი ხელშეკრულება იქნა ხელმოწერილი პროგრამის ეგიდითა და ზემოაღნიშნული საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განყოფილების ავტორობით. მაგალითად, კონვენცია „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის შესახებ“, ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვების შესახებ“, „გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ“ კონვენცია და „რამდენიმე რეგიონალური ზღვის შესახებ“ კონვენცია. ბევრი კონვენციისათვის შექმნილ სამდივნოს გაეროს განვითარების პროგრამა მუდმივ ხასიათს ანიჭებს, მაგალითად, მუდმივმოქმედია „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის შე-



სახებ“ კონვენციის, ბაზელის კონვენციისა და „ველური სამყაროს მიგრირებადი სახეობის დაცვის შესახებ“ კონვენციის სამდივნოები. გარდა ზემოაღნიშნულისა, გაეროს განვითარების პროგრამამ შეიმუშავა „რბილი სამართლის“ ისეთი დოკუმენტები, როგორცაა ბუნების მსოფლიო ქარტია, რომელიც სახელმძღვანელო დოკუმენტია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, მისი დაბინძურების აცილების, ზემოქმედებისა და საფრთხის შეფასების სფეროში. გაეროს განვითარების პროგრამის მმართველმა საბჭომ 27-ე სესიას უმასპინძლა ქალაქ ნაირობიში. შეხვედრაზე გაეროს 193 წევრი ქვეყანა ავტომატურად გახდა ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრი. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაეროს გარემოსდაცვითი ასამბლეის (UNEA) 81-ე პლენარულ შეხვედრაზე, 2014 წელს, მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ჰაერის დაბინძურების, ოკეანეებში პლასტმასის ნარჩენების, ქიმიკატების შესახებ. შეხვედრაზე ასევე გააქტიურდა მსჯელობა ნარჩენებით საზღვაო გარემოს დაბინძურების, ველური სახეობებით უკანონო ვაჭრობისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მიმართულებით.

ამგვარად, გაეროს განვითარების პროგრამა – ეს არის მკაცრი სტრუქტურით განსაზღვრული ორგანიზაცია, რომელსაც საკუთარი წარმომადგენლობები აქვს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი იკვლევს ადგილობრივ გარემოსდაცვით პრობლემებს და სთავაზობს სახელმწიფოებს ამ პრობლემების გადაჭრის თანამედროვე, ტექნოლოგიურად ყველაზე გამართლებულ და ფინანსურად უზრუნველყოფილ მექანიზმებს. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს რატიფიცირებული კონვენციების რეალურად დანერგვას. არსებობს მოსაზრებაც, რომ მისი ძალისხმევის გარეშე თუნდაც ოზონის შრის დამცავი მექანიზმიც კი არ იარსებებდა.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს განვითარების პროგრამის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად სამართალშემოქმედება რჩება, უმნიშვნელოვანესია მისი როლი სხვა მიმართულებებითაც. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ პროგრამის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და შეფასების განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია მსოფლიოს მასშტაბით გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვებაზე, მონიტორინგზე, შეფასებასა და გავრცელებაზე. სწორედ ამ განყოფილების ძალისხმევით შეიქმნა გლობალური ინფორმაციის გაცვლის სისტემა (INFORTERRA), რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო, ტექნიკური და ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მართვას. ეს სისტემა მსოფლიოს 180-ამდე სახელმწიფოში მოქმედებს. როგორც წესი, მისი წარმომადგენლობის ფუნქციას გარემოს დაცვის სამინისტროები ან მათთან გათანაბრებული სტრუქტურები ახორციელებენ. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ასევე ფუნქციონირებს ქიმიური ნივთიერებების საინფორმაციო სამსახური (Clearing House), რომელიც ქიმიური ნივთიერებების წარმოების საუკეთესო პრაქტიკისა და მათი მართვის ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდების შესახებ ინფორმაციას აახლებს და ავრცელებს.

## 6.2. მდგრადი განვითარების კომისია

1992 წლის რიოს კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შექმნილიყო უმაღლესი დონის გაეროს კომისია, რომელიც უზრუნველყოფდა მიღებული „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ აღსრულებას. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მდგრადი განვითარების კომისია. კომისია, როგორც დამოუკიდებელი ერთეული გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ფარგლებში, ფინანსდებოდა გაეროს ცენტრალური ბიუჯეტიდან. კომისია შედგებოდა სამი წლის ვადით შემადგენლობის ერთი მესამედის მიერ არჩეული 53 სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან. წევრობა დაფუძნებული იყო გეოგრაფიული ნიშნით წარმომადგენლობაზე: 13 წევრი აფრიკიდან, 11 – აზიიდან, 10 – ლათინური ამერიკისა და კარიბის კუნძულებიდან, 6 – აღმოსავლეთ ევროპიდან და 13 – დასავლეთ ევროპისა და სხვა ქვეყნებიდან. კომისიის სხდომებზე დასწრების უფლება ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, აკრედიტებულ სახელმწიფოთაშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხოლო ხმის უფლებით მხოლოდ კომისიის წევრები სარგებლობდნენ. გაეროს 1992 წლის 22 დეკემბრის რეზოლუციის თანახმად:

„დაარსდეს მდგრადი განვითარების კომისია შემდეგი მიზნების განსახორციელებლად:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული თუ რეგიონალური ორგანიზაციების ოპერატიულ და დროულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაუწიოს ზედამხედველობა და მონიტორინგი „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ შესრულებას და გაეროს გარემოსდაცვითი სტრატეგიის ინტეგრაციას ფინანსური სტრატეგიების გათვალისწინებით;
2. გააანალიზოს და გაითვალისწინოს მიღებული „რეგიონალური ინფორმაცია და პერიოდული ანგარიში „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ შესრულებისა და იმ პრობლემების თაობაზე, რომლებიც მათ გარემოსდაცვითი საკითხების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ხვდებოდათ, ფინანსური პრობლემების გათვალისწინებით;
3. განიხილოს და ანალიზი გაუკეთოს „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ შესაბამისად შექმნილი დადგენილებების ფინანსურ სტრატეგიასა და ტექნოლოგიების გადაცემის საკითხებს;
4. მიიღოს და გააანალიზოს არასამთავრობო, კერძო თუ მეცნიერული სექტორიდან მიღებული შესაბამისი საჭირო ინფორმაცია;
5. შესაბამისი კონფერენციების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ანალიზი და მონიტორინგი გაუკეთოს გარემოსდაცვითი კონვენციების დანერგვის საკითხს;
6. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დახმარებით რეკომენდაციები მისცეს გაეროს „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ დანერგვასთან დაკავშირებით.“

რეალურად, ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც დაკისრებული ჰქონდა მდგრადი განვითარების კომისიას, საკმაოდ აღემატებოდა მის რეალურ შესაძლებლობას და, ამ-

დენად, კომისია, ძირითადად, ეყრდნობოდა სახელმწიფოთა ნებაყოფლობით ანგარიშებს რიოს „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ თაობაზე, რაც მსოფლიოში მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი სტრატეგიის განხორციელებას შეეხება. აღსანიშნავია, 2002 წლის იოჰანესბურგის სამიტზე – „რიო+“ – გადაწყდა, რომ კომისიის ფუნქციონირებას ჩაანაცვლებს უმაღლესი რანგის შესაბამისი პოლიტიკური ფორუმი.

### 6.3. გაეროს განვითარების პროგრამა

გაეროს განვითარების პროგრამა დაარსებულია 1965 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით გაეროს სპეცფონდისა და გაფართოებული ტექნიკური დახმარების პროგრამის შერწყმის გზით. გაეროს განვითარების პროგრამის ბიუჯეტი 1 მილიარდი აშშ-ის დოლარია, თითქმის ათჯერ უფრო დიდი, ვიდრე გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამისა. ჰყავს 5800 თანამშრომელი მსოფლიოში და, საერთოდ, ერთ-ერთი უდიდესი ორგანიზაციაა გარემოსდაცვით სფეროში. გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა განვითარებადი ქვეყნების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით დაარსდა 1965 წელს. გარემოს დაცვისა და მსოფლიო ეკონომიკური და სოციალური განვითარების მჭიდრო ურთიერთკავშირმა განაპირობა, რომ გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტად გარემოს დაცვა იქცა. გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა თავისი საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით ცდილობს, შეამსუბუქოს გარემოს საერთო მდგომარეობის გაუარესების პროცესი, თუნდაც მსოფლიოში სიღარიბის დაძლევისა და სქესობრივი უთანასწორობის აღმოფხვრის გზით. უშუალოდ გარემოს დაცვას გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამამ დიდი ყურადღება უკანასკნელ წლებში დაუთმო, განსაკუთრებით კი, რიოს „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ მიღების შემდგომ. თავის დაქვემდებარებაში პროგრამამ დააარსა მდგრადი ენერჯისა და გარემოს განყოფილება. ამ განყოფილების მთავარი მიზანია, დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს იმ პროგრამების წარმატებულ განხორციელებაში, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის გზით სიღარიბის დაძლევისა და ქალთა უფლებების მაქსიმალურ დაცვას. მდგრადი ენერჯისა და გარემოს განყოფილება, აგრეთვე, პასუხისმგებელია და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად უზრუნველყოფს განვითარებად ქვეყნებს ტექნიკური დახმარებითა და რეკომენდაციებით მდგრადი განვითარებისათვის.

## 6.4. მხარეთა კონფერენცია

მხარეთა კონფერენცია – იგივე დირექტორთა საბჭო არის თითოეული ხელშეკრულების პოლიტიკის გამტარებელი უმაღლესი ორგანო. როგორც წესი, მხარეთა კონფერენცია იმართება ერთ ან ორ წელიწადში ერთხელ, კონფერენციაზე ხდება ჩატარებული სამუშაოების შეფასება, მონიტორინგი, ანგარიშების მოსმენა და სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა, რეკომენდაციების მომზადება. მხარეთა კონფერენციის ფუნქციების იდენტიფიცირებისათვის შესაძლებელია, თვალი გადავაავლოთ ამონაწერს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მე-7 მუხლიდან:

„1. მხარეები თანხმდებიან, რომ შეიქმნას მხარეთა კონფერენცია.

მხარეთა კონფერენცია, როგორც კონვენციის უმაღლესი ორგანო, პასუხისმგებელია კონვენციის აღსრულებასა და დანერგვაზე, ასევე ყველა იმ საკითხების განხილვაზე, რომლებმაც შეიძლება კავშირი იქონიონ კონვენციასთან, ან თვით კონფერენციის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვაზე;

2. მხარეთა კონფერენციამ პირველსავე სხდომაზე უნდა მიიღოს საკუთარი დებულება და ასევე დაადგინოს ის დამხმარე ორგანოები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ მას გადაწყვეტილების მიღების პროცედურის გამოყენებისას;

3. მხარეთა კონფერენციის პირველი სხდომა უნდა ჩატარდეს არა უგვიანეს ერთი წლისა კონვენციის ოფიციალურ ძალაში შესვლის დღიდან;

4. მხარეთა კონფერენციის სხვა მიმდინარე და საგანგებო სხდომები ტარდება მხარეთა წერილობითი მოთხოვნისა ან მხარეთა ურთიერთშეთანხმების შედეგების მიხედვით.“

რეალურად მხარეთა კონფერენცია კონვენციის აღსრულების უმაღლესი ორგანოა, რომელიც ვალდებულია, რეგულარულად ამონებდეს ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობას და ზოგ შემთხვევაში კვაზისასამართლოს ფუნქციებსაც ითავსებს, როცა იღებს და იხილავს განცხადებებს წევრი სახელმწიფოების სამოქალაქო სექტორიდან, რომლებიც კონვენციის აღსრულების ნაკლოვანებებს ეხება.

## 6.5. სამდივნოები

სამდივნოები პასუხისმგებელი არიან კონვენციების ყოველდღიურ და ეტაპობრივ შესრულებაზე. მათი ძირითადი ფუნქციაა კონვენციის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე მოხსენებების, ანგარიშების მომზადება, კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამეცნიერო კვლევისათვის ხელის შეწყობა და ამ კონვენციების, როგორც სამართლებრივი აქტების, შემდგომი განვითარება-დახვეწისათვის ზრუნვა. ამასთანავე, სამდივნოები ერთგვარ შუამავლურ და დამაკავშირებელ ფუნქციას ასრულებენ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს შორის. არსებობს შემთხვევები, როდესაც სამდივნო ამა თუ იმ ინსტიტუტის სტრუქტურაში შედის – მაგალითად, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა თვითონ ასრულებს სამდივნოს როლს სახიფათო ნარჩენების მართვის, გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვის კონვენციებისა და კლიმატის ცვლილების მონრეალის ოქმისათვის. ამგვარად, სამდივნოების ფუნქციები, ძირითადად, შემოიფარგლება კონვენციის გარშემო ნებისმიერი საჭირო ინფორმაციის შეგროვებით, მხარეთათვის ინფორმაციული თუ სხვა სახის კონსულტაციების განევით, კონვენციის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგით, სხვა კონვენციების სამდივნოებთან ურთიერთობის კოორდინაციითა და მხარეთა მიერ ჩატარებული სხდომების ტექნიკური უზრუნველყოფით.

სამდივნოებისა და მხარეთა კონფერენციების გარდა, კონვენციათა აღსრულებისას წარმოქმნილი ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად იქმნება დამხმარე ორგანოები და კომიტეტები. ბიომრავალფეროვნების კონვენციის 25-ე მუხლით ძალიან კარგადაა განსაზღვრული ის ფუნქციები, რომლებიც ბიომრავალფეროვნების კონვენციის სამეცნიერო, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ორგანოს აკისრია. ეს ორგანო სამაგალითოა ყველა სხვა ანალოგიური ორგანოსათვის:

1. მხარეთა კონფერენციისა და სხვა დამხმარე ორგანოებისათვის კონვენციის დანერგვის საუკეთესო გზების შესახებ რეკომენდაციების მომზადების მიზნით იქმნება ბიომრავალფეროვნების კონვენციის სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური ორგანო. იგი ღიაა ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარისათვის მასში მონაწილეობის მისაღებად და ვალდებულია, რეგულარულად მოამზადოს ანგარიში კონვენციის იმპლემენტაციის თაობაზე მხარეთა კონფერენციისათვის;
2. მხარეთა კონფერენციის მიერ საგანგებოდ განსაზღვრული დებულების თანახმად, ორგანო ვალდებულია: ტექნიკურად და ტექნოლოგიურად შეაფასოს არსებული ბიომრავალფეროვნება; მეცნიერულ-ტექნიკურად შეაფასოს იმ ღონისძიებათა და საშუალებათა სავარაუდო ეფექტები, რომლებიც უნდა ჩატარდეს კონვენციის შესაბამისად; გამოაამკარაოს უახლესი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ბიოლოგიური რესურსებით მდგრადი სარგებლობის თანამედროვე გზები, ეგრეთ წოდებული „ნოუ-ჰაუ“-ები და, შესაბამისად, მოამზადოს რეკომენდაციები; მოამზადოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური რეკომენდაციები და რჩევები საკითხთან დაკავშირებული კვლევების ჩატარებისას და უპასუხოს ყველა იმ ტექნიკურ,

სამეცნიერო, ტექნოლოგიურ თუ მეთოდოლოგიურ შეკითხვებს, რომლებიც მხარეებს შეხვედრის დროს გაუჩნდებათ;

3. ამ ორგანოს სხვა ფუქციონალურ-ოპერაციული თუ ორგანიზაციული საკითხები უნდა გადაწყდეს და დაიხვეწოს მხარეთა კონფერენციებზე.“

ბიომრავალფეროვნების კონვენციის სამეცნიერო, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ორგანოს, ფაქტობრივად, სამეცნიერო-ტექნიკური და კოორდინაციის განვითარების მისია აკისრია, ისევე როგორც ყველა ამ სახის კონვენციისათვის შექმნილ სამეცნიერო, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ორგანოს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ ორგანოთა შეხვედრები იმართება ყოველწლიურად, სადაც ხდება მხარეთა კონფერენციისათვის წარსადგენი წინადადებების პროექტების მომზადება.

გემოლანიშნულ სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური ორგანოს მსგავსად, რამსარის კონვენციისათვისაც შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური საკითხების კომისია, რომელიც, ძირითადად, დაკომპლექტებულია საზოგადოებრივ სანყისებზე მომუშავე ექსპერტებით, რომლებიც რამსარის კონვენციის ბიუროს უწევენ სამეცნიერო-ტექნოლოგიური ხასიათის რჩევა-რეკომენდაციებს. მაგალითად, 1996-1999 წლებში ამ სამეცნიერო-ტექნიკური საკითხების კომისიის მიზანი იყო, რამსარის კონვენციის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, იდენტიფიცირება გაეკეთებინა მსოფლიოში არსებული საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიებისთვის.

## 6.6. არასამთავრობო ორგანიზაციები და ტრანსეროვნული კორპორაციები

საერთაშორისო სამართლის სრულფასოვანი სუბიექტები მხოლოდ სახელმწიფოები და მათ მიერ დაარსებული საერთაშორისო ორგანიზაციებია. საერთაშორისო არასამთავრობო სექტორი არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და, ამდენად, მოკლებულია ნორმაშემოქმედების უფლებას. დღესდღეობით მსოფლიოში შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ არასამთავრობო სექტორმა, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა ჩამოაყალიბეს საკუთარი საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკა, თავი მოუყარეს საჭირო ინფორმაციას საკუთარი წყაროების საშუალებით და საერთაშორისო საგარეო ურთიერთობებში მონაწილეობის მიღების ერთგვარი უფლება მოიპოვეს. არასამთავრობო ორგანიზაციებს შესწევთ უნარი და ძალა იმისა, რომ მოკრიბონ, გააანალიზონ და აითვისონ საჭირო ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაცია მსოფლიო მასშტაბით, დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობები პოლიტიკის გამტარებელ ორგანოებთან ისევე მსოფლიოს მასშტაბით და შექმნან გლობალური ქსელი საკუთარი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

გარემოს დაცვის სფეროში უკანასკნელი წლების განმავლობაში საკმაოდ იმატა არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვმა. ამასთან, გარემოსდაცვითმა მოძრაობამ ერთგვარი გლობალური ხასიათი მიიღო. არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც თუნდაც ერთი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია არ გააჩნდეს. მათი უმრავლესობა ამ სფეროში საერთაშორისო თანადგომისა და თანამშრომლობის ძიებაშია. აშშ ლიდერია გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობის მიხედვით. მთელ მსოფლიოში კი არსებობს საკმაოდ დახვეწილი და კარგად ჩამოყალიბებული ქსელი გარემოსდაცვითი საერთაშორისო და რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციებისა.

თუ ვიმსჯელებთ აშშ-ის მაგალითით, ის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, რომლებიც ამ სახელმწიფოში ფუნქციონირებენ, შესაძლებელია, სამ ჯგუფად დაიყოს: პირველ ჯგუფში შედიან ისეთი დიდი და წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციები, როგორებიცაა: ბუნებრივი რესურსების დაცვის საბჭო (Natural Resources Defence Council), გარემოსდაცვითი ფონდი (Environmental Defence Fund), ველური სამყაროს ეროვნული ფედერაცია (National Wildlife Federation) და სხვ. ყველა ზემოჩამოთვლილ ორგანიზაციას აქვს საკმაო გამოცდილება, ტექნიკური და ფინანსური რესურსი იმისათვის, რომ თავისი საქმიანობა საკმაოდ რთული და სერიოზული გარემოსდაცვითი საკითხების გადასაჭრელად წარმართოს. 1980-იან წლებში თითქმის ყველა ამ ორგანიზაციამ თავის სტრუქტურაში ჩამოაყალიბა საერთაშორისო დეპარტამენტები, რომლებიც ტრანსნაციონალურ გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობენ. ამ ორგანიზაციათა აპარატები შედგება იურისტების, ეკონომისტების, მეცნიერებისა და დარგობრივი სპეციალისტებისაგან, რომლებიც ერთად ცდილობენ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში რეალობად აქციონ დასახული მიზნები;



მეორე ჯგუფში შედიან ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ გარემოსდაცვითი საკითხების დარეგულირების მიზნით არიან შექმნილნი. ამ ჯგუფში შედიან: „ვორლდვათჩი“ (WorldWatch), მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი (World Resources Institute) და საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ცენტრი (Center for International Environmental Law). ზოგიერთი ამ ორგანიზაციის საქმიანობა შესაძლებელია, საკმაოდ ვიწრო ჩანდეს, მაგრამ ისინი რეალურად ეფექტურ საქმიანობას ეწევიან, მაგალითად, მათ სახელებთან არის დაკავშირებული ოზონის ხვრელის შესახებ პრობლემების გადასაჭრელად გეგმების შემუშავება და ღამურების დაცვისაკენ საქმიანობის წამოწყება;

მესამე ჯგუფში კი შედიან ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ როგორც გლობალური გარემოსდაცვითი ქსელის რაღაც კონკრეტული ნაწილები. ამ კატეგორიაში აშკარა უპირატესობას ფლობს ბუნების კონსერვაციის მსოფლიო კავშირი (IUCN- International Union for the Conservation of Nature). ფაქტობრივად, ეს არის ქსელი სამთავრობო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორისა გარემოს დაცვის სფეროში. შემდეგ მოდის დედამიწის საერთაშორისო თანამეგობრობის ორგანიზაცია (Friends of Earth-International), გრინპეისი (Greenpeace International) და მსოფლიოს ველური ბუნების ფონდი (WWF). ამ ჯგუფში ხაზგასმელია ისეთი არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაცია, როგორცაა მსოფლიო გარემოსდაცვითი სამართლის ალიანსი (The Environmental Law Alliance Worldwide) – ეს არის მაგალითი თანამშრომლობაზე დაფუძნებული საერთაშორისო გარემოსდაცვითი ქსელისა, რომელიც შედგება საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისათვის მომუშავე ცამეტი ქვეყნის მეცნიერებისა და იურისტებისაგან. ორგანიზაცია ყოველწლიურად თითქმის ორმოცდაათზე მეტ ქვეყანას უწევს იურიდიულ დახმარებას.

არასამთავრობოთა უმრავლესობას საკუთარი ელექტრონული გვერდი და ფოსტა აქვს, რაც ერთმნიშვნელოვნად აადვილებს მათი კავშირისა თუ საინფორმაციო ბაზის საყოველთაო ხელმისაწვდომობის საკითხს. აშშ-ის გარდა, მსოფლიოში სხვა არსებული არასამთავრობო გარემოსდაცვითი სექტორი თითქმის ისევე ფუნქციონირებს, როგორც ეს აშშ-ის მაგალითით ვიხილეთ. ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ დიდი გამოცდილების, ნიჭიერი კადრებისა და საკმაოდ სოლიდური ბიუჯეტის მქონე ინსტიტუტებს, რომლებიც, ფაქტობრივად, საერთო საქმიანობის გლობალურ ქსელში ერთიანდებიან პროფესიონალური მიღწევადობისა და საქმიანობის ეფექტური განხორციელების საშუალებების ურთიერთგაზიარების გზით. თითოეულ ასეთ ორგანიზაციას აქვს როგორც სათავო, ასევე რეგიონალური და, ზოგ შემთხვევაში, საზღვარგარეთული ოფისები, საიდანაც ისინი ახორციელებენ თავიანთი საქმიანობის ეფექტიანობისა და განხორციელებული პროექტების მიმდინარეობის ზედამხედველობას. მაგალითად, ევროპის გარემოსდაცვითი ბიურო (European Environment Bureau) არის ევროპის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების რეგიონალური ქსელი, რომელშიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაწილიც არის გაერთიანებული. ამ ბიუროს

ოფისი მდებარეობს ბრიუსელში, საიდანაც ის ახდენს გარემოსდაცვითი საკითხების ლობირებას სხვადასხვა ევროპულ ინსტიტუტში.

გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს საკმაოდ კარგად აქვთ ფეხი მოკიდებული გლობალური აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. მაგალითად, სამხრეთ ამერიკას შეუძლია, იტრაბახოს ისეთი დახვეწილი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობით, რომელთა მსგავსი არსად მსოფლიოში არ არსებობს. მათ შორისაა: პერუში – Sociedad Peruana Derecho Ambiental, არგენტინაში – Fundacion Ambiente y Recursos Naturales, მექსიკაში – Centro Mexicano Del Derecho Ambiental, კოსტა-რიკაში – SEDERENA, გვატემალაში – IDEADS და კოლუმბიაში – Fundepublico.

როგორც აღინიშნა, მსოფლიო ტექნოლოგიურმა პროგრესმა – ინტერნეტი, ფაქსიმილუ, ექსპრესგზავნილები, ელექტრონული ფოსტა – ძალზე გააადვილა და გაზარდა არასამთავრობოთა საერთაშორისო გლობალური ქსელის ურთიერთკავშირი და მათ საშუალება მიეცათ, გაიზიარონ ურთიერთსაქმიანობა, გამოცდილება, ინფორმაცია. ამით შეინარჩუნონ ქსელის მუშაობა და იმოქმედონ კოორდინებულად. ეს დინამიკური პროცესი არასამთავრობო სექტორს იმის საშუალებას აძლევს, რომ შეეჭიდოს და გადაჭრას უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი საკითხები.

იმის წარმოსადგენად, თუ როგორ მუშაობს ეს უზარმაზარი არასამთავრობო ქსელი, საკმარისია, ხაზი გავუსვათ თუნდაც გავროს ეკონომიკური კომისიის კონვენციას (ორჰუსის კონვენცია) გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, რაც ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების უშუალო ჩართვას ზემოაღნიშნულ პროცესში. ევროპის გარემოსდაცვითმა ბიურომ და დედამიწის თანამეგობრობის კავშირმა (Friends of the Earth) კი ჩამოაყალიბეს ელექტრონული ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელს ყველა არსებული ხელშეკრულების სიითა და შინაარსით.

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულნი არიან საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ყველა სფეროში. ხშირად სწორედ ასეთი ორგანიზაციები უმზადებენ და უანალიზებენ სამთავრობო უწყებებს გასატარებელი ღონისძიებების გეგმებს. უფრო და უფრო აქტიურად ებმება არასამთავრობო სექტორი სფეროს განვითარებისა და გადანაცვტილების მიღების პროცესში. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ამის ნათელი დადასტურებაა.

ბოლო წლებში არასამთავრობო სექტორი სულ უფრო ხშირად აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო შეხვედრებსა თუ კონფერენციებში, როგორც ერთიანი ოფიციალური დელეგაციის ნაწილი. მაგალითად, აშშ-ის ნებისმიერი საერთაშორისო დელეგაცია აუცილებლად მოიცავს არასამთავრობო სექტორსა და მენარმეებს, როგორც დელეგაციის არაოფიციალურ წარმომადგენლებს. მაგალითად, საერთაშორისო

სო გარემოსდაცვითი სამართლის ცენტრის იურისტები, როგორც აშშ-ის ოფიციალური დელეგაციის წევრები, მონაწილეობდნენ ისეთ კონფერენციებში, რომლებიც მიეძღვნა: ბიომრავალფეროვნების კონვენციას, კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას, სამთავრობათაშორისო შეხვედრას სატყეო საკითხებში და ა.შ.

ზოგ შემთხვევაში არასამთავრობო სექტორი ფორმალურად სახელმწიფოს სახელით გამოდის და წარმოადგენს მას საერთაშორისო ხელშეკრულებებში. მაგალითად, კლიმატის ცვლილების ჩარჩო ხელშეკრულებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებებზე ვანუატუსა და სხვა კუნძულოვან სახელმწიფოებს წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლისა და განვითარების ორგანიზაცია (Foundation of International Law and Development). საერთაშორისო სამართლის განვითარების ცენტრის (CIEL) ადვოკატები ხშირად გამოდიოდნენ მარშალის კუნძულების მთავრობების სახელით ხმელეთიდან ზღვის დაბინძურების შესახებ კონვენციისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებებზე.

რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, მიუხედავად იმ მრავალწლიანი ანტაგონიზმისა, რომელიც არსებობდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, ბოლო წლებში გამოიკვეთა ორივე მხარის აქტიური მცდელობა, თავიანთი საქმიანობა წარმართონ ერთი მიმართულებით, რაც კონსტრუქციული დიალოგების, კონსულტაციებისა და მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის შედეგი იქნება. ურთიერთკავშირის გაძლიერების პირველი მკაფიო მცდელობა იყო რიოს დედამინის სამიტისათვის მზადება და უშუალოდ პროცესის მიმდინარეობა. 1991 წელს ასობით არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ჩავიდა პარიზში, რათა დაეფიქსირებინათ თავისი პოზიცია რიოს სამიტის გეგმისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის, რაც თავისთავად არცთუ ისე ადვილი იყო. შეხვედრა დააფინანსა საფრანგეთის მთავრობამ, მანვე განია განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელთა მგზავრობის ხარჯები. ბევრი დელეგატისათვის ეს იყო პირველი საერთაშორისო შეხვედრა, რომელზეც მათ დასწრებისა და მონაწილეობის საშუალება მიეცათ. ოთხდღიანი შეხვედრის შედეგად კონსენსუსი მიღწეულ იქნა და შეიქმნა წინასწარი გეგმა ძირითადი მიზნებისა სახელწოდებით – „1990-იანი წლების მოქალაქეთა სამოქმედო გეგმა“.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებისა, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებენ გარემოსდაცვითი სამეცნიერო საკითხების გადაწყვეტაში. მაგალითად, ოზონის საკითხების განყოფილებამ შეასრულა გადამწყვეტი როლი ოზონდამშლელი ნივთიერებების გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის დაწესების პროცესში, ხოლო ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების წითელმა წიგნმა კი დიდი გავლენა მოახდინა ველური სამყაროს დაცვის საერთაშორისო და ეროვნულ სტრატეგიებზე.

რაც შეეხება ევრეთ წოდებულ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, მათაც დიდი წვლილი მიუძღვით თანამედროვე საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლისა და, ზოგადად, დარგის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში. მართალია, მათი

როლი საერთაშორისო სამართლის განვითარებაში საკმაოდ რთული იყო და არის, რამდენადაც ხშირად უხდებოდა გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების როგორც გამომწვევ მიზეზებთან, ასევე მათი გადაჭრის გზებთან შეხება. როგორც ითქვა, კორპორაციების ზეგავლენა გარემოსდაცვით, განსაკუთრებით კი, გარემოსდაცვითი სამეწარმეო საკითხებისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებებში საკმაოდ დიდია. გავისხენოთ, თუნდაც, კარგად დაფინანსებული ლობისტთა ჯგუფი, ეგრეთ წოდებული – კლიმატის ცვლილების კოალიცია, ან/და, თუნდაც, გარემოსდაცვითი ვაჭრობის ინფორმაციის კოალიცია. ეს კავშირები შეეხებოდა გლობალური დათბობის, ეკომარკირებისა და ტყის სექტორის გაუმჯობესების ყველა საკითხს, დაწყებული საზოგადოებრივი განხილვებიდან, მოლაპარაკებებიდან და ხელშეკრულებებით დამთავრებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესორგანიზაციების როლი გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში საკმაოდ დიდია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ამგვარი ორგანიზაციების ხშირ შემთხვევაში აქტიურ თანამშრომლობას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, ვეშაპისებრთა ცხოველებზე ნადირობისა და ტროპიკული გაუდაბნობის საკითხებთან მიმართებით) ბიზნესინტერესებმა, კონკრეტულ მთავრობებთან მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე, შეძლეს გლობალური გარემოსდაცვითი ინტერესების დროებით უკანა პლანზე გადაწევა საკუთარი კომერციული ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. კორპორაციებმა საკუთარი ინტერესების გაძლიერებისათვის ჩამოაყალიბეს ტრანსერთოვნილი კოალიცია, რომელიც, გარკვეულწილად, ვეტოს უფლებით სარგებლობს. ამის დადასტურებაა, თუნდაც, ზღვის დაბინძურების აქტუალურობის მიუხედავად, გლობალური ნაოსნობისა და ნავთობის ტრანსპორტირების განვითარება. 1950–1960-იან წლებში ოცდაათი სახელმწიფოს უმსხვილესი სანაოსნო კომპანიის მესაკუთრეებისაგან შემდგარმა ნაოსნობის საერთაშორისო პალატამ და საერთაშორისო საზღვაო ფორუმმა, რომელიც უძლიერესი ნავთობკომპანიების ინტერესებს წარმოადგენს, დიდი ზეგავლენა მოახდინეს ზღვის დაბინძურებისადმი მიძღვნილი კონვენციების შექმნის პროცესებზე. თვით საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია ზღვების დაბინძურების საკითხებზე, დომინირებენ ისეთი მძლავრი სანაოსნო ბიზნესის მქონე სახელმწიფოები, როგორებიცაა: აშშ, ნორვეგია და იაპონია. ამ სახელმწიფოებზე დიდი გავლენა მოახდინა ექვსმა უმსხვილესმა ნავთობკომპანიამ. ფაქტობრივად, გლობალური ნავთობისა და ნაოსნობის საკითხების განხილვისას დღის წესრიგში დგებოდა ის საკითხები, რომლებიც ამ კომპანიების მიერ ტექნიკური გეგმის სახით იყო წარმოდგენილი.

გარემოსდაცვით ასპარეზზე ბიზნესის წარმატების მეორე ნათელი მაგალითია 1970–1980-იან წლებში ოზონის დაცვის აქტუალიზებული საკითხი. ქიმიური ნივთიერებების მწარმოებელმა უმსხვილესმა კომპანიებმა, ასევე ამ ნივთიერებების მომხმარებელმა კომპანიებმა შეაჩერეს საერთაშორისო მცდელობა, მიმართული ქლორფტორნახშირბადის (CFC) ატმოსფეროში გაფრქვევის აკრძალვისაკენ. მსოფლიოში ფუნქციონირებდა ცხრა უდიდესი ქლორფტორნახშირბადის მწარმოებელი კომპანია აშშ-იდან,

საფრანგეთიდან, გაერთიანებული სამეფოდან და იაპონიიდან. მსოფლიო ქლოროფლუოროკარბონის მარაგის ერთი მეოთხედის მწარმოებელმა აშშ-ის კომპანია „დუპონდმა“ და კიდევ ოთხმა ქლოროფლუოროკარბონის მწარმოებელმა კომპანიამ შეძლეს, შეეჩერებინათ გლობალური ოზონის დამცველი პოლიტიკის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესი და ეს ყველაფერი მას შემდეგ, რაც სამეცნიერო დონეზე ათწლიანი კვლევის შედეგად დადასტურებულ იქნა გარემოსათვის ქლოროფლუოროკარბონის მავნე ხასიათი. რა თქმა უნდა, 1970-იანი წლების შემდგომ პერიოდში ეტაპობრივად მოხდა ქლოროფლუოროკარბონის მასობრივი წარმოება და გამოყენება.

## 6.7. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) შეიქმნა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1947 წელს. მისი შექმნის მიზანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ეკონომიკის აღდგენის ხელშეწყობი ღონისძიებების წამოწყება და აღსრულება იყო, ისევე როგორც ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნება და განმტკიცება, როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა ქვეყნებთან. კომისია შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის შუამდგომლობით, რომელმაც ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს მოუწოდა, შეექმნა კომისია, რათა ეფექტიანი დახმარება გასწეოდათ მეორე მსოფლიო ომის შედეგად დაზარალებულ ქვეყნებს. რადგან კომისია შეიქმნა ცივი ომის დასაწყისში, მას „რკინის ფარდის“ გამო სირთულეები შეექმნა ევროპის ეკონომიკური აღდგენის მანდატის მისაღწევად. რეალურად, კომისიის მუშაობა მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთისათვის საინტერესო საკითხებით შემოიფარგლა, რათა არ გამოენჯია დაპირისპირება. ამასთან, საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის საქმიანობა გარემოსდაცვით სფეროში 1971 წლიდან იწყება, როდესაც შეიქმნა კომისიის მრჩეველთა ჯგუფი გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, რომელმაც დააარსა გარემოსდაცვითი პოლიტიკის კომიტეტი (CEP), ყოველწლიური შეკრების მანდატით. კომიტეტი უზრუნველყოფს კოლექტიური პოლიტიკის ჩამოყალიბებას გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში, ამზადებს მინისტრების შეხვედრებს, შეიმუშავებს სხვადასხვა საერთაშორისო გარემოსდაცვით წყაროს და მხარს უჭერს საერთაშორისო ინიციატივებს რეგიონში. კომიტეტის მთავარი ფუნქცია მხარე სახელმწიფოების მხარდაჭერაა გარემოსდაცვითი მმართველობისა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გასაზრდელად, აგრეთვე მიზანია, რეგიონალური გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების ეფექტიანობის ზრდა, მონიტორინგი და რეგიონში მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მთავარი მიზანია, შეაფასოს ქვეყნების საქმიანობა, რაც მიმართულია გარემოს დაბინძურების პრევენციისკენ, დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების რაციონალურ მოხმარებასთან. კომისია ეხმარება წევრ სახელმწიფოებს ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ინტეგრირებაში, ერთმანეთთან თანამშრომლობის განმტკიცებაში, გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და პოლიტიკის ჰარმონიზაციაში. ამასთან, კომისია, დიდ აქცენტს აკეთებს საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობაზე გარემოსდაცვითი საკითხების გადანყვეტის პროცესში და შეიძლება ითქვას, რომ გარემოსდაცვითი დემოკრატიისა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მთავარი გარანტორია.

ამასთან, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია აკონტროლებს მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების აღსრულების საერთო პროცესს რეგიონში. განსა-

კუთრებით საინტერესოა კომისიის საქმიანობა შემდეგი კონვენციების აღსრულების კუთხით: კონვენცია „ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“, ორჰუსის კონვენცია, კონვენცია „შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო ჰაერის დაბინძურების შესახებ“, კონვენცია „ტრანსსასაზღვრო წყალსატევებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ და კონვენცია „სამრეწველო ავარიების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ“.

საინტერესოა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის როლი, რეგიონში ტყეების, ხის წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ სტატისტიკის შეგროვებასა და გამოქვეყნებაში. კომისია ასევე აქტიურია ტრანსპორტის მართვის საკითხებში და ამ მხრივ ეკომეგობრული ტრანსპორტის გამოყენებისა და მდგრადი ურბანული მობილობის ხელშემწყობი არაერთი ინიციატივის შემქმნელია.

1979 წლის შემდეგ გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ფარგლებში შემუშავდა 16 საერთაშორისო სავალდებულო დოკუმენტი – 5 კონვენცია და 11 ოქმი – ჰაერის დაბინძურების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, საწარმოო ავარიების, ტრანსსასაზღვრო წყლების, წყლისა და ჯანმრთელობის და საზოგადოების მონაწილეობის შესახებ. ეს ხელშეკრულებები, რომლებიც საერთოევროპული სამართლებრივი ჩარჩოს მნიშვნელოვანი ელემენტებია, ასევე ქმნიან ეფექტურ საშუალებებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყოფილი გამყოფი ხაზის გადასალახავად და პანევროპულ იურიდიულ და ეკონომიკურ სივრცეში გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ინტეგრაციისთვის.

## 6.8. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO) გაეროს სპეციალიზებული სააგენტოა, რომელიც 1982 წლამდე სამთავრობათაშორისო საზღვაო საკონსულტაციო (IMCO) ორგანიზაციის სახელით არსებობდა. იგი 1948 წელს შეიქმნა. საწყის ეტაპზე ორგანიზაციის მიზანი საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების ხელშეწყობა და მასთან დაკავშირებული ზედმეტი შებლუდვების მოხსნა იყო, მისი სადამფუძნებლო დოკუმენტის 1948 წლის ტექსტში გარემოსდაცვითი საკითხები საერთოდ არ იყო ნახსენები. თუმცა IMO-ს ორგანიზაციის ამოქმედებამდე ზღვის ნავთობით დაბინძურების პრობლემა საკმაოდ აქტუალური გახდა, „ნავთობით დაბინძურების პრევენციის შესახებ“ 1954 წელს მიღებული კონვენცია (OILPOL) ამის ერთ-ერთი დადასტურებაა. ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა 1967 წლის შემდეგ, როდესაც ლიბერიის დროშის ქვეშ მცურავი ნავთობის ტანკერი, სახელიად „Torrey Canion“ ინგლისის ნაპირებთან რიფს შეეჯახა, რის შედეგადაც 30 000 ტონა ნავთობი ჩაიღვარა წყალში და 100 მილის სიგრძის სანაპირო ზოლზე გავრცელდა დაბინძურება. ეს იყო ერთ-ერთი გარდამტეხი მოვლენა საერთაშორისო საზოგადოებისათვის, რომელმაც გააცნობიერა ზღვის გარემოს ნავთობით დაბინძურების მძიმე შედეგების თავიდან აცილებისათვის ახალი სამართლებრივი მექანიზმების შემოღების საჭიროება. ტორი კენიონის შემთხვევის შედეგად წარმოშობილ სამართლებრივ პრობლემებთან გამკლავების მიზნით IMO-ს დაემატა იურიდიული კომიტეტი, მოგვიანებით შეიქმნა უშუალოდ ზღვის გარემოს დაცვის კომიტეტი, 1975 წელს კი ცვლილება შევიდა მის სადამფუძნებლო დოკუმენტში და მის მიზნებს დაემატა „გემებიდან ზღვის დაბინძურების პრევენცია და კონტროლი“. IMO, ზღვის გარემოს დაცვის კომიტეტისა და მისი ქვეკომიტეტების დახმარებით, ახორციელებს მონიტორინგს, მისივე ხელშეწყობით მიღებული ისეთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების შესრულებაზე, როგორებიცაა: „ნარჩენებით ზღვის გარემოს დაბინძურების შესახებ“ ლონდონის 1972 წლის კონვენცია, „გემებიდან დაბინძურების პრევენციის შესახებ“ 1973-1978 წლების კონვენცია (MARPOL) და სხვა, რაც ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.



## 6.9. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ეუთო (OSCE) არის რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია. ეუთო შეიქმნა გაეროს წესდების მე-7 თავის შესაბამისად, ევროპაში კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისის მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: შეიარაღების კონტროლი, გაეროს პრევენციული დიპლომატია, ნდობისა და უსაფრთხოების მიღწევის ზომები, ადამიანის უფლებები, არჩევნების მონიტორინგი, ეკონომიკური და გარემოს დაცვის საკითხები. 1975 წლის ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი ეუთოს ფუძემდებლურ დოკუმენტად მიიჩნევა, რომელსაც ხელი 35-მა სახელმწიფომ მოაწერა. ეს აქტი, მიუხედავად იმისა, რომ არ არის საერთაშორისო ხელშეკრულება, უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ დოკუმენტად მიიჩნევა, რომლის მიზანი იყო, შეესუსტებინა „ცივი ომით“ გამოწვეული დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. 1990 წლამდე ეუთო ფუნქციონირებდა როგორც შეხვედრებისა და კონფერენციების ფორუმი, რომელიც ადგენდა სახელმწიფოთა და მოქალაქეთა მოქმედების წესებს და პერიოდულად მიმოიხილავდა მათ შესრულებას (ამ დროს მისი სახელწოდება იყო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი – ეუთო). პარიზის 1990 წლის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ეუთო ახალ კურსს დაადგა. ეუთოს უსაფრთხოების მიმართ აქვს ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ-სამხედრო, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით და ადამიანურ ასპექტებს. ეუთოს მანდატი მოიცავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, მათ შორისაა: შეიარაღების კონტროლი, ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომები, ადამიანის უფლებები, ეროვნული უმცირესობები, დემოკრატიზაცია, პოლიციის სტრატეგიები, ანტიტერორისტული და ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სფეროები. ეუთოს წევრ 57 სახელმწიფოს აქვს თანაბარი სტატუსი და გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსის საფუძველზე, პოლიტიკურად, მაგრამ არა იურიდიულად სავალდებულო საფუძველზე.

ამასთან, ეუთო აღიარებს გარემოსა და უსაფრთხოებას შორის მჭიდრო კავშირს და მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაღრმავებას გარემოსდაცვით საკითხებში და მიიჩნევს, რომ გარემოსდაცვით სფეროში თანამშრომლობა კონფლიქტების თავიდან აცილების, ორმხრივი ნდობის აღდგენისა და კეთილშემზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბების ერთ-ერთი საფუძველია. საერთაშორისო ორგანიზაციებთან, წევრ სახელმწიფოებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობით ეუთო მხარს უჭერს პროექტების დაფინანსებასა და განხორციელებას ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით წყლის მდგრადი მართვის საკითხები, კატასტროფების რისკის შემცირება, კლიმატის ცვლილების მიტივაცია და მასთან ადაპტაცია, ნარჩენების მართვა და უსაფრთხო განთავსება. ეუთო ასევე მუშაობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების, გარემოსდაცვითი გადაწყვე-

ტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობისა და გარემოსდაცვით საკითხებში სამართლიანობის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობად, განსაკუთრებით ორჰუსის ცენტრების საშუალებით. ამასთან, ეუთო უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების ურთიერთანამშრომლობის გამტკიცებას ენერგეტიკის სფეროში, რასაც პირდაპირი გავლენა აქვს გარემოსდაცვით საკითხებზე, მათ შორის, ენერგოეფექტიანობისა და მწვანე ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით.

ეუთოს მთავარი ორგანო, რომელიც გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობს, არის ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის კოორდინატორის აპარატი, რომელიც ახორციელებს შესაბამის პროექტებს წევრ სახელმწიფოებში და მონიტორინგს უწევს მათ ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით. 2003 წლიდან ეუთომ შეიმუშავა და დააარსა ახალი ინიციატივა, რომლის ფარგლებში საკმაოდ ეფექტიანად თანამშრომლობს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ზემოაღნიშნული გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ინიციატივის (ENVSEC) ფარგლებში, ეუთო მუშაობს მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ეკოლოგიური თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში.

ამასთან, საინტერესოა ის კონკრეტული მიმართულებებიც, რაც დღესდღეობით ეუთოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის უშუალო ინტერესის სფეროა. ეს მიმართულებებია: ადგილობრივი, ეროვნული და რეგიონული შესაძლებლობების გაძლიერება გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ უსაფრთხოებაზე; გარემოსდაცვითი კანონმდებლობის, სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავება საერთაშორისო რეგულაციებთან ჰარონიზაციის მიზნით; კლიმატის ცვლილებისა და უსაფრთხოების თანაფარდობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება და ტრანსსასაზღვრო კლიმატის ცვლილების ადაპტაციის სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა; კატასტროფების მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენის ხელშეწყობა როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო დონეზე; გარემოსდაცვითი დანაშაულების გამოვლენისა და პრევენციის შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის საზღვრებზე; სახიფათო ნარჩენებისა და ნივთიერებების მდგრადი მართვის ხელშეწყობა; გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და გამჭვირვალობისა და საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მართლშეპყლების ხელმისაწვდომობა გარემოსდაცვით საკითხებში; ქალთა და ახალგაზრდობის გენდერული ინტეგრაციისა და გარემოსდაცვით საქმიანობაში ეფექტიანი ჩართულობის ხელშეწყობა; რეგიონული შესაძლებლობების განვითარება და მდგრადი ენერჯის შესახებ ცნობიერების ამაღლება, არაბირთვული კრიტიკული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის საფრთხეების მოგვარება და სხვ.

## 7. მართვის მექანიზმები გარემოს დაცვის სამართალში – რეგულირების ზომები და სტანდარტები

ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც გარემოს დაბინძურების, დეგრადაციის პრევენციის, ბიომრავალფეროვნების რაციონალური მოხმარებისა და კონსერვაციის პროცედურულ საკითხებს განსაზღვრავენ. გარემოსათვის მიყენებული ზიანის პრევენციის ვალდებულება გულისხმობს იმ ზომების გამოყენებას, რომელთა მეშვეობით თავიდან იქნება აცილებული, შემცირებული ან აღმოფხვრილი ზიანის რისკი. ბევრი საერთაშორისო შეთანხმება მოიცავს ვალდებულებას ან რეკომენდაციებს ქვეყნების მიმართ, რათა შეიმუშაონ ამ საკითხის მომწესრიგებელი კანონები და რეგულაციები. ზოგადად, საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს გარემოსათვის მიყენებული ტრანს-სასაზღვრო ზიანის პრევენციის ზომებს, აგრეთვე დამატებით ინსტრუმენტებს, რათა შემსუბუქებულ ან თავიდან აცილებულ იქნეს ტრანსსასაზღვრო ზიანი საქმიანობისას ან ავარიული შემთხვევების დროს.

საერთაშორისო შეთანხმებები განსაზღვრავენ, რომ სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ სტანდარტები იმ პროდუქციასა და პროცესებზე, რაც ზეგავლენას ახდენს გარემოზე. ზოგჯერ შეთანხმებები თავად შეიცავენ სტანდარტებს, რომლებიც უნდა იყოს აისახოს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში. სტანდარტები არის ნორმები, რომლებიც არეგულირებს პროდუქციას და პროცედურებს, ან აწესებს ლიმიტს დამაბინძურებლების ან ემისიების რაოდენობაზე. რეგულირების სუბიექტების მიხედვით, შეიძლება გამოიყოს სტანდარტების ხუთი კატეგორია:

- **პროცედურული სტანდარტები** ადგენს მოთხოვნებს ან პროცედურებს უძრავი მონყობილობების მიმართ, როგორებიცაა, მაგალითად, სანარმოები, ან მოიცავს მეთოდებისა და ზომების ჩამონათვალს ცალკეული ქმედებების მიმართ, როგორებიცაა, მაგალითად, თევზაობა ან ნადირობა. ქვეყნებში მოქმედი კანონები აწესებს ვალდებულებას სანარმოების მიმართ, ააშენონ გამწმენდი ნაგებობები ან ფილტრაციის სისტემები. საერთაშორისო პროცედურული სტანდარტები, აგრეთვე, მოითხოვენ სახიფათო ნარჩენების დანვას, დრიფტული ბადით თევზჭერის აკრძალვას (1989 წლის „დრიფტული ბადით თევზაობის შესახებ“ კონვენცია) და სახიფათო პროცედურების, მაგალითად ბიოტექნოლოგიის, შეჩერებას (ევროკავშირის დირექტივები).

პროცედურული სტანდარტები ხშირად გამოიყენება იმ სახიფათო პროცედურების დასარეგულირებლად, რომლებიც შეიცავენ უბედური შემთხვევების ან სხვა საშიშროების რისკებს. „ომონის შრის შესახებ“ მონრეალის ოქმი მოუწოდებს მონაწილე ქვეყნებს,

აკრძალონ ან შეზღუდონ არანეკრი სახელმწიფოებიდან ოზონდამშლევი ნივთიერებისგან ნაწარმოები პროდუქციის იმპორტი. გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ ავალდებულებს ნევრ სახელმწიფოებს, მიიღონ ზომები იმგვარი დაბინძურების პრევენციისთვის, რასაც ინვევს ზღვის ფსკერის ბუნებრივი რესურსების გამოკვლევისა თუ ექსპლუატაციისთვის გამოყენებული მონყობილობები და ტექნიკური საშუალებები. იგი შეიცავს პრაქტიკულ ზომებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ავარიული და უბედური შემთხვევები. ასევე საინტერესოა, რომ ევროკავშირის 82/501/EEC დირექტივაში ჩამოთვლილია სახიფათო საქმიანობების კატეგორიები და დირექტივა პირდაპირ ავალდებულებს ნევრ სახელმწიფოებს, შეიმუშაონ რეგულაციები, რაც დაავალდებულებს დირექტივაში ჩამოთვლილი საქმიანობის განმახორციელებელს, მიიღოს შესაბამისი უსაფრთხოების ზომები და მიანოდოს საწარმოში მომუშავე პერსონალს ინფორმაცია, ჩაუტაროს ტრენინგები და აღჭურვოს იმ მონყობილობებით, რაც უზრუნველყოფს დასაქმებულების უსაფრთხოებას. გარდა ამისა, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა მიანოდოს ინფორმაცია შესაბამის სახელმწიფო ორგანოს წარმოებაში გამოყენებული იმ სახიფათო ნივთიერებათა შესახებ, რომლებიც ჩამოთვლილია დირექტივის დანართში. სახიფათო ნივთიერებათა სახეები: ტოქსიკური, კოროზიული, ფეთქებადი, კარცინოგენული, მუტაგენური ან აალებადი. საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და მიიღოს ზომები დამდგარი შედეგების აღმოსაფხვრელად, აგრეთვე ინფორმაცია მიანოდოს რისკის ქვეშ მყოფ პირთ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ავარიული სიტუაციის შემთხვევაში. ემისიის სტანდარტებისგან განსხვავებით, პროცედურული სტანდარტები აწესებს წარმოებაში გამოსაყენებლად ნებადართული საშუალებების ნუსხას და დამაბინძურებელს არ შეუძლია, გამოიყენოს სხვა მეთოდი ზიანის რისკის ან ემისიის შესამცილებლად. საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმის შესაბამის პროცედურულ სტანდარტებს იმპორტირებული პროდუქციისთვის ადგენს ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება (GATT), ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO).

- **პროდუქციის სტანდარტები** გამოიყენება იმ პროდუქციის მიმართ, რომლებიც შექმნილი ან წარმოებულია საზოგადოების მოხმარებისთვის. ეს სტანდარტები არეგულირებს:

- ა) ნივთების ფიზიკურ და ქიმიურ შემადგენლობას. მაგალითად, ის ადგენს რეგულაციებს, რომლებითაც კონტროლდება გოგირდის შემადგენლობა სანვაკში ან იმ ნივთიერებების ჩამონათვალს, რომლებიც აკრძალულია ცალკეული პროდუქციის შემადგენლობაში, მაგალითად, ვერცხლისწყლის შემადგენლობა პესტიციდებში;
- ბ) პროდუქტის ტექნიკურ შემადგენლობას, როგორებიცაა: დამაბინძურებლების, სატრანსპორტო საშუალებების ხმაურის ემისიის ან განსამღვრული სპეციფიკური კომპონენტების მაქსიმალური დონე;
- გ) ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარებასა და შეფუთვასთან დაკავშირებულ პროცედურებს. შეფუთვასთან დაკავშირებული რეგულაციები ფოკუსირებუ-

ლია ნარჩენების მინიმალიზაციასა და უსაფრთხოებაზე. პროდუქციის მარკირება ისე უნდა იყოს გამოყენებული, რომ მომხმარებელს მიეწოდოს ინფორმაცია პროდუქტის შემადგენლობისა და მისი ნებადართული გამოყენების თაობაზე. ამასთან ერთად, ე.წ. „მწვანე მარკა“ სულ უფრო ხშირად გამოიყენება გარემოსათვის უსაფრთხო პროდუქციის საიდენტიფიკაციოდ. პროდუქციის სტანდარტები დაფუძნებულია მის ნორმალურ გამოყენებაზე, ხოლო მარკირების მოთხოვნები მიზნად ისახავს პროდუქტის არასწორი გამოყენების, დაღვრის ან არასწორი განლაგების შედეგად გარემოსათვის მიყენებული მოულოდნელი ზიანის თავიდან აცილებას.

ზოგადად, პროდუქციის სტანდარტები დგინდება მთელი ინდუსტრიული პროცესისა და საწარმოო ციკლების მიმართ. ამასთან, ახალი სტანდარტები დგინდება პერიოდულად, რათა წარმოებისას გამოყენებულ იქნეს ის საუკეთესო გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, რომლებიც გარემოს დაბინძურებასა და დეგრადაციას მინიმუმამდე დაიყვანს. მაგალითისთვის, „გემებიდან ზღვის დაბინძურების პრევენციის შესახებ“ კონვენცია ადგენს, რომ ახალი ნავთობის ტანკერების კონსტრუქცია უნდა იყოს აგებული ეგრეთ წოდებული „ორმაგი კორპუსით“. ასევე, საინტერესოა ხელშეკრულებები, რომლებიც ახალ სტანდარტებს აწესებენ ოზონდამშლელი ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობის აკრძალვისა და ამგვარი ნივთიერებების წარმოებიდან ამოღების მიმართულებით.

- **ემსიის სტანდარტები** განსაზღვრავს დამაბინძურებლების დასაშვებ რაოდენობასა და კონცენტრაციას, რომელიც შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა საწარმოო წყაროდან. ეს დაბინძურების ისეთი წყაროებია, რომლებიც გავლენას ახდენს გრუნტის წყლებზე, ჰაერსა და ნიადაგზე. ემსიის სტანდარტები შეიძლება ერთმანეთისგან განვასხვაოთ დამაბინძურებლების რაოდენობისა და წარმოების ციკლის პოტენციალის მიხედვით, რომლის ფარგლებში შესაძლებელია განეიტრალებდეს დამაბინძურებლები. განსხვავებული სტანდარტები შეიძლება იქნეს გამოყენებული კონკრეტული კლიმატის გარემოებების დროს, მაგალითად: მუდმივი ნისლის, ქარისა ან ცხელი კლიმატის ტემპერატურების დროს. ემსიის სტანდარტებს შეიცავს მრავალი გარემოსდაცვითი ხელშეკრულება, მათ შორის: შორ მანძილებზე ტრანსსასაზღვრო ჰაერის დაბინძურების შესახებ 1979 წლის კონვენცია და მისი ოქმები, ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის შესახებ 1985 წლის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების შეთანხმება, რეგიონალური საზღვაო შეთანხმებები, ქიმიური ნივთიერებებისა და ქლორიდების შესახებ კონვენციები, გემებიდან ზღვის დაბინძურების პრევენციის შესახებ კონვენცია, კლიმატის ცვლილებების კონვენცია და სხვ.

ძირითადად, ემსიის სტანდარტები ეხება სტაციონარულ ობიექტებს, ისეთებს როგორებიცაა: შენობები, მათ შორის, საწარმოები და სახლები; დაბინძურების მობილური წყაროები კი უფრო ხშირად რეგულირდება პროდუქციის სტანდარტებით. ემსიის

სტანდარტები აფუძნებს ვალდებულებებს შედეგთან მიმართებით, ვინაიდან აძლევს შესაძლებლობას საქმიანობის განმარტაციულ ელემენტებს, აირჩიოს, თუ რომელ საშუალებას გამოიყენებს ვალდებულების შესასრულებლად.

ემისიის სტანდარტები დაფუძნებულია ცალკეულ ვარაუდებზე:

- დამაბინძურებელი ნივთიერებების გარკვეული დონე არ გამოიწვევს რაიმე არასასურველ შედეგს;
- ბუნებრივ გარემოს აქვს უნარი, შთანთქას და გაანეიტრალოს მავნე ნივთიერებები ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზიანი (ასიმილაციური ტევადობა);
- ასიმილაციური ტევადობა შეიძლება განისაზღვროს რაოდენობრივად საქმიანობის თითოეული სექტორისთვის (ენერგეტიკა, წიაღი მოპოვება, ქიმიური წარმოება, მესაქონლეობა, ნარჩენების გადამუშავება და ა.შ.).

თითოეული ეს ვარაუდი, პრინციპების დონეზე, ყოველთვის იყო მსჯელობის და წინააღმდეგობის საგანი, რადგან პოტენციურად ყველა ნივთიერებას, რომლებიც გარემოში გამოიყოფა, შეუძლია, გარემოს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს. შესაბამისად, როდესაც დგინდება ემისიის სტანდარტები, ყოველთვის კეთდება აქცენტი ნივთიერებათა შემადგენლობაზე, ხარისხსა და რაოდენობაზე. მაგალითისთვის, ემისიის სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრულია 1992 წლის „ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ატლანტის ზღვის გარემოს დაცვის შესახებ“ კონვენციაში, ავალდებულებს მხარეებს, რომ მკაცრად დაარეგულირონ იმ დასაშვები დამაბინძურებლების მასშტაბი, რომლებიც გამოიყოფა ხმელეთზე არსებული წარმოების ან ფუნქციონირების ციკლის შედეგად და ჩაედინება ზღვაში ან გაიფრქვევა ჰაერში. კონვენციის თანახმად, მხარეები, აგრეთვე, ვალდებული არიან, უზრუნველყონ შეთანხმებით განსაზღვრული კონვენციის საბჭოს გადანაცვლებების მუდმივი აღსრულება და შეადგინონ და გამოიყენონ გარემოსდაცვითი მართვის გეგმები, რათა გააკონტროლონ და მონიტორინგი გაუწიონ სახიფათო ნივთიერებების გარემოში გაფრქვევებსა და ჩაშვებებს.

- **ხარისხის სტანდარტები** აწესებს დაბინძურების მაქსიმალურ დასაშვებ დონეებს, როგორებიცაა, მაგალითად: ვერცხლისწყლის ნებადართული დონე მდინარეებში, გოგირდის დიოქსიდის მაქსიმალური დონე ჰაერში ან აეროპორტების ხმაურის დონე დასახლებული პუნქტების მიმდებარედ. ხარისხის სტანდარტები ერთმანეთისგან განსხვავდება ბუნებრივი რესურსების მოხმარების მიხედვით. მაგალითად, განსხვავებული წყლის ხარისხის სტანდარტები შეიძლება დაწესდეს სასმელად, სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ან სათევზაოდ გამოსაყენებელი წყლის რესურსებისათვის. ხარისხის სტანდარტები შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ გეოგრაფიული ფარგლების მიხედვით, როგორებიცაა: ადგილობრივი ან რეგიონალური ზონები, ან რესურსების მდებარეობა, მაგალითად, მდინარე ან ტბა. ტრანსსასაზღვრო წყლის რესურსებისა და საერთაშორისო ტიპის დაცვისა და გამოყენების შესახებ გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის

კონვენცია მოუწოდებს მხარეებს, განსაზღვრონ წყლის ხარისხის ობიექტები და მიიღონ წყლის ხარისხის კრიტერიუმები.

ტრანსსასაზღვრო წყლის რესურსებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციის მესამე დანართით განისაზღვრა სახელმძღვანელო პრინციპები წყლის ობიექტებისა და მათი ხარისხის კრიტერიუმების დასადგენად:

- მიზანი უნდა იყოს წყლის არსებული ხარისხის შენარჩუნება და საჭიროების შემთხვევაში მისი გაუმჯობესება;
- უნდა შემცირდეს დამაბინძურებლების რაოდენობა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში;
- მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სპეციფიკური წყლის ხარისხის მოთხოვნები (სასმელი წყალი, ირიგაციისთვის საჭირო წყალი და ა.შ.);
- გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური მოთხოვნები დაცულ წყლებსა და მათ გარემოზე, მაგალითად: ტბები და გრუნტის წყლის რესურსები;
- ეკოლოგიური კლასიფიკაციის მეთოდებისა და ქიმიური ინდექსების გამოყენება წყლის რესურსების ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის;
- გათვალისწინებულ უნდა იქნეს ემისიის ლიმიტებზე დაფუძნებული დამატებითი დაცვის ზომები, რომლებიც გამოიყენება ცალკეულ შემთხვევებში.

- **საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკა/საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგია (BAT).** ბოლო წლებში მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ხშირად შეიცავენ ზოგად ვალდებულებას – გამოყენებულ იქნეს საუკეთესო შესაძლებელი ტექნოლოგია ან საუკეთესო პრაქტიკული საშუალებები საწარმოო ციკლის დროს. ეს მოთხოვნა შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო ჩვეულებითი ვალდებულების ნაწილად, რომლის მიზანია გარემოსათვის მიყენებული ზიანის პრევენცია. იმის განსასაზღვრავად, თუ რომელი ტექნოლოგიაა საუკეთესო გამოსაყენებლად, რამდენიმე ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული, მათ შორის: დაბინძურების სახე და მოცულობა, აგრეთვე ეკონომიკური მიზანშეწონილობა.

ცალკეული საერთაშორისო შეთანხმებები ახდენენ საუკეთესო გარემოსდაცვითი, ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის ან მსგავსი ტერმინის დეფინიციას. ტრანსსასაზღვრო წყლის რესურსებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციის (ჰელსინკი, 1992 წლის 17 მარტი) პირველი დანართი „საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნოლოგიას“ განმარტავს როგორც პროცესების განვითარების უკანასკნელ საფეხურს, ობიექტებს ან წარმოების მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაკლებ გამონაბოლქვს, ემისიებსა და ნარჩენებს. ასევე განმარტავს ამ ტერმინს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ატლანტის ზღვის გარემოს დაცვის შესახებ კონვენცია. „საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკა“ განმარტება როგორც გარემოსდაცვითი კონტროლის მექანიზმებისა და სტრატეგიების ყველაზე მისაღები კომბინაცია, დაწყებული ცნობიერების ამაღლებით და ლიცენზი-

რების სისტემის დანერგვით დასრულებული. ასევე საინტერესოა სხვა გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების მიდგომები საუკეთესო გარემოსდაცვით ტექნოლოგიებთან მიმართებით – მდინარე ელბის დაცვის შესახებ კონვენცია მოუწოდებს ხელშემკვრელ მხარეებს, შეიმუშაონ იმ ტექნოლოგიის გამოყენების სამუშაო გეგმა, რომელიც შეამცირებს ემისიასა და დაბინძურებას (1(3) მუხლი). გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ ავალდებულებს მხარეებს, მიიღონ ზომები, რათა მოახდინონ ზღვისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაბინძურების პრევენცია, შემცირება და კონტროლი მათ ხელთ არსებული საუკეთესო პრაქტიკის მქონე საშუალებების გამოყენების მეშვეობით. მსგავს მოთხოვნებს შეიცავს სხვადასხვა რეგიონული საზღვაო შეთანხმება, მაგალითად:

- აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონის საზღვაო და სანაპირო გარემოს დაცვის, მართვისა და განვითარების შესახებ კონვენციის (1985 წლის 22 ივნისი) მე-4 მუხლი;
- კარიბის რეგიონის ზღვის გარემოს დაცვისა და განვითარების კონვენციის (1983 წლის 24 მარტი) მე-4 მუხლი;
- წყნარი ოკეანის სამხრეთ რეგიონის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის შესახებ კონვენციის (1986 წლის 24 ნოემბერი) მე-5 მუხლი.

ზოგიერთი საერთაშორისო შეთანხმება ადგენს კრიტერიუმებს, რომლებიც ეხმარება მონაწილე სახელმწიფოებს, განსაზღვრონ, თუ რომელია საუკეთესო ტექნოლოგია, ტექნიკა და პრაქტიკა. ეს კრიტერიუმებია: პროცესი, ტექნოლოგიური გაუმჯობესება და ცვლილება, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, დროის ლიმიტები, გამოფრქვევების სახე და მოცულობა, მცირე ნარჩენების მქონე ან ნარჩენების გარეშე ტექნოლოგია. „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ“ სტოკჰოლმის კონვენციის (2001 წლის 22 მაისი) „C“ დანართის „V“ ნაწილში მოცემულია ზოგადი სახელმძღვანელო წესები საუკეთესო ტექნოლოგიისა და საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის დასადგენად. ის აღწერს ძირითად ზომებს, რათა გამოყენებულ იქნეს ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც ნაკლებ ნარჩენს, მათ შორის სახიფათო ნარჩენს წარმოქმნის. კონვენცია მხარეებს ავალდებულებს, ხელი შეეწყოს ნარჩენების აღდგენას და გადამუშავებას, გააუმჯობესონ ნარჩენების მართვის გეგმები და გაატარონ პრევენციული ღონისძიებები, რათა ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენება თავიდან იქნეს აცილებული: „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შექმნან საკანონმდებლო ბაზა, რათა დაავალდებულონ საქმიანობის განმახორციელებელი, გამოიყენოს საუკეთესო შესაძლებელი ტექნოლოგია და ტექნიკა და შექმნან ნებართვების, ლიცენზიებისა და მონიტორინგის სისტემა“



## 7.1. შეზღუდვები და აკრძალვები

იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა, პროდუქცია ან პროცესი შეიცავს გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკს, მკაცრი ზომები უნდა იქნეს მიღებული ზიანის შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით. როცა რისკის ალბათობა ძალიან მაღალია, შეიძლება მოხდეს მთლიანი პროდუქციის ან პროცესის აკრძალვა. ზოგადად, შეზღუდვების მასშტაბი და სახეები შესაძლებელია, უსაზღვრო იყოს, თუმცა, საინტერესოა ის შეზღუდვები და აკრძალვები, რომლებიც ეხება საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და სახიფათო ნაჩენების მართვას, მათ გადაადგილებას, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებით ვაჭრობას, თევზჭერას და ა.შ.

განსაკუთრებით საინტერესოა ის მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებები, რომლებიც პირდაპირ შეიცავენ ლიმიტებსა და აკრძალვებს, მაგალითად:

- ოზონის შრის შესახებ ვენის კონვენცია და მისი მონრეალის ოქმი;
- ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ მარპოლის კონვენცია;
- გარემოსა და განვითარების შესახებ რიოს დეკლარაცია, მე-14 პრინციპი;
- ანტარქტიკის შეთანხმება, რომელიც კრძალავს სამხედრო ქმედებებს, ბირთვულ აფეთქებებს, რადიოაქტიური ნარჩენების განლაგებასა და ნიაღისეული საბადოების დამუშავებას ანტარქტიკაში.
- შორ მანძილებზე ტრანსსასაზღვრო ჰაერის დაბინძურების შესახებ კონვენციის სოფიის ოქმი, რომელიც ეხება ამოტის ოქსიდის ემისიის კონტროლს.

კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ან საქმიანობების ნუსხა, როგორც წესი, განსაზღვრულია საერთაშორისო შეთანხმებების დანართებში. ლიმიტებისა და აკრძალვების ნუსხებს, ასევე, ხშირად შეიცავენ კონვენციების ოქმები. ასეთი ნუსხები საშუალებას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, იყვნენ მოქნილები და გააკეთონ დათქმები ზოგიერთი ლიმიტისა და აკრძალვის დანერგვისას სახეობების, დანერგვის დროისა და მასშტაბის გათვალისწინებით, რათა სწრაფმა აკრძალვამ უარყოფითად არ იმოქმედოს წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ განვითარებაზე ან რომელიმე სახელმწიფოში არ აკრძალოს ისეთი სახეობის გარემოდან ამოღება, რომელიც ამ სახელმწიფოში საკმარისად არის. მაგალითად, გადაშენების პირას მყოფ სახეობებთან დაკავშირებით დადებულ შეთანხმებაში არსებობს მრავალი სახელმწიფოს დათქმა ამ სახეობებთან მიმართებით.

ლიმიტებსა და აკრძალვებზე მსჯელობისას საინტერესოა აღინიშნოს აქროლადი ორგანული ნაერთების ოქმის პირველი მუხლის მე-8 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს დამაბინძურებლების კონცენტრაციის კრიტიკულ დონეს ატმოსფეროში რადიაციული გამოსხივების დროს, რომლის ქვემოთაც პირდაპირი მავნე ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, მცენარეებზე, ეკოსისტემებსა ან მატერიაზე არ დგება. იმ დამაბინძურებელი ნივთიერებების რიცხვი, რომელთა ატმოსფეროში გაფრქვევა არის აკრძალული ან შეზღუდული, იზრდება მისი პრაქტიკული გამოყენების შედეგად. ნივთი-

ერებები, როგორებიცაა ვერცხლისწყალი და კადმიუმი, უფრო ხშირად გამოიყოფა ატმოსფეროში არა ბუნებრივი ფორმით, არამედ სხვადასხვა ნივთიერების შერევის შედეგად. მაგალითად, დადგენილია, რომ მდინარე რაინის ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებისგან დაცვის შესახებ 1976 წლის კონვენციის დანართში ჩამოთვლილ ნივთიერებებზე ასჯერ მეტი ნივთიერება არსებობს, რომლებიც შერევის შედეგად წარმოიშობა და რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას.

ამასთანავე, საინტერესოა ზოგიერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში გამოყენებული, ე.წ. „პოზიტიური“ აკრძალვებისა და ლიმიტების სტანდარტები. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც შეთანხმებით დადგენილია საქმიანობისა და საწარმოო პროცესში გამოსაყენებლად დასაშვები ნივთიერებების ნუსხა. სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შესახებ ბაზელის 1989 წლის კონვენციამ აკრძალა ყველა გაფრქვევა, გარდა იმისა, რაც მკაფიოდ განსაზღვრულია ინდივიდუალურ შემთხვევებში. კონვენციის დანართები ნარჩენების კატეგორიზაციას ახდენს არა მხოლოდ შემადგენლობიდან გამომდინარე, არამედ საქმიანობის სექტორის მიხედვით (მაგალითად, სამედიცინო ნარჩენები, საწარმოო ნარჩენები) და სახიფათო თვისებების მიხედვით (ფეთქებადი, აალებადი, მომწამვლელი). ასევე მსგავსი მიდგომა აქვს დანერგილი ბალტიის ზღვის გარემოს დაცვის შესახებ 1992 წლის კონვენციას.

## 7.2. სავაჭრო ზომები

ზოგიერთი გარემოსდაცვითი შეთანხმება ზღუდავს ცალკეული სახეობებით ვაჭრობას და გადაადგილებას, მაგალითად:

- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ვაჭრობის აკრძალვისა და შემზღუდვის შესახებ კონვენცია;
- სახიფათო ნარჩენების შესახებ ბაზელისა და ბამაკოს კონვენციები;
- მონრეალის ოქმი (ამცირებს/აკრძალავს ოზონდამშლელი ნივთიერებებით ვაჭრობას);
- რეგიონული საზღვაო შეთანხმებები ველური ფლორისა და ფაუნის სახეობების დასაცავად (სთხოვს მონაწილე ქვეყნებს, აკრძალონ უკონტროლო შეგროვება, მოჭრა ან ამოძირკვა დაცული ველური ფლორის სახეობებისა და დაჭერა, დატყვევება და მოკვლა – გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნის სახეობებისა);
- გემებიდან მომდინარე დაბინძურების პრევენციის შესახებ კონვენციის მესამე დანართი (ზღუდავს სახიფათო ნივთიერებების გადატანას);
- ვეშაპებზე ნადირობის რეგულირების შესახებ საერთაშორისო კონვენცია;
- გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ, 61-ე, 65-ე, 199-ე მუხლები, (ცოცხალი რესურსების კონსერვაცია);
- ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების კონსერვაციის შესახებ კონვენცია.

შემზღუდვის სახეები განსხვავდება ერთმანეთისგან: ნადირობისა და მოპოვების შემზღუდვა გამოიყენება ბიომრავალფეროვნების ან არაცოცხალი რესურსების დასაცავად. პირველ რიგში, ადგილობრივი და საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები კრძალავენ ველურ სახეობებზე ნადირობის ან მათი დატყვევების ცალკეული საშუალებების გამოყენებას. ევროპის ველური სახეობებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციის შესახებ ბერნის კონვენციის დანართში ჩამოთვლილია ძუძუმწოვრებსა და ფრინველებზე აკრძალული სანადირო საშუალებების გამოყენების ნუსხა.

ძირითადად, დაცვის საშუალებები შეიძლება ზღუდავდეს ველური მცენარეებისა და ცხოველების სახეობათა დაშავებას ან განადგურებას. ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის შესახებ აფრიკული კონვენცია მოითხოვს ადეკვატური კანონმდებლობის ადაპტაციას, რომელიც დაარეგულირებს ნადირობას, დატყვევებასა და თევზაობას, და აკრძალავს ნადირობისა და თევზაობის ცალკეულ საშუალებებს. დანართები განსაზღვრავს, თუ რა სპეციალური საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მიმართ.

საერთაშორისო შეთანხმებები, მათ შორის ბონის კონვენცია „ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების კონსერვაციის შესახებ“, განსაზღვრავს მიგრირებადი სახეობების დაცვის სპეციალურ საშუალებებს. ეს ეხება ყველა სახელმწიფოს, სადაც ეს სახეობები მიგრირდებიან ან ატარებენ თავიანთი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს. ბონის

კონვენციის მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან, აკრძალონ ან დაარეგულირონ მიგრირებადი სახეობების გარემოდან ამოღება.

შეზღუდვები და აკრძალვები შეიძლება ეხებოდეს აგრეთვე არაცოცხალ რესურსებს. სტოკჰოლმის დეკლარაციის მე-5 პრინციპის თანახმად – „დედამიწის არაგანახლებადი რესურსები ისე უნდა იქნეს გამოყენებული, რომ არ შეიქმნას მათი გაჭრობის საფრთხე და ამ გამოყენებით ისარგებლოს კაცობრიობამ.“

საერთაშორისო შეთანხმებები, აგრეთვე, არეგულირებენ არაცოცხალი რესურსების გამოყენების საკითხს საერთო ტერიტორიებსა (ზღვის ფსკერზე, ანტარქტიკასა და გარე ტერიტორიებზე) და საერთო მტკნარ წყლებში. 1995 წლის გაუდაბნობების შესახებ კონვენცია ავალდებულებს ნევრ სახელმწიფოებს, შეიმუშაონ გრძელვადიანი ინტეგრირებული სტრატეგიები ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების, რეაბილიტაციის, კონსერვაციისა და წყლისა და მიწის რესურსების ინტეგრირებული მართვისთვის (მე-2 მუხლი).

იმპორტისა და ექსპორტის დროებითი ან მუდმივი შეზღუდვები გამოიყენება ველური ფლორისა და ფაუნის დასაცავად. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ვაჭრობის აკრძალვისა და შეზღუდვის შესახებ 1973 წლის კონვენცია ვაჭრობის შეზღუდვისა და აკრძალვის მექანიზმებს იყენებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დასაცავად. კონვენციის პირველ დანართში ჩამოთვლილია გადაშენების წინაშე მყოფი ყველა სახეობა, რომლებსაც შეიძლება ზიანი მიადგეს ვაჭრობის შედეგად. ამ სახეობებით კომერციული ვაჭრობა პრაქტიკულად აკრძალულია, რადგან მოითხოვს რთული პროცედურებით მოპოვებული ექსპორტისა და იმპორტის ნებართვების წარდგენას. კონვენციის ორ დამატებით დანართში ჩამოთვლილია ის სახეობები, რომლებსაც ემუქრება გადაშენება, იმ შემთხვევაში, თუ ამ სახეობებით ვაჭრობა არ იქნება დარეგულირებული. ასევე საინტერესოა, რომ ევროკავშირის მიღებული აქვს დამატებითი რეგულაციები ვეშაპისნაირებისა და ზღვის წავის ბენვის პროდუქტებით ვაჭრობის აკრძალვის თაობაზე.

სავაჭრო რეგულაციები გამოიყენება აგრეთვე ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისა და განთავსების აკრძალვისათვის ან მოსაწესრიგებლად. 1989 წლის ბაზელის კონვენცია არეგულირებს ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებას და მოითხოვს ქვეყნების წინასწარ ინფორმირებულ თანხმობას მათი ქვეყნის ტერიტორიაზე დაგეგმილ ტრანზიტთან დაკავშირებით. წინასწარ ინფორმირებული თანხმობა (PIC) არის პროცედურული მექანიზმი, რომელიც გამოიყენება მოსალოდნელი კონფლიქტებისა და გარემოსა თუ ადამიანისათვის მიყენებული ზიანის თავიდან ასაცილებლად. ეს მექანიზმი მოითხოვს იმპორტის ქვეყნების წინასწარ თანხმობას, მიიღებენ თუ არა შეზღუდული ან აკრძალული პროდუქციის გადაზიდვის უფლებას მას შემდეგ, რაც მოხდება ქვეყნების სრული ინფორმირება ნივთიერებების საშიშროების შესახებ. უმეტეს შემთხვევაში, ეს პროდუქცია გარემოსა თუ ადამიანის ჯანმრთელობისათვის სერიოზული ან შეუქცევადი რისკის შემცველია.

წინასწარ ინფორმირებული თანხმობის მნიშვნელობა აღიარებულია გენერალური ასამბლეის 1983 წლის 37/137 რეზოლუციაში: „პროდუქტები, რომელიც აკრძალულია ქვეყანაში მოხმარებისთვის ან/და გასაყიდად, იმის გამო, რომ საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობასა თუ გარემოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გატანილი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასაყიდად, თუ არსებობს იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნა, ან ამ პროდუქტის მოხმარება დაშვებულია იმპორტიორ ქვეყანაში.“

„წინასწარი თანხმობის“ დეფინიცია მოცემულია გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციის ლონდონის სახელმძღვანელო წესებში „საერთაშორისო ვაჭრობის დროს ქიმიურ ნივთიერებებზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ.“ ამ აქტის თანახმად: აკრძალული ან მკაცრად შეზღუდული ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო გადაზიდვის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ნივთიერებების გადაზიდვა უნდა განხორციელდეს ქვეყნებს შორის შეთანხმებით ან იმპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) მოახდინა ამ პრინციპის ინკორპორირება პესტიციდების გამოყენებისა და განაწილების შესახებ საერთაშორისო კოდექსში (1985). საერთაშორისო სამართალმა შექმნა სამი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი შეთანხმება, რომლებიც ამ წიგნის სხვა თავებშია დეტალურად განხილული და რომლებიც ეფუძნება წინასწარ ინფორმირებული თანხმობის მექანიზმს: სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადატანის შესახებ კონვენცია, ცალკეული სახიფათო ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობაში წინასწარი თანხმობის გამოყენების პროცედურების თაობაზე როტერდამის 1988 წლის კონვენცია და „ბიოლოგიური მრავალფეროვნების 1992 წლის კონვენციის კარტახენის ბიოსაფრთხოების ოქმი. კარტახენის ოქმი არეგულირებს დაშვებას გენეტიკური რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით და მოითხოვს, რომ ეს საქმიანობა განხორციელდეს ქვეყნის წინასწარ ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში (15(5) მუხლი). გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ შეიცავს მსგავს პროცედურებს ქვეყნის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისას.

საინტერესოა, რომ 1998 წლის როტერდამის კონვენციას აქვს რეგულირების განსაკუთრებით ფართო არეალი. იგი მოითხოვს წინასწარ ინფორმირებულ თანხმობას სახელმწიფოებისგან ნებისმიერი აკრძალული ან შეზღუდულად ბრუნვადი პროდუქტისა თუ ნივთიერების შემთხვევაში. ამ ნივთიერებების შესახებ ყველა ინფორმაცია მიენოდება, ასევე, კონვენციის სამდივნოს ქიმიური ნივთიერებების განმხილველ კომიტეტს. ამასთან, ბაზელისა და კარტახენის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, როტერდამის კონვენცია არ მოითხოვს, რომ ის ნივთიერებები, რომელთა გადაზიდვა მოხდა თანხმობის გარეშე, უკან დაბრუნდეს ექსპორტიორ ქვეყანაში. კარტახენის შეთანხმება უნიკალურია სხვა ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, რამეთუ პირდაპირ ადგენს რისკის შეფასების ვალდებულებას, როგორც პროცედურული ციკლის განუყოფელ ელემენტს. ბონის სახელმძღვანელო წესები (რომლებიც ასახულია მხარეთა 2002 წლის აპრილის მე-6 კონფერენციის VI/24 გადაწყვეტილებაში) ადგენს ოთხ

ძირითად პრინციპს გენეტიკურ რესურსებთან მიმართებით წინასწარ ინფორმირებული თანხმობის გამოყენების სისტემასთან დაკავშირებით. პრინციპები განსაზღვრავს, რომ სისტემა უნდა იყოს: იურიდიულად გამართული, ხელმისაწვდომი, რაც გულისხმობს გენეტიკურ რესურსებზე დაშვებას მინიმალური ღირებულებით, გამჭვირვალე და საერთაშორისო კონვენციის შესაბამისი; თანხმობა უნდა შეესაბამებოდეს და გამომდინარეობდეს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობიდან.

### 7.3. მიწის გამოყენების რეგულირება

საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტები, მათ შორის: FAO-ს მსოფლიო ნიადაგის ქარტია, სპეციალურად დაცულ ტერიტორიებზე რეგიონული საზღვაო ოქმები, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის შესახებ კონვენცია, შეიცავენ მუხლებს ნიადაგის გამოყენების რეგულირებისა და დაგეგმვის თაობაზე. ასეთი რეგულაციების შემუშავების ვალდებულებას შეიცავს რეგიონული ბუნების დაცვის შეთანხმებები, როგორებიცაა: 1968 წლის აფრიკული კონვენცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის შესახებ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების 1985 წლის შეთანხმება. ნიადაგის გამოყენებაზე კონტროლი ასრულებს მნიშვნელოვან როლს გარემოსდაცვით სამართალში და გულისხმობს ზონირებას, დაგეგმარებასა და დაცული ტერიტორიების შექმნას.

ზონირება თავდაპირველად მიზნად ისახავდა კერძო საცხოვრებელი საკუთრების დაცვას, კრძალავდა რა საწარმოო ობიექტების მშენებლობას დასახლებულ პუნქტებში. ზონირება უზრუნველყოფს გადანაწილებას გარემოსათვის საზიანო ქმედებებისას, იმ მიზნით, რომ შემცირდეს პოტენციური ზიანი. სხვადასხვა ზონის მიმართ გამოიყენება განსხვავებული სამართლებრივი წესები. ზონირება მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია ინფრასტრუქტურის, ქალაქისა და სოფლის მიწების დაგეგმარებისა. ძირითადად, მიწისა და წყლის არეების დაგეგმვა ხორციელდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ორგანოების მიერ, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური პროცედურები. მიწის გამოყენების ზოგადი გეგმა მოქმედებს მის ამონურვამდე. ამ ტექნიკის გამოყენებით, გარემოს დაცვის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიები შეიძლება დაიყოს ზონებად. საქმიანობები, როგორიცაა, მაგალითად, მძიმე მრეწველობა, შეიძლება, აიკრძალოს გეგმაში განსაზღვრულ ზოგიერთ ტერიტორიაზე. გარემოსდაცვითი ფაქტორები შეიძლება აისახოს დაგეგმარების პროცედურის დროს, მაგალითად, ქალაქის, რეგიონის ან მთლიანი ტერიტორიის დაყოფისას მიწის გამოყენების შემდეგ კატეგორიებად: საცხოვრებლად, ინდუსტრიულად, სასოფლოდ, სატყეოდ ან ბუნების კონსერვაციისთვის. ცალკეული გეოგრაფიული ტერიტორიების, მაგალითად, ეროვნული პარკების, რეზერვატებისა და ნაკრძალების მიმართ შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს სამართლებრივი დაცვის სპეციალური საშუალებები ჯანდაცვის ან ბუნების კონსერვაციის მიზნით. ადგილობრივ დონეზე მიწის გამოყენების დაგეგმვა და ზონირება შეიცავს მიწის გამოყენების აკრძალვებსა და შეზღუდვებს. დღესდღეობით მიწის გამოყენების რეგულაციები საკმაოდ კომპლექსურია. ქალაქგეგმარებასა და სივრცით მონაცემებში ზონირება, ძირითადად, ურბანულ გეგმარებაში ვლინდება.

ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით მიწის გამოყენების და ზონირების საუკეთესო საშუალებაა დაცული ტერიტორიების დაარსება და ხმელეთსა და საწყლოსნო ტერიტორიებზე სპეციალური დამცავი ფენების განსაზღვრა. არსებობს დაცული ტერიტორიების სხვადასხვა ფორმა ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციის

კატეგორიის მიხედვით. „ბუფერული ზონები“ არის სპეციალური ტერიტორიები, რომლებიც შემოსაზღვრულია დაცული ტერიტორიებით და იცავენ დაცულ ტერიტორიებს გარე ზემოქმედებისგან. დაშვებულია საქმიანობები, რომლებსაც არ აქვთ ხელისშემშლელი გავლენა გარემოზე. დაცული ტერიტორიების ეფექტური გამოყენება მოითხოვს მართვის გეგმების შემუშავებასა და განვითარებას.

ამასთან, ბევრი საერთაშორისო ხელშეკრულება ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, დაუქვემდებარონ ზოგიერთი ტერიტორია სპეციალურ მართვას – ბიომრავალფეროვნების *in situ* კონსერვაციის, ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვის მიზნით, ასევე, შეიმუშაონ სპეციალური რეჟიმები ისეთი ტერიტორიებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან სეისმური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური სენსიტიურობით, გეოგრაფიული ან/და ლანდშაფტური მდებარეობით და მიზნით. მაგალითისთვის:

- დასავლეთ ჰემისფეროს ფლორისა და ფაუნის სახეობების დაცვის შესახებ კონვენცია, 1940 წელი;
- აფრიკული კონვენცია, 1968 წელი;
- სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების შეთანხმება, 1985 წელი;
- რამსარის კონვენცია, 1971 წელი;
- მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია, 1972 წელი;
- მიგრირებადი სახეობების კონვენცია, 1980 წელი;
- ბიომრავალფეროვნების კონვენცია, 1992 წელი.



## 7.4. გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) – ეს არის დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის პროცედურა, რომლის მიზანია, გარემოს ცალკეული კომპონენტების, ადამიანის, ასევე ლანდშაფტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. გზშ შეისწავლის, გამოავლენს და აღწერს საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებსა და ისტორიულ ძეგლებზე, ან ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის ერთიანობაზე, მათ შორის, ამ ფაქტორების ზეგავლენას კულტურულ ფასეულობებსა (კულტურულ მემკვიდრეობასა) და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე. სხვა სიტყვებით, გზშ არის პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს ადრეულ და დროულ ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ სამი მიმართულებით: 1. ზეგავლენა გარემოზე, 2. შესაძლო ალტერნატივები და 3. ზიანის შემარბილებელი ღონისძიებები. გზშ-ის პროცედურა მოითხოვს, რომ საქმიანობის განმახორციელებელმა გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარუდგინოს საქმიანობის გეგმა წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას მომავალში გარემოზე შესაძლო ზიანის მიყენების თაობაზე.

ზოგადად, გზშ-ის მიზნები შესაძლებელია ოთხი ძირითადი ფუნქციური დატვირთვით გაიმიჯნოს: 1. გზშ-ის მეშვეობით გადაწყვეტილების მიმღები უკვე ინფორმირებულია იმ ეკოლოგიური შედეგების შესახებ, რაც მის გადაწყვეტილებას მოჰყვება; 2. გზშ უზრუნველყოფს ინფორმაციის საჭაროობას იმ პირთათვის, რომლებიც შესაძლოა, დაინტერესდნენ დაგეგმილი საქმიანობის მიზნებით; 3. გზშ ერთმანეთთან აკავშირებს გარემოსდაცვით და სხვა საკითხებს (მაგალითად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების ჩანაცვლების საკითხები) და 4. გზშ უზრუნველყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ გამოიწვიოს გარემოსდაცვითი ზიანი სხვა სახელმწიფოებისათვის.

1970–1980-იან წლებში საერთაშორისო ხელშეკრულებებით განისაზღვრა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პირველი მოთხოვნები, რომლებიც, ერთი მხრივ, საკმაოდ ფართო გაგებისაა, ხოლო მეორე მხრივ, ძალიან კონკრეტულია მოთხოვნების თვალსაზრისით. დღეისათვის გზშ უმნიშვნელოვანესი პროცედურაა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფოებს უფლება არა აქვთ, უფლებამოსილებით აღჭურვილ გარკვეული საქმიანობები, ვიდრე არ იქნება შესწავლილი შესაძლო ეკოლოგიური საფრთხეები.

ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც გზშ-ის საკითხებს ეხება, არის 1978 წლის ქუვეითის რეგიონალური კონვენცია „ზღვის გარემოს დაბინძურებისგან დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“. კონვენცია მე-11 მუხლით ადგენს, რომ ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე ისეთი

საქმიანობის დაწყებამდე, რომელიც შესაძლო რისკს შეიცავს ზღვისა და სანაპირო გარემოსათვის, ვალდებულია, გამოიყენოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა. მსგავსი ვალდებულება განსაზღვრული გაეროს საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის 206-ე მუხლშიც, სადაც ვკითხულობთ, რომ, როდესაც სახელმწიფოებს აქვთ საფუძვლიანი ვარაუდი, მათ იურისდიქციასა და კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დაგეგმილმა საქმიანობამ შესაძლოა, გამოიწვიოს ზღვის გარემოს მნიშვნელოვანი დაბინძურება, მათ უმოკლეს ვადებში უნდა მოახდინონ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და მოამზადონ შესაბამისი ანგარიში. ასევე, 1992 წლის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მე-4 მუხლი განსაზღვრავს, რომ გზმ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც გარემოზე ზიანის მიყენების მინიმუმაციის საშუალება.

გზმ-ის პროცედურას ეხება 1992 წლის რიოს დეკლარაციის მე-17 პრინციპიც, რომლის მიხედვითაც გზმ უნდა იყოს ეროვნული სამართლის მიერ დანერგილი ერთ-ერთი გარემოსდაცვითი მექანიზმი. „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ 22-ე თავი და იმავე რიოს კონფერენციაზე მიღებული ტყის დაცვის დებულების მე-8 მუხლი, ბიომრავალფეროვნების კონვენციის მე-14 მუხლი, ასევე, ხაზს უსვამენ გზმ-ის მნიშვნელობას და მას აუცილებელ ინსტრუმენტად განიხილავენ, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სამართლისათვის.

დღეისათვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა გაეროს წევრი ყველა სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია. რაც შეეხება საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე ორმხრივ ურთიერთობებს ამ მიმართულებით, როგორც წესი, ხელშეკრულებებით რეგულირდება. უფრო მეტად უმართლებთ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც 1991 წელს ფინეთში, ქ. ესპოოში დადებული კონვენციის ხელშეკრველი მხარეები არიან. კონვენცია ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (ესპოოს კონვენცია) კონკრეტულად განსაზღვრავს იმ საქმიანობათა ჩამონათვალს, რომლებმაც შესაძლოა, გამოიწვიონ ტრანსსასაზღვრო ეკოლოგიური ზემოქმედება. ამასთან, ზემოქმედება განიმარტება როგორც ნებისმიერი შედეგი, რასაც საქმიანობა ახდენს გარემოზე, მათ შორისაა: ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ფლორა, ფაუნა, ნიადაგი, ჰაერი, წყალი, კლიმატი, ლანდშაფტი, ისტორიული და კულტურული ძეგლები და ყველა ზემოაღნიშნულის ურთიერთქმედება. ასევე ზემოქმედების ფარგლებში განიხილება ის შედეგებიც, რაც საქმიანობის განხორციელების შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასაც შეეხება. ესპოოს კონვენციის თანახმად, ასეთი ზემოქმედების მქონე საქმიანობებია:

- ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი საწარმოები;
- თერმული და ბირთვული ენერჯის სადგურები;
- რადიოაქტიური ნარჩენების მოპყრობა, დასაწყობება და განთავსება;
- გადამღობი, აბბესტის ქარხნები, ქიმიური დანადგარები;
- გზებისა და რკინიგზის მშენებლობები;
- ნავთობისა და გაზის მილსადენები;

- პორტები;
- ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების განთავსება;
- დიდი წყალსაცავები და წყალსატევები;
- მინისტრების წყლების ამოღება;
- ქალაქებისა და მუყაოს წარმოება;
- წიაღის მოპოვება;
- ოფშორული ნავთობის მოპოვება;
- ბენზინისა და ქიმიკატების დასაწყობება;
- გაუდაბნობა.

კონვენციის თანახმად, სხვა საქმიანობები შესაძლებელია დაექვემდებაროს გზმ-ს, თუ ამაზე მხარეები შეთანხმდებიან. ამასთანავე, ესპოოს კონვენცია განსაზღვრავს იმ აუცილებელი დოკუმენტაციასაც, რომელიც საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა წარმოადგინოს, მათ შორის: დაგეგმილი საქმიანობის აღწერა და მიზანი, განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა, მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები, ტექნოლოგიური ციკლის სრული სქემა, შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების ანოტაცია და ა.შ.

ესპოოს კონვენცია მე-3 დანართით დიფერენციაციას აკეთებს საქმიანობებისას მათი მოცულობის, ადგილმდებარეობის, შედეგების თვალსაზრისით. ამასთანავე, კონვენციით განსაზღვრულია ზუსტი პროცედურული მოთხოვნები გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად. უპირველეს ყოვლისა, სავალდებულოა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებული მხარის დროული ინფორმირება, რომელსაც უფლება ეძლევა, შემდგომ ეტაპზე სურვილისამებრ მიიღოს მონაწილეობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში. ამასთანავე, შეფასების პროცესში მონაწილეობის უფლება ეძლევა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. კონვენციის მე-6 მუხლი განსაზღვრავს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მეთოდს, რომელიც აუცილებლად უნდა დაეყრდნოს სწორად მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უფლებამოსილი ორგანოა ვალდებული, დაინტერესებულ მხარეს გააცნოს გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძვლები. ამასთანავე, მე-6 მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თუმცა ჯერ კიდევ საქმიანობის დაწყებამდე, ხდება ახალაღმოჩენილი გარემოებების გამოვლენა. ასეთ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ, გამართონ მოლაპარაკებები მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის თაობაზე.

საბოლოო ეტაპი სრულდება პოსტაპროექტო ანალიზით. კონვენციის მე-7 მუხლის თანახმად, მხარეებმა უნდა განსაზღვრონ ის მეთოდები და მექანიზმები, რომელთა მიხედვითაც პროექტის განხორციელების ანალიზი/შემოწმება მოხდება. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე დაადასტურებს, რომ გარდაუვალია მძიმე ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვითი შედეგი, ამ შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებასა და ძიებაზე.

მეორე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ეხება, არის 1991 წლის მადრიდის ოქმი ანტარქტიკის გარემოს დაცვის ხელშეკრულებაზე. იგი ძალაში 1998 წელს შევიდა. ოქმის მე-3 მუხლით განსაზღვრულია ზოგადი გარემოსდაცვითი პრინციპები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ანტარქტიკაში საქმიანობის განხორციელებისას. მე-8 მუხლითა და პირველი დანართით კი განმარტებულია ის მოთხოვნები, რომლებიც ამ საქმიანობის დაწყებამდე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების თვალსაზრისით, უნდა განხორციელდეს. ამასთანავე, ოქმის თანახმად, ნებისმიერი, მათ შორის: სამეცნიერო კვლევა, ტურიზმი, თუ სხვა სამთავრობო და არასამთავრობო საქმიანობა, რომელიც, ანტარქტიკის ხელშეკრულების თანახმად, შესაძლებელია განხორციელდეს ამ ტერიტორიაზე, უნდა დაექვემდებაროს შეფასებას ეროვნულ დონეზე. ამასთანავე, ხელშეკრულების თანახმად, თუ დადგინდა და არის ვარაუდი, რომ საქმიანობას მცირეზე მეტი ზიანის მიყენება შეუძლია გარემოზე, უნდა ჩატარდეს წინასწარი გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომლის შედეგად გამოვლენილი ანალიზის მიხედვით იწყება ყოვლისმომცველი გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა. ვადების მიხედვით, მთელ ამ პროცედურას შესაძლებელია, 15 თვეზე მეტი დრო დასჭირდეს.

მთელ მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკისა და სამართლებრივი დოკუმენტების შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის ერთგვაროვანი კრიტერიუმები არსებობს:

- ზემოქმედების ფარგლები – ფასდება ის საფრთხეები, რაც შესაძლოა, ცოცხალ და არაცოცხალ გარემოს, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მიადგეს;
- ზემოქმედების ხარისხი – კანონმდებლობით შესაძლებელია, განისაზღვროს შეფასების მოთხოვნები ნებისმიერი სცენარისათვის, გარემოზე უმცირესი ზემოქმედებიდან დაწყებული, შეუქცევადი ზიანით დამთავრებული;
- სარწმუნოების ხარისხი – გარემოზე ზემოქმედების შეფასება შესაძლებელია, განხორციელდეს სამეცნიერო დასკვნებზე დაყრდნობით, ანუ ფაქტების კონსტატაციით ან დაუსაბუთებელ, ჰიპოთეზურ ვარაუდებზე დაყრდნობით;
- ზიანის ალბათობისა და მოცულობის შეფასება – შეფასება საკმაოდ რთულია, თუმცა დაახლოებით ასეთი პრინციპით კეთდება: თუ დავუშვებთ, რომ ჩვეულებრივ მდგომარეობაში პესტიციდის გამოყენებით გამოწვეული ათი დამატებითი სიმსივნის შემთხვევა წლიურად უფრო მცირეა, ვიდრე შემთხვევა, როდესაც პესტიციდს აქვს 5% შანსი, წლიურად სიმსივნით დაავადდოს 100 ადამიანი და 95% შანსი – არ დაავადდოს არავინ.

ამასთანავე, საინტერესოა, რომ დღეისათვის ყველა იურიდიული დოკუმენტი, რომლებიც გარემოზე ზემოქმედებას ეხება, აუცილებელ წინაპირობად დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებასა და ჩართვის კომპონენტს მოიცავს როგორც აუცილებელ ზომას, მაგალითად: სამხრეთ წყნარი ოკეანის რეგიონის ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის 1986 წლის კონვენციის მე-16 მუხლი, ბიომრავალფეროვნების კონვენციის მე-14 მუხლი და ა.შ.

## 7.5. ლიცენზიები და ნებართვები

მსოფლიოში გარემოზე ზემოქმედებისა და ეკოლოგიური ზიანის აღკვეთის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი მოდელია საქმიანობის განმახორციელებლის უფლებამოსილებით აღჭურვა – ლიცენზიით, ნებართვით ან სერტიფიკატით. გარემოსათვის სავარაუდო საფრთხის მქონე თითოეული საწარმო თუ საქმიანობა მსოფლიოში ექვემდებარება ავტორიზაციას (ლიცენზირებას, ნებართვის ან სერტიფიკატის მინიჭებას). ავტორიზაციის მეორე მთავარი ფუნქციაა ბუნებრივი რესურსით რაციონალურად სარგებლობა.

დღეისათვის მსოფლიოში უამრავი საერთაშორისო ხელშეკრულება ადგენს სხვადასხვა სახედათო საქმიანობისათვის ავტორიზაციის ვალდებულებას, მათ შორისაა:

- ანტარქტიკის ხელშეკრულება;
- ბაზელის კონვენცია;
- მარპოლის კონვენცია;
- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის კონვენცია;
- კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ;
- ლონდონის კონვენცია გემებიდან ზღვის დაბინძურების შესახებ;
- პარიზის კონვენცია ხმელეთზე მდებარე წყაროებიდან ზღვის დაბინძურების აღკვეთის შესახებ;
- სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ბუნების კონსერვაციისა და ბუნებრივი გარემოს შეთანხმება და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა თუ საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან ავტორიზაციის ზოგადი დებულებებით, მოთხოვნები ბუნებრივი რესურსების დაცვისათვის არის ყველასთვის საერთო. ამასთანავე, ტექნიკური მოთხოვნები მომეტებული საფრთხის მქონე ობიექტებისათვის უფრო მკაცრია, მაგალითად, ბირთვული სადგურების, ნავთობისა და გაზის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის და ა.შ.

ავტორიზაციის (რომელიც შემდგომში აღქმის გამართივებისათვის ლიცენზირებად ან ნებართვის აღებად მოიხსენიება) მიზნები და ამოცანები, როგორც აღინიშნა, მსგავსია ყველა სახელმწიფოსათვის. მისი ამოცანა არა დაბინძურების რისკის პრევენცია, არამედ მათი კონტროლი და ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური კონსერვაცია. დაბინძურების კონტროლის ლიცენზიები არის რაღაც შუალედური რგოლი აბსოლუტურ აკრძალვასა და უკონტროლო საქმიანობას შორის. ამასთანავე, როდესაც საკითხი ეხება ეკოლოგიურად საშიშ პროდუქტებს, ლიცენზირება შესაძლებელია, განხორციელდეს მართვის ყველა – მათ შორის: წარმოების, ვაჭრობის, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და გამოყენების – ეტაპზე. ამასთანავე, ნებართვების გაცემა სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, არეგულიროს იმ ფლორისა და ფაუნის რაოდენობა, რომელიც კერძო პირებს გადაეცემათ სარგებლობაში.

ზემოაღნიშნული ავტორიზაციების კარგ მაგალითებს იძლევა გემებიდან ზღვის დაბინძურების შესახებ 1972 წლის ლონდონის კონვენციის მე-4 მუხლი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ბუნების კონსერვაციისა და ბუნებრივი გარემოს 1985 წლის შეთანხმების მე-4 მუხლი. ლონდონის კონვენციის თანახმად, კონვენციის პირველ დანართში ჩამოთვლილი ნარჩენების ზღვაში ჩაყრა საერთოდ იკრძალება, ხოლო მე-2 დანართით განსაზღვრული ნარჩენების ჩაყრისათვის საჭიროა სპეციალური ნებართვა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ერების ბუნების კონსერვაციისა და ბუნებრივი გარემოს შეთანხმების მიხედვით კი, ბუნებრივი სახეობების გარემოდან ამოღების მიზნით ყველა საქმიანობა ექვემდებარება ნებართვის აღებას.

როგორც წესი, იმ საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც ლიცენზირებას ექვემდებარება, დადგენილია ნორმატიული აქტებით. როგორც წესი, ეს ჩამონათვალი ნორმატიულ დოკუმენტს დანართის სახით ახლავს. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფოთა ეროვნული სამართალი არ მიჯნავს ერთმანეთისგან იმ საქმიანობებს, რომლებიც კომერციული ან არაკომერციული მიზნით საქმიანობენ და ორივე შემთხვევაში გარემოსათვის პოტენციური საფრთხის მქონე საქმიანობების ლიცენზირებას (ნებართვებს) ექვემდებარებიან, გარდა ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიზნით წარმოებული საქმიანობებისა.

ლიცენზირების სფეროში დღემდე ყველაზე დიდ პრობლემად რჩება ის საქმიანობები, რომლებმაც ფუნქციონირება დაიწყეს ნებართვის ან ლიცენზიის აღებამდე. გამომდინარე იქიდან, რომ ნორმას ასეთ შემთხვევაში უკუძალა არ აქვს, ამგვარი საქმიანობებისათვის წესდება ერთგვარი გარდამავალი პერიოდი ავტორიზაციის ასაღებად და დროებით ეძლევათ უფლება, საქმიანობისას გამოიყენონ ძველი ტექნოლოგიები. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ტექნოლოგიებისა და, ზოგადად, გარემოსდაცვითი მოთხოვნების განვითარებასთან ერთად დგება საქმიანობისას გამოყენებადი ტექნოლოგიების დახვეწის საკითხები. ეგრეთ წოდებული საუკეთესო გარემოსდაცვითი ტექნოლოგია (BAT) პირობითად არის ის საზომი ერთეული, რომელსაც სახელმწიფო ადგენს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და რომელთანაც შესაბამისობაში ყოფნას და ტექნოლოგიების დახვეწას მოსთხოვს საქმიანობის განმახორციელებელს. როგორც წესი, საქმიანობის ტექნოლოგიების რევიზია ხდება 4-5 წელიწადში ერთხელ. საუკეთესო გარემოსდაცვითი ტექნოლოგიის მიხედვით, საქმიანობის განმახორციელებელს მოეთხოვება, მაგალითად, გამოიყენოს ყველაზე თანამედროვე მტვერდამჭერი სისტემები, მოახდინოს ნარჩენების გადამუშავება ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიით, მოიპოვოს თევზის რესურსი ისეთი საშუალებებით, რომლებიც წყლის სხვა რესურსებს არ დააზიანებს და ა.შ.

პროცედურული თვალსაზრისით, როგორც წესი, ლიცენზირება და ნებართვების გაცემა ეფუძნება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, რომლის განხორციელება ხშირად ჩართულია უშუალოდ ავტორიზაციის პროცესში. ხშირ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ქიმიურ ნივთიერებებსა და ფარმაცევტულ საქმიანობას ეხება, საქმიანობის

რეგლამენტირება ლაბორატორიული დასკვნებით შემოიფარგლება და აღარ არის საჭირო გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

შეფასება პირველ ეტაპზე იწყება საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოს შეფასებითა და მომავალში განსახორციელებელი საქმიანობის შედეგების განჭვრეტით. ამასთანავე, საწარმოების შეფასება შესაძლებელია, სხვადასხვა სტრუქტურამაც განახორციელოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მაგალითად, ერთმა – წმინდა ტექნიკური გამართულობის თვალსაზრისით, ხოლო მეორემ – გარემოზე ზემოქმედების ხარისხის რისკის მიხედვით. როგორც წესი, პრაქტიკაში ერთი და იგივე საქმიანობა რამდენიმე სახის ავტორიზაციას მოითხოვს, მაგალითად, ერთდროულად საჭიროა მშენებლობის ნებართვა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნებართვა.

ავტორიზაციის მინიჭებისას გადანყვეტილების მიღების პროცესი შესაძლებელია ხორციელდებოდეს ცენტრალური ხელისუფლებისა და რეგიონალური მმართველობის დონეზე. ყველა შემთხვევაში გადანყვეტილება მიიღება იმ დოკუმენტთა სრული პაკეტის განხილვის შემდეგ, რომელსაც საქმიანობის განხორციელების მაძიებელი წარადგენს (საქმიანობის, გამოყენებული ტექნოლოგიებისა და მათი შედეგების აღწერა და ა.შ.). ამასთანავე, გადანყვეტილების მიღების პროცესის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესში. საზოგადოებას გადანყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზევე უნდა მიენოდოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ და მიეცეს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისა და, არგუმენტირებულობის შემთხვევაში, მათი გათვალისწინების საშუალება. როგორც წესი, მთელი ამ პროცესისათვის თანხას გაიღებს სახელმწიფო ორგანო; არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც ხარჯებს ფარავს მაძიებელი (საქმიანობის განმახორციელებელი).

ამასთანავე, საინტერესოა, რომ სამეწარმეო საქმიანობის განვითარებასა და რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, მსოფლიოში პარალელურ რეჟიმში იზრდება ის გარემოსდაცვითი მოთხოვნებიც, რომლებმაც გარემოს დაბინძურებისა და მასზე მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი და რაციონალური განვითარება უნდა უზრუნველყონ. შედარებითი თვალსაზრისით, სიახლე შემოიტანა ამ მხრივ ბაზელის კონვენციამ, რომლის თანახმადაც, იმპორტის სახელმწიფომ წინასწარ უნდა აცნობოს და აიღოს ნებართვა ექსპორტის სახელმწიფოსგან კონვენციით გათვალისწინებული ნივთიერებების ტრანსპორტირებისას. იმავეს ადგენს 1998 წლის კონვენციაც წინასწარ შეტყობინების თანხმობის შესახებ.

## 7.6. მართვის ეკონომიკური მექანიზმები

რიოს დეკლარაციის მე-16 პრინციპის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ეკოლოგიური გადასახადებისა და ეკონომიკური მექანიზმების შერწყმას, ამასთან, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტირების ინტერესების გათვალისწინებით, დამაბინძურებელს უნდა დააკისრონ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

თუმცა გარემოსდაცვითი მართვის უპირველეს ეკონომიკურ მექანიზმად შესაძლებელია, დაბინძურების ანაზღაურება მოიაზრებოდეს, საგულისხმოა, რომ ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა ასევე არის შესაბამისი მოსაკრებლები ან/და გადასახადები რესურსით სარგებლობისა და გარემოზე ზიანის მომტანი საქმიანობებისათვის.

ზოგადად, გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების ანაზღაურების საკითხი ფარავს არა მხოლოდ გადასახადებს, მოსაკრებლებსა და ჯარიმებს, არამედ იმ საკომპენსაციო და შემარბილებელ ღონისძიებებს, რაც უნდა გატარდეს იმ პირებისა თუ ობიექტების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას დაექვემდებარენ. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც პირდაპირ ადგენს, თუ რა არის გარემოს დაცვის ეკონომიკური მექანიზმი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია სარეკომენდაციო ძალის მქონე სახელმძღვანელო დოკუმენტი ამ მექანიზმების იდენტიფიცირების მიზნით. 1991 წელს ამ ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციის – გარემოსდაცვით პოლიტიკაში ეკონომიკური მექანიზმების გამოყენება – მიხედვით, სასურველია, მხარე სახელმწიფოებმა უფრო ეფექტიანად და ფართოდ გამოიყენონ ისეთი ეკონომიკური მექანიზმები, როგორებიცაა: მოსაკრებლები და გადასახადები, ფასიანი ნებართვები, სადებოზიტო ფონდების სისტემა და ფინანსური დახმარება.

გადასახადი არის „ფასი“ დაბინძურებისათვის, როგორც აღმკვეთი ზომის ფორმა ეკოლოგიურად საფრთხის შემცველი ქმედებისათვის. ამგვარ გადასახადს აქვს შემოსავლების ზრდის ეფექტიც, რომელიც თავისთავად გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსებისაკენ უნდა იყოს მიმართული. გარემოსდაცვითი გადასახადები შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მწვანე ინვესტირებისა და გარემოს დაბინძურების შემცირების სტიმულირებისათვის. ამასთანავე, სახელმწიფოებს უფლება აქვთ, ცვლილებები შეიტანონ გადასახადების ოდენობაში მიზნის მიღწევის მიზნით. გადასახადები შესაძლებელია, შემდეგი სახის იყოს:

- ჩაშვებისა და გაფრქვევის გადასახადი ან ჯარიმა;
- ეკოლოგიურად მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენების გადასახადი;
- ნარჩენებით დაბინძურების (სამომხმარებლო) გადასახადი;
- ადმინისტრაციული ჯარიმები.



რაც შეეხება სტიმულირების მექანიზმებს, ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო აპარატი იყენებს ფინანსური სტიმულირებისა და დახმარების მექანიზმებს გარემოს დეგრადაციის პრევენციისათვის, მათ შორის, იძლევა შესაბამის კრედიტებსა და გრანტებს, რათა მენარმეებმა უზრუნველყონ წარმოება ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიითა და რეციკლირების გამოყენებით.

ბევრ სახელმწიფოში დამკვიდრებულია ეკოლოგიური დაზღვევის მექანიზმიც, რაც გამოიხატება ეკოლოგიურად მონყვლადი პირების სავალდებულო დაზღვევის სისტემის ფუნქციონირებით. ეკოლოგიური დაზღვევის ვალდებულებას საერთაშორისო ხელშეკრულებებიც ადგენენ, მაგალითად: 1962 წლის კონვენცია „ბირთვული ხომალდების ოპერირების შესახებ“; 1963 წლის ვენის კონვენცია „ბირთვული ზარალისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“; 1969 წლის კონვენცია „ნავთობით დაბინძურებისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“.

თავისთავად დაზღვევა პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს იმ კომპანიების საქმიანობაზე, რომლებიც დაზღვევის შემთხვევაში ცდილობენ, საქმიანობა მაქსიმალური ეკოლოგიური სიფრთხილით წარმართონ, რაც ეკოლოგიური ზიანის შემთხვევის დადგომისას მათ ააცილებთ მიყენებული ზიანისათვის დიდი ხარჯების გაწევის ვალდებულებას. გრანტებსა და სუბსიდიებთან მიმართებით, როგორც წესი, გამოიყენება გარემოსდაცვითი ფონდების დაარსების მექანიზმები. ამასთან, სუბსიდიები უშუალოდ საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში ხორციელდება; რაც შეეხება გრანტებს, მათი გამოყოფა, როგორც სახელმწიფოების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ხდება ნორმატიული ბაზის, სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისათვის, შესაბამისი ლაბორატორიული და გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის შექმნა-გაუმჯობესებისათვის და ა.შ.

ეკომარკირება გარემოს დაცვის ნახალისების შედარებით ახალი და საკმაოდ პოპულარული მექანიზმია. პრაქტიკულად, ეკომარკირება უზრუნველყოფს არასასურველი ეკოლოგიური შედეგების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას. მარკირების ამ ახალი მიდგომის მეშვეობით, ეკოლოგიური დეგრადაციის თავიდან აცილების მიზნით, მენარმე ვალდებულია, გამოიკვლიოს პროდუქციის შექმნის მთელი ციკლი – წარმოება, დისტრიბუცია, გამოყენება და განთავსება (ნარჩენების).

## 8. ატმოსფერული ჰაერის დაცვა

1979 წლამდე თითქმის არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულება არ ადგენდა შეზღუდვებს სახელმწიფოთა ისეთ ქმედებებზე, რომელთაც შესაძლოა, ზიანი მიეყენებინა გარემოსთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდა ხელშეკრულებები, რომლებიც, ზოგადად, გარემოსთვის ზიანის მიყენებას კრძალავდა. 1979 წლის შემდგომ მთელი რიგი ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო აქტებისა გამოიცა ატმოსფეროს დასაცავად. 1982 წელს გაეროს ფარგლებში ხელი მოეწერა საზღვაო სამართლის კონვენციას, რომელიც რეგიონალურ და გლობალურ დონეზე არეგულირებს გარემოს ტრანსსასაზღვრო დაბინძურებას – გოგირდის ორჟანგით, ამოტით, აქროლადი ორგანული შენაერთებით, მძიმე ლითონებითა და მდგრადი ორგანული დამაბინძურებლებით. გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე საფუძველი ჩაეყარა ოზონის შრის გარემოსდაცვით, კლიმატის ცვლილებების პრევენციასა და დედაამინის გარეთა შრის გარემოსდაცვით სამართლებრივ საკითხებს. ამგვარად, ისეთმა საერთაშორისო ხელშეკრულებებმა, რომლებიც ზოგადად გარემოს დაცვას ეხებოდა, დიდი როლი შეასრულეს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამართლებრივი რეგულირების საკითხებში.

ზემოაღნიშნულ სფეროში საერთაშორისო სამართლის განვითარების ყველაზე ნათელი მაგალითებია: 1938–1941 წლებში განხილული *სმელტერის საქმე*; გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მიერ განხილული *ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის საქმე საფრანგეთის წინააღმდეგ*, რომელიც ეხებოდა საფრანგეთის მიერ წყნარ ოკეანეში წარმოებულ ბირთვულ გამოცდებს; 1970 წელს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მჭავური წვიმების შედეგად მიღებული ზარალი, რაც გამოწვეული იყო გოგირდოვანი ნაერთების ატმოსფეროში გატყორცნის შედეგად; 1986 წლის ჩერნობილის ავარია; ოზონის შრის გარღვევა 1980 წელს; ასევე ყურადსაღებია ტყის ხანძრის საფრთხეები, რომელთაც აქვთ ტრანსსეროვნული ეფექტი. ატმოსფეროს დაბინძურების მრავალი სერიოზული საფრთხის მიუხედავად, ამ სფეროს საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირების საკითხებში ხშირად აწყდებიან დაბრკოლებებს. გაეროს რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციაზე ატმოსფეროს დაცვის საკითხი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი თემა. კონფერენციაზე ნათლად გამოჩნდა, რომ საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესზე. კერძოდ, „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ მე-9 თავი, რომელიც ეძღვნებოდა ატმოსფეროს დაცვას, გააპროტესტა ნავთობის იმპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაციის უმრავლესობამ. თემის პოლიტიკური მგრძნობელობა ჩანს, აგრეთვე, „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ მე-9 თავის შესავალში მოყვანილ რეკომენდაციაში, რომელიც არ აიძულებს სახელმწიფოებს, მიიღონ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ზომები; მეორე მხრივ, ბალანსის მისაღწევად და მომავალი სავაჭრო დავების

განსაჯვრებად, რომელიც ეხება ატმოსფეროს დაცვასა და ენერგოსტანდარტებს, სახელმწიფოებს შეუძლიათ, მიიღონ დამატებითი ზომები შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების ფარგლებში.

## 8.1. ბირთვული იარაღის გამოცდის საკითხი

ატმოსფერულ ჰაერში ბირთვული ცდები იყო ერთ-ერთი პირველი გარემოსდაცვითი გამოწვევა, რომელიც განხილულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1950-იან წლებში, რასაც შედეგად მოჰყვა 1963 წელს მიღებული გადაწყვეტილება ბირთვული იარაღის ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყლის ქვეშ გამოცდის აკრძალვის შესახებ (1963 წლის ხელშეკრულება გამოცდების აკრძალვის შესახებ), რაც კრძალავდა ამ ადგილებში ბირთვული იარაღის გამოყენებას.

ბირთვული იარაღის გამოცდის საკითხთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა დავა, რომელიც წარმართა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ფარგლებში ავსტრალიას, ახალ ზელანდიასა და საფრანგეთს შორის. დღესდღეობით ითვლება, რომ ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მოსამართლეებისა და ადვოკატების სიტყვიერი შეთანხმებები მოსარჩელე ქვეყნებთან, აგრეთვე მოსამართლეების მიერ გამოტანილი განსხვავებული დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო სამართლის ნორმების საიმედო საყრდენად.

1966-1972 წლებში საფრანგეთი ატმოსფერულ ბირთვულ ცდებს აწარმოებდა ატოლ მურუროას კუნძულებთან, წყნარი ოკეანის სამხრეთ რეგიონში და ემზადებოდა შემდგომი ბირთვული ცდების ჩასატარებლად. ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ მიმართეს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს, რათა შეწყვეტილიყო წყნარ ოკეანეში მიმდინარე ბირთვული გამოცდები. ავსტრალიამ სთხოვა სასამართლოს, გამოეცხადებინა, რომ ბირთვული იარაღის ატმოსფერული გამოცდები ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებს და მოითხოვა, საფრანგეთისთვის აეკრძალათ მსგავსი ცდების ჩატარება. ავსტრალიამ გამოაცხადა, რომ ამ ცდების შედეგად: 1) დაირღვეოდა მისი უფლება, ყოფილიყო დაცული ნებისმიერი ქვეყნის ბირთვული ატმოსფერული გამოცდებისაგან; 2) მოხდებოდა რადიოაქტიური ნარჩენების დაგროვება მის სახმელეთო და საჰაერო ტერიტორიაზე; 3) ხელს შეუშლიდა საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტს, გამოიწვევდა ღია ზღვის რადიოაქტიური ნარჩენებით დაბინძურებას, რითაც დაარღვევდა ღია ზღვის უფლებებს.

ახალმა ზელანდიამ, რომელმაც ასევე წარადგინა სარჩელი, ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის ბირთვული ცდები არა მარტო არღვევდა საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებსა და პრინციპებს, არამედ არღვევდა საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრი სახელმწიფოს უფლებებს, ყოფილიყვნენ დაცული ბირთვული ცდებისგან და სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცეების ხელოვნური რადიოაქტიური დაბინძურებისაგან. ავსტრალია და ახალი ზელანდია აგრეთვე ითხოვდნენ გარკვეული დროებითი ღონისძიებების გატარებას საფრანგეთის ხელისუფლების მიმართ, რათა დაცული ყოფილიყვნენ ბირთვული გამოცდებისგან, სანამ გაეროს საერთაშორისო სასამართლო არ მიიღებდა გადაწყვეტილებას. საფრანგეთმა არჩია, არ გამოჩენილიყო ამ საქმეში. 1973 წლის ივნისში რვა ხმით ექვსის წინააღმდეგ გაეროს საერ-

თაშორისო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება დროებითი თავდაცვითი ზომების შესახებ, რითაც ითხოვდა საფრანგეთისგან, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულებისას არ ემოქმედა იმგვარად, რომ გამოეწვია დავის გამწვავება და მოსარჩელე მხარის უფლებების დარღვევა. საერთაშორისო სასამართლოს არ ჰქონდა საშუალება, განეხილა ამ საქმის დეტალები, რადგან საფრანგეთმა მიიღო ცალმხრივი დეკლარაცია, აღარ გაეგრძელებინა ატმოსფერული გამოცდები. 1974 წლის დეკემბერში საერთაშორისო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დეკლარაციის შედეგად აღარ იყო საჭირო საქმის გაგრძელება, რადგან ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის საჩივარს აღარ ჰქონდა საფუძველი, შესაბამისად, საერთაშორისო სასამართლო აღარ ყოფილა მოწვეული განაჩენის გამოსატანად.

ავსტრალია ამტკიცებდა, რომ 1963 წლის ხელშეკრულება ცდების აკრძალვის შესახებ უკვე განხორციელებული იყო და აყალიბებდა საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს, რომელიც აკრძალავდა ატმოსფერულ ბირთვულ გამოცდებს და ასეთი სამართალი მომავალში იქნებოდა „საერთაშორისო სამართლის“ სტატუსის მქონე. გაეროს საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტმა ჰამფრი ვოლდოკმა ზეპირი მოსმენებისას ავსტრალიის წარმომადგენელს ჰკითხა, ჰქონდა თუ არა მხედველობაში მიღებული, რომ ქიმიური და სხვა სახის ნივთიერებების ბუნებრივი მიზნებით გავრცელება ერთი ქვეყნის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტერიტორიიდან მეორისაზე ავტომატურად ხვდებოდა საერთაშორისო სამართლის მოქმედების ფარგლებში, დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე. ავსტრალიის წარმომადგენელმა უპასუხა: „როდესაც ერთი ქვეყნის მიერ საკუთარი ტერიტორიის ნორმალური და ბუნებრივი გამოყენების შედეგად ნარჩენების დაგროვება ხდება მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, ამ უკანასკნელს არ აქვს ჩივილის საფუძველი, თუ იგი ნომინალურზე მეტად არ ზარალდება. სახელმწიფოს მიერ საკუთარი ტერიტორიის გამოყენება ატმოსფერული ბირთვული ცდების ჩასატარებლად არ შეიძლება ჩაითვალოს საკუთარი ტერიტორიის მართებულ გამოყენებად. ავსტრალიის ხელისუფლება აგრეთვე ამტკიცებს, რომ საფრანგეთის მიერ წარმოებული ცდების შედეგად დაგროვილი რადიოაქტიური ნარჩენები იწვევს ავსტრალიის ტერიტორიის ნომინალურზე გაცილებით ძლიერ დაზიანებას. საქმის არსი ის იყო, რომ ნებისმიერი სახის შეჭრა სხვა სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე არღვევდა მის სუვერენიტეტს. ავსტრალია არ უარყოფდა, რომ ზემოაღნიშნული სახელმწიფოების ქმედებამ შეცვალა ამ პრინციპის გამოყენების სახე ტერიტორიების ურთიერთდამოკიდებულების კუთხით. იგი, აგრეთვე, აღიარებდა, რომ სხვადასხვა სახის ქიმიურ გამონაბოლქვთან მიმართებით არაა არანაირი უკანონობა, თუ მას არ მოაქვს განსაკუთრებული ზიანი. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა მიმართ დაკანონებული სანქციები ტოლერანტულია ზოგიერთი ისეთი ქმედების მიმართ, რომელიც იწვევს ამგვარ ემისიებს. როგორც წესი, ასეთი სახის მოქმედებები თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში განიხილება როგორც ტერიტორიების ბუნებრივი გამოყენება და ნებადართულია, რადგან, გარკვეული დისკომფორტის მიუხედავად, მათ სარგებლობა მოაქვთ საზოგადოებისათვის“.

ატმოსფეროს დაბინძურებასთან დაკავშირებით, ბალანსის დაცვის საკითხს შეიძლება, მწვავედ ეჩინა თავი ზემოაღნიშნულ საქმეში, მაგრამ გაეროს საერთაშორისო სასამართლომ საკითხს ირიბად თავი აარიდა საფრანგეთის ცალმხრივი ატმოსფერული ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად. მიუხედავად ამისა, გაეროს მოსამართლე დე კასტრომ არ გაუშვა ხელიდან შესაძლებლობა და დიდი სიამოვნებით დააანესა კომპენსაცია *სმელტერის* საქმეში დაზარალებული მხარის სასარგებლოდ.

გაეროს საერთაშორისო სასამართლოს 1996 წლის ბირთვული იარაღის შესახებ საკონსულტაციო დასკვნის თანახმად, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი, როგორც ეს ასახულია სახელმწიფო პრაქტიკაში, ხელშეკრულებებსა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებში, უკრძალავს სახელმწიფოებს გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას ატმოსფერული დაბინძურების გზით. ეს დასკვნა დამონშეულია საერთაშორისო სამართლის კომისიის (ILC) 2001 წლის პროექტში – „პუნქტები სასაზღვრო ზიანის პრევენციის შესახებ“. ერთ-ერთ ძირითად პრობლემად რჩება, ბარიერის განსაზღვრა იყო თუ არა მნიშვნელოვანი, შესაბამისად, უკანონო დაბინძურება. ეს ასპექტი, გარკვეულწილად, გამოკვეთილია ზოგიერთ ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავენ შეზღუდვებს ზოგიერთი ნივთიერების ინდივიდუალურ და ჯგუფურ ემისიაზე, ასევე განსაზღვრავენ დონეს, რომლის დროსაც დაზიანება აღემატება ნომინალურს და რომლის დროსაც მოქმედებები ექცევა საერთაშორისო კანონმდებლობის ჩარჩოებში. ამ საკითხის უფრო ღრმა განვითარების შესაძლებლობა სახელმწიფოების პრაქტიკაში დაიკარგა ჩერნობილის ქარხანაში მომხდარი ავარიის შემდეგ, როდესაც დაზარალებულმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, არ წამოეყენებინათ მოთხოვნები ზარალის ანაზღაურების შესახებ. თუმცა ზოგიერთმა სახელმწიფომ ეს უფლება დაიტოვა სამომავლოდ.

დავებმა, რომელიც საფუძვლად დაედო *სმელტერისა* და *ბირთვული გამოცდის* საქმეებს, წამოწია კითხვა – არსებობს თუ არა ჩვეულებითი სამართალში ტრანსსასაზღვრო და საჰაერო დაბინძურებასთან დაკავშირებული რეგულაციები. ეს საკითხი განხილული იყო საერთაშორისო სამართლის ასოციაციის (ILA) და საერთაშორისო უფლებათა ინსტიტუტის (IDI) მიერ, რომელთაც მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები. საერთაშორისო სამართლის ასოციაციის 1982 წელს მიღებული ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ „მონრეალის წესების“ მიხედვით, ჩვეულებითი სამართალი გამოცხადებულია მხარეთა ვალდებულებად, რომელიც მოითხოვს სასაზღვრო ჰაერის დაბინძურების პრევენციას ისეთ დონეზე, რომ არ მოხდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება. საერთო ვალდებულებები ისეთი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, რომელთაც მოაქვთ მნიშვნელოვანი ზიანი, ასევე დადგენილია ამ დოკუმენტით და აღნიშნულია, რომ სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ გარემოში ადამიანის ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიში ნივთიერებების გამშვებისაკან.

„საკუთარი ბუნებრივი რესურსების დამუშავების სუვერენული უფლების განხორციელებისას სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი და ეფექტური ზომები, რათა მათი იურისდიქციის ფარგლებში მიმდინარე მოქმედებებმა არ გამოიწვიოს სასაზღვრო საჰაერო დაბინძურება“ – აღნიშნული დადგენილია საერთაშორისო უფლებათა ინსტიტუტის 1987 წელს მიღებულ რეზოლუციაში სასაზღვრო საჰაერო დაბინძურების შესახებ, რომელიც რეალურად უფრო რბილია თავისი იურიდიული შინაარსით.

## 8.2. გაეროს რიო-დე-ჟანეიროს კონფერენცია და მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტი

„21-ე საუკუნის დღის წესრიგში“ მთელი თავი მიეძღვნა ოთხი პროგრამული სფეროს განსაზღვრას, რომლებიც ეხებოდა: უზუსტობების აღმოფხვრას და ისეთ პროცესებში უკეთ გარკვევას, რომლებიც ზემოქმედებენ და თავად იმყოფებიან ატმოსფეროს ზემოქმედების ქვეშ, გლობალური, რეგიონალური და ადგილობრივი მასშტაბით; საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდას; უკეთ გარკვევას ატმოსფერული ცვლილებების შედეგად მიღებულ ეკონომიკურ-სოციალურ შედეგებში და ამ შედეგების შემამსუბუქებელი საპასუხო ზომების მიღებას; მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობას; ოზონის ფენის დაზიანების პრევენციას და სასაზღვრო საჰაერო დაბინძურებების შემზღუდველი მექანიზმების გაძლიერებას. „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ ძირითადი მიღწევა იყო აღიარება, რომ მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია, გადაწყდეს საჰაერო ტრანსსაზღვრო დაბინძურების, ოზონის ფენის დაზიანებისა და კლიმატის ცვლილებების პრობლემები. ენერგოსექტორთან დაკავშირებით „21-ე საუკუნის დღის წესრიგში“ აღნიშნულია, რომ: *ატმოსფეროში სათბური და სხვა სახის აირების, აგრეთვე სხვადასხვა ნივთიერების გაფრქვევის კონტროლი სულ უფრო და უფრო მეტადაა დამოკიდებული ენერჯის წარმოების ეფექტურობაზე, მისი გადაცემისა და მოხმარების ხერხებზე, აგრეთვე ეკოლოგიურად უსაფრთხო ენერგოსისტემებზე, კერძოდ ენერჯის ახალი და განახლებადი წყაროების გამოყენებაზე.*

„21-ე საუკუნის დღის წესრიგზე“ შეთანხმებულ სხვა საკითხებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო სამართლის განვითარებაში ატმოსფერული დაბინძურების პრევენციის მიმართულებით. მაგალითად, „21-ე საუკუნის დღის წესრიგი“ მოიცავს ტრანსპორტირების საკითხებს, რაც შეიძლება იყოს სამომავლო საერთაშორისო სამართლის განვითარების ინდიკატორი. ამ პროგრამული ნაწილის საერთო მიზანია, ეფექტური ეკონომიკური სტრატეგიისა და პროგრამების შემუშავება, რომლებიც ზღუდავს და აკონტროლებს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას და სატრანსპორტო სექტორის მავნე ეკოლოგიურ ზემოქმედებას, განვითარების პრიორიტეტების, უსაფრთხოებისა და ეროვნული გარემოებების გათვალისწინებით. ანალოგიურად, ინდუსტრიული განვითარების პროგრამული ნაწილის მიზანია, ინდუსტრიის განვითარება და გაფართოება მოხდეს იმგვარად, რომ მინიმუმამდე დავიდეს მავნე ზემოქმედებები ატმოსფეროზე, წარმოების ეფექტურობის გაზრდის, დაბინძურებებთან ბრძოლის ტექნოლოგიებისა და, აგრეთვე, ახალი, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების შემუშავების ხარჯზე. „21-ე საუკუნის დღის წესრიგი“ ითვალისწინებს ორივე პროგრამული სფეროს მიღწევებს ხელისუფლების, ხელისუფლებათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და, აგრეთვე, კერძო სექტორის მიერ გატარებულ ღონისძიებებს; ხარჯთსარგებლიანი, გაცილებით ეფექტური და ნაკლებად დამაბინძურებელი სატრანსპორტო სისტემის განვითარების ხელშეწყობას, კერძოდ, სოფლისა და ქალაქის საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების შემუშავებას;



ნაკლებად დამაბინძურებელი სატრანსპორტო და სხვა ინდუსტრიული ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში; განვითარებადი ტექნოლოგიების, პროდუქტებისა და პროცესების ხელშეწყობას, რომლებიც ნაკლებად აბინძურებენ გარემოს და გაცილებით ეფექტურად იყენებენ ბუნებრივ რესურსებს; აგრეთვე გარკვეული ადმინისტრაციული, სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების გატარებას ისეთი ტრანსპორტის სახეებისა და სანარმოო პრაქტიკის გავრცელების ხელშეწყობისათვის, რომლებიც ამცირებენ ატმოსფეროზე უარყოფით გავლენას. გარდა ამისა, სახმელეთო და საზღვაო რესურსებისა და მიწის გამოყენების პროგრამა მიზნად ისახავს: შემცირდეს ატმოსფეროს დაბინძურება და შეიზღუდოს სათბურის აირების ანთროპოგენური ემისიები, რათა შენარჩუნდეს ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. ამასთან, პროგრამების დაგეგმვისას სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ატმოსფერული ცვლილებები.

მდგრადი განვითარების პროგრამა აგრეთვე განსაზღვრავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გაატარონ ხელისუფლებებმა და, რომლებმაც შესაძლოა, დიდი როლი შეასრულონ სამომავლო საერთაშორისო სამართალში. პროგრამა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მთელი მსოფლიო ერთხმად შეიკრიბა, რათა დაეგეგმათ მომავალი ენერგოპოლიტიკა. შესაბამისად, პროგრამის მიზანი იყო: გაუმჯობესებული ენერგოეფექტური ტექნოლოგიების კვლევის, განვითარების, გადაცემისა და გამოყენების ხელშეწყობა; გაცილებით ეფექტური და ნაკლებად დამაბინძურებელი ენერჯის სახეების შემუშავების, წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა; მიმდინარე ენერგომომარაგების ბალანსის განხილვა; ენერგეტიკული გეგმების კოორდინაცია რეგიონალურ და ქვერეგიონალურ დონეებზე; ეფექტური ეკონომიკური მიდგომებისა და პროგრამების ხელშეწყობა ენერგოეფექტურობის ამაღლების მიზნით (რაც შეიძლება, მოიცავდეს ადმინისტრაციულ, სოციალურ და ეკონომიკურ ზომებს); ენერგოეფექტურობისა და ემისიის სტანდარტების გაუმჯობესება ეროვნულ დონეზე; საზოგადოების განათლების ხელშეწყობა და უკეთ ინფორმირება ენერგოეფექტური და გარემოსთვის უსაფრთხო ენერგოსისტემების შესახებ.

იოჰანესბურგის მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტის სამოქმედო გეგმაში ნაკლები კონკრეტული მითითებებია ატმოსფეროს დაბინძურების საერთაშორისო რეგულაციების შემდგომი განვითარების შესახებ. თავად სამიტზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კლიმატურ ცვლილებებს და სახელმწიფოთა მიერ კიოტოს ოქმის თანამედროვე სახით რატიფიცირებას. 2005 წლის დასაწყისში, კანადისა და რუსეთის მხრიდან რატიფიცირების შემდეგ, ოქმის მოქმედება საბოლოოდ შევიდა ძალაში. ატმოსფეროს დაბინძურებასთან დაკავშირებით სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გაძლიერება და ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების ზემოქმედების შემცირება. ფონდის შევსება ხდება 1987 წლის მონრეალის ოქმის შესაბამისად, რომელიც, აგრეთვე, ითვალისწინებს ოქმთან შესაბამისობის შექანიშმების კონტროლს და ოზონის დამაზიანებელი ნივთიერებებით ვაჭრობასთან ბრძოლას.

### **8.3. 1979 წლის კონვენცია ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების შესახებ და მისი 1985 წლის გოგირდის შესახებ ოქმი**

1979 წლის გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენცია, რომელიც ეხება ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებებს (1979 წლის „ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების კონვენცია“ (LRTAP)), მოიცავს მჭავურ წვიმებსა და ჰაერის სხვა დამაბინძურებლებთან დაკავშირებულ პრობლემებს და არის ერთადერთი, მრავალმხრივი შეთანხმება, რომელიც ეხება ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების კონტროლს. ამ პერიოდისათვის ხელშეკრულებას ჰქონდა შებლუდული რეგიონალური მოქმედების არეალი, მიუხედავად ამისა, მან მაინც დაუდო საფუძველი შემდგომ მიღებულ გლობალური დონის ხელშეკრულებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა კლიმატის ცვლილებებისა და ოზონის ფენის დაზიანების პრობლემების გადაწყვეტას, აგრეთვე იყო ერთგვარი მაგალითი სხვა რეგიონებისათვის, მჭავური წვიმებისა და მასთან დაკავშირებულ ატმოსფერულ ტრანსსასაზღვრო პრობლემებთან საბრძოლველად.

1979 წლის ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების კონვენცია (LRTAP) შემუშავდა სტოკჰოლმის დეკლარაციის შემდეგ, ნაწილობრივ „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ პრინციპებისა და ეუთოს 1975 წლის ფინალური აქტის გარემოსდაცვითი ნაწილის გათვალისწინებით. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ხელშეკრულება, რომელიც აღიარებდა საჰაერო დაბინძურების უარყოფით შედეგებს და მის ხანმოკლე და ხანგრძლივ პერსპექტივებს. კონვენცია მოიცავს რვა ოქმს (ფინანსური მონიტორინგის პროგრამას, გოგირდისა და აზოტის ოქსიდების, აქროლადი ორგანული ნაერთების, მძიმე მეტალებისა და მუდმივი ორგანული დამაბინძურებლებით ემისიას, აგრეთვე, ჟანგვის, ათროოფიკაციისა და მიწისპირა ოზონის დონის შემცირებას).

*„ჰაერის დაბინძურება, რომლის ფიზიკური წარმოშობის წყარო მდებარეობს ერთი ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ხოლო მავნე გეგავლენას ახდენს მეორე ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე ისეთ მანძილზე, როდესაც შეუძლებელია ემისიის კონკრეტული წყაროს დადგენა“* – ეს ჩანაწერი 1979 წლის ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების კონვენციის (LRTAP) პირველ მუხლში არის წარმოდგენილი და თავისი შინაარსით სმელტერის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებას ჰგავს.

1979 წლის ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების კონვენციამ დაადგინა რეგიონალური საზღვრები, კაცობრიობისა და გარემოს დასაცავად საჰაერო დაბინძურებებისგან, აგრეთვე, კონვენციის მიხედვით, მხარეები ვალდებული არიან, ეცადონ შებლუდვას და რამდენადაც შესაძლებელია, თანდათანობით შეამცირონ და სულ აღკვეთონ საჰაერო დაბინძურებები, მათ შორის ფართომასშტაბიანი, ტრანსსასაზღვრო საჰაერო დაბინძურებები. იმის მიუხედავად, რომ ეს არის მსუბუქი

ვალდებულება და არ აქვს რაიმე კონკრეტული მიზანი და განრიგი, მაინც ამყარებს საერთო შეზღუდვებს ატმოსფერული დამაბინძურებლების გაფრქვევის უფლებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ კონვენციაში მოცემულმა განსაზღვრებებმა სხვა დოკუმენტებს დაუდო საფუძველი. „საჰაერო დაბინძურების“ განსაზღვრება საკმარისად ვრცელია და ტერმინი „ჰაერის დამაბინძურებლები“ მოიცავს სათბურის აირებისა და ოზონის დამაბინძურებელი ნივთიერებებით საჰაერო ემისიებსაც. 1979 წლის ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების კონვენცია მოიცავს ზოგად ვალდებულებებს ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლის შესახებ; აგრეთვე, სტრატეგიების, პოლიტიკის, სამეცნიერო საქმიანობის, ტექნიკური ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და კვლევებში თანამშრომლობას. კონსულტაციები უნდა გაიმართოს ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით ფაქტობრივად დაზარალებულ და რისკის ქვეშ მყოფ მხარეებსა და იმ მხარეებს შორის, რომელთა იურისდიქციის ქვეშაც წარმოიქმნება ან შეიძლება წარმოიქმნებოდეს დაბინძურების წყარო.

ჰაერის ხარისხის კონტროლის რაიმე კონკრეტული ვალდებულებების არარსებობის მიუხედავად, მხარეებმა მაინც უნდა შეიმუშაონ სტრატეგიები და მიდგომები, მათ შორის ჰაერის ხარისხის მართვისა და კონტროლის ზომები, არსებული საუკეთესო ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც იქნება ეკონომიკურად გამართლებული, აგრეთვე, არ გამოიწვევს დიდი რაოდენობით ნარჩენების დაგროვებას ან იქნება საერთოდ უნარჩენო. უნდა მოხდეს შემდეგი ინფორმაციების ურთიერთგაცვლა: მონაცემები აღიარებული ჰაერის დამაბინძურებლებით ემისიების შესახებ; მნიშვნელოვანი ცვლილებები სამრეწველო განვითარებისა და მის პოტენციურ ზემოქმედებებთან მიმართებით; კონტროლის ტექნოლოგიები; ემისიების კონტროლის ხარჯები; ფიზიკური და ბიოლოგიური მონაცემები, რომლებიც ეხება ფართომასშტაბიან ტრანსსასაზღვრო საჰაერო დაბინძურების ეფექტებს და მიღებული ზარალის მასშტაბებს; გოგირდოვანი ნაერთებისა და სხვა ძირითადი დამაბინძურებლების კონტროლის პოლიტიკა და სტრატეგიები.

ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების კონვენცია, აგრეთვე, ადგენს „თანამშრომლობის პროგრამას, ევროპის ტერიტორიაზე შორ მანძილზე გავრცელებადი ჰაერის დამაბინძურებლების მონიტორინგისა და შეფასებისთვის (EMEP)“, რათა მოხდეს გოგირდის დიოქსიდისა და მსგავსი ნივთიერებების მონიტორინგი, აგრეთვე მონიტორინგის სტანდარტიზებული პროცედურების შემუშავება და დანერგვა, მონიტორინგის პუნქტების დადგენა, რაც არის საერთაშორისო პროგრამის შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილი. ინსტიტუციური მექანიზმები მოიცავს აღმასრულებელ ორგანოსაც, რომელიც შედგება მხარეთა წარმომადგენლებისაგან. ისინი ახდენენ კონვენციის აღსრულების მეთვალყურეობას EMEP-ის მმართველი ორგანოსა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმსრულებელი მდივნის გამოყენებით, რომელიც ასრულებს სამდივნოს ფუნქციებს. მიუხედავად ამისა, 1979 წლის ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების კონვენცია, ძირითადად, არის ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც ადგენს ძირითად ვალდებულებებს. მან საფუძველი და-

უდო ფორუმის ჩატარებას, სადაც მიიღეს რვა ოქმი, რომლებშიც დადგენილია უფრო დეტალური ვალდებულებები, მათ შორის, განსაკუთრებული ნივთიერებებით ემისიის დონეების კონტროლი.

საინტერესო და ყურადსაღებია ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურებების კონვენციის მეორე დამატებითი 1985 წლის ოქმი, რომელიც ეხება „გოგირდოვანი ემისიების ან მისი ტრანსსასაზღვრო ნაკადების შემცირებას მინიმუმ 30 %-ით“. ოქმი შემუშავდა და მიღებულ იქნა ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ბუნებრივი რესურსებისთვის, ისტორიული ძეგლებისათვის, ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ფართომასშტაბიანი ზიანის საპასუხოდ, რაც გამოიწვია გოგირდის დიოქსიდის, აზოტის ოქსიდისა და სასარგებლო წიაღისეულის წვის შედეგად მიღებული ნივთიერებებით დაბინძურებამ. 1985 წლის ოქმით შიქმნა ეგრეთ წოდებული „ოცდაათპროცენტიანი კლუბი“, რომელიც ყველა მხარეს ავალდებულებს, შეამცირონ ყოველწლიური გოგირდის ემისიები, სულ მცირე, 30 %-ით, არაუგვიანეს 1993 წლისა. ამასთან, 1985 წლის ოქმის მიხედვით, მხარეებს მოეთხოვებათ ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა კონვენციის აღმასრულებელი ორგანოსთვის გოგირდის ყოველწლიური ბუნებრივი ემისიების, დაგეგმილი მიზნების მიღწევის მაჩვენებლისა და ამ მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდების შესახებ. რეალურად, ოქმის ეფექტიანი აღსრულების შედეგად ევროპის ტერიტორიაზე დაფიქსირდა გოგირდის ემისიების მნიშვნელოვანი შემცირება. 1993 წლისათვის 1985 წლის გოგირდის შესახებ ოქმის მხარეთა მიერ მთლიანობაში გოგირდის ემისიები შემცირდა 50%-ზე მეტად. ზოგიერთმა მხარემ მოახერხა ემისიების 60%-ამდე შემცირებაც კი. ამასთან, ოქმის მიზანია ემისიების დინამიკაში მუდმივი შემცირება.

#### **8.4. 1998 წლის ორპუსის ოქმი მძიმე მეტალების შესახებ და 1998 წლის ორპუსის ოქმი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ**

1979 წლის ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენციისთვის შეიქმნა კიდევ სხვა ოქმები, მათ შორის 1998 წლის მძიმე მეტალების შესახებ ოქმი, რომელიც მიღებულ იქნა ორპუსში 1998 წლის 24 ივნისს, ხოლო ძალაში შევიდა 2003 წლის 29 დეკემბერს. იგი შეეხება სამ განსაკუთრებით საშიშ მძიმე მეტალს – ტყვიას, კადმიუმსა და ვერცხლისწყალს და მხარეთაგან მოითხოვს ამ მეტალების ემისიების დონის შემცირებას. შეთანხმების მიზანია, შემცირდეს მძიმე მეტალების ემისიები, რომლებიც მიიღება ინდუსტრიული წყაროების, წვის პროცესებისა და ნარჩენების წვის შედეგად. მხარეები ვალდებული არიან, შეიმუშაონ ემისიების სტანდარტები მსგავსი დამაბინძურებლებისათვის, რომლებიც დაფუძნებული იქნება ოქმით შემოთავაზებული საუკეთესო ტექნოლოგიების გამოყენებაზე. გარდა ამისა, მხარეები თავის თავზე იღებენ ვალდებულებას, შეამცირონ ეთილირებული ბენზინის გამოყენება და გაატარონ სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც მიმართული იქნება სხვადასხვა პროდუქტიდან მძიმე მეტალების ემისიების შესამცირებლად. ოქმით მართვის ღონისძიებების მთელი რიგია შემოთავაზებული ვერცხლისწყლის შემცველი პროდუქტების მიმართ. მხარეებმა უნდა შეიმუშაონ სტრატეგიები, პოლიტიკა და პროგრამები, რათა შეუფერხებლად შესრულდეს ოქმით ნაკისრი ვალდებულებები. ამ მიზნით შემოთავაზებულია მთელი რიგი ღონისძიებებისა, მათ შორის ეკონომიკური ინსტრუმენტები, მართვითი/საწარმოო შეთანხმებები და ნებაყოფლობითი ხელშეკრულებები, რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების გზები, ნაკლებად დამაბინძურებელი რესურსების გამოყენება, ნაკლებად დამაბინძურებელი სატრანსპორტო სისტემების შემუშავება, დამაბინძურებელი საწარმოო პროცესების ეტაპობრივი შემცირება და წმენდის პროცედურები. მხარეები არ არიან შეზღუდული და შეუძლიათ, მიიღონ უფრო მკაცრი ზომები, ვიდრე ოქმითაა მოთხოვნილი. მძიმე მეტალების ოქმი ხელს უწყობს ტექნოლოგიების ურთიერთგაცვლას და მხარეთა შორის თანამშრომლობის სხვა ფორმებს. მხარეებმა პერიოდულად უნდა წარუდგინონ აღმასრულებელ ორგანოს ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მიღებული ღონისძიებების ანგარიში, რომლის შესაბამისობას ამოწმებს აღმასრულებელი კომიტეტი.

1979 წლის ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამატებითი შეთანხმება ეხება მდგრად ორგანულ დამაბინძურებლებს (POPs). მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ოქმი აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა მძიმე მეტალების ოქმის თანადროულად და მისი მოქმედებას ასევე 2003 წელს შევიდა ძალაში. ოქმის საბოლოო მიზანია, აღკვეთოს მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების გადაყრა, ემისიები და დანაკარგები ატმოსფეროში. ოქმში ყურადღება გამახვილებულია თექვსმეტ ნივთიერებაზე (მათ შორისაა: პესტიციდები, სამრეწველო ქიმიკატები და დამაბინძურებელი ნივთიერებე-

ბი), რომლებიც გამოყოფილია დადგენილი რისკის კრიტერიუმების მიხედვით. ოქმის მიხედვით, მხარეები იღებენ საკუთარ თავზე ვალდებულებებს, რათა აღიკვეთონ პირველ დანართში ჩამოთვლილი გარკვეული მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების წარმოება და გამოყენება; მე-2 დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებების გამოყენება; მე-3 დანართში ჩამოთვლილ დამაბინძურებლებთან მიმართებით მხარეებისგან მოითხოვება ამ დამაბინძურებლებით ემისიების შემცირება 1985-1995 წლებში მითითებულ დონეებამდე. დიოქსინებისა და ფურანების ემისიისათვის მხარეთაგან მოითხოვება, დაიცვან ემისიების ლიმიტი, საუკეთესო ტექნოლოგიების, აგრეთვე ახალი და არსებული სტაციონარული საშუალებების გამოყენების ხარჯზე. გარდა ამისა, აუცილებელია მობილური წყაროებიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების ემისიების კონტროლის ეფექტური ზომების მიღება. ოქმი ეხება ჩამოთვლილი ნივთიერებების შემცველი ნარჩენების უტილიზაციის საკითხსაც. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ამ ნარჩენების განადგურება გარემოსთვის ზიანის მიუყენებლად. პირველ დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებებისათვის შიდა განადგურების მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ქვერეგიონალურ, რეგიონალურ და გლობალურ რეჟიმებს, რომლებიც მართავენ სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებებს, კერძოდ, უნდა შეესაბამებოდეს ბაზელის კონვენციას. მხარეებმა უნდა შეიმუშაონ სტრატეგიები, პოლიტიკა და პროგრამები, რათა შეასრულონ ოქმით ნაკისრი ვალდებულებები; ხელი შეუწყონ ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისათვის, იმ ინდივიდების ჩათვლით, ვინც არის მდგრადი ორგანული ნარჩენების უშუალო მომხმარებელი; ხელი შეუწყონ ინფორმაციისა და ტექნოლოგიების ურთიერთგაცვლას; აგრეთვე, მონაწილეობა მიიღონ ერთობლივ კვლევებში, რომლებიც ეხება მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების განვითარებასა და მონიტორინგს. მხარეებმა პერიოდულად უნდა წარუდგინონ აღმასრულებელ ორგანოს ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მიღებული ღონისძიებების ანგარიში, რომლის შესაბამისობას ამონმებს აღმასრულებელი კომიტეტი.

## 8.5. 1999 წლის გოთენბურგის ოქმი ჟანგვის, ათროფიკაციისა და მიწისპირა ოზონის დონის შემცირების შესახებ

1999 წლის ხელშეკრულება ჟანგვის, ათროფიკაციისა და მიწისზედა ოზონის დონის შემცირების შესახებ ჰაერის შორ მანძილზე ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენციის ერთ-ერთი დამატებითი ოქმია, ეგრეთწოდებული გოთენბურგის ოქმი. ოქმი კონვენციის ფარგლებში პირველი შეთანხმებაა, რომელიც მიღებულ იქნა აზოტის ნაერთების (ამიაკის) ემისიების შესამცირებლად და რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან. ოქმის თანახმად, მხარეთაგან მოითხოვება: მიიღონ ამიაკის კონტროლის ზომები, მათ შორის რეკომენდაციები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისას ამიაკის ემისიების კონტროლისათვის; მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც ზღუდავს ამიაკის ემისიებს, მაგალითად შარდოვანას ფუძეზე დამზადებული მყარი სასუქების გამოყენების გზით; შეიმუშაონ კონტროლის ზომები ცხოველთა შენახვასა და მათ საცხოვრებელთან მიმართებით. ოქმის აღსრულების ფარგლებში 2007 წელს მიღებული დოკუმენტაცია არის სახელმძღვანელო მხარეთათვის, სადაც განსაზღვრულია ამიაკის კონცენტრაციის მახასიათებლები, აგრეთვე აგროკულტურებიდან და სხვა სტაციონარული დაბინძურების წყაროებიდან ემისიების შემცირების ტექნოლოგიები.

გოთენბურგის ოქმის დანიშნულებაა 4 ძირითადი დამაბინძურებლის – გოგირდის, მონოაზოტის ოქსიდების (NO<sub>x</sub>), ამიაკისა და აქროლადი ორგანული ნაერთების (VOCs) – ანთროპოგენური ემისიების კონტროლი და შემცირება, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეკოსისტემაზე, ბუნებრივ რესურსებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე, ჟანგვის, ათროფიკაციისა და მიწისპირა ოზონის გამო. ოქმის სრულად ამოქმედების შემთხვევაში, წინასწარი პროგნოზების მიხედვით, ევროპის ტერიტორიის ნაწილი, სადაც აღინიშნებოდა ჟანგვის განსაკუთრებული დონე, 93 მილიონი ჰექტრიდან (1990 წლის მონაცემებით) შემცირდება 15 მილიონ ჰექტრამდე. ანალოგიურად, ათროფიკაციის დონე დაიკლებს და 165 მილიონი ჰექტრის (1990 წელს) ნაცვლად 108 მილიონამდე ჩამოვა, ხოლო დღეების რაოდენობა, როდესაც შეინიშნება ოზონის გადაჭარბებული კონცენტრაცია, განახევრდება. ოქმი ეფუძნება ზემოაღნიშნულ გოგირდის, NO<sub>x</sub>-ისა და VOCs-ის ოქმებს და იყენებს მთელ რიგს მექანიზმებისას, რათა შეამციროს ამ ოთხი ტიპის დამაბინძურებლების ატმოსფერული ემისიები. გრძელვადიანი და ეტაპობრივი მოქმედებებით მხარეები მიისწრაფვიან იქითკენ, რომ დამაბინძურებლების კონცენტრაციის ატმოსფერული დაგროვება არ უნდა აჭარბებდეს მჟავიანობის, საკვები აზოტისა და ოზონის დანართ 1-ში მითითებულ კრიტიკულ დონეებს. დანართ 2-ში მითითებულია გოგირდის NO<sub>x</sub>-ის, VOCs-ისა და ამიაკის ემისიების ზედა ზღვრები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა მხარეთათვის 2010 წლიდან. ემისიების შემცირების მოთხოვნილი დონე დიფერენცირდება მხარეებს შორის, ანუ ისეთი ქვეყნები, რომელთა ემისიებსაც გარემოსა და ჯანმრთელობისათვის მოაქვთ გაცილებით დიდი ზიანი, იძულებული

იქნებიან, უფრო მეტად შეამცირონ გაფრქვევები. გარდა ამისა, ოქმი ადგენს მკაცრ ლიმიტებს სპეციფიკური ემისიის წყაროებისათვის, როგორებიცაა: სანვაკი და ახალი მობილური დაბინძურების წყაროები. აგრეთვე, მოითხოვს საუკეთესო არსებული ტექნოლოგიების გამოყენებას ემისიების შემცირების მიზნით. ოქმთან ერთად მიღებულ სახელმძღვანელო დოკუმენტებში მითითებულია ემისიებთან ბრძოლის მთელი რიგი მეთოდებისა, აგრეთვე სხვადასხვა სექტორში (მათ შორის სატრანსპორტო) ემისიების შემცირების ეკონომიკური ინსტრუმენტები. ოქმის მიხედვით, მხარეები ვალდებული არიან: შეიმუშაონ სტრატეგიები, პოლიტიკა და პროგრამები ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად; გაასაჯაროონ ინფორმაცია; ხელი შეუწყონ ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლას; მიიღონ მონაწილეობა ერთობლივ კვლევებში, წარმოებასა და მონიტორინგში. მხარეებმა პერიოდულად უნდა წარუდგინონ ანგარიში აღმასრულებელ ორგანოს, ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მიღებული ზომების შესახებ, აღმასრულებელი კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები 1999 წლის გოთენბურგის ოქმის გადახედვაზე, არსებულ ოქმში ცვლილებების შეტანის ან ახალი ოქმის მიღების მიზნით, ისეთი დამატებითი ასპექტების გასათვალისწინებლად, როგორებიცაა: ნაწილაკებით, შავი ნახშირბადით და კონტინენტთაშორისი სატრანსპორტო საშუალებებით ჰაერის დაბინძურება.



## 9. კლიმატის ცვლილების შერბილება

დედამიწის კლიმატს, ძირითადად, განაპირობებს ატმოსფეროში ბუნებრივი სათბურის აირების, მათ შორის: წყლის ორთქლის, ნახშირორჟანგის ( $\text{CO}_2$ ), აზოტის ოქსიდის ( $\text{N}_2\text{O}$ ), მეთანისა ( $\text{CH}_4$ ) და ტროპოსფერული ოზონის ( $\text{O}_3$ ) შემცველობა. ცხადია, ხდება გარკვეული რაოდენობით მოკლევადიანი მზის რადიაციის შემოდინება, მაგრამ დედამიწის ზედაპირზე აგრეთვე ხდება გრძელვადიანი რადიაციის დაჭერა და შთანთქმა. მათი არსებობა შემაშფოთებელ გავლენას ახდენს დედამიწაზე. სამეცნიერო კვლევების მონაცემებით, ატმოსფეროში გრძელდება ამ სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდა, რაც გამოწვეულია ადამიანთა სხვადასხვა სახის ქმედებით, რომლებიც, საბოლოოდ, გამოიწვევს „სათბურის ეფექტის“ გაძლიერებას და გლობალურ კლიმატურ ცვლილებებს. ნახშირორჟანგი, რომელიც გამოიყოფა წიაღისეულის წვისას, ცემენტის წარმოებისას, აგროკულტურული თუ სხვა საქმიანობის შედეგად (მაგალითად ტყეების გაჩეხის შედეგად), ყველაზე დიდი საფრთხეა კლიმატის ცვლილებებისათვის, თუმცა, რა თქმა უნდა, CFC-11 და 12-ის, აგრეთვე, მეთანისა და აზოტის ოქსიდის გლობალური ემისიებიც დიდ საფრთხეს ქმნიან. 1988 წელს გარემოს დაცვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (UNEP) და მსოფლიოს მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ (WMO) ჩამოაყალიბეს კლიმატის ცვლილებების მთავრობათაშორის ექსპერტთა ჯგუფი (IPCC), რათა მათ გაეწიათ მომავალი სამოქმედო გეგმების სამეცნიერო ხელმძღვანელობა. IPCC-ის მეოთხე ანგარიში გამოქვეყნდა 2007 წელს, სადაც ნაგარაუდევია, რომ სხვადასხვა ტიპის ემისიების შედეგად ოცდამეერთე საუკუნის განმავლობაში გლობალური საშუალო ტემპერატურა მოიმატებს  $1,8^\circ\text{C}$ -იდან  $4^\circ\text{C}$ -ამდე. ზღვის საშუალო დონე ოცდამეერთე საუკუნის ბოლოს 18 სანტიმეტრიდან 59 სანტიმეტრამდე მოიმატებს. რა თქმა უნდა, მოიმატებს ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების რიცხვი. გლობალური საშუალო ტემპერატურის  $2^\circ\text{C}$ -ზე მეტად მომატება გამოიწვევს გლობალურ დათბობას. ზოგიერთი მეცნიერი და მცირეკუნძულოვანი სახელმწიფოები ითხოვენ, ტემპერატურის ზრდის კრიტიკულ მაჩვენებლად ჩაითვალოს  $1,5^\circ\text{C}$ .

ხელშეკრულებები, რომლებიც მიღებულ იქნა კლიმატის ცვლილებებისა და მისი შემდგომი ეფექტების შესახებ, ოფიციალურად დამტკიცდა და შევიდა ძალაში გაეროს გენერალური ასამბლეისა და სპეციალიზებული სააგენტოების მიერ. 1988-1989 წლებში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ განსაზღვრა, რომ „კლიმატის ცვლილებები არის მთელი კაცობრიობის საერთო პრობლემა“ და მოუწოდა მთავრობებს, მთავრობათაშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ ერთობლივი ძალებით მოემზადებინათ და დაჩქარებული წესით მიეღოთ კლიმატის ცვლილებების ჩარჩო ხელშეკრულება. სამართლებრივი დოკუმენტების მისაღებად წარმოებულ მოლაპარაკებებს და პოლიტიკურ პროცესებს ახალი იმპულსი შემატა 1990 წლის კლიმატის

ცვლილებების მეორე მსოფლიო კონფერენციის დეკლარაციამ. კონფერენცია ჩატარდა კლიმატის ცვლილებების ეფექტური ჩარჩო ხელშეკრულების მიღების მიზნით, სადაც განსაზღვრული იქნებოდა მხარეთა მიერ დაუყოვნებლივ შესასრულებელი მოქმედებები. 1990 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ წამოიწყო გაერთიანებული მთავრობათაშორისი მოლაპარაკებების პროცესი გენერალური ასამბლეის ეგიდით, რომელსაც მხარს უჭედა UNEP და WMO. პროცესის მიზანი იყო მთავრობათაშორისი მოლაპარაკებების კომიტეტის მომზადება კლიმატის ცვლილებების ჩარჩო ხელშეკრულებისათვის (INC/FCCC). INC/FCCC-მა ჩაატარა ხუთი სესია. კონვენცია მიიღეს მეხუთე სესიის დახურვისას 1992 წლის მაისში. გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო ხელშეკრულებას (1992 წლის კლიმატის ცვლილებების ხელშეკრულება) ხელი მოაწერა 155-მა წევრმა სახელმწიფომ და ევროკომისიამ 1992 წლის ივნისში გაეროს რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციის ფარგლებში. ხელშეკრულება არის პაკეტი, რომელიც მოიცავს მოლაპარაკებებში მონაწილე ყველა მხარის ინტერესებს, მაგრამ არცერთ მათგანს არ აკმაყოფილებს სავსებით. გარდა ამისა, ხელშეკრულება წარმოადგენდა კომპრომისს იმ მხარეებს შორის, რომლებიც ეძებდნენ ემისიების შემცირების სპეციფიკურ ხერხებს და იმ მხარეებს შორის, რომელთათვისაც ხელშეკრულება იყო, უბრალოდ, საყრდენი ჩონჩხი მომავალი ოქმებისათვის, როგორცაა 1985 წლის ვენის კონვენცია. 1997 წელს მიღებულ იქნა კიოტოს ოქმი და განვითარებული ქვეყნებისათვის დადგინდა პირველი პერიოდის უფრო დეტალური ვალდებულებები.

1992 წლის კლიმატის ცვლილებების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებისა და 1997 წლის კიოტოს ოქმის დანიშნულებაა, შეზღუდონ სათბურის აირების გაფრქვევა გლობალური დათბობის საშიში დონეების თავიდან ასაცილებლად. ამ ხელშეკრულების სიმყარემ დაამტკიცა ძირეული ცვლილებების აუცილებლობა სახელმწიფოთა ეკონომიკურ პოლიტიკაში ტრანსპორტირების, სატყეო და ენერგოსაკითხებთან მიმართებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გლობალურ ემისიებს. განვითარების შემაფერხებელი კიდევ ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს კლიმატის ცვლილების შედეგები, ამიტომ ჩარჩო ხელშეკრულება მოიცავს არა მხოლოდ კლიმატის ცვლილებების შესუსტების საკითხებს გაფრქვევების შემცირების გზით, არამედ გარდაუვალ კლიმატურ ცვლილებებთან შეგუებისა და მასთან დაკავშირებული თანასწორობის, სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების საკითხებს. მრავალი თვალსაზრისით, კლიმატის ცვლილებების რეგულირება საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის სარგებლიანობასა და ეფექტურობას მნიშვნელოვან გამოცდას უწყობს.

ახალი საეტაპო შეთანხმება კლიმატის ცვლილების სფეროში მიღებულ იქნა პარიზში 2015 წლის დეკემბერში და ძალაში შევიდა 2016 წლის 4 ნოემბერს. შეთანხმებით დადგენილი სახელმწიფოთა ეროვნულად განსაზღვრული წვლილი (INDC) ითვალისწინებს ეროვნული სათბურის გაზების ემისიის შემცირებას. 2030 წლისათვის პარიზის შეთანხმებამ დასახა მოქმედების გეგმა საუკუნის საშუალო გლობალური ტემპერატურის აწევის  $2^{\circ}\text{C}$ -ის ქვემოთ შენარჩუნებისა და შემდგომ  $1,5^{\circ}\text{C}$ -ამდე დაწევისათვის

წინაინდუსტრიულ დონის ზემოთ. შეთანხმება მიზნად ისახავს ასევე ქვეყნების შესაძლებლობების გაზრდას კლიმატის ცვლილებასთან გამკლავებისათვის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია აქტიური მონაწილეობა და თანამშრომლობა ეროვნულ ხელისუფლებასა და ყველა რელევანტურ ორგანიზაციას შორის, რომლებიც მოიცავს ეკონომიკის სექტორებს და ყველაზე მონყვლადებს კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ.

## 9.1. 1992 წლის კლიმატის ცვლილების კონვენცია

კონვენციის მიზანია ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციის სტაბილიზაცია იმ დონემდე (კონვენციის მიერ მოთხოვნილ ჩარჩოებში), რომ გამორიცხულ იქნეს კლიმატზე ანთროპოგენური ზეგავლენა. სათბურის გაზების მოთხოვნილი კონცენტრაციის შენარჩუნება უნდა უზრუნველყოფილ იქნეს ისეთ ვადებში, რომლებიც მისცემენ ბუნებრივ ეკოსისტემებს კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის საშუალებას. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს სურსათის სტაბილური წარმოება და ეკონომიკური განვითარების მდგრადი საფუძვლები. კონვენცია აღიარებს მონაწილე მხარეთა ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტს, თუმცა ქვეყნებისგან ითხოვს კლიმატის სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის ზომების გატარებას. ამისთვის მხარეებმა უნდა განახორციელონ წინასწარი ღონისძიებები, რათა მინიმუმამდე დავიდეს „კლიმატის ცვლილების არახელსაყრელი შედეგი“. ამ ცნებაში იგულისხმება კლიმატის მოვლენები, რომლებსაც შეუძლიათ როგორც ცოცხალ გარემოში (ბიოტა), ასევე ფიზიკურ გარემოში გამოიწვიონ ისეთი ცვლილებები, რომლებიც მნიშვნელოვან ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ ბუნებრივ და რეგულირებად ეკოსისტემებზე. ამ ცვლილებებს კი, თავის მხრივ, შეუძლიათ, გემოქმედება მოახდინონ კლიმატზე. ამასთანავე, კონვენციას შემოაქვს ე.წ. „სიფრთხილის“ პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ შეუქცევადი რისკის არსებობის შემთხვევაში, სრული სამეცნიერო დასაბუთების უქონლობა არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც აუცილებელი ქმედებების გადავადების მიზეზი. კონვენცია კლიმატის ცვლილების დაძლევაში ლიდერობას განვითარებულ ქვეყნებს აკისრებს, თუმცა იგულისხმება, რომ ყველა ქვეყანამ უნდა შეიტანოს გარკვეული წვლილი საერთო საქმეში. კონვენცია მხარეებისგან ითხოვს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის და ცვლილებების შერბილებისთვის აუცილებელ ღონისძიებათა გატარების ხელშეწყობას. კონკრეტულ ქმედებებს შორის განიხილება სათბურის გაზების ინვენტარიზაციის განხორციელების აუცილებლობა და ეროვნული შეტყობინებების მომზადება. 1992 წლის კლიმატის ცვლილების კონვენცია განსაზღვრავს:

- 1) გრძელვადიან ვალდებულებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციების უსაფრთხო დონემდე შესამცირებლად და შემლუდვებს განვითარებული ქვეყნებისათვის სათბურის აირების გაფრქვევებზე;
- 2) ფინანსურ მექანიზმებსა და ვალდებულებებს განსაზღვრული განვითარებული ქვეყნებისათვის, რათა მოიძიონ ფინანსური რესურსები გარკვეული დამატებითი დანახარჯებისა და ადაპტაციისათვის;
- 3) კონფერენციის მხარეთა ორ დამხმარე ორგანოს;
- 4) სახელმძღვანელო პრინციპების მთელ რიგს;
- 5) კონფლიქტების დარეგულირების პოტენციურად ინოვაციური მექანიზმების შემუშავებასა და გამოყენებას. კონვენცია იყო პირველი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც მიიღო პრაქტიკულად მთელმა საერთაშორისო თანამეგობრობამ, 143 სახელმწიფოს მხარდაჭერით, რომლებიც მონაწილეობდნენ კლიმატის

ცვლილებების ჩარჩო ხელშეკრულების მთავრობათაშორისი მოლაპარაკებების კომიტეტის (INC/FCCC) ფინალურ სესიაზე. ამასთან, ხელშეკრულება პრაქტიკულად უნიკალურია მისი პირდაპირი და ირიბი შედეგებით: ძნელია, მოიძებნოს ადამიანის ისეთი ტიპის ქმედება, რომელიც დროთა განმავლობაში გასცდება კონვენციის ფარგლებს. იგი გავლენას ახდენს ყველა ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებზე, ცდილობს, შეიმუშაოს კომპლექსური მიდგომა გარემოსდაცვითი საკითხების ეკონომიკური განვითარების საკითხებში ინტეგრაციასთან მიმართებით და განსაზღვრავს სამართლებრივი თვალსაზრისით საერთაშორისო თანამეგობრობის სხვადასხვა წევრის უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც მიისწრაფვიან გლობალური კლიმატის „მდგრადი განვითარებისა“ და დაცვისაკენ. განვითარებული ქვეყნების განსხვავებულმა ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა, აგრეთვე ნაწილობრივ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სახით წამოჭრილმა პრობლემებმა გამოიწვია კონვენციის განსხვავებული მიმდინარეობა: კონკრეტული ვალდებულებების შემუშავების მიზნით, რომელიც ეხება ბუნებრივ რესურსებსა და ავზებს, აგრეთვე ფინანსებს. მოხდა განვითარებადი ქვეყნების, განვითარებული ქვეყნებისა (პირველი დანართი) და გარდამავალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების (ჩამოთვლილია მე-2 დანართში) ერთმანეთისგან გამორჩევა.

კონვენციის პრეამბულა ასახავს ინტერესთა ფართო სპექტრს. იგი მოიცავს „პრინციპებიდან“ ამოგდებულ საკითხებს და პირდაპირ აღიარებს, რომ ისტორიული და გლობალური ემისიების უდიდესი წილი მოდის განვითარებულ ქვეყნებზე და მოიცავს რიოს დეკლარაციის მე-2 პრინციპს (სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე პრინციპის ნაცვლად). პრეამბულა, აგრეთვე, ეხება „ერთ სულ მოსახლეზე მოსული ემისიების“ ცნებას, ენერგოეფექტურობას და ისეთ საკითხებს, რომელთაც ვერ მოიპოვეს საკმარისი მხარდაჭერა კონვენციის სამოქმედო გეგმაში ჩასართავად. უნდა აღინიშნოს, რომ განმარტებების პუნქტში არაა „სუფთა ემისიების“ განმარტება და პირველი პუნქტის სათაურის სქოლიოში ნათქვამია, რომ: პუნქტების სათაურები ჩართულია მხოლოდ მკითხველის დასახმარებლად.

კლიმატის ცვლილებების კონვენციის ძირითადი ამოცანაა ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის დასტაბილურება, რათა მოხდეს კლიმატურ სისტემაზე საშიში ანთროპოგენური ჩარევის თავიდან აცილება. მიუხედავად იმისა, რომ „საშიში ანთროპოგენური ჩარევა“ არაა კონვენციაში განსაზღვრული, მეცნიერები ერთხმად თანხმდებიან, რომ წინაინდუსტრიულ დონეზე ტემპერატურის მომატება 2°C-ით (ან ნაკლებით) არის საუკეთესო მაჩვენებელი ამ საკითხში. ეს განცხადება კონვენციის მიზნის შესახებ ხაზს უსვამს, რომ მისი ძირითადი ამოცანაა კლიმატის ცვლილებების პრევენცია. თუმცა კონვენცია ირიბად აღიარებს ზოგიერთი კლიმატის ცვლილების გარდაუვლობას, მიზანი მაინც უნდა იქნეს მიღწეული ვადის ფარგლებში, რაც ეკოსისტემას საშუალებას მისცემს, ბუნებრივად შეეგუოს კლიმატურ ცვლილებებს. კონვენციამ უნდა უზრუნველყოს პროდუქციის წარმოების უსაფრთხოება და განაპირო-

ბოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების გაგრძელება. გარდა ამისა, კონვენციაში მრავალი მინიშნებაა კლიმატის ცვლილებების შემდგომ მოვლენებსა და უარყოფით ზეგავლენაზე. კონვენციას აქვს დამატებითი ინსტრუმენტების გამოყენების უფლება, რათა თავიდან აიცილოს კლიმატის ცვლილებების უარყოფითი შედეგები. კონვენციამ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეყნებს, განსაკუთრებით კი დაუცველ ქვეყნებს, შეეძლოთ ადეკვატური მომზადება კლიმატის ცვლილებების გვერდით მოვლენებთან ადაპტაციისათვის. IPCC-ის 2007 წლის ანგარიშების შეფასების გამოსვლის მომენტიდან ადაპტაციის საკითხს ეთმობა უდიდესი ყურადღება, განსაკუთრებით კი დაუცველ, განვითარებად ქვეყნებთან მიმართებით ხდება აღიარება, რომ სათბურის აირების ემისიების არსებული დონიდან გამომდინარე გარკვეული დონის დათბობა უკვე გარდაუვალია.

კონვენციის მე-3 პუნქტი აყალიბებს მთელ რიგს სახელმძღვანელო პრინციპებისას, რომლებიც უნდა დაეხმაროს მხარეებს მიზნის მიღწევასა და კონვენციის დებულებების განხორციელებაში. მხარეთა ვალდებულებები კლიმატის სისტემის დაცვის მიზნით უნდა იყოს დაფუძნებული სამართლიანობაზე და პასუხისმგებლობის განაწილება უნდა მოხდეს შესაძლებლობების შესაბამისად, ანუ განვითარებულმა მხარეებმა უნდა შეასრულონ წამყვანი როლი. მხარეებმა უნდა მიიღონ „პრევენციული“, „ხარჯთსარგებლიანი“ და „მაკომპენსირებელი“ ზომები კლიმატის სისტემის დაცვის მიზნით, სადაც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. კლიმატის ცვლილებების პოლიტიკა უნდა იყოს ინტეგრირებული ეროვნული განვითარების პროგრამებში, ამასთან, კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლის დონისძიებები არ უნდა გახდეს ხელოვნური და უსაფუძვლო დისკრიმინაციის ან ფარული ბარიერების წარმოქმნის მიზეზი საერთაშორისო ვაჭრობაში.

## 9.2. 1997 წლის კიოტოს ოქმი

კიოტოს ოქმი წარმოადგენს კლიმატის ცვლილების კონვენციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წელს და ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვალს. კიოტოს ოქმი ინდუსტრიული ქვეყნებისთვის ადგენს სათბურის გაზების შემცირების სავალდებულო პარამეტრებს. ოქმის შემუშავების ძირითადი ამოცანა იყო 2008-2012 წლებისთვის ემისიების მაჩვენებლის 5%-იანი შემცირება, 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით. ოქმის განხორციელების დეტალური წესები მიღებულ იქნა 2001 წელს მაროკოში კლიმატის ცვლილების მხარეთა კონფერენციის მე-7 სესიაზე და ცნობილია „მარაკემის შეთანხმებების“ სახელით. ოქმის კონვენციაზე მოლაპარაკებები დაიწყო 1995 წელს, ბერლინში გამართულ მხარეთა პირველი კონფერენციის შემდეგ, სადაც გადაწყდა, რომ მე-4 მუხლში გათვალისწინებული ვალდებულებები არ იყო ადეკვატური და ასევე გადაწყდა, პირველი დანართით გაზრდილიყო მხარეთა ვალდებულებები, ოქმის ან სხვა სამართლებრივი დოკუმენტის მიღების გზით. „ბერლინის მანდატის“ მიზანი იყო: კონვენციის 4.2 მუხლის ვალდებულებების გაზრდა პირველ დანართში შემავალი განვითარებული ქვეყნებისათვის, სხვადასხვა ღონისძიებისა და პოლიტიკის შემუშავება სხვადასხვა წყაროსა და ნარჩენის, აგრეთვე, მონრეალის ოქმის მიერ არაკონტროლირებადი სათბურის აირების ანთროპოგენური ემისიებისათვის შესაბამის ვადებში – 2005, 2010 და 2020 წლებისათვის.

პროცესი არ იყო განკუთვნილი დანართ 1-ში არშესული ქვეყნებისთვის სხვა ახალი ვალდებულებების წარმოსადგენად, მისი მიზანი იყო 4.1 პუნქტის არსებული ვალდებულებების კიდევ ერთხელ დადასტურება და ამ ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობის გაგრძელება. მოლაპარაკებები გაიმართა სასწრაფო წესით 1997 წლის მხარეთა მესამე კონფერენციის შედეგების მიღების მიზნით. მოლაპარაკებების ამბიციური სამუშაო გრაფიკი საბოლოოდ ჩამოყალიბდა კიოტოს ოქმის მესამე კონფერენციაზე, ხოლო ხელმოწერისთვის გაიხსნა 1998 წლის 16 მარტს.

ეკონომიკური და განვითარებასთან დაკავშირებული შედეგებიდან გამომდინარე, გასაკვირია, რომ კიოტოს ოქმის მოლაპარაკებები იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული და კომპლექსური ოდესმე წარმოებულ, მრავალმხრივ, გარემოსდაცვით შეთანხმებებს შორის. აზრთა დიდი სხვადასხვაობა წარმოიშვა მხარეებს შორის მრავალ საკვანძო საკითხზე, როგორებიცაა: ემისიების შემცირების მიზნები, ჩაღვრები, სავაჭრო ემისიები, განვითარებადი ქვეყნების ერთობლივი რეალიზაციები და მოქმედებები. მართალია, კონსენსუსს მაინც მიაღწიეს კიოტოში, თუმცა ოქმის განსახორციელებლად საჭირო დეტალური წესები, სახელმძღვანელო მითითებები და მეთოდოლოგიები, წინა მოლაპარაკებების მსგავსად, კვლავ სადავო აღმოჩნდა; მხარეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა ასევე ეხებოდა კონვენციის ფარგლებში შესასრულებელ ვალდებულებებს, ადაპტაციას და ტექნოლოგიების გადაცემას; სხვა ოქმთან დაკავშირებული საკითხები იყო ნახშირბადის ჩაღვრები, ემისიის ვაჭრობის წესები და ვალდებულებე-

ბის შეუსრულებლობის ჯარიმები. 2001 წლის დასაწყისში ეჭვქვეშ დადგა ოქმის მომავალი, მას მერე, რაც შეერთებული შტატების (1990 წლის მონაცემებით, სათბურის აირების გლობალური ემისიების მეოთხედზე პასუხისმგებელი) პრეზიდენტმა უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერაზე. მიუხედავად ამისა, მხარეთა შემდგომ კონფერენციებზე, რომლებიც ბონსა და მარაკეში ჩატარდა 2001 წელს, დანარჩენმა სახელმწიფოებმა მიაღწიეს შეთანხმებას ოქმის ვალდებულების შესრულების მექანიზმების შესახებ.

„მარაკეის შეთანხმებები“, რა სახელითაც მათ დღეისათვის მოიხსენიებენ, ასახავდა მნიშვნელოვან გარღვევას ბევრ კრიტიკულ საკითხში და გამოხატავდა მსოფლიო საზოგადოების აშკარა მზადყოფნას, მიჰყოლოდნენ კიოტოს ოქმს, თუნდაც შეერთებული შტატების მხარდაჭერის გარეშე. ამავე დროს, მარაკეის შეთანხმებების 218-ე გვერდი შეიცავდა ორაზროვანი მნიშვნელობების მქონე რთულ ტექსტს, რომელიც უფრო მეტ შესაძლებლობებს აძლევდა მასში ასახულ ფარულ მნიშვნელობებს, ვიდრე კიოტოს შეთანხმების მთლიანი 30 გვერდი. მარაკეის შეთანხმებების ნაწილი, რომელიც არეგულირებდა ოქმის საკითხებს, წარმოდგენილ იქნა მხარეთა კონფერენციის პირველ შეხვედრაზე, რომელიც ტარდებოდა ოქმის ოფიციალურად მისაღებად. მარაკეის შეთანხმებების მთავარი კომპონენტი ეხება კიოტოს ოქმის წესების მოქნილობისა და შესაბამისობის მექანიზმების (მარაკეის შეთანხმებების პოტენციურად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი) განხორციელებას, ასევე ცვლილებების შემუშავებას მიწათმოქმედებასა და მეტყვეობაში. შეთანხმებები, აგრეთვე, ახდენს საკითხების კონსოლიდაციას კონვენციის ფარგლებში, რომელიც ეხება დაფინანსების მექანიზმებს, შესაძლებლობების გაზრდას განვითარებადი ქვეყნებისათვის და აყალიბებს წესებს მოქმედების ეროვნული ადაპტაციის პროგრამის (NAPA) განსახორციელებლად. გარდა ამისა, შეთანხმებები აყალიბებენ წესებს ეროვნული სისტემებისათვის სათბურის აირების ემისიის ანთროპოგენური წყაროების შესაფასებლად, ინფორმაციის მოსამზადებლად ანგარიშებისათვის და ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიმოხილვების ჩასატარებლად, მე-8 პუნქტის შესაბამისად. მარაკეის ხელშეკრულებების დასკვნებმა ხელი შეუწყო ოქმის ძალაში შესვლას, რაც მოხდა 2005 წლის 16 თებერვალს იაპონიის, კანადისა და რუსეთის მიერ მათი რატიფიკაციის შემდეგ.



### 9.3. ბალის მოქმედებათა გეგმა და კანკუნის შეთანხმება

ბალის მოქმედებათა გეგმა (The Bali Road Map) მიღებულ იქნა 2007 წელს მხარეთა კონფერენციასა და მხარეთა მე-3 შეხვედრაზე და მოიცავდა მნიშვნელოვან ქმედებებს, რომელთა მიზანი იყო ყველა მონაწილე მხარის ჩართულობის უზრუნველყოფის გზით სათბურის გაზების ემისიების შემცირებისადმი მიმართული კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება. პროცესი აქცენტს აკეთებდა კლიმატის ცვლილების შერბილებაზე და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო სათანადო ეროვნული შემარბილებელი ღონისძიებების (NAMA) შემუშავების პროცესების ინიცირება. ეს პროცესი მიზნად ისახავს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის სექტორში ცვლილებების განხორციელებას ემისიების მოცულობების შესამცირებლად, რაც ხორციელდება ეროვნული ინიციატივების ფარგლებში და მოიცავს ახალი ტექნოლოგიების შექმნას, აგრეთვე, შესაძლებლობებისა და ფინანსების გაზრდას. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს ბიზნესის ჩვეულებრივი მოდელიდან, ე.წ. „Business as usual“ სცენარის ნაცვლად, ემისიების შემცირებისკენ მიმართული ეკონომიკის განვითარება. „სათანადო ეროვნული შემარბილებელი ღონისძიებების“ შემუშავების პარალელურად დღის წესრიგში დადგა მიღებული გეგმების შეფასების, ანგარიშგებისა და გადამონმებისთვის საჭირო სტანდარტიზებული პროცედურების შემუშავების აუცილებლობა. ამ საკითხების დარეგულირება მოხდა „კანკუნის შეთანხმების“ ფორმატში, რომლის მიხედვითაც განვითარებადი ქვეყნები ვალდებული არიან, ყოველ ოთხ წელიწადში ეროვნული შეტყობინების მომზადებასთან ერთად, მოამზადონ ორწლიური განახლებადი ანგარიში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული ანგარიშების მომზადება უნდა განხორციელდეს სტანდარტიზებული პრინციპების გამოყენებით, რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს: გამჭვირვალებას, შედარებადობას, საიმედოობას, გამოყენებადობას, დროულობას.

#### 9.4. 2015 წლის პარიზის შეთანხმება

2015 წელს პარიზის კლიმატის კონფერენცია გაიმართა. მისი მიზანი იყო ახალი საერთაშორისო უნივერსალური ხელშეკრულების შემუშავება, რომელიც 2020 წლიდან (მას შემდეგ, რაც შეთანხმება ძალაში შევა) დაარეგულირებს სათბურის გაზების ემისიებს, ასევე, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციასა და კლიმატის ცვლილების შერბილების საკითხებს. შეთანხმება ითვალისწინებს გლობალურად საშუალო წლიური ტემპერატურის მატების შეზღუდვას პრეინდუსტრიულ მაჩვენებელთან შედარებით, მაქსიმუმ  $2\text{C}^{\circ}$ -ით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამიტი სასურველ მაჩვენებლად მიიჩნევს მაქსიმუმ  $1,5\text{C}^{\circ}$ -ით ზრდის დაშვებას. ითვლება, რომ კლიმატის ცვლილების ამ ჩარჩოში მოქცევა უზრუნველყოფს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მინიმუმამდე დაყვანას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ხელშეკრულება ითვალისწინებს დაბალემისიური განვითარების ხელშეწყობას, რისთვისაც 2020 წლიდან იგეგმება შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის გამოყოფაც. ყოველივე ამან, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს როგორც ეკოსისტემების, ისე ეკონომიკის (განსაკუთრებით, კვების პროდუქტების წარმოების) კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის მოქნილობას. დღესდღეობით ფართოდ აღიარებულია, რომ ბიომრავალფეროვნება და კლიმატის ცვლილება ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია. ბოლო პერიოდის კვლევებმა ცხადყვეს, რომ ბიომრავალფეროვნების შემცირების ოთხ ფაქტორთან ერთად (საარსებო გარემოს დეგრადაცია, ჭარბი მოპოვება, გარემოს დაბინძურება და ახალი სახეობების ინვაზია), კლიმატის ცვლილება აღიარებულია ბიომრავალფეროვნების შემცირების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად. ასევე, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბიომრავალფეროვნება უზრუნველყოფს ეკოსისტემების მდგრადობას და, შესაბამისად, ეკოსისტემების მიერ მონოღებული სერვისების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის მონაცემებით, პოსტინდუსტრიული პერიოდიდან მოყოლებული, ტემპერატურის მომატების ზეგავლენით ნეგატიური ზემოქმედება უკვე სახეზეა, მათ შორის, იმ რეგიონებში, რომლებსაც ახასიათებთ ბიომრავალფეროვნების მაღალი მაჩვენებლები. იმავე ჯგუფის მონაცემებით, საშუალო წლიური ტემპერატურის ყოველი  $1\text{C}^{\circ}$ -ით მატებისას სახეობების 10% შესაძლებელია, აღმოჩნდეს გადაშენების საფრთხის წინაშე. ეს იმ დროს, როდესაც პროგნოზირებადი ცვლილებები უფრო მასშტაბურია და  $2100$  წლისთვის არ გამოირიცხავს საშუალო წლიური ტემპერატურის მომატებას  $2,4\text{C}^{\circ}$ -იდან  $6,4\text{C}^{\circ}$ -ამდე. ტემპერატურის მატებასთან ერთად მოსალოდნელია ექსტრემალური კლიმატური მოვლენების სიხშირის მატება, რასაც თან შეიძლება ერთვოდეს ნალექების მოსვლის განაწილებისა და ინტენსივობის შეცვლაც. ვეგეტაციის, ყვავილობის და მიგრაციის სქემების ცვლილება უკვე ფართოდ შეინიშნება მთელ მსოფლიოში. ასე მაგალითად, ბოლო 40 წლის განმავლობაში ევროპაში ვეგეტაციის პერიოდი დგება საშუალოდ 10 დღით ადრე. ასეთ ცვლილებებს შესაძლებელია, მოჰყვეს კვებითი ჯაჭვების ცვლილება და ეკოსისტემების შიგნით დისბალანსის გაჩენა. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, თავის მხრივ (გარდა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნ-

ნების ფუნქციისა), ასევე ენიჭება უმნიშვნელოვანესი როლი კლიმატის ცვლილების პროცესის შერბილებასა და ადაპტაციაში. გარდა ამისა, ბიომრავალფეროვნების როლი მნიშვნელოვანია ისეთი პროცესების რეგულირებაში, როგორებიცაა: მდინარეების ჰიდროლოგიური რეჟიმების რეგულირება, მიკროკლიმატი და სხვ. ცხადია, დღესდღეობით ეკოსისტემების მენეჯმენტი განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კლიმატის ცვლილების მითიგაციის პროცესში. ამ საკითხების რეგულირება თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. „ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ“ კონვენციის მხარეთა მე-10 კონფერენციაზე (ნაგოია, 2010 წ.) მიღებულ იქნა 2020 წლისთვის განსახორციელებელი ქმედებების გეგმა, რომელიც აინის გეგმის სახით არის ცნობილი. ამ გეგმის მე-10 და მე-15 მიზნები უშუალოდ დაკავშირებულია კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტირების საკითხებთან. ეს მუხლები მიზნად ისახავენ 2020 წლისთვის დეგრადირებული ეკოსისტემების მინიმუმ 15%-ის აღდგენას და მსოფლიო ოკეანებზე ანთროპოგენური პრესის შემცირებას, მჟავიანობის მომატების ტენდენციის შემცირებას. არ არის გამორიცხული გარკვეული დადებითი ეფექტებიც, თუმცა ასეთი პრეცედენტების რაოდენობა არცთუ ისე დიდია. ასე მაგალითად, არსებული სამეცნიერო მონაცემების მიხედვით, ევროპაში ფართოდ გავრცელებული ფრინველთა 122 სახეობიდან მესამედს გლობალური ტემპერატურის მატების ფონზე შეიძლება ახასიათებდეს რიცხოვნების მატება. ქვეყანაში შემუშავებულია მომავალი 50-100 წლის განმავლობაში შესაძლო ცვლილებების ამსახველი გარკვეული მოდელები.

## 10. წყლის რესურსების დაცვა

ოკეანეებისა და ზღვების დაცვის საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები ჩამოყალიბებულია რეგიონალური და საერთაშორისო დონის ხელშეკრულებებით, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ნორმითა და ჩვეულებითი სამართლით, რომლებიც შეიცავს გარკვეულ ვალდებულებებს. წყლის გარემოს დაცვის პირველი საერთაშორისო მცდელობა უკავშირდება ნავთობის ჩაღვრას. ეს საკითხი განხილულ იქნა 1926 წელს ვაშინგტონში სანაოსნო წყლების ნავთობით დაბინძურების თაობაზე ჩატარებულ კონფერენციაზე. პირველი შეთანხმება, რომელიც ეხებოდა ნავთობით დაბინძურებას, იყო 1954 წლის ნავთობით ზღვის დაბინძურების პრევენციის კონვენცია. იგი ეფუძნებოდა 1926 წლის ვაშინგტონის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების ტექსტს. ამ კონვენციას მოჰყვა სხვა გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები – 1956 წლის ღია ზღვებში თევზაობისა და ზღვის შენარჩუნების, 1958 წლის კონტინენტური რიფის და ამავე წლის ღია ზღვის კონვენციები.

1959 წელს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMCO, ამჟამად IMO) ასამბლეამ 1954 წლის ნავთობით დაბინძურების კონვენციისა და ნავთობით დაბინძურებასთან დაკავშირებული გაეროს ფუნქციების უმეტესობაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. ამის შემდგომი საერთაშორისო მცდელობები რამდენადმე შეფერხდა ნავთობის მასშტაბური ჩადინების ინციდენტებით: 1967 წელს – ტორის კანიონში, ამოკოკადიზში – 1978 წელს, ექსონ-ვალდესში – 1989 წელს და პრესტიჟში – 2002 წელს. ამ და სხვა ინციდენტებმა გამოიწვია საერთაშორისო აქტებში სხვადასხვა ცვლილების აუცილებლობა, რომელთა მიხედვით, აუცილებელი იყო ახალი ნავთობტანკერების ორმაგი კორპუსებით აღჭურვა და უფრო ახალი ღონისძიებების გატარება, აგრეთვე, სახელმწიფოთა მხრიდან უფლებების ცალმხრივი შეზღუდვა საკუთარი ეკონომიკური ზონის ფარგლებში. ტორის კანიონის ინციდენტის შედეგად გაეროს გენერალურმა ასამბლეამ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა წყალქვეშა გარემოს დაცვის მიმართ და 1969 წელს გამოსცა რეზოლუცია სახელწოდებით: „ოკეანის დაბინძურების კონტროლისა და პრევენციისათვის ეფექტური ზომების ხელშეწყობა“. ოკეანის დაბინძურება მნიშვნელოვანი საკითხი იყო სტოკჰოლმის კონფერენციაზეც და 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის მე-8 პრინციპი მოუწოდებდა სახელმწიფოებს, „*მიუხედავად ყველა შესაძლო ზომა ოკეანის იმ ნივთიერებებისგან დაბინძურების პრევენციისათვის, რომლებიც პოტენციურ საფრთხეს ქმნიდნენ ადამიანის ჯანმრთელობისა და ოკეანის მკვიდრთათვის*“. სტოკჰოლმის კონფერენციაზე არ მიიღეს საერთაშორისო კონვენცია ოკეანის დაბინძურების შესახებ, რადგანაც ტექსტი იყო დაუსრულებელი. აშშ-მა ტექსტი 1971 წელს წარადგინა IMO-ს სახელმწიფოთაშორისი ოკეანის დაბინძურებაზე მომუშავე ჯგუფის წინაშე, მაგრამ 1972 წლის დეკემბრამდე ოკეანის დაბინძურების პრევენციის შესახებ ხელშეკრულება არ მიუღიათ. რამდენიმე თვის შემდეგ

მას მოჰყვა გემებიდან და ავიაციიდან დაბინძურების პრევენციის კონვენციის მიღება (1972 წლის ოსლოს კონვენცია). 1973 წელს IMO-ს ეგიდით მიღებულ იქნა გემებიდან დაბინძურების პრევენციის საერთაშორისო კონვენცია (MARPOL 73), ხოლო 1976 წელს UNEP-მა დააარსა რეგიონალური ზღვების პროგრამა, რომელიც 40-ზე მეტ საერთაშორისო ხელშეკრულებას მოიცავს. 1982 წელს საბოლოოდ მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების საზღვაო სამართლის კონვენცია (UNCLOS). 1992 წელს მიღებულ იქნა ბალტიის ზღვის დაცვისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტის ოკეანის დაცვის კონვენციები. ორივე მათგანი უფრო ღრმად და დეტალურად უდგება სხვადასხვა წყაროდან ზღვის დაბინძურების საკითხს და ადგენს ახალ პრინციპებსა და რეგულაციებს

ზოგადად, წყალი დედამიწის ზედაპირის დაახლოებით 70%-ს ფარავს და ბიოსფეროს 97%-ზე მეტს იკავებს. ოკეანე სიცოცხლის პირობებს აყალიბებს და განაპირობებს ჩვენი პლანეტის ამინდსა და ჰავას. აგრეთვე, წარმოქმნის ჟანგბადის ნახევარზე მეტს და გვამარაგებს პროტეინით, ენერჯის წყაროებითა და მინერალებით. ოკეანე მილიარდ ადამიანს ამარაგებს საკვებითა და საარსებო წყარო მილიონობით მათგანისთვის. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, 540 მილიონი ადამიანი დასაქმებული თევზჭერასა და მასთან დაკავშირებული მეორეხარისხოვანი საქმიანობებით. 1990 წლის წყალქვეშა გარემოს დაცვის მეცნიერ-ექსპერტების ერთიანი ჯგუფის დასკვნაში აქტუალიზებულია სანაპიროს დაბინძურების თემა, როგორც დიდი საფრთხე ოკეანისათვის. 2001 წელს, როცა ექსპერტების ამავე ჯგუფმა გააანალიზა, რომ სახმელეთო აქტივობები დაბინძურების მთავარ წყაროდ რჩებოდა, დაასკვნა, რომ დაბინძურება არაა ყველაზე დიდი საფრთხე ოკეანისათვის და რომ სწორედ ეკოსისტემის პირდაპირი ფიზიკური ზიანი და რესურსების ჭარბად გამოყენება ახდენს მასზე უდიდეს უარყოფით ზემოქმედებას მსოფლიოს მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს წყალქვეშა გარემოს დაცვის მეცნიერ-ექსპერტების ერთიანი ჯგუფს ახალი ანგარიში აღარ მოუმზადებია, მეცნიერები დღესდღეობით წყლის გარემოს დეგრადაციის მთავარ გამომწვევ ფაქტორებად მიიჩნევენ: ჭარბ თევზჭერას, ჰაბიტატის დაკარგვას, დაბინძურებას (ძირითადად, სანაპიროს), მტაცებელი სახეობების გამრავლებას და კლიმატის ცვლილებებს. ჭარბი თევზჭერა და საარსებო გარემოს განადგურება უკვე საკმაოდ სერიოზულ საფრთხედ იქცა ცოცხალი ორგანიზმებისათვის. მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში თევზის რეწვამ 1980-2010 წლებში პიკს მიაღწია. საარსებო გარემოს განადგურება მოიცავს საზიანო რეწვით აქტივობებს, მაგალითად: ზღვაში ბადით თევზჭერას და ოკეანის სხვა დამაბინძურებელ ქმედებებს. დაბინძურების ძირითადი წყარო სახმელეთო აქტივობები, აგრეთვე, ხელოვნური და ბუნებრივი ნივთიერებების წყალში ჩადინებაა. მიკრობების გადაჭარბებული აქტივობა წყალში ჟანგბადის რაოდენობას ამცირებს, რასაც სანაპირო წყლებში მკვდარი ზონების გაჩენისკენ მივყავართ. ამასთან, მწვავედბა საკითხი ოკეანეში ეგზოტიკური და მტაცებელი სახეობების ჩასახლებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა, შეცვალოს ან საერთოდ გაანადგუროს ეკოსისტემა. მი-

უხედავად არსებული გამოწვევებისა, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებამ და ახალი რეგულაციების შემოღებამ გავლენა მოახდინა წყლის გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მაგალითად, შემცირდა გემებიდან და სახმელეთო წყაროდან წყლის დაბინძურების მასშტაბი.

რეალურად, გარემოს დაცვის კუთხით, საზღვაო სამართალში ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი დღესდღეობით მაინც 1982 წლის გაერთიანებული ერების საზღვაო სამართლის კონვენციაა (UNCLOS), რომელიც არეგულირებს საერთაშორისო ურთიერთობებს საზღვაო სივრცის გამოყენებისა და დაცვის მიმართულებით. გარემოს დაცვის კუთხით, კონვენციის დებულებები არასისტემატიზებულია, შესაბამისად, კონვენცია ვერ იქცა „საზღვაო კონსტიტუციად“.

ამასთან, წყლის გარემოს დაცვის კუთხით, რეგიონალური შეთანხმებების შედეგად მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. ზოგიერთი ხელშეკრულების შედეგად სახელმწიფოებს მოუწიათ იმაზე მეტად მკაცრი ზომების მიღება, ვიდრე UNCLOS-ით ვალისწინებდა. მაგალითად, UNCLOS-ი არ კრძალავს ზღვაში ნარჩენების ჩაყრას, მაშინ, როდესაც OSPAR-ის კონვენციით, ასეთი ქმედებები დაუშვებელია. მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სპეციფიკური გარემოსდაცვითი პრინციპები, რომლებიც რიოს კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში იქნა განხილული, არ არის გათვალისწინებული UNCLOS-ის მიერ. ასეთებია: გამაფრთხილებელი ზომების მიღება, დამაბინძურებელი სუბიექტის დაჯარიმება, გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელება, საუკეთესო გარემოსდაცვითი პრინციპებისა და ტექნოლოგიების გამოყენება და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ UNCLOS-ი არ ითვალისწინებდა ამ პრინციპებს, მის ფარგლებში ჩამოყალიბდა ჩარჩო წესები, რომლებიც საკმაოდ მოქნილია სხვადასხვა ხელშეკრულებისა და 1982 წლის შემდეგ მიღებული სხვადასხვა რეგიონალური ღონისძიების მიმართ. საზღვაო პოლიტიკისა და ეკოსისტემისადმი მოპყრობის მდგომარეობის ასახვის კუთხით ეს პრინციპები შეიძლება ტრანსფორმირებად ნორმებად ჩავთვალოთ.

## 10.1. გაეროს საზღვაო სამართლის კონვენცია

1982 წლის გაეროს საზღვაო სამართლის (UNCLOS) კონვენცია მიზნად ისახავს ზღვებისა და ოკეანეების სამართლებრივ რეგულირებას, რაც გაამარტივეს საერთაშორისო ურთიერთობებს და ხელს შეუწყობს ოკეანეებისა და მისი რესურსის სასიკეთოდ გამოყენებას, ცოცხალი ორგანიზმების შენარჩუნებას და წყალქვეშა გარემოს დაცვას. ეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ხელშეკრულებაა გარემოსდაცვითი შეთანხმებებს შორის და ამჟამად მას მხარს უჭერს 161 ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია მხოლოდ 1994 წელს შევიდა ძალაში, ანუ ხელმოწერიდან 10 წლის შემდეგ, მან დიდი გავლენა მოახდინა წყალქვეშა მრავალ გარემოსდაცვით საერთაშორისო შეთანხმებაზე. მისი დებულებები წყალქვეშა გარემოს შენარჩუნებასთან დაკავშირებით ასევე ეყრდნობოდა საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებსა და ჩვეულებით სამართალს. ამ უკანასკნელის დასტურია 1992 წლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტიკის ოკეანეში საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ (OSPAR)-ის კონვენციის პრეამბულა. UNCLOS-ის მიერ სახელმწიფოებისათვის დასახული მთავარი მიზანია ოკეანის დაბინძურების შემცირება და კონტროლი. მის მისაღწევად UNCLOS-ი აწვევს ნორმებს ინფორმაციაზე, მცენიერულ კვლევებზე, მონიტორინგზე, ასევე სანქციებს გარემოს დაბინძურების შემთხვევაში. UNCLOS-ი უშუალოდ ეხება ოკეანის რესურსის დაცვასა და შენარჩუნებას, თუმცა გარემოსდაცვითი რეგულაციები და პრინციპები მთელ კონვენციაში არის მრავლად წარმოდგენილი. UNCLOS-ი უფლებას აძლევს საზღვაო ქვეყნებს, შეიმუშაონ შესაბამისი კანონმდებლობა მათ საზღვაო ტერიტორიებსა და სანაოსნო გზებზე მგზავრების გადაყვანასთან დაკავშირებით, ზღვისპირა ქვეყნების დაცვის, დაბინძურების შემცირებისა და კონტროლის მიზნით. კონვენცია, აგრეთვე, აყალიბებს განსაკუთრებულ მიდგომებს ზღვისპირა ქვეყნების იურისდიქციასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში წყლის რესურსების გამოყენების, დაცვისა და შენარჩუნებისათვის. სტოკჰოლმის დეკლარაციის 21-ე პრინციპის შესაბამისად, UNCLOS-ი ადგენს, რომ სახელმწიფოებს აქვთ საკუთარი ბუნებრივი რესურსების გამოყენების სუვერენული უფლება მათი გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და წყალქვეშა გარემოს დაცვის ვალდებულების შესაბამისად.

UNCLOS-ის 207-ე პუნქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს, შეამცირონ, თავიდან აიცილონ და აკონტროლონ ოკეანის დაბინძურება სახმელეთო წყაროებიდან, მილსადენების, მდინარეების, მათი შესართავებისა და სათავების ჩათვლით. ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ: საერთაშორისო მასშტაბით მიღებული კანონები, სტანდარტები და რეკომენდებული პროცედურები, ადგილობრივი გარემოსთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობები და მათი ეკონომიკური განვითარების საჭიროება. ოკეანეში ჩამდინარე ტოქსიკური და სახიფათო ნივთიერებების (განსაკუთრებით მდგრადი ნივთიერებების) შემცირების აუცილებლობა. UNCLOS-ის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს ზღვის დაბინძურების ტერმინს როგორც: „აღამიანის მიერ, პირდაპირ ან ირიბად ნივთიერებებისა და ენერ-

გოპროდუქტების ზღვაში ჩაშვებას, რაც ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ცოცხალი არსებებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის, აგრეთვე, რაც დააბრკოლებს საზღვაო საქმიანობას, მათ შორის, თევზაობას და საზღვაო სივრცის სხვა კანონიერ გამოყენებას და აუარესებს ზღვის წყლის გამოყენების პირობებს“.

ამასთან, UNCLOS-ი ერთმანეთისგან გამოყოფს „დაბინძურებისა“ და „ზიანის“ ცნებებს. 194-ე (2) პუნქტის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან, არ დააზიანონ გარემო დაბინძურების გზით. მათ ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღონ, რათა მათი საწყლოსნო ტერიტორიიდან არ მოხდეს ზღვის დაბინძურება. 194-ე (3) პუნქტში დამატებით შემუშავებულია ვალდებულება სხვადასხვა წყაროდან: სახმელეთო, საზღვაო აქტივობებიდან, დანაგვიანებიდან, გემებიდან და ატმოსფეროდან ზღვის დაბინძურების პრევენციისათვის. 194-ე (5) პუნქტი მოითხოვს იშვიათი და სუსტი ეკოსისტემებისა და გადაშენების პირას მყოფი სახეობების ჰაბიტატის განსაკუთრებულ დაცვას. სახელმწიფოებმა არ უნდა შეცვალონ დაბინძურების ერთი სახე მეორით, მათ უნდა შეზღუდონ ტექნოლოგიების მოხმარება ან ახალი და უცხო სახეობების შეყვანა ოკეანურ გარემოში, რაც სერიოზულ უარყოფით ცვლილებებს გამოიწვევს.



## **10.2. 1992 წლის კონვენცია ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტიკის ოკეანეში საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ და 1973-1978 წლების კონვენცია გემებიდან დაბინძურების პრევენციის შესახებ**

1992 წლის OSPAR-ის კონვენციამ, რომელიც 1998 წელს შევიდა ძალაში, ჩაანაცვლა 1972 წლის ოსლოს კონვენცია ზღვის დაბინძურების შესახებ (OSCOM), რომელიც იყო პირველი რეგიონალური ხელშეკრულება ზღვის დაბინძურების რეგულირების მიზნით, და რომლის წევრმა სახელმწიფოებმა 1974–1998 წლების განმავლობაში მრავალი რეზოლუცია და რეკომენდაცია მიიღეს. 1989 წელს OSCOM-ის ფარგლებში განისაზღვრა, რომ 1989 წლის 31 დეკემბრისთვის უნდა შეწყვეტილიყო ჩრდილოეთის ზღვაში ინდუსტრიული ნარჩენების ჩაყრა. 1990 წელს მხარეები შეთანხმდნენ, რომ 1998 წლის ბოლომდე ეტაპობრივად შეემცირებინათ ზღვაში საკანალიზაციო წყლების ჩადინება, ხოლო 1999 წლისათვის სრულიად შეემწყვითათ ზღვაში წარმოებული წვები.

1992 წლის OSPAR-ის კონვენცია აერთიანებს მანამდე მიღებულ ბევრ რეზოლუციას. კონვენციის მე-2 დანართის თანახმად, მხარეებმა უნდა მოახდინონ დაბინძურებით, წვის შედეგად ან სხვა მიზეზით, მაგალითად გემებით, საჰაერო ხომალდებით, აგრეთვე სხვადასხვა ავარიით გამოწვეული დაბინძურების პრევენცია. OSPAR-ის კონვენციამ დაბინძურების ფართო განმარტება დაამკვიდრა და განსაზღვრა, რომ ეს არის – „ნარჩენების ან სხვა ნივთიერებების წინასწარგანსაზღვრული გადაყრა ზღვაში გემებიდან ან საჰაერო ხომალდებიდან; ხმელეთზე მდებარე ნაგებობებიდან“.

გემებიდან დაბინძურების მარეგულირებელი მთავარი საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულება გემებიდან ზღვის დაბინძურების პრევენციის 1973–1978 წლების კონვენციაა (MARPOL), რომელიც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ 1973 წლის საზღვაო გარემოს დაბინძურების საერთაშორისო კონფერენციაზე მიიღო, რათა ჩაენაცვლებინა 1954 წლის ნავთობით დაბინძურების კონვენცია. MARPOL-ის დებულებების შემდგომი განმარტებები მიღებულ იქნა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წყალქვეშა გარემოს დაცვის კომიტეტის მიერ (MEPC) რეზოლუციის სახით. კონვენცია აყალიბებს სპეციფიკურ რეგულაციებს ოკეანეების ნავთობითა და სხვა ნივთიერებებით დაბინძურების საბოლოოდ აღმოსაფხვრელად და მათი უნებლიე ჩადინების შესამცირებლად. კონვენცია აყალიბებს ძირითად განსაზღვრებებს მავნე ნივთიერებების განმარტებისთვის და ადგენს, რომ ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ზღვაში მოხვედრისას პოტენციური ზიანის მომტანია წლის ეკოსისტემისა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის, არის მავნე ნივთიერება. MARPOL-ი აგრეთვე ადგენს დარღვევების გამოვლენისა და სანქციების დაწესების პროცედურებს, როგორც ბიჭაა, მაგალითად, საპორტო ინსპექციები გემებიდან საშიში ნივთიერებების დაღვრასთან დაკავშირებით.

### 10.3. წყლის ეკოსისტემისა და წყალქვეშა გარემოს დაცვა

წყალქვეშა გარემოს დაცვისათვის მიღებული ზომები, ძირითადად, დაკავშირებულია დაბინძურების პრევენციასთან. წყლის დაბინძურების წყაროები მოიცავს სახმელეთო ობიექტებს, ჩამდინარე წყლებსა და ნავთობს, წყალში ჩამდინარე ხელოვნურ და ბუნებრივ ნივთიერებებს, ისეთ სახიფათო ნივთიერებებს, როგორებიცაა: მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები (POPs), მძიმე მეტალები და რადიოაქტიური ნივთიერებები. 1990–2001 წლებში გამოქვეყნებულ ანგარიშებში გარემოს დაცვის მეცნიერ-ექსპერტთა ერთიანმა ჯგუფმა (GESAMP) დაადგინა, რომ სანაპირო დაბინძურება იზრდებოდა და გაცილებით გლობალურ მასშტაბს აღწევდა, ვიდრე წინა წლებში. ანგარიშის თანახმად, სანაპირო ზოლში განხორციელებული აქტივობები ზრდიდა სანაპირო ზოლზე ამოტისა და ფოსფორის რაოდენობას. ანგარიშების თანახმად, ასევე დადგინდა, რომ დაბინძურების ძირითადი წყაროები იყო: საკვებისა და სხვადასხვა მიკრობი, პლასტიკატები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები და დაღვრილი ნავთობისაგან სანაპიროზე დაგროვილ კუპრი. GESAMP-ის 2001 წლის ანგარიშმა ასევე იმსჯელა კლიმატის ცვლილების მნიშვნელობაზე და მის გავლენაზე წყლის მოწყვლად ეკოსისტემაზე. ამასთან, 2001 წლის პასუხისმგებლიანი თევზჭერის შესახებ რეკომენდაციის დეკლარაციის მიღების შემდეგ საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტებში განჩინდა ინტეგრირებული მენეჯმენტის ცნება, რაც იმ დროისთვის ახალი გარემოსდაცვით პარადიგმა იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი რეგულაციების შემუშავების აუცილებლობას.

UNCLOS-ის მიხედვით, „სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაიცვან და შეინარჩუნონ წყალქვეშა გარემო.“ ეს ვალდებულება ჩამოყალიბებულია 192-ე მუხლში, რომლის მე-12 ნაწილი ეხება „ოკეანის დაცვასა და შენარჩუნებას“. კონვენციის 194-ე მუხლში დაბინძურების შემცირებისა და კონტროლის ვალდებულებას თან ერთვის დამატებითი განმარტება იშვიათი და მოწყვლადი ეკოსისტემების, გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი სახეობების ჰაბიტატების დაცვისთვის. რაც შეეხება თევზჭერას, UNCLOS-ი აყალიბებს საერთო ვალდებულებას შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით და განსაზღვრავს, რომ სახელმწიფოებმა წყლის რესურსის მოპოვებისას უნდა გაითვალისწინონ მრავალი ფაქტორი, მათ შორის თევზჭერის სახეობები, მარაგები და თევზჭერის რეკომენდებული საერთაშორისო, ქვერეგიონალური, რეგიონალური და გლობალური მინიმალური სტანდარტები.

1995 წლის თევზის მარაგების ხელშეკრულება ავსებს UNCLOS-ის დებულებებს ზღვის ცოცხალი რესურსის დაცვა-კონსერვაციასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მე-5 მუხლით პირდაპირ არის განსაზღვრული სახელმწიფოთა ვალდებულება, დაიცვან ოკეანის ბიომრავალფეროვნება.

ასევე, საინტერესოა ბიომრავალფეროვნების კონვენციის (CBD) დებულებები, რომლებიც ფართოდ მიმოიხილავს ოკეანის ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხებს.

CBD-ის მხარეების პირველი კონფერენციის შემდგომ საზღვაო გარემოს დაცვის მიმართულება კონვენციის აღსრულების განუყოფელი ნაწილია. 1995 წელს კი, კონვენციის მეორე შეხვედრაზე, მიღებულ იქნა ჯაკარტის წესდება სანაპირო ზოლის ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ. წესდება ხუთ ძირითად მიმართულებას ეხება: საზღვაო და სანაპირო სივრცეს, ცოცხალ რესურსებს, დაცულ ტერიტორიებს, გადაშენების პირას მყოფ სახეობებსა და თევზის მარაგებს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ „21-ე საუკუნის დღის წესრიგი“ ადგენს საზღვაო და სანაპირო ტერიტორიების მართვის მეტად ინტეგრირებულ მიდგომებს და სხვა მიზნებთან ერთად განსაზღვრავს, რომ სანაპირო ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ გარკვეული ზომების მიღება საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მოქცეული წყალქვეშა ცოცხალი რესურსების ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების, მისი პროდუქტიულობისა და საარსებო გარემოს დაცვის მიზნით. იოჰანესბურგის რეალიზაციის გეგმა კი მხარს უჭერს „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ მე-17 თავის განხორციელებას და აყალიბებს ოკეანის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ გარკვეულ მიზნებს:

- ა) *სახელმწიფო იურისდიქციის ქვეშ მოქცეული მნიშვნელოვანი, მაგრამ დაუცველი საზღვაო და სანაპირო ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებისა და პროდუქტიულობის შენარჩუნება;*
- ბ) *ჯაკარტის საზღვაო და სანაპირო ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენების წესდებაზე დაყრდნობით სამუშაო გეგმის განხორციელება ფინანსებისა და ტექნოლოგიური პოტენციალის მობილიზაციის საშუალებით;*
- გ) *ბიომრავალფეროვნების, მათ შორის მარჯნის რიფებისა და ქაობების გაქრობის პროცესის შესაჩერებლად რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო სამოქმედო გეგმების შემუშავება;*
- დ) *რამსარის კონვენციის განხორციელება, რომელიც მოიცავს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციისა და მარჯნის რიფების საერთაშორისო ინიციატივის სამუშაო გეგმების ერთობლივ განხორციელებას, სანაპირო ზოლების, ქაობების, მარჯნის რიფების, მანგროს ტყეების, წყალმცენარეებისა და სხვა მონყვლადი საკითხების უკეთ მართვის მიზნით.*

რაც შეეხება გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს, რომელთაც იურიდიულად არასავალდებულო ხასიათი აქვთ, თუმცა მაღალ პოლიტიკურ ლეგიტიმაციას ქმნიან, ამ რეზოლუციებმა დიდი როლი შეასრულეს წყალქვეშა ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის დაცვისა და შენარჩუნებისთვის. მათ შორის, სწორედ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციის შედეგად, მსოფლიოში ეტაპობრივად აიკრძალა დრიფტერული ბადით თევზჭერა. 2005 წელს ასამბლეამ ჩამოაყალიბა სპეციალური ღია არაფორმალური სამუშაო ჯგუფი სახელმწიფო იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიების წყალქვეშა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სწორად მართვის საკითხების შესასწავლად.

#### 10.4. სახმელეთო წყაროებიდან და ატმოსფეროდან დაბინძურება

ხმელეთზე განხორციელებული საქმიანობა ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურების ძირითადი წყაროა, რომელთაგან შეიძლება ორი მთავარი მიზეზის გამოიყვანა: ერთი მხრივ, ესაა მდინარეებით, მილსადენებითა და სხვა საშუალებებით მავნე ნივთიერებების ზღვაში ან ოკეანეში ჩადინება, რაც დაბინძურების წყაროების დაახლოებით 44%-ს შეადგენს; მეორე მხრივ, ესაა ხმელეთზე განხორციელებული საქმიანობის შედეგად ნარჩენებით ზღვის გარემოს დაბინძურება, მათ შორის საქმიანობის შედეგად გამოწვეული მჟავური წვიმებით. წყლის დაბინძურების ასევე მნიშვნელოვანი წყაროა სანაოსნო საშუალებები, რაც დაბინძურების წყაროების დაახლოებით 33%-ს შეადგენს. UNEP-ის სახმელეთო წყაროებიდან დაბინძურებისგან ოკეანის დაცვის 2006 წლის საერთაშორისო პროგრამის (GPA) მიხედვით, სახმელეთო დაბინძურების წყაროების შემცირების პროცესი არათანმიმდევრულად წარიმართა. აღსანიშნავია, რომ სამი მიმართულებით პროგრესი ნამდვილად შესამჩნევია, კერძოდ: მდგრადი ორგანული დამაბინძურებლებით, რადიოაქტიური ნივთიერებებითა და ნავთობით ზღვის დაბინძურების შემცირებით კუთხით. ნაკლები პროგრესია მძიმე მეტალებით საზღვაო გარემოს დაბინძურების პრევენციის თვალსაზრისით, ისევე, როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენებითა და საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებით საზღვაო სივრცის დაბინძურების პრევენციის თვალსაზრისით. ბოლო წლებში შეფუთვისა და პლასტიკის ნარჩენების ზღვაში გადაყრის პრობლემა საერთაშორისო გარემოსდაცვითი ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

## 11. ბიომრავალფეროვნების დაცვა

„ბიომრავალფეროვნება“ შედარებით ახალი ტერმინია საერთაშორისო სამართალში. 1980-იან წლებამდე საერთაშორისო სტრუქტურები მას „ველურ ბუნებას“ ან „ველურ ფლორასა და ფაუნას“ უწოდებდნენ. „ბიომრავალფეროვნება“ უფრო მრავლისმომცველი ცნებაა და სამ იერარქიულ კატეგორიას მოიცავს, რომლებიც ცოცხალი სისტემების სხვადასხვაგვარად დიფერენცირებას გვთავაზობს: გენეტიკის, სახეობებისა და ეკოსისტემების მიხედვით. ბიომრავალფეროვნების სხვა განმარტებები მოიცავს სახეობების სიუხვს, პოპულაციების ასაკობრივ სტრუქტურას, რეგიონში მათ მრავალგვარობას და დროთა განმავლობაში მათი შემადგენლობის ცვლილებას.

თუმცა არსებობს მეცნიერული კონსენსუსი ბიომრავალფეროვნების თანდათანობითი კარგვის შესახებ. 2010 წლის გლობალური ბიომრავალფეროვნების პერსპექტივებით (GBO) ნავარაუდევია, რომ 130 000 კვ. კმ ფართობის ტყეები სხვა მიზნებისათვის იქნება გამოყენებული, ან საერთოდ გაქრება ბუნებრივი მიზნების გამო 2000-2010 წლებისათვის. დაფიქსირებულია, რომ ჩრდილოეთ ამერიკის საძოვრების 95 %-ზე მეტი დაკარგულია და დარჩენილი ნაწილის მდგომარეობა აშკარად გაუარესებულია. ათასწლეულის ეკოსისტემის შეფასების ანგარიშებში ნათქვამია, რომ მარჯნის რიფების დაახლოებით 20% განადგურებულია, ხოლო 20% დეგრადირებულია. ამასთან, ველურ ხერხემლიან სახეობათა რიცხვი საშუალოდ 1970-2006 წლების განმავლობაში 31 %-ით შემცირდა, განსაკუთრებულად კატასტროფული მაჩვენებლით ტროპიკული და მტკნარი წყლების ეკოსისტემებში. IUCN-ის წითელ სიას, რომლის მიზანი ფლორისა და ფაუნის სახეობების შენარჩუნებაა, 2009 წლისათვის ჰქონდა აღრიცხული 47 677 სახეობა, რომელთა 36% გადაშენების საფრთხის წინაშე იდგა. ბიომრავალფეროვნების შესახებ ბევრი რამ ისევ უცნობი რჩება – აღწერილია მხოლოდ ის სახეობები, რომელთა არსებობაც ჩვენთვისაა ცნობილი.

ბიომრავალფეროვნებას საფრთხე რამდენიმე პირდაპირი და არაპირდაპირი გზით ექმნება. ბიოსისტემაზე უარყოფითად მოქმედი ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებია: კლიმატის ცვლილება, ჰაბიტატების განადგურება, მტაცებელი სახეობები, რესურსების ჭარბი და არარაციონალური მოხმარება და დაბინძურება. არსებობს ბიომრავალფეროვნებისა და ბუნების შენარჩუნების სამი მთავარი მიზეზი: პირველი – ბიომრავალფეროვნება აყალიბებს ბიოლოგიური რესურსების წყაროებს (მაგალითად: სურსათ-სანოვაგე, ფარმაცოლოგიური და ინდუსტრიული მოხმარების რესურსები); მეორე – იგი ინარჩუნებს ბიოსფეროს სიცოცხლისათვის აუცილებელი სახით; მესამე – ბიომრავალფეროვნება ღირებულია ეთიკური, მორალური და ესთეტიკური თვალსაზრისით.

აგრეთვე, დღეს მსოფლიოში დადგენილია ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის გამომწვევი არაპირდაპირი ფაქტორებიც, ისეთები, როგორებიცაა: ეკონომიკური საქ-

მიანობა, დემოგრაფიული ცვლილებები, სოციოპოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, მეცნიერული და ტექნოლოგიური ფაქტორები. შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა მიემართოს არა მხოლოდ პრიორიტეტულ სახეობებსა და მათ საარსებო გარემოს დაცვას, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა დაფაროს ყველა მომიჯნავე სფერო, რომელთაც ბიომრავალფეროვნების დეგრადაციაზე შესაძლოა, გავლენა ჰქონდეთ.

### 11.1. საერთაშორისო რეგულირება

საერთაშორისო სამართალს ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროს დიდი ისტორია აქვს და, შესაბამისად, კარგადაა განვითარებული. მრავალი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულება არსებობს, რომლებიც 1992 წლის ბიომრავალფეროვნების კონვენციის მიდგომებს იზიარებენ. 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ფლორა და ფაუნა დაცული უნდა იყოს გამოყენებული შესაბამისი მართვის გეგმების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის. ასევე, დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ უნდა შენარჩუნდეს დედამიწის რესურსების განახლების უნარი და სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ დაბინძურების პრევენციული ზომები. დეკლარაციის მე-4 პრინციპი ადგენს, რომ: „აღამიანს აკისრია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, დაიცვას და გონივრულად მოიხმაროს ველური ბუნების დანატოვარი, რომელიც ამჟამად დიდი საფრთხის წინაშე დგას სხვადასხვა მავნე ფაქტორის გამო. ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბუნების დაცვაში ეკონომიკური განვითარების განსაკუთრებული როლი“.

1982 წლის ბუნების მსოფლიო ქარტია ადასტურებს, რომ გენეტიკური სიცოცხლისუნარიანობა დედამიწაზე არ შეიძლება იყოს დაყენებული რისკის წინაშე – სიცოცხლის სხვადასხვა ფორმის რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს ამ სახეობის გადარჩენისათვის, ამასთან, გადაშენების პირას მყოფი სახეობების, მათი საარსებო გარემო, ეკოსისტემის სხვადასხვა სახე და იშვიათი ტერიტორიები განსაკუთრებულად უნდა იქნეს დაცული. „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ მე-15 თავი, ასევე, ეძღვნება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საკითხს.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეკრულებების კლასიფიცირება და რანჟირება თანმიმდევრული სტრუქტურის სახით ერთგვარი გამოწვევაა, რადგანაც სახეობები და მათი საარსებო გარემოპირობები ერთმანეთზე დამოკიდებული. ბიომრავალფეროვნების სფეროში საერთაშორისო სამართალმა განავითარა საფეხურებრივი გზა სახეობების, მათი საცხოვრის/ჰაბიტატის და ეკოსისტემების ურთიერთდამოკიდებულებისათვის. ატმოსფეროს, ოკეანისა და სუფთა წყლის რესურსების დასაცავად მიღებული რეგულაციები, ასევე, დადებითად მოქმედებენ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება-კონსერვაციაზე.

ასევე ხაზგასასმელია დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა, დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და გამოყენებადი მეთოდია ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად. მსოფლიო მონაცემთა ბაზაში არსებულმა დაცული ტერიტორიების რიცხვმა 2021 წლისათვის 265 908-ს მიაღწია და დაფარა 20 მილიონზე მეტი კვადრატული კილომეტრი. ეს ტერიტორიები აღქმულია როგორც კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების უნიშვნელოვანესი კომპონენტები.

საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც მიმართულია ბიომრავალფეროვნების რაციონალური გამოყენებისა და შენარჩუნებისაკენ, რამდე-

ნიმე კატეგორიად იყოფა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის 1992 წლის ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია, რომელიც აყალიბებს ერთიან ჩარჩოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის. მეორე კატეგორიაში ერთიანდებიან ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბიომრავალფეროვნების კონკრეტულ საფრთხეებს. მაგალითად, 1973 წლის კონვენცია გადაშენების პირას მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES) და 2000 წლის კარტახენის ბიოსაფრთხოების ოქმი, რომელიც 1992 წლის ბიომრავალფეროვნების კონვენციის საფუძველზე იქნა მიღებული; მესამე კატეგორია მოიცავს ხელშეკრულებებსა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებიც სიცოცხლის ყველა ფორმას ეხება, მაგრამ მიზნად მხოლოდ მათი გარკვეული ნაწილის შენარჩუნებას ისახავს. ეს კატეგორია მოიცავს საერთაშორისო რეგულაციებს ჭაობებთან, ტყეებთან, მიწის დეგრადაციასთან, მიგრირებად სახეობებთან, წყლის ეკოსისტემებთან, ფრინველებსა და სპეციფიკურ სახეობებთან დაკავშირებით.

ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენებისათვის საერთაშორისო სამართალი რეგულირების სხვადასხვა ინსტრუმენტს ადგენს. მათ შორის, გლობალურ და რეგიონალურ შეთანხმებებში ხშირად გამოყენებული და ძირითადი რეგულირების ინსტრუმენტებია:

1. დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბება;
2. რეგულაციები ან/და აკრძალვები გარკვეულ სახეობებზე ნადირობასთან დაკავშირებით;
3. სემონების განსაზღვრა, როცა ნებადართულია ნადირობა;
4. რეგულირებადი ნადირობა საერთო, მათ შორის, „რაციონალური“, „ოპტიმალური“ და „მაქსიმალური“ სტანდარტების გათვალისწინებით;
5. სხვადასხვა სახეობით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულაცია ან/და აკრძალვა;
6. ნადირობის შემთხვევაში კვოტების დაწესება;
7. საარსებო გარემოს მართვა;
8. ეკოსისტემების მართვა;
9. ნადირობის გარკვეული მეთოდების აკრძალვა; და
10. ახალი ან უცხო სახეობების შემოყვანის აკრძალვა.



## 11.2. ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენცია, ნაგოიას ოქმი და რამსარის კონვენცია

ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენცია მიღებულია 1992 წლის რიოს კონვენციაზე. კონვენციის ძირითადი მიზნებია: ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება, ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა და გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი გადანაწილება. შეიცავს რა ზოგადი სახის ნორმებსა და პრინციპებს, კონვენცია ითხოვს მონაწილე მხარეებისგან ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების პრინციპების დანერგვას. კონვენციის მონაწილე მხარეები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ბიოლოგიური რესურსების გამოყენების რეგულირება, რათა ხანგრძლივადიან პერსპექტივაში არ მოხდეს ბიომრავალფეროვნების შემცირება ან შეუქცევადი კლება. კონვენციით განსაზღვრულია მხარეთა საერთო ვალდებულებებიც, რომლებიც ასევე ზოგად ხასიათს ატარებენ და არ ზღუდავენ მასში ჩართული ქვეყნების სუვერენიტეტს მათ ტერიტორიებზე არსებული რესურსების გამოყენების კუთხით. ამასთან, ზოგიერთი განვითარებული ქვეყნისათვის კონვენციამ წარმოაჩინა რესურსების არასწორი გამოყენების პრობლემატურობა და ჩამოაყალიბა წესები გენეტიკური რესურსების გამოყენებასა და ბიოტექნოლოგიებთან დაკავშირებით.

კონვენციის შესავალში ხაზგასმულია, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება მთელი კაცობრიობის საერთო საზრუნავია. ასევე ნათქვამია, რომ სახელმწიფოებს აქვთ თავიანთი ბიოლოგიური რესურსების მართვის უზენაესი უფლება, შესაბამისად, ისინი არიან პასუხისმგებელი საკუთარი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ბიოლოგიური რესურსების სწორ გამოყენებაზე. პრეამბულა შეიცავს რეკომენდაციას, რომ ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი დაზიანების ან სრული დაკარგვის შემთხვევაში არ უნდა ავარიდოთ თავი შესაბამისი დამცავი ღონისძიებების ჩატარებას, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მომავალი თაობებისათვის შენახვის მიზნით.

კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, ყველა მხარე უნდა თანამშრომლობდეს ბიომრავალფეროვნების სათანადოდ გამოყენებისა და შენარჩუნებისათვის ეროვნული იურისდიქციის გარეთ არსებულ ტერიტორიებსა და საერთო ინტერესის სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მათ ან უნდა უნდა ჩამოაყალიბონ ახალი ეროვნული სტრატეგიები, გეგმები და პროგრამები ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენების მიზნით, ან გამოიყენონ არსებული სტრატეგიები, გეგმები ან პროგრამები. 2011 წლისთვის კონვენციის 173-მა მხარემ მიიღო ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიებისა და მოქმედების გეგმები (NBSAP). აღსანიშნავია, რომ კონვენცია არ განსაზღვრავს არანაირ ნუსხას, სადაც იქნებოდა შეტანილი ყველა სახეობა და მათი საარსებო გარემო, რომლებიც შენარჩუნებას, განსაკუთრებულ მოპყრობას, დაცვას ან რაციონალურ გამოყენებას საჭიროებს. თუმცა, კონვენციის თანახ-

მად, ყველა მხარე ვალდებულია, რამდენადაც შესაძლებელია და მისაღებია, მიიღოს სპეციალური ზომები – რომ გამოავლინოს ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომლებიც საჭიროებენ კონსერვაციას. ასევე, დააკვირდეს და გააკონტროლოს ეფექტები, პროცესები და მოვლენები, რომელთაც აქვთ, ან შესაძლოა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა კონსერვაციასა და სწორ გამოყენებაზე. მონიტორინგის მიზნით, კონვენციის პირველ დანართში ჩამოყალიბებულია ეკოსისტემების ან საარსებო გარემოს კატეგორიების ნუსხა:

- მაღალი ღირებულების მრავალფეროვნების მქონე ეკოსისტემები, რომლებიც შეიცავენ ენდემურ ან გადაშენების პირას მისულ სახეობებს, ან ხელუხლებელ, ველურ ტერიტორიებს;
- მიგრირებადი სახეობები;
- ეკოსისტემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ან მეცნიერული კუთხით;
- ეკოსისტემები, რომლებიც წარმოსაჩენია, უნიკალურია ან დაკავშირებულია ევოლუციურ ან სხვა მნიშვნელოვან ბიოლოგიურ პროცესებთან.

კონვენციის თანახმად, ასევე უნდა განხორციელდეს შემდეგი სახეობების იდენტიფიცირება და მართვა:

- საფრთხის წინაშე მყოფი გარეული სახეობები, რომლებიც დაკავშირებულია მოშინაურებულ ან კულტივირებულ სახეობებთან;
- სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, ან ეკონომიკური მნიშვნელობის სახეობები, ასევე სოციალური, სამეცნიერო ან კულტურული მნიშვნელობის სახეობები;
- სახეობები, რომლებიც მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და შენარჩუნების კვლევებისათვის.

რაც შეეხება ბიომრავალფეროვნების კონვენციის ნაგოიას ოქმს გენეტიკური რესურსის მოპოვებისა და სამართლიანად გაზიარების შესახებ, იგი მიღებულ იქნა 2010 წელს. მისი მიზანია: *რესურსის მოპოვებისა და დამუშავების შედეგად მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება, რაც, აგრეთვე, მოიცავს გენეტიკურ რესურსებთან წვდომასა და შესაბამისი ტექნოლოგიების გავრცელებას; ასევე შესაბამისი დაფინანსების გამოძებნა ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და მისი კომპონენტების მიზანშეწონილი გამოყენებისა და შენარჩუნების მიზნით.*

ოქმი ასახავს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის მე-15 პუნქტით გათვალისწინებულ გენეტიკურ რესურსებს და მათთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნას. „გენეტიკური რესურსების გამოყენება“ განმარტებულია როგორც რესურსების გენეტიკური და ბიოქიმიური შემადგენლობის კვლევა, მათ შორის ბიოტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც ეს კონვენციის მე-2 პუნქტშია ნათქვამი“. ოქმი კონვენციის მე-15 პუნქტის გარკვეულ პრინციპებს იმეორებს და ხელახლა ამუშავებს. რესურსის გამოყენებისა და კომერციალიზაციის შედეგად მიღებული პროდუქტი გაზიარებულ უნდა იქნეს ამ რესურსის მოპოვებელ ან მის შემსყიდველ ქვეყნებთან ურთიერთშეთანხმე-

ბული პირობებისა და კონვენციის შესაბამისად. სარგებლის გაზიარება ასევე ეხება რესურსის მფლობელ ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ მხოლოდ ამ რესურსზე ადგილობრივი მოსახლეობის შიდა კანონმდებლობაში არსებული უფლებების გათვალისწინებით. ტრადიციული ცოდნის მქონე ადგილობრივ მოსახლეობასთან უნდა განაწილდეს ამ ცოდნის მეშვეობით მოპოვებული სარგებელიც. სარგებელი შეიძლება იყოს ფულადი და არაფულადი. სახელმწიფოები ვალდებული არიან, მოუწოდონ რესურსის მომხმარებლებსა და მომწოდებლებს, მიღებული სარგებელი გამოიყენონ ბიომრავალფეროვნებისა და მისი კომპონენტების შესანარჩუნებლად.

ოქმი მოითხოვს, რომ მხარეებმა, რომლებიც მოითხოვენ წინასწარ ინფორმირებულ შეთანხმებას, უნდა უზრუნველყონ ამ შეთანხმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ნებართვის გაცემა ან ასეთ ნებართვაზე თანხმობის დამადასტურებელი ეკვივალენტური საბუთის წარდგენა და ურთიერთშეთანხმებული პირობების ჩამოყალიბება. ამ ხერხით წარდგენილი ნებართვა ან მისი ეკვივალენტი უდრის „საერთაშორისოდ აღიარებულ თანხმობის სერტიფიკატს“, რომელიც განსაზღვრავს მასში მოხსენიებული რესურსის მოპოვებას შიდა კანონმდებლობის შესაბამისად. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაგოიას ოქმი მოითხოვს, რესურსის მომწოდებელმა ქვეყნებმა მიიღონ ზომები რესურსის მოხმარების მონიტორინგისათვის და დარწმუნდნენ, რომ წინასწარი შეთანხმების მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა. ამგვარად, მხარეებმა უნდა უზრუნველყონ რესურსის მოპოვების საკითხი წინასწარ შეთანხმებული ნებართვისა და პირობების შესაბამისად. რესურსის გამოყენების მონიტორინგისათვის სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ საკონტროლო პუნქტები წინასწარი შეთანხმების, გარკვეულ პირობებზე, რესურსის წყაროებსა და მის გამოყენებაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ხოლო დარღვევის შემთხვევაში მხარეებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ეფექტიანი ზომები. თუ გენეტიკური რესურსი ერთზე მეტი ქვეყნის ტერიტორიაზეა განთავსებული, ოქმი ამ მხარეებს თანამშრომლობისა და პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვისკენ მოუწოდებს. იგი ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, გლობალური მრავალმხრივი სარგებლიანობის მექანიზმის აუცილებლობაზე, როდესაც რესურსი ტრანსსასაზღვრო ტერიტორიაზეა განლაგებული ან შეუძლებელია წინასწარი ნებართვის წარდგენა. როგორც კარტახენის ოქმი, ნაგოიას ოქმიც ბიომრავალფეროვნების კონვენციასთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ და ფინანსურ შეთანხმებებს აყალიბებს. კონვენციისა და ოქმის ფინანსური მექანიზმები იდენტურია. ოქმის 22-ე პუნქტი შეიცავს დანვრილებით დებულებას განვითარებადი ქვეყნების პოტენციალის შესახებ, ოქმის ძალაში შესვლის მიზნით.

რამსარის კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ“ (1971) (კონვენცია ატარებს რამსარის სახელწოდებას მისი მიღების ადგილის გამო (რამსარი, ირანი). ძალაში 1975 წელს შევიდა და დღემდე 81 სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული. მხარეთა კონფერენციას ინვევენ სამ წელიწადში ერთხელ. კონვენციის სამდივნო – „რამსარის კონვენციის ბიურო“, 69,7 – მდებარეობს ქალაქ გლანდში (შვეიცარია).

კონვენციის ფონდი არსებობს 1992 წლიდან. რამსარის კონვენცია წარმოადგენს ერთ-ერთ გლობალურ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობას ჭაობიანი ადგილების შენარჩუნებისა და დაცვის სფეროში. ჭაობები დიდ როლს ასრულებენ მცენარეული და ცხოველური სამყაროს, მიგრაციული სახეობების შენარჩუნებაში, გავლენას ახდენენ ეკოლოგიურ პროცესებზე, ამჟამად ჭაობების ეფექტური დაცვისათვის აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა. კონვენციაში შედიან შეთანხმებული მხარეები მსოფლიოს ყველა რეგიონიდან, როგორც განვითარებული, ისე განვითარებიდი ქვეყნებიდან (მაგ.: აშშ, იაპონია, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, გერმანია, ასევე პოლონეთი, ბულგარეთი, ალჟირი, ვიეტნამი, ზამბია, შრი-ლანკა და სხვ.) კონვენციის დახმარებით განისაზღვრა საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების ნუსხა. კონვენცია თავისი მიზნების განხორციელების უზრუნველყოფისათვის აიძულებს წევრ სახელმწიფოებს, დაიცვან ჭარბტენიანი ტერიტორიები და წყლის ფრინველები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი ნაკრძალების შექმნის თვალსაზრისით.

### 11.3. ბიოტექნოლოგია და მოდიფიცირებული ორგანიზმები

საერთაშორისო რეგულაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებსა და ბიოტექნოლოგიებთან დაკავშირებული რეგულაციებია, რომლებმაც ბიომრავალფეროვნების კონვენციის აღსრულება მნიშვნელოვნად გაართულა. მთავარი სადავო საკითხი გახლდათ ბალანსის დაცვის აუცილებლობა შემდგომ მიზნებს შორის: ერთი მხრივ, ბიოტექნოლოგიის განვითარება არ უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის უარყოფითი შედეგების მომტანი, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად, უსაფუძვლოდ არ უნდა შეიზღუდოს ბიოტექნოლოგიების განვითარება, გამოყენება და გავრცელება. გადაჭარბებული რეგულაციის შესახებ შეშფოთება გამოითქვა აშშ-ის მიერ რიოს 1992 წლის კონფერენციაზე გამოქვეყნებულ განცხადებაში, განსაკუთრებით „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ მე-16 თავთან მიმართებით, რომელიც განსაზღვრავდა, რომ „ბიოტექნოლოგიების განვითარება არ იყო სახიფათო პროცესი“. ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენციის მე-8(გ) მუხლის მიხედვით, ადგილობრივი კონსერვაციის შემთხვევაში, ქვეყნებმა შეძლებისდაგვარად უნდა შეინარჩუნონ ბიოტექნოლოგიის შედეგად მოდიფიცირებული ორგანიზმების (ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმები) გამოყენებასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებული რისკის დასარეგულირებლად და სამართავად აუცილებელი საშუალებები. კონვენცია გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებასთან მიმართებით ყოველი მხარე სახელმწიფოსკან მოითხოვს ამ ორგანიზმების გამოყენებისა და უსაფრთხოების წესების, აგრეთვე მათთან მოპყრობისა და შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შესახებ არსებული ინფორმაციის მიწოდებას იმ მხარეთათვის, რომლებთანაც ხდება ამ ორგანიზმების გადატანა. კონვენციის მე-19(3) მუხლის მიხედვით, მხარეებმა უნდა გააანალიზონ ოქმში მოცემული პროცედურების აუცილებლობა, როგორცაა წინასწარ დასაბუთებული შეთანხმება ბიომრავალფეროვნებისათვის შესაძლო საშიშროების შემცველი გმო-ის უსაფრთხოდ გადაყვანის, მათთან სათანადო მოპყრობისა და გამოყენების მიზნით. 1995 წელს მხარეთა კონფერენციის მეორე შეხვედრაზე ოქმის შესთანხმებლად ჩამოყალიბდა ბიოუსაფრთხოებაზე მომუშავე სპეციალური ღია ჯგუფი. მოლაპარაკებები საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა და მხარეებმა საბოლოოდ, 2000 წლის იანვარში, მიიღეს კარტახენის ბიოუსაფრთხოების ოქმი, რომელიც 2003 წლის სექტემბერში შევიდა ძალაში. ოქმის მხარეები ვალდებულია კისრულობენ, რომ ნებისმიერი ცოცხალი შეცვლილი ორგანიზმის მიღება, მოპყრობა, ტრანსპორტირება, გამოყენება, გადაცემა და გამოთავისუფლება ხორციელდებოდეს ისე, რომ არ შეექმნას საფრთხე ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას ან ადამიანის ჯანმრთელობას, ან ეს საფრთხე იქნეს შემცირებული.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების კარტახენის ოქმი ასევე არეგულირებს საერთაშორისო ვაჭრობას, მართვასა და გამოყენებას ნებისმიერი გენური ინჟინერიის საშუალებით მიღებული ორგანიზმისას, რომელმაც „შესაძლოა, არახელსაყრელი ზეგავლენა

მოახდინოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და თანაზომიერ გამოყენებაზე, აგრეთვე საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას“ (პირველი მუხლი). ბიოსაფრთხოების ოქმის შექმნაზე ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი 1995 წლიდან მუშაობდა. ოქმის პროექტის მომზადება 1998 წლის ბოლოსათვის დასრულდა და 1999 წლის თებერვალში კარტახენაში, კოლუმბია, მოლაპარაკებისა და ბიოსაფრთხოების ოქმზე საბოლოო შეთანხმებისათვის 135 ქვეყნის წარმომადგენელი შეიკრიბა. მიუხედავად კონსენსუსისა დელეგატთა უმრავლესობის შორის, მოლაპარაკება ჩაიშალა მარცვლეულის ექსპორტიორი ქვეყნების ბლოკის, ე.წ. მაიამის ჯგუფის, მიერ, რომელშიც შემდეგი ქვეყნები შედიან: აშშ, კანადა, ავსტრალია, არგენტინა, ჩილე და ურუგვაი. ეს ქვეყნები წინააღმდეგი იყვნენ, შემუშავებულიყო ბიოსაფრთხოების ძლიერი პროტოკოლი, რომელიც, ცხადია, გავლენას მოახდენდა მათ საექსპორტო ბაზარზე. ამიტომ იყო გენოლა, რათა ბიოსაფრთხოების პრობლემის დარეგულირება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისათვის გადაელოცათ და იქ შექმნილიყო ე.წ. „ბიოტექნოლოგიის სამუშაო ჯგუფი“. მაგრამ ეს წამოწყება ჩაიშალა სიეტლში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეხვედრაზე 1999 წლის ნოემბერში. და, საბოლოოდ, 4 დღე-ღამის ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, 2000 წლის 29 იანვარს დილის 4 საათზე ბიოსაფრთხოების პროტოკოლზე შეთანხმებას მიაღწია 133-მა ქვეყანამ. ამ პროტოკოლის მიხედვით, ყველა მონაწილე მხარე ვალდებულია, „უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი ცოცხალი მოდოფიცირებული ორგანიზმის მიღება, გადაცემა, ტრანსპორტირება, გამოყენება და გამოთავისუფლება ხორციელდებოდეს ისე, რომ არ შექმნას საფრთხე ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, ან ეს საფრთხე მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების გათვალისწინებით“ (მე-2 მუხლი). 2004 წლის 11 სექტემბერს პროტოკოლი საბოლოოდ შევიდა ძალაში.

## 12. ნარჩენების მართვა

ნარჩენების საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირება 1970-იანი წლების დამდეგს ორი ხელშეკრულების მიღებით დაიწყო, რომლებიც გარკვეული ტიპის ნარჩენების ზღვაში გაშვებას კრძალავდნენ. ამან გაართულა ნარჩენების განსაზღვრა და სხვა საკითხები. ადამიანის აქტივობის შედეგად გროვდება აირისებრი, თხევადი და მყარი ნარჩენები, რომლებიც ნაციონალურმა და საერთაშორისო სტრუქტურებმა ორ ძირითად კატეგორიად დაყვეს: მისი წყაროებისა (მუნიციპალური თუ ინდუსტრიული) და საშიშროების დონის მიხედვით (უსაფრთხო, სახიფათო და ზედმეტად სახიფათო). კაიროს სახელმძღვანელოს მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი მეთოდით, ნარჩენები ნაციონალური სამართლის შესაბამისად განისაზღვრება, თუმცა ეს მეთოდი ფართოდ არ გამოიყენება. 1972 წლის ლონდონის კონვენციის მიხედვით, ნარჩენებს ფართო განსაზღვრება აქვს. ეს შეიძლება იყოს: ნებისმიერი სახის, ფორმისა და აღწერილობის მასალა და ნივთიერება; მეორე მხრივ, 1989 წლის ბაზელის კონვენცია ნარჩენებს მისი საბოლოო გამოყენების დანიშნულების მიხედვით განსაზღვრავს – ესაა ნივთიერებები ან ნივთები, რომლებიც გამოიყენება, უნდა გამოიყენებოდეს ან განსაზღვრულია გამოყენებისათვის ნაციონალური სამართლის დებულებების მიხედვით. ამ განმარტების თანახმად, ნივთიერება, რომელიც არაა განკუთვნილი მოხმარებისათვის (შესაძლებელია, განკუთვნილია გადამუშავებისათვის), არ შეიძლება, იყოს ნარჩენი. მსგავსი განმარტება არსებობს ევროკავშირის სამართალშიც, რომელიც თავდაპირველად ნარჩენებს განსაზღვრავდა როგორც „ნებისმიერ ნივთიერებას ან ნივთს, რომელსაც მისი მფლობელი მოიხმარს, ან უნდა გამოიყენებოდეს ნაციონალური სამართლის შესაბამისად“. ამ განმარტებამ გამოიწვია გარკვეული პრაქტიკული პრობლემები, რადგან გამორიცხა გარკვეული ნივთიერებები, რომელთაც მფლობელი დანიშნულების მიხედვით არ იყენებდა. 1990 წელს ევროპის სასამართლომ ეს განსაზღვრება გააფართოვა და მოიცვა „ხელმეორედ გამოყენებადი ნივთები და ნივთიერებები“; მომდევნო წელს განსაზღვრებაში ისევ შეიტანეს ცვლილებები და დაამატეს „ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც ყრის მფლობელი ან მომავალში აპირებს, გადაყაროს“; შემდგომში, 1992 წლის OSPAR-ის კონვენციამ ტრადიციული მიდგომა შეცვალა ნარჩენების განსაზღვრებასთან მიმართებით; გარდა ამისა, 1996 წლის ოქმი, რომელიც ეხებოდა 1972 წლის ლონდონის კონვენციას, ნარჩენებს განმარტავს როგორც „ნებისმიერი სახის, ფორმის ან აღწერილობის ნივთიერებას ან მასალას“. თვალსაჩინო არაა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი მიდგომა გაცილებით ეფექტური საერთაშორისო რეგულაციების საშუალებას იძლევა.

1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის მე-6 პრინციპი ეძღვნება ტოქსიკური და სხვა ნივთიერებების ნარჩენების გაშვების შეწყვეტას და განსაკუთრებულად არ ამახვილებს ყურადღებას ნარჩენებთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებზე. 1982 წლის მსოფლიო

ბუნების ქარტიამ რადიოაქტიური ან ტოქსიკური ნარჩენების მოშორების პრევენციისათვის სპეციალური გამაფრთხილებელი ზომების მიღება ჩათვალა საჭიროდ, თუმცა ამგვარი ნარჩენების კერების შემცირება არ უცდია. UNCED-ზე ეს საკითხი უფრო დეტალურად იყო განხილული, ხოლო „21-ე საუკუნის დღის წესრიგში“ შევიდა გარკვეული შემოთავაზებები, მიზნები და სამოქმედო გეგმები, საშიშ, მყარ და რადიოაქტიურ ნარჩენებთან გასამკლავებლად. მიუხედავად ამისა, რიოს დეკლარაციის მე-14 პრინციპი შემოიფარგლა ეფექტური თანამშრომლობის მონოდებით, მხარეთათვის ისეთი ნივთიერებების გადაცემის შეზღუდვის ან შეწყვეტის მიზნით, რომელთაც სერიოზული ეკოლოგიური ზიანის მოტანა შეუძლიათ და სახიფათოდ ითვლებიან ადამიანის ჯანმრთელობისათვის. 1997 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რადიოაქტიური ნარჩენების შენახვა, ტრანსპორტირება, განადგურება და ტრანსსასაზღვრო გადატანა „21-ე საუკუნის დღის წესრიგისა“ და რიოს დეკლარაციის დებულებების დაცვით მოითხოვა. „21-ე საუკუნის დღის წესრიგისა“ და რიოს დეკლარაციიდან 10 წლის შემდეგ მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტს თითქმის არაფერი მოუმოქმედებია მათი დებულებების გასაფართოებლად. მისი სარეალიზაციო გეგმა მხოლოდ რამდენიმე ძირითად განსაზღვრებას შეიცავს სახიფათო და მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

ნარჩენებთან გასამკლავებლად უფრო კომპლექსური საერთაშორისო მიდგომის ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირველი სერიოზული მცდელობა იყო 1976 წლის OECD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის) საბჭოს რეკომენდაცია ნარჩენების მენეჯმენტის ამომწურავი კურსის შესახებ. ამ რეკომენდაციის მიხედვით, საბჭოს წევრმა ქვეყნებმა ეკონომიკური ვალდებულებების პარალელურად უნდა განახორციელონ გარკვეული ღონისძიებები გარემოს დასაცავად და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოსაყენებლად. ეს პრინციპები მოიცავს: გარემოს დაცვის, ნარჩენების პრევენციისა და გადამუშავების, შესაბამისი პოლიტიკისა და საშუალებების, აგრეთვე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საჭიროებებს. რეკომენდაცია ასევე მხარს უჭერს ადმინისტრაციულ შეთანხმებებს, რომლებიც ეხება ნარჩენების მოშორებისათვის საჭირო საშუალებებს, აგრეთვე ამ ნარჩენების მოშორების მეთოდების ძიებას და განკარგულების ცენტრების ჩამოყალიბებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ნარჩენების შეგროვებასა და გადამუშავებულ პროდუქტების ბაზარზე გატანას. ათი წლის შემდეგ, UNEP-ის (გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის) მმართველმა საბჭომ მხარი დაუჭირა 1987 წლის კაიროს სახელმძღვანელო დებულებებს საზიანო ნარჩენების გარემოსათვის უსაფრთხოდ მართვის თაობაზე, რომლებიც სახელმწიფოებს ამგვარი ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო მეთოდებით მართვისა და საბოლოო განადგურებისთვის საჭირო ღონისძიებებისა და მიდგომების შემუშავებაში ეხმარება. სახელმძღვანელო მოიცავს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს საზიანო ნარჩენებისგან დაცვის ძირითად დებულებებს, რომლებიც ეხება ამ ნარჩენების ტრანსსასაზღვრო მოძრაობას და ყველა შესაძლო ნაბიჯების გადადგმას, გატარებული ღონისძიებების საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის წესებთან



თავსებადობის დასადასტურებლად; სხვა დებულებები ეხება ანტიდისკრიმინაციას, საერთაშორისო ტექნოლოგიების გავრცელებას და განსაზღვრავს, რომ „გარემოს დაცვის მიზნით, არ უნდა ჩანაცვლდეს დაბინძურების ერთი სახე სხვა სახეობით და არ უნდა შეიცვალოს დაბინძურების ადგილმდებარეობა, არამედ გამოყენებულ უნდა იქნეს ნარჩენების მართვის ისეთი მეთოდები, რომლებიც ამცირებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას“.

## 12.1. ნარჩენების სახეობები

დღევანდელ მსოფლიოში ნარჩენების მართვის ყველაზე ეფექტიანი მიმართულება მწვანე და ცირკულარული ეკონომიკაა. მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების მოდელია, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. მისი განვითარება ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას, ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას, აჩქარებს სუფთა მოხმარებისა და წარმოების პრაქტიკის განხორციელებას, იზიდავს მწვანე ინვესტიციებს და ქმნის ახალ „მწვანე“ სამუშაო ადგილებს, ასევე, ის აფასებს გარემოს დეგრადირებას და ნატურალური რესურსების გამოფიტვას, რაც მოსახლეობის კეთილდღეობას უწყობს ხელს. სწორედ ამიტომ მსოფლიო დღეს კონცენტრირებულია ნარჩენების ხელახალ გამოყენებასა და გადამუშავებაზე, რასაც ცირკულარულ ეკონომიკას უწოდებენ.

2005 წელს იაპონიაში 3R-ის მოდელის დანერგვის იდეა გაჩნდა, რაც ნიშნავს: Reduce – შემცირება, Reuse – ხელახლა გამოყენება, Recycle – გადამუშავება.

**შემცირება** – მთავარი ფაქტორია საყოფაცხოვრებო თუ საწარმოო ნარჩენების შემცირებისთვის, რომლის მიზანია ოპტიმალური რაოდენობის სურსათისა თუ საქონლის შექმნა, იმისათვის, რომ არ მოხდეს ჭარბი ნარჩენების წარმოქმნა.

**ხელახლა გამოყენება**– უკვე გამოყენებული, მეორეული ნივთის ხელახლა გამოყენებას გულისხმობს, მაგალითად მინის ბოთლების უკან, საწარმოში ჩაბარება მისი ხელახლა გამოყენებისათვის. ამ დროს ფულის, ენერჯისა და რესურსების დაზოგვა ერთიანად ხდება, რადგან პროდუქტის ტექნოლოგიური დამუშავება საჭირო აღარ არის. **გადამუშავება** – მეორეული ნივთების ტექნოლოგიურ დამუშავებას გულისხმობს, რომლის შედეგადაც სხვა პროდუქტის მიღებაა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში მთავარი უპირატესობა ნედლეულისა და რესურსების მოხმარების შემცირებაა, რადგან უკვე არსებული ნივთის დამუშავება ხდება. ბოლო პერიოდში ჩამოყალიბებულია ნარჩენების მართვის ახალი ორი პრინციპი, ესენია: **ენერჯიად გარდაქმნა** და **განთავსება**. ენერჯიად გარდაქმნის დროს ნარჩენების სპეციალური ტექნოლოგიებით დამუშავება ხდება და მიიღება ენერჯია, ხოლო განთავსება გულისხმობს ნარჩენების განთავსებას მინის ზედაპირზე სპეციალური მეთვალყურეობით.

ნარჩენები, თავისი მახასიათებლების მიხედვით, სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნება – არსებობს საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო, მათ შორის: სახიფათო, ტოქსიკური, სამედიცინო, ინერტული და რადიაქტიური ნარჩენები. ერთი შეხედვით, უსაფრთხოა საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ისინი, ძირითადად, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, ოფისებისა და სხვა კომერციული წყაროებისგან წარმოიშობა და შეიძლება არსებობდეს ქალაქის, მინის, პლასტმასის, მეტალის, ორგანული ნივთიერებების სახით. საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობის ზრდა ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკის განვითარებასთან მჭიდრო კავშირშია. UNEP-ის მონაცემებით, 2020

წლისთვის მსოფლიოში ყოველწლიურად 11,5 მილიარდი ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენები წარმოიშობა. ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა განვითარებამ ქალაქის, პლასტმასის და, ზოგადად, შეფუთვის ნარჩენების წარმოქმნის ოდენობა და დინამიკა მნიშვნელოვნად გაზარდა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამი გზა არსებობს: ნაგავსაყრელზე განთავსება, ნარჩენების ინსინერაცია ანუ დაწვა და ნარჩენების გადამუშავება. ნაგავსაყრელის მთავარი უარყოფითი მხარე მეთანის (სათბური აირის) წარმოქმნაა, წვის პროცესს კი თან სდევს მტვრის წარმოქმნა, სახიფათო ნივთიერებებისა და სასათბურე აირების წარმოქმნა. ამასთან, ღია სივრცეში განთავსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენები გარემოს მეორეული დაბინძურების კერად შეიძლება გადაიქცეს, მათ შორის, ნიადაგის, წყლის დაბინძურების თვალსაზრისით.

არასაყოფაცხოვრებო ნარჩენები იყოფა მისი წარმომქმნელი წყაროებისა (ინდუსტრიული, სამთო და აგროკულტურული) და მახასიათებლების მიხედვით (უსაფრთხო, საშიანო, ტოქსიკური, რადიოაქტიური). ინდუსტრიული ნარჩენები მოიცავს: ძირითად ქარხნულ ნარჩენებს, შესაფუთ მასალებს, ორგანულ ნარჩენებს, მჟავებს, ტუტეებსა და მეტალის შემცველ შლამს. სამთო ნარჩენები ნედლეულის მოპოვების პროცესისგან მორჩენილი პროდუქტია და შედგება ნეშომპალის, ქვისა და მიწისგან, რომლებიც შესაძლოა, მეტალითა და ნახშირით დაბინძურდეს. სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებია: გახრწნილი ცხოველური ნარჩენი, გამდინარე სილოსი, ავტომობილების პესტიციდების გამოყენებით ნარეცი სითხე და შესაფუთი მასალები; არასაყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე, მოიცავს საკანალიზაციო შლამს, რაც ინდუსტრიული და საოჯახო საქმიანობებითაა გამოწვეული და ხშირად მძიმე მეტალებით, ორგანული ქიმიკატებითა და ცხიმებით ბინძურდება. ინდუსტრიული და სამთო სახის მრავალი ნარჩენი სახიფათოა და განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებს, რაც გულისხმობს ფიზიკურ ან ქიმიურ მოქმედებას, დაწვას, ნაგავსაყრელზე ადგილის მიჩენას, ზღვაში გაშვებას, დასაწყობებას და გადამუშავებას. ორგანული ნარჩენების, მათ შორის: საკანალიზაციო შლამის, გახრწნილი ცხოველების ნარჩენებისა და ჩამდინარე სილოსის ჩათვლით, გამოყენება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ხდება.

ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადატანაზე პასუხისმგებელი საერთაშორისოსამართლებრივი ორგანოები სახიფათო ნარჩენებს სხვადასხვაგვარად განმარტავენ: 1989 წლის ბაზელის კონვენცია მის პირველ დანართში მოყვანილი 45 დასახელებიდან ნებისმიერი ტიპის ნარჩენს სახიფათოდ მიიჩნევს, თუ ის მესამე დანართში არსებული მახასიათებლების მატარებელი არაა. „სხვა ნარჩენები“, აგრეთვე, ექვემდებარება ბაზელის კონვენციის მეორე დანართში არსებულ გარკვეულ მოთხოვნებს. კონვენცია არ ვრცელდება რადიოაქტიურ ნარჩენებზე, რომლებიც სხვა საერთაშორისო სამმართველო სტრუქტურების კომპეტენციაში შედის, აგრეთვე არ ვრცელდება სხვა საერთაშორისო ორგანოების მფარველობის ქვეშ მყოფი გემებიდან გამავალ ნარჩენებზე. კონვენციის განსაზღვრების შესაბამისად, გარკვეული სახის რადიოაქტიური ნარჩენები გახდება საერთაშორისო სამმართველო სისტემის განხილვის საგანი.

1991 წლის ბამაკოს კონვენციაში სახიფათო ნარჩენები უფრო ფართოდაა განსაზღვრული ოთხი კატეგორიის მიხედვით: პირველ დანართში მოყვანილი ყველა ტიპის ნარჩენი, რომლებიც ბაზელის კონვენციის პირველ და მეორე დანართებს აერთიანებს; ნარჩენები, რომელთა იმპორტი, ექსპორტი და ტრანსპორტირება მხარის ნაციონალური კანონმდებლობით ხორციელდება; მეორე დანართში მოყვანილი მახასიათებლების მატარებელი ნარჩენები; და მავნე ნივთიერებები, რომელთა რეგისტრაცია სახელმწიფო სარეგულაციო ორგანოების მიერ აიკრძალა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი მიზნების გამო. კონვენცია ვრცელდება რადიოაქტიურ ნარჩენებზე, რომლებიც ემორჩილება რადიოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საერთაშორისო კონტროლის სისტემას, მაგრამ არ ვრცელდება გემებიდან მოშორებულ ნარჩენებზე.

რადიოაქტიური ნარჩენები, ძირითადად, ატომური ენერჯის წარმოების, სამხედრო და სამედიცინო საქმიანობების, ინდუსტრიული და სასწავლო დაწესებულებების ფუნქციონირების შედეგად წარმოიქმნება. დაბალი რადიოაქტიურობის დონის ნარჩენები მოიცავს: დამაბინძურებელ ლაბორატორიულ ნამსხვრევებს, ბიოლოგიურ, სამშენებლო მასალებსა და ურანის მოპოვების შედეგად მიღებულ ნარჩენებს. მაღალი რადიოაქტიურობის მქონე ნარჩენებია: ატომური ენერჯის რეაქტორებზე დახარჯული საწვავი და მისი მყარი და თხევადი სახის ნალექები. რადიოაქტიური ნარჩენები, ძირითადად, მიწაზე გროვდება, თუმცა დამტკიცდა, რომ 1949–1982 წლებში მინიმუმ P 46 ბეკერელი ნარჩენი ზღვაში იქნა ჩამარხული. ამგვარი ნარჩენები IAEA-ს (საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს) კოდექსითა და ევროკავშირის სამართლის მიერაა განსაზღვრული. ამასთან, უკვე დიდი ხანია, აღარ ხდება რადიოაქტიური ნარჩენების ზღვაში გაშვება და ეს საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მრავალი წელია, განიხილება. საერთაშორისო სამართლით, აკრძალულია სამხრეთ წყნარი ოკეანის, აფრიკისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტიკის დაბინძურება რადიოაქტიური ნარჩენებით. 1972 წლის ლონდონის კონვენცია კრძალავს რადიოაქტიური ნარჩენებით დაბინძურებას. აკრძალვები აისახა 1996 წლის ლონდონის ოქმშიც.

## 12.2. ნარჩენების პრევენცია, გადამუშავება და განთავსება

ნარჩენების მართვის მიზნით, ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულება აყალიბებს მიზნებსა და სამოქმედო გეგმებს, გარკვეულ შეზღუდვებს საყოფაცხოვრებო და ინდუსტრიული, ასევე მავნე და რადიოაქტიური ნარჩენების ფორმირებაზე. იმდენად, რამდენადაც ზოგი დამაბინძურებელი აირი, მაგალითად: გოგორდისა და აზოტის ოქსიდები, აქროლადი ორგანული ნაერთები და ნახშირორჟანგი, მიეკუთვნება ნარჩენ პროდუქტებს, ხელშეკრულებები, რომლებიც აწესებენ ამგვარი აირების ატმოსფერულ ემისიებზე რაოდენობრივ შეზღუდვებს, ეფექტურად ზღუდავენ მათ ემისიებს. თუმცა ასეთი ხელშეკრულებები, როგორც გამონაკლისი, ახასიათებს მხოლოდ ზოგიერთ სამრეწველო ქვეყანას; აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა მიიღო გარკვეული კატეგორიის ნარჩენების წარმოქმნის შემზღუდველი კანონმდებლობა. 1972 წლის ლონდონის კონვენციის საკონსულტაციო სხდომის რეზოლუციების მიხედვით, სახელმწიფოებმა უპირატესობა ისეთ ტექნოლოგიებს უნდა მიანიჭონ, რომლებიც ნარჩენების მცირე რაოდენობას წარმოქმნიან, ან საერთოდ არ წარმოქმნიან. ევროკავშირის ხელშეკრულება მოითხოვს გარემოსდაცვითი ზომების იმგვარად გატარებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და მიღებულ იქნეს გარკვეული პრევენციული ზომები. 1989 წლის ბაზელის კონვენცია მხარეებს მოუწოდებს, უზრუნველყონ მავნე ნარჩენების, მათ შორის: სოციალური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური სახის წყაროების მინიმუმამდე დაყვანა; აგრეთვე, უზრუნველყონ ამ ნარჩენებით დაბინძურების პრევენციული ან შემამცირებელი ზომების მიღება. კონვენცია, აგრეთვე, მოითხოვს სახელმწიფოებისაგან „გარემოსთვის უსაფრთხო მეთოდებით ნარჩენების განადგურების საშუალებების უზრუნველყოფას“. გარდა ამისა, საჭიროა, შეთანხმებული მოქმედება გარემოსათვის უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვისა და არსებულის გაუმჯობესების გზით ნარჩენების წყაროების შექცევისდაგვარად შესამცირებლად. 1999 წლის კონფერენციამ ბაზელის კონვენციასთან დაკავშირებით სამომავლო მიზნები დასახა, მათ შორის: „მავნე ნარჩენების პრევენცია, შემცირება, გადამუშავება, აღდგენა და უტილიზაცია“ და „ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება“. დეკლარაციას მოჰყვა ბაზელის კონვენციის სარეალიზაციო სტრატეგიული გეგმა კონვენციის 2002–2011 წლების განმავლობაში მოქმედების ეფექტიანობის შესაფასებლად, რომლის თანახმადაც, კონვენციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მავნე ნარჩენების წყაროების პრევენცია და შემცირებაა. ამ გეგმის შემადგენელი 2005–2010 წლების მონაკვეთი „ბაზელის კონვენციაში გათვალისწინებული ნარჩენების შესამცირებლად, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენებისა და წარმოების“ პერიოდად ითვლება.

1991 წლის ბამაკოს კონვენცია ყურადღებას ამახვილებდა აფრიკაში მავნე ნარჩენების მოსპობასა და პრევენციული ზომების მიღებაზე. კონვენციის ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ნარჩენების მწარმოებლებმა წარმოადგინონ სამდივნოს მიერ ჩატარებული აუდიტის ანგარიშები მავნე ნარჩენების თაობაზე და შემცირდეს

ამგვარი ნარჩენების წარმოქმნა სოციალური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური მიზეზებით. მხარეებმა, აგრეთვე, უნდა დააკისრონ მყარი და შეუზღუდავი პასუხისმგებლობა ნარჩენების წარმომქმნელ მხარეს, ხოლო ამ სფეროში ჩართულმა პირებმა შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადადგან ნარჩენებისგან დაბინძურებისა და მისი შედეგების პრევენციის მიზნით. ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს „პრევენციული და გამაფრთხილებელი ზომები“, რომლებიც უზრუნველყოფს პროდუქტის წარმოების სუფთა მეთოდებს მთელი სანარმოო ციკლის განმავლობაში. „სუფთა წარმოება“ გამოირიცხავს სანარმოო ციკლის შემდგომი დაბინძურების კონტროლს, როგორცაა: ფილტრაცია ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური დამუშავების გზით, აგრეთვე ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ამცირებს დაბინძურების დონეს დაწვის, გაზავების ან ნარჩენების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის გზით.

2001 წლის სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ (2001 წლის POP-ის კონვენცია) ორგანულ დამაბინძურებლებად ცნობილი მავნებელი ქიმიკატების წარმოებას, გამოყენებასა და ტრანსსასაზღვრო მოძრაობას არეგულირებს. ეს ქიმიკატები ბუნების წიაღში დიდი ხნის განმავლობაში ხელუხლებელი რჩება, ვრცელდება დიდ გეოგრაფიულ არეალზე, გროვდება ცოცხალი ორგანიზმების ცხიმოვან ქსოვილში და მომწამვლეელია ველური ბუნებისა და ადამიანისათვის. ეს კონვენცია ხელმომწერი მხარეებისგან მოითხოვს, მიიღონ ყველა საჭირო სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომა კონვენციის პირველ დანართში ჩამოთვლილი ქიმიკატების წარმოებისა და მოხმარების აღსაკვეთად.

საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ფარგლებში კარგადაა ჩამოყალიბებული რეგულაციები გარკვეული სახის ნარჩენების განთავსების ზოგიერთი მეთოდის შემზღვევის თვალსაზრისით. დარგობრივი ხელშეკრულებები არეგულირებენ ნარჩენების ზღვაში, მდინარეებში, ტბებში, ატმოსფეროში გაშვებასა და დაწვასთან დაკავშირებულ საკითხებს. არსებობს ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება აზბესტის, სხვა სამშენებლო ნარჩენებისა და ქიმიკატების უსაფრთხო განადგურებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ, ნარჩენებისა და ნაგავსაყრელების მართვის თვალსაზრისით, ყველაზე კარგად ევროკავშირის კანონმდებლობა განვითარებულია. დღეისათვის არ არსებობს ნაგავსაყრელების ნარჩენების სტანდარტების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართალი, გარდა ევროკავშირის დირექტივა 99/31/EC-სი, რომელიც აწესებს მინიმალურ სტანდარტებს ნაგავსაყრელების ნარჩენების გადამუშავებისათვის. ევროკავშირის დირექტივა 99/31/EC ადგენს ნაგავსაყრელების ნარჩენების ერთიან კლასიფიკაციას და მიღების პროცედურებს. 1991 წლის ესპოსოს კონვენცია მოითხოვს იმ ტოქსიკურ და სახიფათო ნაგავსაყრელთა ნარჩენების გარემო პირობებზე ზემოქმედების პერიოდულ შეფასებას, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მნიშვნელოვანი, მავნე სასაზღვრო ზემოქმედებები, და ამ მიმართულებით ადეკვატური და ეფექტიანი ღონისძიებების გატარებას; ანტარქტიდის ტერიტორია კი უფრო დეტალური განხილვის საგანია – აქ რადიოაქტიური ნარჩენების გაფრქვევა აიკრძალა 1959 წელს. ნუმის 1986 წლის კონვენცია არის ერთ-ერთი ხელშეკრულება იმ მცირედთა-

გან, რომელიც ადგენს დეტალურ წესებს ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების შენახვისა და შეფასებისათვის, მოითხოვს გარემო პირობების დაბინძურების თავიდან აცილებას და კრძალავს რადიოაქტიური ნარჩენების გაფრქვევას; 2001 წლის კონვენცია მდგრადი ორგანული დაბინძურებების შესახებ (POPs) წევრი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს საიმედო ზომების მიღებას ისეთი ნარჩენების მოსაშორებლად, რომლებიც შედგებიან ან შეიცავენ ნივთიერებებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ან უკუქცევად პროცესად გადააქციონ მდგრადი ორგანული დაბინძურება. იქ, სადაც ასეთი დაბინძურება არ არის მნიშვნელოვანი, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ნარჩენების შენახვა ეკოლოგიურად უსაფრთხო წესით, საერთაშორისო წესებისა და სტანდარტების გათვალისწინებით, სახიფათო ნარჩენების შესახებ არსებული გლობალური და რეგიონალური რეჟიმების შესაბამისად. წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა დაუშვან მდგრადი ორგანული დაბინძურება, რამაც შეიძლება, შემდგომში ხელი შეუწყოს მის აღდგენასა და ხელახალ განმეორებას.

### 12.3. ნარჩენების საერთაშორისო გადაზიდვა

საინტერესოა, რომ საერთაშორისო სამართალი ნარჩენების შესახებ, ძირითადად, ფოკუსირდა ნარჩენების საერთაშორისო მოძრაობასა და ვაჭრობაზე. ამის მიზეზი გახდა რამდენიმე გახმაურებული შემთხვევა, რომლებიც ეხებოდა განვითარებულ ქვეყნებში წარმოებული სახიფათო ნარჩენების გატანას განვითარებად ქვეყნებში. საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებს შორის არსებულ დაძაბულობასთან ერთად გამოიკვეთა ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის, განსაკუთრებით კი აფრიკის ქვეყნების სურვილი, აკრძალულიყო საერთაშორისო ვაჭრობა ნარჩენებით და, პირიქით, განვითარებადი ქვეყნების სურვილი, მოეხდინათ თავიანთი ნარჩენების მოშორება. შედეგად, მიღებულ იქნა სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებმაც დაადგინეს სხვადასხვა წესი და რეგულაცია, რომელთა მიღებამდე არსებული პრობლემების გადაჭრა ხდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის: ევროკავშირის, OECD და გაეროს ფარგლებში. ამასთან, ნარჩენებით ვაჭრობა გაეროს ფარგლებში განიხილებოდა ადამიანთა უფლებების დაცვის ჭრილში. საშიში და სხვა სახის ნივთიერებების ტრანსსასაზღვრო მოძრაობას დღეისათვის არეგულირებს რამდენიმე რეგიონალური და გლობალური ხელშეკრულება. თითოეული მათგანი ადგენს განსხვავებულ წესებს, რომლებიც მოიცავენ 1989 წლის ბაზელის, 1991 წლის ბამაკოსა და 1995 წლის ვაიგანის კონვენციებს. სხვა ორგანოები მოიცავენ 2001 წლის კონვენციას მდგრადი ორგანული დაბინძურებების შესახებ და ისეთ ორმხრივ ხელშეკრულებებს, როგორებიცაა: 1986 წლის კანადა-აშშ-ისა და ამავე წლის კანადა-მექსიკის შეთანხმებები სახიფათო ნარჩენების შესახებ, ასევე, ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, OECD-ს აქტები და ევროკავშირის რეგულაციები და დირექტივები.

1989 წლის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო მოძრაობისა და გაფრქვევის კონტროლის შესახებ (ბაზელის კონვენცია) გამიზნული იყო სახიფათო და სხვა სახის ნარჩენებით ვაჭრობის საერთაშორისო რეგულირებისთვის. კონვენცია არეგულირებს და არ კრძალავს ნარჩენებით ვაჭრობას. ბაზელის კონვენცია აყალიბებს ვალდებულებებს, ყველა მხარისათვის უზრუნველყონ ნარჩენების ტრანსსასაზღვრო მოძრაობის შემცირება მინიმუმამდე, ეკოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად. ის ასახავს მიდგომას, რომ ნარჩენების მოშორება უნდა მოხდეს იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოხდა მათი წარმოქმნა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. კონვენციის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს ზოგად ვალდებულებებს ნარჩენების წარმოქმნის, ტრანსსასაზღვრო მოძრაობისა და ეკოლოგიურად უსაფრთხო მართვისათვის. მხარეებმა არ უნდა დაუშვან ნარჩენების ექსპორტი ისეთ ქვეყნებში, სადაც კანონმდებლობით არის აკრძალული ნარჩენების იმპორტი, ან, სადაც საეჭვოა ნარჩენების ეკოლოგიურად უსაფრთხო მართვა. ასეთი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გააუმჯობესონ ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გზით. მხარეებს შეუძლიათ, აკრძალონ რაიმე სახის ნარჩენების იმპორ-



ტი და უნდა მისცენ წერილობითი თანხმობა რომელიმე სპეციფიკური ნარჩენის იმპორტზე, რომლის შემოტანაც არ არის აკრძალული. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ დაინტერესებული სახელმწიფოების ინფორმირება საშიში და სხვა სახის ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შესახებ და არ დაუშვან იმპორტი, თუ ის არ არის ეკოლოგიურად უსაფრთხო. კონვენციის არანეგრ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ნარჩენების იმპორტისა და ექსპორტის განხორციელება; გარდა ამისა, მათ არ შეუძლიათ ნარჩენების მოშორება ანტარქტიდის ტერიტორიაზე. ყოველივე ამან სახელმწიფოებს კონვენციის ნევრობის სურვილი გაუღვიძა. ნარჩენების მოძრაობა, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნებს, ან არ შეესაბამება დოკუმენტაციებს, ან უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის საერთო პრინციპებს, არის არალეგალური და ითვლება დანაშაულად.

კონვენცია კრძალავს სახიფათო და სხვა სახის ნარჩენების ექსპორტს, იმ შემთხვევების გარდა, როცა ექსპორტიორ ქვეყანას არ გააჩნია შესაძლებლობები მათი ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეფექტური მართვისათვის, ან, როცა ნარჩენები გამოიყენება როგორც ნედლეული გადამუშავებისა და აღდგენისათვის იმპორტიორი ქვეყნის მხრიდან; გარდა ამისა, მხარეებს, კონვენციის შესაბამისად, შეუძლიათ დამატებითი ვალდებულებების დაწესება ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს უკეთესი დაცვისათვის. საშიში და სხვა სახის ნარჩენების გადატანა და მოშორება შესაძლებელია მხოლოდ უფლებამოსილი პირების მიერ და უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაოდ მიღებულ და აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს. კონვენციამ ჩამოაყალიბა „წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურა“, რომლის მიხედვით, მწარმოებელმა ან ექსპორტიორმა მხარემ უნდა აცნობოს სახელმწიფოს ნებისმიერი ტრანსსასაზღვრო გადატანის შესახებ. იმპორტიორმა მხარემ უნდა გადაწყვიტოს, მისცეს თუ არა ნებართვა მეორე მხარეს, მოითხოვოს მისგან დამატებითი ინფორმაცია, ხოლო ექსპორტიორი ვერ განახორციელებს ტრანსსასაზღვრო გადატანას იმპორტიორი მხარის წერილობითი ნებართვისა და ნარჩენების უსაფრთხოების დამადასტურებელი კონტრაქტის გარეშე. სატრანზიტო ქვეყნებს შეუძლიათ, აკრძალონ ტრანზიტული მოძრაობა, ექსპორტიორმა მხარემ კი არ უნდა დაუშვას ტრანსსასაზღვრო გადატანა სატრანზიტო ქვეყნის ნებართვის გარეშე. კონვენციის წევრ იმპორტიორ და ექსპორტიორ ქვეყნებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ნარჩენების დაზღვევა, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ტრანსსასაზღვრო გადატანა ხელშეკრულების შესაბამისად ვერ ხორციელდება და თუ ვერ იძებნება ალტერნატიული გზები მის უსაფრთხოდ გამოსაყენებლად, ექსპორტიორმა მხარემ უკან უნდა დააბრუნოს ნარჩენები.

### 13. საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვა

ქიმიური ნივთიერებების წარმოების მოცულობისა და ამ ნივთიერებებით ვაჭრობის სწრაფმა ზრდამ, ასევე საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და პესტიციდების გამოყენებასთან დაკავშირებულმა შესაძლო რისკმა ამ მიმართულების საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირების აუცილებლობა 1970-იანი წლებიდან განსაკუთრებულ დღის წესრიგში დააყენა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა აღმოჩნდა ამ მხრივ იმ ქვეყნებში, სადაც შექმნილი არ იყო ამ ნივთიერებების იმპორტსა და გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსოფლიო საზოგადოებისათვის ნათელი გახდა ამ სფეროში საერთაშორისო ნორმატიული ბაზის შემუშავების აუცილებლობა.

საშიში ქიმიური ნივთიერებები და უმთავრესად მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები (მოდ) წამლავენ ადამიანს და სხვა ცოცხალ ორგანიზმებს, ახდენენ ფართო დიაპაზონის ტოქსიკურ ზემოქმედებას, შეუძლიათ, მნიშვნელოვნად დააზიანონ ცოცხალ ორგანიზმთა თითქმის ყველა სისტემა (პირველ რიგში, იმუნური და რეპროდუქციული სისტემები). ყველაზე მძიმე ის არის, რომ ფეხმძიმობისა და ძუძუთი კვების დროს მოდ-ები გადაეცემა მომავალ თაობებს, რაც იწვევს ბავშვებში თანდაყოლილ დეფექტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა მთელი რიგი საერთაშორისოსამართლებრივი აქტებისა, რომლებიც გარემოს დაცვის საერთაშორისოსამართლებრივ პრინციპზე დაყრდნობით არეგულირებენ საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის მექანიზმებს. მათ შორის, მიზანშეწონილია, ხაზი გაესვას შემდეგ დოკუმენტებს:

- კონვენცია „შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“, მიღებული 1979 წელს, ერთ-ერთი პირველია იმ კონვენციებიდან, რომლებიც არეგულირებს ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების საკითხებს საერთაშორისო დონეზე. კონვენციის მიზანია, დაიცვას ადამიანი და მისი გარემო ჰაერის დაბინძურებისაგან, აგრეთვე, შეძლებისდაგვარად შეზღუდოს, თანდათანობით შეამციროს და თავიდან აიცილოს ჰაერის დაბინძურება, შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ჩათვლით. კონვენცია ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეებს ინფორმაციის გაცვლის, კონსულტაციების, სამეცნიერო კვლევებისა და მონიტორინგის მეშვეობით, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ჩატარებული ღონისძიებების გათვალისწინებით, შეიმუშაონ ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია ჰაერის დამაბინძურებლების გაფრქვევის შესამცირებლად. კონვენციას ერთვის 8 ოქმი, აქედან შემდეგი 7 არის ძალაში:

1. ოქმი მდგრად ორგანულ დამაბინძურებლებზე, ძალაშია 2003 წლის 23 ოქტომბრიდან;

2. ოქმი მძიმე ლითონებზე, ძალაშია 2003 წლის 29 დეკემბრიდან;
  3. ოქმი გოგირდის დიოქსიდის შემდგომი გაფრქვევის შემცირების შესახებ, ძალაშია 1998 წლის 5 აგვისტოდან;
  4. ოქმი ადვილად გავრცელებადი ორგანული შენაერთებისა და მათი ტრანსსასაზღვრო ნაკადების გაფრქვევის კონტროლის შესახებ, ძალაშია 1991 წლის 14 თებერვლიდან;
  5. ოქმი აზოტის ოქსიდებისა და მისი ტრანსსასაზღვრო ნაკადების გაფრქვევის კონტროლის შესახებ, ძალაშია 1991 წლის 14 თებერვლიდან;
  6. ოქმი გოგირდის დიოქსიდისა და მათი ტრანსსასაზღვრო ნაკადების გაფრქვევის 30 %-ამდე შემცირების შესახებ, ძალაშია 1987 წლის 2 სექტემბრიდან;
  7. ოქმი ევროპაში ჰაერის შორ მანძილზე დამაბიძურებლების მონიტორინგისა და შეფასების კოოპერატიული პროგრამების გრძელვადიანი დაფინანსების შესახებ, ძალაშია 1988 წლის 28 იანვრიდან.
- ჩრდილოეთ ზღვის კონვენცია – 1995 წელს რვა ევროპულმა სახელმწიფომ მიაღწია შეთანხმებას, აღმოეფხვრა და დაეცვა ჩრდილოეთის ზღვა და მისი მიმდებარე სახელმწიფოები ყოველგვარი ტოქსიკური და აკუმულირებადი დაბინძურებისაგან დაბინძურებათა აღმოფხვრით და შემცირებით;
  - ხმელთაშუა ზღვის ხმელეთიდან დაბინძურებისაგან დაცვის ოქმი – 1996 წლის 7 მარტს ხელმოწერილ იქნა 30 ქვეყნის მიერ;
  - საერთაშორისო კომისია – 1992 წელს ამ კომისიის მიერ გაკეთდა გლობალური მონოდება სხვადასხვა მოდ-ის აკრძალვის შესახებ;
  - ეკოლოგიური თანამშრომლობის კომისია – შექმნილი ჩრდილოეთ ამერიკაში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თანახმად. კომისიამ გამოსცა რეზოლუცია ქიმიური ნივთიერებების ეკოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხო მართვის შესახებ.
  - მარბოლის კონვენცია „გემებიდან ზღვის დაბინძურების დაცვის შესახებ“ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ლეგალური ინსტრუმენტი, რომელიც არეგულირებს გემებიდან ზღვის განზრახ თუ გაუფრთხილებლობით დაბინძურების საკითხს. ეს კონვენცია 1973 და 1979 წლებში დადებული ხელშეკრულებების კომბინაციაა და ადგენს გემებიდან ზღვის დაბინძურებების აღკვეთისა და მინიმზაციის ნორმებს. კონვენცია შეიცავს ექვს დანართს, ესენია:
    1. ზღვის გემებიდან ნავთობით დაბინძურების აღკვეთის ნორმები;
    2. გემებიდან ამიაკით (NH<sub>3</sub>) დიდი რაოდენობით ზღვის დაბინძურების აღკვეთის ნორმები;
    3. გემებიდან შეფუთულფორმიანი საშიში ნივთიერებებით ზღვის დაბინძურების აღკვეთის ნორმები;
    4. გემებიდან საკანალიზაციო წყლების ჩაშვებით ზღვის დაბინძურების აღკვეთის შესახებ;
    5. გემებიდან ჰაერის დაბინძურების აღკვეთის შესახებ.

- 1985 წელს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ შეიმუშავა პირველი საერთაშორისო კოდექსი – პესტიციდების მოხმარებისა და განაწილების სფეროში ქცევის თაობაზე, რომლის მიზანი პესტიციდების საერთაშორისო გამოყენების რეგულირება იყო. ეს კოდექსი ადგენდა ნებაყოფლობით ნორმებს იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ გააჩნდათ პესტიციდების მართვის საკუთარი საკანონმდებლო ბაზა. კოდექსის მე-3 მუხლი ადგენდა: „სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, ეროვნულ დონეზე დაარეგულირონ პესტიციდების გამოყენება და მართვა“. სამწუხაროდ, თავდაპირველად გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კოდექსი პესტიციდების მართვის სფეროში არ ითვალისწინებდა წინასწარ შეთანხმების პროცედურის გამოყენების აუცილებლობას. 1987 წელს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ საკუთარი რეგულაციით შეიტანა ცვლილებები აღნიშნულ კოდექსში, რომელთა თანახმად, ორი წლის განმავლობაში უნდა შემუშავებულიყო დებულება წინასწარ შეთანხმებული თანხმობის პროცედურის შესახებ და დართვოდა კოდექსს. ამდენად, გაეროს განვითარების პროგრამამ შეადგინა საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ლონდონის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც დაერთო კოდექსს და მხარეთა მიერ აღნიშნული პროცედურა ადგენს: „პესტიციდები, რომლებიც გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხეს წარმოადგენენ და არიან აკრძალულნი ან მკაცრად შეზღუდულნი, ექვემდებარებიან წინასწარ შეთანხმების პროცედურას“. 2002 წელს სსმო-ს მიერ შემუშავებულ იქნა ახალი კოდექსი, რომელშიც თანამედროვე მოღვაწეებისა და ინდუსტრიული განვითარების შედეგად აღმოჩენილი ახალი გარემოებების თანახმად, ხელახლა იქნა განსაზღვრული პესტიციდების მოხმარებისა და განაწილების პირობები და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ეგიდით შეიქმნა ახალი კოდექსი, რომელიც შედგება 11 ნაწილისაგან, სადაც კონკრეტულად არის განვრილი პესტიციდების მართვის პროცედურა, მათი ტესტირების პირობები, მოცემულია ტერმინების განმარტება, განსაზღვრულია კოდექსის მიზნები, პესტიციდების მართვის ეკოლოგიური უსაფრთხოების წესები, სხვა ტექნიკური პირობები, პესტიციდებით ვაჭრობის, მათი შეფუთვის, ეტიკეტირებისა და განთავსების ნორმები.
- ლონდონის სახელმძღვანელო პრინციპები ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო ვაჭრობისას ინფორმაციის გაცვლის თაობაზე (London Guidelines) – შემუშავებული 1987 წელს გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი პროგრამის მიერ. ლონდონის სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია, წინასწარ შეტყობინების მექანიზმების გამოყენებით ხელმისაწვდომი გახადოს სახელმწიფოებისათვის საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტზე, მოპყრობასა და გამოყენებაზე არსებული ნებისმიერი ინფორმაცია. ლონდონის სახელმძღვანელო პრინციპები სსმო-ს კოდექსის დამატებად არის მიჩნეული, იმ განსხვავებით, რომ კოდექსი განსაზღვრავს პესტიციდების მართვის წესებს, ხოლო პრინციპები – საწარმოო ქიმი-

კატეგორიას. წინასწარ დასაბუთებული თანხმობის ნებაყოფლობითი პროცედურის (PIC) მიზანია, მთავრობას მიაწოდოს აუცილებელი ინფორმაცია სამიური ქიმიური ნივთიერებების შესახებ, რათა შეფასებულ იქნეს რისკის ფაქტორი და ამომწურავ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ქიმიური ნივთიერებების შემდგომი ექსპორტის თაობაზე. ამ დოკუმენტის ლოგიკური გაგრძელება იყო 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებული უმაღლესი დონის შეხვედრა „პლანეტა – დედამიწა“, რომელზეც მიღებულ იქნა „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ მე-19 თავი, მოწოდებით: „2000 წლისათვის მიღებულ იქნეს სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი წინასწარ დასაბუთებული თანხმობის (PIC) პროცედურის გამოყენების შესახებ. შესაბამისად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და გაეროს განვითარების პროგრამის საბჭოებმა თავის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებს დაავალეს მოლაპარაკების წარმოება და ცალკეული სამიური ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ კონვენციის საბოლოო ტექსტის მომზადება“. ეს კონვენცია მიღებულ იქნა 1998 წელს.

### 13.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ნარჩო ხელშეკრულებები

როგორც აღინიშნა, საერთაშორისო საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ მოდ-ები მზარდი საფრთხეა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის და 1995 წლის მაისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პროგრამების მმართველთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ჩატარებულიყო საერთაშორისო შეფასება პირველ ეტაპზე 12 მდგრად ქიმიურ დამაბინძურებელთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებით.

1996 წლის ივნისში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხოების სამთავრობათაშორისო ფორუმმა განიხილა აღნიშნული საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებული ინფორმაციის მიხედვით, საჭიროა, გატარდეს საერთაშორისო ღონისძიებები, მათ შორის დღის წესრიგში დადგა გლობალური მნიშვნელობის საერთაშორისო იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის შემუშავება. ფორუმმა მისცა რეკომენდაციები და შესაბამისი მანდატი გაეროს გარემოსდაცვით პროგრამას (UNEP), რათა ეწარმოებინა მოლაპარაკებები მოდ-ების გლობალურ კონვენციასთან დაკავშირებით.

1997 წლის თებერვალში გაეროს განვითარების პროგრამის მმართველთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და მისცა წინადადება აღმასრულებელ ჯგუფს, ჩატარებინა მოსამზადებელი სამუშაოები და მოეწყო შეხვედრა მოლაპარაკებების სამთავრობათაშორისო კომიტეტს. სამთავრობათაშორისო კომიტეტის პირველი შეხვედრა ჩატარდა 1998 წელს მონრეალში (კანადა), სადაც შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი კრიტერიუმების მიხედვით. სამთავრობათაშორისო კომიტეტის შემდგომი შეხვედრები ჩატარდა ნაირობიში (კენია) 1999 წელს, ჟენევაში (შვეიცარია) 1993 წელს, ბონში (გერმანია) 2000 წელს, იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკა) 2000 წელს და სხვ., სადაც სხვადასხვა საკითხთან ერთად განიხილებოდა ფინანსური რესურსები და ფინანსური მექანიზმები.

#### 13.1.1. კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ

კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (POPs) შესახებ მიღებულ იქნა და გაიხსნა ხელმოსაწერად სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა სტოკჰოლმში (შვეცია) 2001 წლის 22-23 მაისს და იგი ცნობილია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (POPs) შესახებ სტოკჰოლმის კონვენციის სახელწოდებით. საქართველომ ამ შეხვედრაზე ხელი მოაწერა კონვენციას, ხოლო რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ მოხდა 2006 წლის 11 აპრილს. კონვენციას რატიფიცირება გაუკეთა 53-ზე მეტმა ქვეყანამ და ის უკვე ძალაშია შესული.

სტოკჰოლმის კონვენცია ამ ეტაპზე მოიცავს და არეგულირებს 12 მდგრად დამაბინძურებელს, მათგან ცხრა პესტიციდია (ალდრინი, ქლორადინი, დდტ, დილდრინი, ენდ-

რინი, ჰეპტაქლორი, ჰექსაქლორბენზოლი, მირექსი და ტაქსოფენი). ეს პესტიციდები გამოიყენებოდა სოფლის მეურნეობაში მცენარეთა და ცხოველთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ, ზოგიერთი მათგანი დღესაც გამოიყენება საშიში პარაზიტების, მათ შორის მალარიის გადამტანი მწერების, წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მეორე ჯგუფი, რომელზეც მიმართულია კონვენცია, არის სამრეწველო ქიმიკატები და ცნობილია პოლიქლორილებული ბიფენილების სახელწოდებით. ეს ნივთიერებები გამოიყენება სამრეწველო, ელექტროგამანაწილებელ, საყოფაცხოვრებო და სხვა ტექნიკაში. გარდა ამისა, კონვენცია მოიცავს ორ ჯგუფს, რომლებიც წინასწარ დაუგეგმავად წარმოიქმნებიან წვისა და ზოგიერთ სამრეწველო პროცესებში, როგორც ქიმიური თანაპროდუქტები, ესენია: პოლიქლორილებული დიოქსინები და ფურანები. სტოკჰოლმის კონვენცია მიზნად ისახავს ნარჩენების სახით არსებული მოდ-ების განადგურება-ლიკვიდაციას და გამოყენებაში არსებული მოდ-ების მაქსიმალურად შეზღუდვას, საბოლოოდ მათ ხმარებიდან ამოღებას. ასევე მოდ-ების, როგორც თანაპროდუქტების, გარემოში გამოყოფის შემცირებას და, საბოლოოდ, მის შეწყვეტას.

გარდა ზემოაღნიშნული კონვენციისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში შემუშავებულ იქნა კიდევ ორი კონვენცია და ერთი ოქმი, რომლებიც წარმოადგენენ ე.წ. ხარჩო დოკუმენტებს საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო მართვის სფეროში: 1. როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ; 2. ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ; 3. შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენციის მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ ორჰუსის ოქმი.

### **13.1.2. კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ**

ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ მიღებულ იქნა 1989 წელს, უმთავრესად ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად და ეკონომიკური გარდაქმნის ეტაპზე მყოფ ქვეყნებში სახიფათო ნარჩენების გადაზიდვებზე და განთავსებაზე მაქსიმალური კონტროლის დანერგვის, ზოგადად, სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვების რეგულირებისა და, საბოლოოდ, ამგვარი ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციის მიზნით. კონვენცია ადგენს, რომ სახიფათო და სხვა სახის ნარჩენების საზღვარგადასრული გადაზიდვა უნდა ნებადართულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარი ნარჩენების გადაზიდვა და მისი საბოლოო განთავსება ხორციელდება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გამართლებული გზით და მტკიცედ აქვთ გადანყვებილი მკაცრი კონტროლის მეშვეობით ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა

დამლუპველი ზემოქმედებისაგან, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნეს სახიფათო და სხვა სახის ნარჩენების დაგროვებითა და მართვით. კონვენცია შედგება 29 პარაგრაფისა და 6 დანართისაგან. 2004 წლის 18 მარტისათვის ბაზელის კონვენციას დაახლოებით 159 ხელშემკვერი მხარე ჰყავდა. კონვენცია ითვალისწინებს სახიფათო ნარჩენებისა და სხვა სახის ნარჩენების საღმვარგადაძვეთი გადაზიდვისა და მათი რთული შემადგენლობის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მზარდ საფრთხეს და ამ მიმართულებით ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვერელ მხარეებს.

### **13.1.3. კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ**

ქიმიური ნივთიერებების წარმოების მოცულობისა და მათი ვაჭრობის სწრაფმა ზრდამ და საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და პესტიციდების გამოყენებასთან დაკავშირებულმა შესაძლო რისკმა საზოგადოებისა და ოფიციალური წრეების შეშფოთება გამოიწვია.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ამ მხრივ ქვეყნებში, სადაც შექმნილი არ არის ამ ნივთიერებების იმპორტსა და გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა.

ამასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსდაცვითმა პროგრამამ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ 80-იანი წლების შუა ხანებში დაიწყეს ინფორმაციის გაცვლის ნებაყოფლობითი პროგრამების შემუშავება და განხორციელება. 1985 წელს FAO-მ მიიღო პესტიციდების გამოყენების და განაწილების სფეროში ქვეყნის საერთაშორისო კოდექსი, ხოლო 1987 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ შეადგინა საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ლონდონის სახელმძღვანელო პრინციპები.

შემდგომ, 1989 წელს ამ ორმა ორგანიზაციამ ერთობლივად შეიმუშავა წინასწარდასაბუთებული თანხმობის ნებაყოფლობითი პროცედურა. ამ პროგრამების მიზანია, სახელმწიფოთა მთავრობებს მიაწოდონ აუცილებელი ინფორმაცია საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ, რათა შეფასებულ იქნეს რისკის ფაქტორი და ამომწურავ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ქიმიური ნივთიერებების შემდგომი ექსპორტის თაობაზე.

აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაზე მსჯელობა მიმდინარეობდა 1992 წლის რიოდე-ჟანეიროში ჩატარებულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელზეც მიღებული „21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ მე-19 თავი მხარეებს ავალდებულებდა, 2000 წლი-



სათვის მიეღოთ სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი PIC პროცედურის გამოყენების შესახებ. შესაბამისად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის და გაეროს განვითარების პროგრამის საბჭოებმა თავის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებს დაავალეს მოლაპარაკებების წარმოება. ამ მოლაპარაკებების შედეგად, რომელიც დაიწყო 1996 წლის მარტში და დასრულდა 1998 წლის მარტს, მომზადდა ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარდასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ კონვენციის საბოლოო ტექსტი. კონვენცია მიღებულ იქნა და ხელმოწერისათვის ღიად გამოცხადდა სრულუფლებიანი წარმომადგენლების კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა როტერდამში 1998 წლის 10 სექტემბერს.

როტერდამის კონვენცია შემუშავებულ იქნა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში საშიში ქიმიური ნივთიერებების წარმოებითა და ვაჭრობით გამოწვეული საფრთხის მაქსიმალურად აცილებისა და კონტროლის მიზნით. ამ პრობლემასთან ბრძოლა განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ამ სფეროს მართვისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურასა და სხვა აუცილებელ რესურსებს არ ფლობდნენ. 1980-იან წლებში გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ და სასურსათო, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციამ შექმნა პესტიციდების გამოყენებისა და კლასიფიკაციის სახელმძღვანელო კოდების ნუსხა, რომელიც აქტიურად გამოიყენეს 1989 წელს შექმნილ წინასწარ დასაბუთებული შეთანხმების პროცედურის ჩამოყალიბებისას. როტერდამის კონვენცია პირდაპირ ავალდებულებს მხარეებს საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობისას წინასწარ დასაბუთებული შეთანხმების პროცედურის გამოყენებას. 2004 წლის 23 სექტემბრისათვის კონვენციას 73 ხელმოწერილი და 77 მხარე სახელმწიფო ჰყავდა. კონვენცია ძალაშია 2004 წლის 24 თებერვლიდან.

#### **13.1.4. შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენციის ოქმი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ**

ორჰუსის ოქმი – შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენციის ოქმი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ – აქცენტს აკეთებს საფრთხის მქონე 16 მდგრად ორგანულ დამაბინძურებელზე. აქედან 7 პესტიციდია, ორი სანარმოო ქიმიკატი და სამი წარმოების შედეგად წარმოქმნილი ნივთიერებაა. ოქმის მიზანია, აღმოფხვრას მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების გარემოში გაშვება, ჩაშვება ან გაფრქვევა. ერთი მხრივ, ოქმი კრძალავს ზოგიერთი სახის ნივთიერების (აღღრინი, ქლორდანი, ქლორდეკონი, დიელდრივი, ენდრინი, მირექსი, ტოქსაფენი და ჰექსაბრომობიფელინი) წარმოებასა და გამოყენებას; მეორე მხრივ, მიზნავს ისეთ ნივთიერებებს (დდტ, ჰექტაქლორი, ჰექსაქლორობენზინი), რომელთა ხმარებიდან აღმოფხვრა ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. ოქმი ხელმოწერილი იქნა ქ.ორჰუსში (დანიი) და ძალაში შევიდა 2003 წლის 23 აგვისტოს.

### 13.2. საშიში ქიმიური ნივთიერებების რეგულირების მექანიზმები

გაეროს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში ადგენენ იმგვარ სტანდარტებსა და მექანიზმებს, რომელთა მიზანი ამგვარი ნივთიერებების მიმოქცევით გამოწვეული ზიანის მინიმუმაცია და აღმოფხვრაა. კონვენციებში მკაცრად არის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული ყველა ის ღონისძიება, რომლებიც დაკავშირებულია საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვასთან, კერძოდ, მათ წარმოებასთან, მოხმარებასთან, გადაზიდვასთან, დასაწყობებასთან და ა.შ. აღნიშნული სამართლებრივი დებულებების დეტალური მიმოხილვა იძლევა იმის საშუალებას, რომ გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართული კანონმდებლობის სრულყოფას და ადაპტაციას საერთაშორისო სამართალთან. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები „თვითშემსრულებადი“ ხასიათით გამოირჩევიან, სასურველია, ქართული კანონმდებლობა მათთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი შესაძლო საკანონმდებლო კოლიზიების თავიდან აცილების მიზნით.

#### 13.2.1. ხელშეკრულებების მოქმედების სფერო

სტოკჰოლმის, ბაზელისა და როტერდამის კონვენციების და მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ ოქმის დებულებები გავრცელდა იმგვარ საშიშ ნივთიერებებსა და ნარჩენებზე, რომლებიც არიან ფეთქებადი, აალებადი, მოწმამლავი, კოროზიული, ტოქსიკური ან ინფექციური. ამდენად, როტერდამის კონვენცია ვრცელდება აკრძალულ ან მკაცრად შეზღუდულ ქიმიკატებსა და სახიფათო პესტიციდებზე, კონკრეტულად: 22 დასახელების პესტიციდზე, 9 საწარმოო ქიმიკატსა და ზოგიერთ სხვა ნივთიერებაზე; სტოკჰოლმის კონვენცია ვრცელდება 9 დასახელების პესტიციდზე, 3 საწარმოო ქიმიკატსა და ნარმოების შედეგად მიღებულ ნივთიერებაზე. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მოდ-ის ძირითადი ნაწილის მართვის მექანიზმები განერილია სამივე ზემოაღნიშნულ კონვენციაში. ოქმი კი ვრცელდება მდგრად დამაბინძურებლებზე – ალდრინი, დილდრინი, ქლორდანი, დდტ, ენდრინი, მირექსი, ჰეპტაქლორი, პოლიქლორირებული ბიფენილები, ჰექსაქლორობენზოლი, დიოქსინი, ფურანები.

წინამდებარე დოკუმენტები ადგენენ ახალი და უკვე არსებული ქიმიკატების შეფასებას და მათი მართვის რეგულირების მექანიზმებს, მათ შორის, კონტროლს ნარჩენების მართვაზე, იმპორტზე, ექსპორტზე, განთავსებაზე, გადაადგილებაზე, შენახვაზე, ნიშნდებაზე, ეტიკეტირებასა და მარკირებაზე. ისინი ადგენენ წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის გამოყენების ვალდებულებას ისევე, როგორც ამ სფეროში ინფორმაციის გაცვლის, გადაცემის, პოტენციალის ზრდის, შესაბამისი ტრენინგების მოწყობის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ვალდებულებას.

### **13.2.2. მხარეთა ვალდებულებები არსებულ და ახალ ქიმიკატებთან მიმართებით**

სტოკჰოლმის კონვენცია მხარეებს ავალდებულებს ქიმიური ნივთიერებების შეფასების ახალი საწარმოო ქიმიკატებისა და პესტიციდების გამოყენების შესაძლებლობას, რომლების მოდ-ის თვისებებით ხასიათდება. კონვენცია ავალდებულებს მხარეებს, აკრძალონ იმ ქიმიკატების წარმოება და გამოყენება, რომლებიც კონვენციითაა გათვალისწინებული. კონვენციით დადგენილია ამგვარი ქიმიკატების დასადგენი კრიტერიუმები. ერთი მხრივ, კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გამოყენებული და გამოსაყენებლად გამიზნული საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების, მართვისა და კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნაზე; მეორე მხრივ, მხარეებს ევალებათ საშიში ქიმიური ნივთიერებების, მათი პროდუქტებისა და მასალების ჩანაცვლება ნაკლებად საშიში ქიმიური ნივთიერებებით, მათი პროდუქტებითა და მასალებით.

ბაზელის კონვენცია ავალდებულებს მხარეებს, უზრუნველყონ სახიფათო და სხვა სახის ნარჩენების წარმოების მინიმუმამდე დაყვანა სოციალური, ტექნიკური და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით.

როტერდამის კონვენცია ავალდებულებს მხარეებს, აცნობონ ერთმანეთს მათ ტერიტორიაზე არსებული მკაცრად შეზღუდული ან აკრძალული ქიმიკატების საბოლოო მონაცემების შესახებ.

### **13.2.3. მხარეთა ვალდებულებები საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტისა და რეექსპორტისას**

ბაზელის კონვენცია ადგენს მხარეთა მიერ სახიფათო ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და რეექსპორტისას წინასწარდასაბუთებული თანხმობის პროცედურის გამოყენების აუცილებლობას. კონვენცია ადგენს მკაცრად განსაზღვრულ პირობებს სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისათვის. საზღვრავს მხარეთა უფლებას, სახიფათო ან სხვა სახის ნარჩენთა განთავსების მიზნით იმპორტის აკრძალვის შესახებ. მხარეებს უფლება ეძლევათ, აკრძალონ ან ნება დართონ სახიფათო და სხვა სახის ნარჩენების ექსპორტზე იმ მხარეებს, რომელთაც შემოიღეს აკრძალვა ამგვარი ნარჩენების იმპორტზე. კონვენციაში განმარტებულია მხარეთა უფლება, აკრძალონ ან ნება არ დართონ სახიფათო ან სხვა სახის ნარჩენების ექსპორტს, თუ იმპორტის სახელმწიფო არ იძლევა წერილობით თანხმობას კონკრეტულ იმპორტზე.

როტერდამის კონვენცია, ბაზელის კონვენციის მსგავსად, მხარეთათვის ადგენს წინასწარ დასაბუთებული შეთანხმების პროცედურის გამოყენების აუცილებლობას, რაც დაეხმარება მხარეებს საშიში ქიმიური ნივთიერებების თვისებების შესახებ ინფორმაციის გაცვლაში, ამგვარი ნივთიერებების ეკოლოგიურად დასაბუთებულ გამოყენე-

ბაში, მათ ექსპორტსა და იმპორტზე გადანყვეტილების ეროვნულ დონეზე მიღებაში. კონვენციაში არის განსაზღვრული იმ ნივთიერებების ნუსხა, რომელთა იმპორტ/ექსპორტისას გამოყენებულ უნდა იქნეს წინასწარ დასაბუთებული შეთანხმების პროცედურა. კონვენციაში დადგენილია პროცედურა, რომლის მიხედვითაც მხარეთა მიერ საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტ/ექსპორტისას უნდა განხორციელდეს ინფორმაციის გაცვლა და წინასწარ დასაბუთებული შეთანხმების პროცედურის გამოყენება.

განსხვავებით როტერდამისა და ბაზელის კონვენციებისაგან, სტოკჰოლმის კონვენცია კრძალავს მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ექსპორტსა და იმპორტს, რადგან ამ შემთხვევაში კონვენცია უშუალოდ მდგრად ორგანულ დამაბინძურებლებს ეხება. კონვენციის თანახმად, მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები მხოლოდ შესაბამისი საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების, ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად უნდა იქნენ ტრანსპორტირებულნი. კონვენციის დანართებში მოყვანილია იმ ქიმიურ ნივთიერებათა ნუსხა, რომელთა იმპორტი უნდა ხორციელდებოდეს: მხოლოდ ეკოლოგიურად უსაფრთხო განთავსების მიზნით; იმგვარი მოხმარების მიზნით, რომელიც შეთანხმებულია მხარეთა შორის. კონვენციის დანართში მოყვანილია იმ ქიმიური ნივთიერებების ნუსხა, რომელთა ექსპორტი უნდა ხორციელდებოდეს წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის გათვალისწინებით.

## 14. ადამიანის ეკოლოგიური უფლებები

სამართლებრივ დოქტრინაში არსებობს წარმოშობის დროის მიხედვით განსხვავებული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ტრადიციული კლასიფიკაცია, რომელიც ადამიანის უფლებების სამ თაობას განსაზღვრავს. პირველად იდგა ადამიანის უფლებების სამი თაობის შესახებ ფრანგმა მეცნიერმა კ. ვასაკმა გამოთქვა. პირველ თაობად მიიჩნევა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რომლებსაც დასაბამი ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა დაუდეს; მეორე თაობად მიიჩნევა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, რომლებსაც საფუძვლად სოციალისტური ტიპის სწავლებები უდევს; უფლებათა მესამე თაობა, ეგრეთ წოდებული კოლექტიური უფლებები, განვითარებადი სახელმწიფოების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს ეხებიან. უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტ აღიარებას პოვებს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, ეგრეთ წოდებული კოლექტიური ანუ სოლიდარული უფლებები ხალხებს და ერებს ეკუთვნით და ისინი მათ უფლებებს უნდა განეკუთვნებოდნენ.

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების განვითარების გზაზე გამოიკვეთა რამდენიმე მიდგომა, რომლებიც ეკოლოგიური უფლებების განმარტების მეთოდებსა და მათი უფლებების ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნების საკითხებს შეეხება. არსებობს სამეცნიერო მოსაზრებები, რომ ეკოლოგიური უფლებები განიმარტოს როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ან როგორც ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებები. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები თავისი შინაარსით ეკოლოგიურ პოლიტიკასაც არეგულირებენ. ისეთი უფლებების განხორციელება, როგორებიცაა: საზოგადოებრივი გაერთიანების, აზრის გამოხატვის, პირადი თავისუფლების, თანასწორობის, ზარალის სამართლიანი ანაზღაურების უფლებები, პირდაპირ ხელს აძლევს დაინტერესებულ პირებს თუ პირთა ჯგუფებს, მიიღონ შესაბამისი ზომები გარემოსათვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ხშირად ხდება გარემოსდამცველების დევნა და მათთვის აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის საჭაროობის უფლებების შეზღუდვა. ისეთი უფლებები, როგორებიცაა: სიცოცხლისა და საკუთრების, სამართლიანი მართლმსაჯულებისა და ინფორმაციის თავისუფლების უფლება, ასევე მნიშვნელოვნად არეგულირებს ეკოლოგიური უფლებების რეალიზაციის საკითხს, რადგანაც სწორედ ისინი განსაზღვრავენ იმ სოციალურ სპექტრს, რომელშიც შესაძლებელია აღმოცენდეს ესა თუ ის ეკოლოგიური საკითხი.

მაშინ, როცა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები პირდაპირ უზრუნველყოფენ ადამიანის მონაწილეობას გარემოს დაცვის პროცესებში, მეორე თაობის უფლებები, როგორიცაა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, ფაქტობრივად, აუცილებელს ხდიან გარემოს დაცვას უშუალოდ ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. როგორც აღინიშნა, მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება შეიცავს ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ისეთი უფლებების დაცვას, როგო-

რებიცაა; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ჯანსაღი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს უფლება. ამასთან, ყველა ზემოჩამოთვლილი უფლება უშუალოდ უკავშირდება გარემოს დაცვას, რაც ადამიანის კეთილდღეობისათვის უსაფრთხო პირობების შენარჩუნებაში უნდა აისახოს.

ეკოლოგიური უფლებების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებად ფორმულირება უფრო აადვილებს მათ რეალიზაციას იმ მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში წარმოიქმნება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური უფლებები თავისი შინაარსით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ჯგუფსაც შეესაბამებიან და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკისათვის ეკოლოგიური უფლებების ამგვარი განმარტებაც შესაძლებელია.

არსებული საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ბუნდოვანია ადამიანის ეკოლოგიურ უფლებათა დაცვასთან მიმართებით და ერთგვარად ირიბი, ნაგულისხმევი სახით ანუსრიგებს მას. მეცნიერთა ერთი ნაწილი აუცილებლად მიიჩნევს სრულიად ახალი კანონმდებლობის ჩამოყალიბებას ადამიანთა ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში, რომლებიც თავისთავად შესაძლებელია ორ – პროცესუალურ და მატერიალურ – უფლებად გაიმიჯნოს.

პროცესუალურმა უფლებებმა უნდა დაარეგულირონ ადამიანის ეკოლოგიური უფლებები როგორც საერთაშორისო სამართლის, ისევე ეროვნული კანონმდებლობის დონეზე. ამ კატეგორიაში უნდა შევიდეს ისეთი უფლებები, როგორებიცაა: ინფორმაციის თავისუფლების უფლება, ეკოლოგიური საფრთხის წინასწარ შეტყობინების უფლების გათვალისწინებით; საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ეკოლოგიური საკითხების განხილვისას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება; გარემოზე ზემოქმედების შეფასების უფლება; ეკოლოგიური ზიანის ანაზღაურების უფლება და სამართლიანი მართლმსაჯულების უფლება. პროცესუალური მიდგომა იძლევა იმედს, რომ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვა მოხდება საჯაროობისა და დემოკრატიის საფუძველზე. რ. ჩერჩილის აზრით, ამ არგუმენტის არსი ისაა, რომ გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული პროცესი თავისთავად ბიძგს მისცემს სასურველი ეკოლოგიური პოლიტიკის განვითარებას, ანუ უშუალო მონაწილეობა ეკოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, გარკვეულწილად, დააკმაყოფილებს საზოგადოების ინტერესებს და მაქსიმალურად დაიცავს ისეთი კატეგორიის უფლებებს, რომელთა არსებობა თითქმის მთლიანად დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების მოხმარებასთან. ამდენად, თუ ის საზოგადოება, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ეკოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, იგივე იქნება, ვინც გადაიხდის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და ვინც უშუალოდ მოიმკის ეკოლოგიურ შედეგებს, მაშინ გარემოს სრულყოფილი დაცვა სრულიად რეალური გახდება.

მატერიალური უფლებების ჯგუფში უნდა გაერთიანდეს ისეთი უფლებები, რომელთა გარეშეც, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია დემოკრატიული ეკოლოგიური სამართ-

ლის განვითარება. ეს ის უფლებებია, რომელთა გარეშეც ვერ იარსებებს ადამიანი, როგორც ინდივიდი.

იმდენად, რამდენადაც, ადამიანის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთა უმრავლესობა გაჩნდა უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა ადამიანისა და გარემოს მჭიდრო ურთიერთობის საერთაშორისო აღიარება, თითქმის არც ერთი ხელშეკრულება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არ აღიარებს ჯანსაღი გარემოს უფლებას. გამონაკლისია ამერიკის ადამიანის უფლებათა კონვენციის (1997 წლიდან კონვენცია ძალაში აღარ არის) 1988 წლის სან-სალვადორის ოქმი და აფრიკის ადამიანის და ხალხთა უფლებების ქარტია. სან-სალვადორის ოქმის მე-11 მუხლი ადგენდა: „ყველას აქვს უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი მომსახურებით; ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ გარემოს დაცვა, მისი შენარჩუნება და გაუმჯობესება.“

ასევე, საინტერესოა აფრიკის „ადამიანისა და ხალხთა უფლებების დაცვის ქარტიის“ 24-ე მუხლი, რომელიც ადგენს: „ყველა ხალხს აქვს უფლება, იცხოვროს მისი განვითარებისათვის ხელსაყრელ და დამაკმაყოფილებელ გარემოში“.

სიცოცხლის უფლება – საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, აღიარებს ადამიანის სიცოცხლის უფლებას და მოითხოვს ხელშემკვრელი სახელმწიფოებისაგან ამ უფლების სათანადო დაცვას. ასე მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-6 მუხლი ადგენს: „სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის განუყოფელი უფლებაა. მას იცავს კანონი. არავის არ შეიძლება წაართვან სიცოცხლის უფლება.“

ჯანმრთელობის უფლება – 1993–1995 წლების გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ გამოცემული რეზოლუციები ადგენენ: „ჯანსაღი გარემოს სტიმულირება ხელს უწყობს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების, მათ შორის, ჯანმრთელობის უფლების დაცვას.“

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი განსაზღვრავს: „შეთანხმების ხელშემკვრელი მხარეები აღიარებენ ადამიანის უფლებას, ისარგებლოს ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობისათვის შესაბამისი პირობებით. ამ შეთანხმების სრულყოფილად შესრულების მიზნით მხარეები იღებენ ვალდებულებას: ... ა) გააუმჯობესონ ეკოლოგიური და სამენარმეო ჰიგიენა ყველა მიმართულებით; ბ) აიცილონ, გააკონტროლონ და აღმოფხვრან ეპიდემიური, ენდემური და სხვა სახის დაავადებები“.

საცხოვრებელი ადგილისა და პირადი საკუთრების ხელშეუხებლობის უფლება – ეს არის ადამიანის კიდევ ერთი უნივერსალური უფლება, რომელიც განსაზღვრულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლით: „არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯა-

ხურ ცხოვრებაში ... თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, რომ კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან“.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ადგენს: „ყოველი ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია.“ კონვენციის თანახმად, აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც საფრთხე ექმნება დემოკრატიული საზოგადოების უსაფრთხოებას, ეროვნულ უშიშროებას, ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას; ასევე სხვა უფლებებისა და თავისუფლებების, ჯანმრთელობისა და მორალის დასაცავად.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე საუბრისას სასურველია, უფრო ღრმად იქნეს გაანალიზებული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი ევროპული სასამართლოს როლი ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში. კონვენციის მოქმედების პირველ წლებში სასამართლო არ იღებდა სარჩილებს ეკოლოგიური უფლებების დარღვევის მოტივით, რადგან თვლიდა, რომ კონვენცია არ შეიცავდა მუხლებს ეკოლოგიური უფლებების დაცვის შესახებ და, შესაბამისად, სარჩელი ამგვარი უფლებების დაცვის მოტივით უსაფუძვლოდ მიიჩნეოდა. თუმცა სასამართლო პრაქტიკის (პრეცედენტული სამართლის) შემდგომმა განვითარებამ, კაცობრიობის ეკონომიკურმა პროგრესმა და საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებამ ცხადყო, რომ კონვენციის დებულებების განმარტება მრავალი, მათ შორის, ეკოლოგიური თვალსაზრისითაც არის შესაძლებელი. ამდენად, ნათელი გახდა, რომ კონვენციით დაცული უფლებების მრავალმხრივ ინტერპრეტაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მისი ეფექტიანად ასამოქმედებლად. დღესდღეობით ეკოლოგიური საკითხები არის კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა და, ამდენად, კავშირი ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვას შორის სავსებით თვალნათელია. ისიც მეტად მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ლეგალური ინსტრუმენტები, ეროვნული კონსტიტუციები და პრეცედენტული სამართალი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების აქტუალიზაციის საკითხს.

არც ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია და არც მისი დამატებითი ოქმები პირდაპირ არ ადგენენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს. თუმცა კონვენციით დაცული უფლებების მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებად გამიჯვნის შემთხვევაში, მათი განმარტების უფრო ფართო შესაძლებლობა ვლინდება, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიერ ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც გამოიყენება. კონვენციის მატერიალურ ნორმებში ერთიანდებიან კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (ფიზიკური ხელშეუხებლობა), მე-5 (უფლება თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე) და მე-8 (პირადი და საოჯახო ცხოვრების უფლება) მუხლები, ასევე პირველი ოქმის პირველი მუხლი (საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება). პროცესუალური ნორმებია: მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფ-



ლება), მე-13 მუხლი. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ეკოლოგიურ უფლებათა ევროპული პრევენციული სამართალი სწორედ ზემოაღნიშნული მუხლების ინტერპრეტაციამა აგებული და სწორედ მათი მრავალმხრივი განმარტების შედეგად სასამართლოს მიერ იქნა გამოტანილი ისეთი ცნობილი გადაწყვეტილებები, როგორებიცაა: ანა მარია გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (*Anna Maria Guerra and others v. Italy*), ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (*Moreno Gomez v. Spain*) და სხვ. ზემოაღნიშნული ნაწილის ანალიზიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ძირითადი მიზეზი, რის გამოც უმრავლესობა სპეციფიკური საერთაშორისო ხელშეკრულებებისა არ შეიცავს პირდაპირ გარანტიებს ეკოლოგიური უფლებების დაცვისათვის, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ მათი უმრავლესობა შემუშავებულ და მიღებულ იქნა უფრო ადრე, ვიდრე მსოფლიოში აქტუალური გახდებოდა, ზოგადად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის საკითხი.

მეორე მხრივ, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, ძირითადად, აქცენტს აკეთებენ ამ უფლებების დაცვაზე, როგორც ინდივიდუალურ უფლებებზე, მაშინ, როცა ეკოლოგიური უფლებები, გარდა ინდივიდუალური უფლებებისა, ხშირად კოლექტიურ უფლებებს მოიცავენ. მაგალითად, თუ ჰაერი ან წყალი ბინძურდება, თუ ნადგურდება ტყის საფარი, ამით არა მარტო ადგილობრივი, კონკრეტული მოსახლის ინტერესი ილახება და უფლება ირღვევა, არამედ ირღვევა ადამიანის უფლებები უფრო მასშტაბურად, რადგან იმავე ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებას მოსდევს ამ ნივთიერებების ტრანსსასაზღვრო გადაადგილება, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მათი გაფრქვევაც კი. წარმოებისას ეკოლოგიურად გაუმართლებელი ტექნოლოგიების გამოყენება იწვევს ოზონის შრის დაშლას, კლიმატის ცვლილებას, რაც ასევე კოლექტიური უფლებების დარღვევას იწვევს.

ზოგადად, შესაძლებელია ადამიანის უფლებათა შორის უშუალოდ ცალკე გაიმიჯნოს „ეკოლოგიური უფლებები“, რომლებიც დაეფუძნება ადამიანის ისეთ უფლებებს, როგორებიცაა: ჯანმრთელობის, სუფთა გარემოს, სუფთა წყლის, ჰაერის და სხვა ამგვარი უფლებები. იდეას, რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა უფრო გააძლიერებს და განავითარებს თუნდაც ტექნიკურ მიდგომას ეკოლოგიური სამართლისადმი, ჯერ კიდევ ყველა გარემოსდამცველი არ იზიარებს, რადგანაც თვლიან, რომ თანამედროვე შიდასახელმწიფოებრივი მიდგომა უფრო შეესატყვისება ეკოლოგიური რესურსების გლობალურ მართვასა და დარგის გრძელვადიანი პოლიტიკის განვითარებას.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, ითვლება თუ არა ადამიანის უფლებები გლობალურ გარემოსდაცვით პრიორიტეტად, ის მაინც რჩება ამ დარგის მდგრადი განვითარებისა და, ზოგადად, მისი ყოფის მამოძრავებელ ძალად. ეკოლოგიურ კატასტროფას ყოველთვის უფრო მწვავე ხასიათი აქვს ისეთ ქვეყნებში, სადაც ადამიანის უფლებები ხშირად ირღვევა. იქ, სადაც ადამიანის უფლებების დაცვა არასათანადოდ ხდება, სამოქალაქო საზოგადოება, რაღა თქმა უნდა, ვერ შეძლებს ეკოლოგიური საკითხების

ეფექტიან განხორციელებას. უფლება საზოგადოებრივ გაერთიანებაზე, სასამართლო დაცვაზე, ინფორმაციის თავისუფლებაზე, სიტყვის თავისუფლებაზე და სხვ., ეს ის უფლებებია, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების, როგორც ბუნებრივი და განუყრელი უფლების, იდენტიფიცირების სერიოზული მცდელობა იყო ადამიანის უფლებებისა და ეკოლოგიური ექსპერტების ჯგუფის მიერ 1994 წლის მაისში „ადამიანის უფლებებისა და გარემოს შესახებ დეკლარაციის“ პროექტის შემუშავება. ამ პროექტის მე-2 პუნქტმა დააფიქსირა, რომ „ყველა ადამიანს გააჩნია უსაფრთხო, ჯანსაღ და ხელსაყრელ გარემოში არსებობის უფლება. ეს და ადამიანის სხვა უფლებები, მათ შორის, სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური, უნივერსალური, ურთიერთდამოკიდებული და განუყოფელი.“ აღნიშნულ პროექტში მკაფიოდ არის გამოჩენილი ადამიანის თითოეული ეკოლოგიური უფლება და აღიარებულია მათი უმაღლესი იურიდიული ძალა. მაგრამ არსებობს ისეთი დებულებები, რომლებმაც პროექტს მონიშნულ დეკლარაციას შესძინა და მას დღესდღეობით მხოლოდ პროექტის სახე აქვს.

საინტერესოა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების ადგილის განმსაზღვრელი ის მიდგომა, რომელიც ამ უფლების დამოუკიდებლად განვითარებას განიხილავს. 40-იან-60-იან წლებში კავშირი ცნებებს – „ადამიანის უფლება“ და „ხელსაყრელი გარემო“ – შორის უკვე ცხადად ვლინდება საერთაშორისო ასპარეზზე.

„ადამიანის საყოველთაო უფლებების დეკლარაციის“ მე-3 მუხლი ახდენს ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებების დეკლარირებას. ამ უფლებებს, ერთი შეხედვით, უფრო სოციალური და არა ბიოლოგიური ხასიათი აქვთ. ხოლო იმავე დეკლარაციის 25-ე მუხლის ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ მის დებულებებში მართლაც აღმოჩენილ იქნეს ასეთი კავშირი. განსახილველი დებულება აყალიბებს უფლებას, იცხოვრო ისეთ დონეზე, რომელიც აუცილებელია ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებაზე აქცენტი გაკეთდა 1987 წელს გამართულ გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე. 1972 წლის „გარემოს ადამიანისათვის“ სტოკჰოლმის კონფერენციის „პრინციპების დეკლარაციაში“ განსაზღვრულია გარემოსა და განვითარების ჰარმონიზაციის შესახებ, ისევე როგორც ამ სფეროში განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესების დაცვის აუცილებლობის შესახებ. კერძოდ, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება არაპირდაპირი გზით იქნა დაფიქსირებული: „ადამიანს გააჩნია სრული უფლება, იყოს თავისუფალი, თანასწორუფლებიანი და ჰქონდეს არსებობის ხელსაყრელი პირობები გარემოში, რომლის ხარისხიც აძლევს მას ღირსეული და კეთილდღეობით აღსავსე ცხოვრების წარმართვის საშუალებას; ადამიანს ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა გარემოს დაცვასა და გაუმჯობესებაზე, ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.“

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, როგორც წინა თავში აღინიშნა, აგრეთვე ასახულია „ადამიანის და ხალხების უფლებების აფრიკის ქარტიაში“. მის 24-ე მუხლში ნათქვამია: „ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, იარსებოს დამაკმაყოფილებელი ხასიათის, ხელსაყრელ, მისი განვითარებისთვის შესაფერის გარემოში.“

ბევრი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი უზრუნველყოფს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებების დაცვას, ოღონდ ისევე არაპირდაპირი გზით, როგორც სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ უფლებებს. მათ შორისაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1945 წლის 26 ივნისის ქარტია (სან-ფრანცისკო, აშშ), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ; 1973 წლის 3 მარტის კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (ვამინგტონი, აშშ); 1992 წლის 9 მაისის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (ნიუ-იორკი, აშშ); 1998 წლის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილებების მიღების პროცესში სამოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსი, დანია); 1972 წლის 16 ივნისის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია: გარემო ადამიანისათვის (სტოკჰოლმი, შვედეთი) და სხვ.

გემოლანდინული საერთაშორისო დოკუმენტები ადგენენ ისეთ გარანტიებს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დასაცავად, როგორებიცაა: ჯანსაღი სამუშაო და საცხოვრებელი გარემო, გარემოს ჰიგიენა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, დაავადებებთან ბრძოლა, აზრის გამოხატვის თავისუფლება, ხელმისაწვდომი განათლება, ცნობიერების ამაღლება, პოტენციალის ზრდა, და ეს ყველაფერი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის გათვალისწინებით, მათი რასის, სქესის, მრწამსისა და სხვა ნიშნების მიუხედავად. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი სტოკჰოლმის დეკლარაციის პირველი პრინციპია, რომელიც ადგენს, რომ „ყოველ ადამიანს გააჩნია ფუნდამენტური უფლება, იყოს თავისუფალი, თანასწორი და იცხოვროს მისი არსებობისათვის ადეკვატურ გარემოში, ისე, რომ სათანადოდ დაცულ იქნეს მისი კეთილდღეობა და ღირსება.“ ეს ფორმულირება, ფაქტობრივად, ავსებს 1966 წლის გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიზნებს, რომლის მე-11 და მე-12 მუხლებში, როგორც უკვე აღინიშნა, დადგენილია, რომ „ადამიანს უფლება აქვს, იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს ... ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე“ ... და სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ „... გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გაუმჯობესება.“

### 14.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ეკოლოგიური უფლებების განვითარებასა და დაცვაში ძალზე დიდია. სწორედ მათი დახმარებით გვარდება წარმოქმნილი ძირითადი ეკოლოგიური პრობლემები საერთაშორისო მასშტაბით. ამდენად, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს იმის დადგენას და გაანალიზებას, თუ რას გულისხმობს ამ ორგანიზაციების საქმიანობა, რა არის ის ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც ამ ორგანიზაციების ეგიდით იქნა გატარებული ამ მხრივ.

როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, როგორც საერთაშორისო სამართლის სხვა დარგების განვითარებაში, ასევე გარემოსდაცვითი სამართლის ჩამოყალიბება-განვითარებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეკოლოგიური კრიზისისა და გარემოს მდგომარეობის გლობალური გაუარესების აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავებას მიეძღვნა გაეროს 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენცია, რომელზეც მიღებულ იქნა გარემოს დაცვის საერთაშორისო პრინციპების დეკლარაცია, სამოქმედო გეგმა, ორგანიზაციულ-ფინანსური გადაწყვეტილებები და რეკომენდაცია გაეროს ეკოლოგიური პროგრამის შექმნის თაობაზე. სტოკჰოლმის კონფერენციის გახსნილად გამოცხადების შემდეგ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა, რომ ამ კონფერენციის მთავარი მიზანი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის საფუძვლის შექმნა და ეკოლოგიური საკითხების ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახვა უნდა ყოფილიყო. სტოკჰოლმის დეკლარაციამ საფუძველი ჩაუყარა ეკოლოგიური უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებას. მისი შექმნის პერიოდში ეკოლოგიური მოძრაობა ახალნაშობილი იყო და ქვეყნები, რომლებიც აღიარებდნენ გარემოსდაცვით პრობლემებს, იყვნენ მხოლოდ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები.

1972 წლის კონფერენციის მნიშვნელოვანი მიღწევა, როგორც აღინიშნა, არასავალდებულო ხასიათის, 26 პრინციპისაგან შემდგარი სტოკჰოლმის დეკლარაციაა. სტოკჰოლმის კონფერენცია გაეროს მიერ ოდესმე ჩატარებული კონფერენციებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა. შეხვედრა ჩატარდა ცივი ომის პერიოდში, რამაც თავისებური ზეგავლენა მოახდინა მასზე, თუმცა პოსტსოციალისტური ქვეყნები დღეს აქტიურად იზიარებენ სტოკჰოლმის კონფერენციის შედეგებს. სტოკჰოლმის კონფერენციის შედეგად დადგინდა სამი ძირითადი ფაქტორი: გარემოს დაცვის მოქმედებათა გეგმა, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა და გარემოს დაცვის ფონდი. სტოკჰოლმის მოქმედებათა გეგმამ გამოააშკარავა ას სამოცი პრიორიტეტული ეკოლოგიური რეკომენდაცია. მათ შორის: გარემოს მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილებების მართვა და დაგეგმვა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის მიმართულების ბუსტი განსაზღვრა; საერთაშორისო მნიშვნელობის დამაბინძურებლების განსაზღვრა; ეკოლოგიური საგანმანათლებლო, კულტურული, სოციალური და ინფორმაციული

საკითხების განსაზღვრა და გაძლიერება; გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაციის განვითარება. მოქმედებათა გეგმამ საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა ბევრ შემდგომ გარემოსდაცვით ხელშეკრულებაზე. მაგალითად, გეგმის ოცდამეცამეტე რეკომენდაცია: „ყველა სახელმწიფომ ... სასწრაფოდ ... დაიწყოს ხელშეკრულების მომზადება ვეშაპების დაცვის საერთაშორისო კომისიის მხარდაჭერით (IWC) და შემდგომი 10 წლის განმავლობაში აკრძალონ ვეშაპებზე ნადირობა.“ მოქმედებათა გეგმის სწორედ ამგვარი კონკრეტული მითითების შედეგად შემუშავდა ბონის კონვენცია მიგრირებადი სახეობების შესახებ, კონვენცია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ და კანონი ზღვის შესახებ. ამასთანავე, მოქმედებათა გეგმამ ხელი შეუწყო გაეროს ეკოლოგიური პროგრამის ძირითადი სამოქმედო ასპექტების გამოვლენას. ეკოლოგიური პროგრამა დაფუძნდა როგორც ეკოლოგიური საკითხების მარეგულირებელი უმთავრესი სპეციალიზებული ორგანიზაცია. ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს პლენარულ სხდომებზე იხილება და წყდება გარემოს დაცვის სფეროში არსებული ძირითადი საკითხები.

ამგვარად, 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაცია იყო პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელმაც საფუძველი დაუდო ადამიანის უფლებებისა და ეკოლოგიური საკითხების ურთიერთკავშირს. დეკლარაციის პირველი პრინციპი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს ფუნდამენტური უფლება, იყოს თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, იცხოვროს შესაფერის, უსაფრთხო გარემოში. ამასთანავე, დეკლარაცია განსაზღვრავს ადამიანის ვალდებულებას, გაუფრთხილდეს და გააუმჯობესოს გარემო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით. დაახლოებით ოციოდე წლის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა ერთგვარად გამოეხმაურა სტოკჰოლმის დეკლარაციის დებულებებს და დაადგინა (რეზოლუცია N49/94), რომ ადამიანი უფლებამოსილია, იცხოვროს მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის უვნებელ გარემოში. ზოგადად კი, რეზოლუციის მიზანი უკეთესი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფაა. საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის პრინციპების ჩამოყალიბება „ბუნების მსოფლიო ქარტიამ“ განაგრძო. ეს ქარტია მოწონებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ და გამოცხადებულ იქნა 1982 წლის 28 ოქტომბრის რეზოლუციაში. მასში რამდენიმე პრინციპია განსაზღვრული: საჭიროა ბუნების პატივისცემა და დაუშვებელია მისი ძირითადი პროცესების დარღვევა. დაუშვებელია დედამიწაზე არსებული სიცოცხლის გენეტიკური საფუძვლის საფრთხის ქვეშ დაყენება; საჭიროა სიცოცხლის ყველა ფორმის (შინაური თუ გარეული) პოპულაციის შენარჩუნება, სულ მცირე, ისეთ დონეზე, რომელიც აუცილებელია მისი გადარჩენის უზრუნველსაყოფად; აუცილებელია მინიმალური საარსებო პირობების შენარჩუნება; განსაკუთრებული დაცვა სჭირდება უნიკალურ რაიონებს, იშვიათი ან გადაშენების პირას მდგარი სახეობების საბინადრო არეალებისა და ეკოსისტემების ყველა ტიპს; ადამიანის მიერ გამოყენებული ეკოსისტემები და ორგანიზმები, ისევე როგორც ხმელეთის, ზღვისა და ატმოსფეროს რესურსები უნდა იმართებოდნენ ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი ოპტიმალური და მუდ-

მივი წარმადობის უზრუნველყოფა და შენარჩუნება, ოღონდ მათთან თანაარსებული ეკოსისტემებისა და სახეობებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ამგვარად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე მიდგომა, რომელნიც ადამიანის ეკოლოგიური უფლებებისა და გარემოს დაცვას ეხება. დადგინდა, რომ სოციალურ-ეკონომიკური სფეროს საქმიანობის დაგეგმვისას და განხორციელებისას აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს, რომ ბუნების დაცვა ამ საქმიანობის შემადგენელი ელემენტია. ეკონომიკურ განვითარებასთან, მოსახლეობის ზრდასა და საარსებო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გრძელვადიანი გეგმების შემუშავებისას აუცილებელია ბუნებრივი სისტემების შესაძლებლობების (არსებობის ხანგრძლივი უზრუნველყოფისა და ადამიანების განთავსების თვალსაზრისით) გათვალისწინება, თანაც მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს, რომ სათანადო სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების გამოყენებისას, სავარაუდოა, ეს შესაძლებლობები საგრძნობლად გაიზარდოს. ადამიანის მიერ მიწის ნაკვეთების გარკვეული მიზნებით გამოყენება გეგმის საფუძველზე უნდა ხდებოდეს და ამ დროს აუცილებელია ფიზიკური შეზღუდვების, ბიოლოგიური პროდუქტიულობის და მრავალფეროვნებისა და ამ ნაკვეთების ბუნებრივი სილამაზის სათანადო დონეზე გათვალისწინება. დაუშვებელია ბუნებრივი რესურსების გაფლანგვა. აუცილებელია ბუნებაზე პოტენციურად მავნე ზემოქმედების მქონე საქმიანობების კონტროლი. საჭიროა სიტუაციისადმი ყველაზე მორგებული ტექნოლოგიების გამოყენება, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ბუნებაზე მავნე ზემოქმედების რისკი. სტიქიური უბედურებების, პარაზიტებისა და დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების, კონტროლის ან შეზღუდვის ზომები უნდა მიიღებოდნენ მხოლოდ ასეთი მოვლენების შედეგებთან საბრძოლველად და არ უნდა ახდენდნენ მეორეულ დამლუპველ ზემოქმედებას გარემოზე. აუცილებელია ბუნების შესახებ ცოდნის ფართოდ გავრცელება ყველა შესაძლო საშუალებით. ნებისმიერი გეგმის შედგენისას აუცილებელია მის ერთ-ერთ კომპონენტად ბუნების დაცვის სტრატეგიის ჩართვა, ეკოსისტემების ატლასის შედგენა და დაგეგმილი პოლიტიკის ან საქმიანობის ბუნებაზე შესაძლო ზემოქმედების განსაზღვრა. აუცილებელია ყველა ამ ელემენტის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის შესაბამისი ფორმით და სათანადო ვადებში მიწოდება, რათა მოქალაქეებმა შეძლონ საკუთარი აზრის ეფექტიანად გამოთქმა და გადანყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება. ბუნების დაცვის მიზნების მისაღწევად აუცილებელია ფინანსური სახსრების უზრუნველყოფა, პროგრამების და ადმინისტრაციული სტრუქტურების შექმნა. აუცილებელია ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობაზე, ეკოსისტემებსა და სახეობებზე თვალყურის დევნება, რათა, რაც შეიძლება, ადრე აღმოვაჩინოთ მათი დეგრადაციის ან მათთვის შექმნილი საფრთხის ნებისმიერი შემთხვევა.

სტოკჰოლმის კონფერენციის ლოგიკური გაგრძელებაა 1992 წლის 3-14 ივნისის გაეროს კონფერენცია რიო-დე-ჟანეიროში, რომელზეც მიღებულ იქნა დეკლარაცია „გარემოსა და განვითარების შესახებ“, ასევე ცნობილი დედამიწის სამიტის სახელით. დეკლარაციის მიღების პერიოდში მსოფლიოს იმ ძირითადი ოცი, ერთმანეთისაგან

განსხვავებული, ეკოლოგიური მიზნიდან, რომლებიც დაფიქსირდა რიოს კონფერენციაზე, ხაზი შეიძლება გაესვას შემდეგ ოთხს: სათანადოდ შესწავლილ იქნეს გარემოს მდგომარეობა და ცვლილებები სტოკჰოლმის დეკლარაციის შემდგომი პერიოდის განმავლობაში; გონივრულ ვადაში იდენტიფიცირებულ იქნეს რეგიონული და გლობალური ეკოლოგიური სტრატეგიები ერთიან გარემოსდაცვით პოლიტიკასთან მიმართებით; განვითარებადი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს იმ რეკომენდაციების ნუსხა, რომლებიც ხელს შეუწყობენ გარემოს განვითარებას; განვითარებადი ქვეყნების ინტერესებისა და სტოკჰოლმის დეკლარაციის პრინციპების გათვალისწინებით ხელი შეეწყოს საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის განვითარებას, რომლის მეშვეობითაც ზუსტად განისაზღვრება სახელმწიფოთა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის სფეროში.

სტოკჰოლმის დეკლარაციისაგან განსხვავებით, 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციამ „გარემო და განვითარება“ უკვე პროცედურულად განსაზღვრა კავშირი ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვას შორის. აი რას ადგენს დეკლარაციის მე-10 პრინციპი: „ეკოლოგიური საკითხების მართვა უმჯობესია, განხორციელდეს ყველა დონეზე და ყველა მოქალაქის საერთო ძალისხმევით. ეროვნულ დონეზე ყოველი მოქალაქე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოების ხელში მყოფი ნებისმიერი ინფორმაციით, თუნდაც მავნე ნივთიერებებისა და საქმიანობების შესახებ. მოქალაქეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სახელმწიფონი ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ინფორმაციის საჯაროობა და ხელი შეუწყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. სახელმწიფო, აგრეთვე, ვალდებულია, უზრუნველყოს მოქალაქეთათვის სასამართლო და ადმინისტრაციულ წარმოებაზე ხელმისაწვდომობა, ისევე როგორც მათთვის ზიანის ანაზღაურება და შესაფერისი დახმარება.“

ამგვარად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობისა და შესაფერისი გარემოთი სარგებლობის უფლებებმა ჩამოაყალიბეს რიოს დეკლარაციის მიზნების ძირითადი ღერძი. ზემოაღნიშნული მე-10 პრინციპის გარდა, დეკლარაცია აყალიბებს მთელ რიგს დებულებებისას, რომლებიც ითვალისწინებენ საზოგადოების ისეთი ნაწილების ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორებიც არიან: ქალები (მე-20 პრინციპი), ახალგაზრდობა (21-ე პრინციპი), მკვიდრი მოსახლეობა და ადგილობრივი თემები (22-ე პრინციპი). სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ასევე ხაზგასმულია რიოს კონფერენციაზე მიღებულ მდგრადი განვითარების პრინციპებში – „21-ე დღის წესრიგში“. 23-ე თავის პრეამბულა ადგენს: „მდგრადი განვითარების მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა საზოგადოების ფართო წრეების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.“

ამასთანავე, უშუალოდ მდგრად განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის ურთიერთკავშირმა დღის წესრიგში დააყენა საზოგადოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება. ეს გულისხმობს ინდივიდების, ინდივიდთა ჯგუფებისა და ორგანიზაციების მონაწილეობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, კერძოდ, მათი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ექსპლოატაციისას. აღნიშნული პირები შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ მათთვის საინტერესო ნებისმიერი ინფორმაციით, რომელიც შეეხება გარემოზე ზემოქმედებას და ზოგადად გარემოსდაცვით ღონისძიებებს.“

„21-ე საუკუნის დღის წესრიგის“ 23-ე თავი ადგენს, რომ ინდივიდები, ინდივიდთა ჯგუფები და ორგანიზაციები შესაბამისი ოფიციალური ორგანოების მიერ უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ გარემოსა და განვითარების, ეკოლოგიური ღონისძიებების შესახებ არსებული ინფორმაციით და მონაცემებით წარმოებული საქმიანობებისა და საქმიანობების შედეგების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე. „21-ე საუკუნის დღის წესრიგი“ ავალდებულებს სამთავრობო დაწესებულებებს, საკანონმდებლო დონეზე დაადგინონ სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები, რომლებიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უზრუნველყოფენ შესაბამისი დაცვითი მექანიზმებით მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. 23-ე თავის მესამე ნაწილი განსაზღვრავს საზოგადოების იმ ჯგუფებს, რომლებიც ჩართულნი უნდა იქნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში: ქალები, ახალგაზრდები, მკვიდრი მოსახლეობა, ადგილობრივი თემები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ოფიციალური ორგანოები, სოციალური მუშაკები, ბიზნესმენები, მწარმეები, მეცნიერები და ფერმერები. ამ პირების მონაწილეობა გულისხმობს მათ ჩართვას საზოგადოებრივ განხილვებში, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების აუცილებელი ნაწილია. სამთავრობო დაწესებულებები ვალდებული უნდა იყოს კისრულობენ, დააარსონ ინფორმაციის გაცვლისა და საზოგადოებაში მისი გავრცელების გარკვეული პროცედურული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკოლოგიური ინფორმაციის საჭაროობას და გამჭვირვალობას. ამდენად, ამ დოკუმენტმა, ფაქტობრივად, საფუძველი დაუდო გარემოზე ზემოქმედების შეფასების მექანიზმის ამოქმედებას საზოგადოების მონაწილეობის გათვალისწინებით, როგორც გარემოს დაცვის განუყოფელ ელემენტს.

ამრიგად, რიო-დე-ჟანეიროში გამართულ კონფერენციაზე პირველად შემუშავდა გლობალური საპროგრამო დოკუმენტი, რომლის ორმოცამდე ნაწილი ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში საქმიანობების მიმართულებების აღწერას შეიცავს. კონფერენციამ მიიღო რეკომენდაციები მდგრადი განვითარების შესახებ, რაც მიზნად ისახავს ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებში, რომლებიც რესურსების ძირითად მომხმარებლებსა და დაბინძურების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ, წარმოებისა და მოხმარების ზრდის შეზღუდვას.



დეკლარაციის მიხედვით, ყოველი სახელმწიფო, თავისი ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ვალდებულია, შეიმუშაოს საკუთარი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, მათ შორის კანონები და ბინძურების ან სხვა გარემოსდაცვითი ზიანის კომპენსაციის სფეროში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეკოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მოსახლეობისთვის და საზოგადოების მონაწილეობა ეკოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საჭიროა გარემოსდაცვით საქმიანობაში მოსახლეობის ყველა კატეგორიის ჩართვა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი გარემოს დაცვის ეკონომიკურ მექანიზმებს, ახალი ეკოლოგიური ტექნიკისა და ტექნოლოგიების გადაცემის ნებისმიერი დაბრკოლებების მოსპობას და საერთაშორისო ვაჭრობაში ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვას. ამდენად, ნათელია, რომ ეკოლოგიური პრობლემები სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის საფუძველზე უნდა წყდებოდეს. განსაკუთრებით ეს ტრანსსასაზღვრო და გლობალური შედეგების ან სტიქიების გამომწვევი ანთროპოგენური ქმედებების შედეგების თავიდან აცილებასთან ან გამოსწორებასთან დაკავშირებული ზომების შემუშავებას და გამოყენებას ეხება.

საინტერესოა, რომ გაეროს ეგიდით გარემოს დაცვის სფეროში შემუშავებული ყველა ხელშეკრულება, განსხვავებული სპეციფიკის მიუხედავად, ეკოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპს აღიარებს, ადგენს ამგვარი ინფორმაციის მაქსიმალური საჯაროობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ფართო საზოგადოების ფენების ჩართვის ვალდებულებას. ერთი მხრივ, ზოგიერთი ხელშეკრულება შეიცავს არსებით უფლებებს, რომლებიც ადამიანის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფას შეეხება, მეორე მხრივ, ხელშეკრულებები დარღვეული უფლებებისათვის კომპენსაციის ვალდებულებას ადგენენ (1993 წლის „გარემოსათვის საშიში საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“, ლუგანოს კონვენცია).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით შემუშავებული კონვენციები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ეკოლოგიური ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გამკაცრების საკითხებსაც. საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალ-დარღვევისთვის პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული ფორმა მიყენებული ქონებრივი ზარალის კომპენსაციაა. საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, დამნაშავე სახელმწიფო, მის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების მუქარის ქვეშ, ვალდებულია, ნებაყოფლობით განახორციელოს საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები კონკრეტული შეთანხმებების შესაბამისად. თუ ასე არ ხდება, საკითხი გადადის საერთაშორისო დავის კატეგორიაში და წყდება დადგენილი წესის შესაბამისად. ასეთი დავების გადაწყვეტის მეთოდი, როგორც წესი, შესაბამისი კონვენციის ან ხელშეკრულების მიერ განისაზღვრება. ამასთან, დავების გადაწყვეტის წესები შეიძლება საკმაოდ განსხვავებული იყოს, მოლაპარაკებებიდან და კომპრომისებიდან, არბიტრაჟში, მათ შორის, გაეროს საერთაშორისო სასამართლოში, მიმართვის ჩათვლით.

## **14.2. ეკოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება**

საერთაშორისო სამართლის განვითარებამ ცხადყო, რომ ინფორმაციის (გარდა კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოებისა) საჯაროობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია და თითოეული სახელმწიფოს ხელისუფლება ვალდებულია, დაუბრკოლებლად და სრულყოფილად გასცეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოების ინტერესს იწვევს, მით უმეტეს, იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის მიუღებლობამ შესაძლოა, რისკი შეუქმნას მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის, მათ შორის, რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის დეკლარაციის ძირითადი ღერძი გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრებაა. მე-10 პრინციპის გარდა, დეკლარაცია აყალიბებს მთელ რიგს დებულებებისას, რომლებიც ითვალისწინებენ საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიის ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ასევე ხაზგასმულია რიოს კონფერენციაზე მიღებული მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ „21-ე საუკუნის დღის წესრიგში“, რომლის პრეამბულა ადგენს: „მდგრადი განვითარების მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა საზოგადოების ფართო წრეების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთანავე, უშუალოდ მდგრად განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის ურთიერთკავშირმა დღის წესრიგში დააყენა საზოგადოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება. ეს გულისხმობს ინდივიდების, ინდივიდთა ჯგუფებისა და ორგანიზაციების მონაწილეობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში, კერძოდ, მათი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ექსპლოატაციისას. აღნიშნული პირები შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ მათთვის საინტერესო ნებისმიერი ინფორმაციით, რომელიც შეეხება გარემოზე ზემოქმედებას და ზოგადად გარემოსდაცვით ღონისძიებებს.“

ეკოლოგიური ინფორმაციის საჯაროობის საკითხს მთლიანად ეძღვნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის ეგიდით 1998 წელს ქალაქ ორჰუსში (დანია) მიღებული კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. კონვენცია 40-ამდე სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ, აღიარა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დონეზე განსაზღვრა ან

უკვე განსაზღვრული ჰქონდა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სამართლებრივი მნიშვნელობა.

1997 წლის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშის თანახმად, ადამიანის ჯანმრთელობა მუდმივად განიცდიდა და განიცდის გაუარესებას სხვადასხვა ეკოლოგიური ფაქტორის მავნე ზემოქმედების გამო, რაც იმავე კლიმატის ცვლილებით თუ წყალმომარაგებით გამოიხატება. მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოება, რომ აღნიშნული მავნე ზემოქმედება გამოირჩევა მაღალი მდგრადობით, რაც მას განსაკუთრებით საშიშს ხდის. თუმცა ბოლო წლებში როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე შეიმჩნევა გარკვეული წინსვლა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვისა თუ მათი შესაძლო საფრთხის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფის სფეროში. დღესდღეობით საერთაშორისო და ეროვნული გარემოსდაცვითი სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში საკმაოდ აქტუალურია საკითხი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რაც განსაზღვრავს სახელმწიფოთა ვალდებულებას, გარემოსა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში მაქსიმალურად ჩართოს მთელი საზოგადოება, მათ შორის, კერძო და არასამთავრობო სექტორი. ამ ვალდებულების შესრულებით მაქსიმალურად მიღწევადი იქნება ადამიანის უმთავრესი ეკოლოგიური უფლების განხორციელება, რასაც ადამიანის საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ჰქვია. გარდა ზემოთქმულისა, არსებობს სამართლებრივი ვალდებულებაც ამგვარი ინფორმაციის შეგროვების, გავრცელებისა და გაცვლის შესახებ, რაც აღნიშნულ სუბიექტებს შორის დიალოგის განვითარებას, საზოგადოების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მაქსიმალურად ჩართვას და ზიანის ანაზღაურების ადეკვატური მექანიზმების დანერგვას უქმნის შესაფერის საფუძველს. ორჰუსის კონვენცია ადგენს: „გარემოსათვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთ განკარგულებაში არსებული მთელი ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მოსახლეობას, რომელსაც შეიძლება ეს შეეხოს, რაც მას მისცემს საშუალებას, მიიღოს ზომები მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან ზეგავლენის შესამცირებლად.“

ორჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით კონვენციებს შორის უახლესია და მიზნად ისახავს, მომავალი თაობებისათვის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების პროცესში გააძლიეროს საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლი. იგი აღიარებს მოქალაქეთა უფლებებს გარემოსდაცვითი ინფორმაციის, მონაწილეობისა და მართლმსაჯულების სფეროში და ასევე მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხებში მთავრობათა ანგარიშგებისა და გამჭვირვალების დონის ზრდის ხელშეწყობას. კონვენცია განიხილება როგორც გარემოს, ისე დემოკრატიის დაცვის მნიშვნელოვან ბერკეტად, რომელსაც დიდი გლობალური მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, მას შეიძლება მიუერთდეს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა. იგი ხშირად მოიხსენიება რო-

გორც რიოს დეკლარაციის მე-10 პრინციპის განხორციელების მოდელი. კონვენცია ეფუძნება საზოგადოების მონაწილეობის სამ პრინციპს, რომელთაც ხშირად სამ საყრდენს უწოდებენ: ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საზოგადოების მონაწილეობასა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

ორპუსის კონვენცია არის პირველი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც პირდაპირ აყალიბებს ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. კონვენციის პირველი მუხლი ადგენს კონვენციის ძირითად მიზნებს და განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებას, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყონ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის უფლებების განხორციელება და დაცვა.

ორპუსის კონვენცია ადგენს ზემოაღნიშნული უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს და არ ზღუდავს მხარეებს, განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის უფრო ფართო ხელმისაწვდომობას და გარემოს დაცვის სფეროში გადანყვეტილებების მიღების პროცესსა და სამართალწარმოებაში საზოგადოების უფრო აქტიურ მონაწილეობას. ამასთანავე, კონვენციის თანახმად, დაუშვებელია დისკრიმინაცია ეროვნული, მოქალაქეობრივი ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით. ორპუსის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება ყველა საჯარო დაწესებულებაზე, ყველა ტიპის საზოგადოებრივი მომსახურების საწარმოსა (მათ შორის: მუნიციპალურ, სატრანსპორტო და სხვ.) და მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე. ორპუსის კონვენცია საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ანიჭებს უფლებებსა და რეალურ შესაძლებლობებს: ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის, კონკრეტულ თუ სტრატეგიულ გადანყვეტილებებში მონაწილეობის მისაღებად. ახდენს მათ აღჭურვას სასამართლო დაცვის საშუალებებითა და მართლმსაჯულებაზე გამართივებული ხელმისაწვდომობით. მთავრობებზე ამ სფეროში მკაფიო ვალდებულებათა დაკისრებით, კონვენცია უზრუნველყოფს ინფორმაციის მეტ გამჭვირვალობას, მის უფრო ეფექტიან ხელმისაწვდომობასა და გავრცელებას, რაც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალებას აძლევს, რეალური გავლენა მოახდინონ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადანყვეტილების მიღების პროცესზე. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდილი შესაძლებლობები ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალებას აძლევს, უკეთ გაერკვნენ და მეტი ცოდნა მიიღონ გარემოს პოტენციურ რისკებსა და საშიშროებებზე, რომლებიც მათ, მათს ოჯახებსა თუ ადგილობრივ თემს ემუქრება. კონვენცია ასევე იძლევა სახელმწიფოს მონიტორინგის, ინსპექტირებისა და აღსრულების გაძლიერების, გარემოსდაცვითი დარღვევების გამოვლენისა და აღმოფხვრის შესაძლებლობას საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართვის ხარჯზე.

კონვენციის თანახმად, სახელმწიფოთა ვალდებულება გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით იყოფა ორ ნაწილად: საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება.

კონვენცია ადგენს, რომ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია, თუკი მასზე არ ვრცელდება კონვენციით დადგენილი გამონაკლისები. ამასთანავე, კონვენცია ადგენს, რომ სამრეწველო ან კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობის ჩარჩოებში ვერ ჯდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც ეხება გარემოში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას. კონვენცია მხარეებს ავალდებულებს, შეაგროვონ და განაახლონ მონაცემები გარემოსდაცვითი ინფორმაციის შესახებ, რაც გულისხმობს წერილობით, აუდიოვიზუალურ, ელექტრონულ ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობას, როგორებიცაა: ჰაერი, ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი, ბიოლოგიური მრავალფეროვნება, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

გარდა ეკოლოგიური ინფორმაციის საჭაროობის სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბებისა, ორჰუსის კონვენცია ადგენს ეკოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ვალდებულებას. კონვენცია საზოგადოების მონაწილეობის კომპონენტს სამ სხვადასხვა კატეგორიად მიჯნავს: საზოგადოების მონაწილეობა საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (ნებართვები, ლიცენზიები); საზოგადოების მონაწილეობა იმ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში, რომლებიც გარემოსთან არის დაკავშირებული; საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი დებულებების და/ან ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

კონვენციის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულებას კისრულობს, ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში კონვენციით განსაზღვრულ საქმიანობებზე ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემისას გამოიყენოს კონვენციის დებულებები და მოახდინოს დაინტერესებული საზოგადოების ადეკვატური ინფორმირება. ამასთანავე, კონვენცია ადგენს საზოგადოების მონაწილეობის რეალური განხორციელებისათვის სავალდებულო მოთხოვნის დებულებებს, რაც დაინტერესებული საზოგადოების დროულ და ეფექტიან ინფორმირებაში, მათ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე ჩართვაში უნდა გამოვლინდეს. კონვენციის თანახმად, ყოველი მხარე ვალდებულია: „მიიღოს შესაბამისი პრაქტიკული და/ან სხვა ზომები იმისათვის, რათა საზოგადოებამ გამჭვირვალე და სამართლიან ჩარჩოებში მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმებისა და პროგრამების“ და „გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაში“.

გარემოს მართვისადმი სამართლებრივი რეგულირების შემოღების საფუძველი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაა. საზოგადოების მონაწილეობა ამგვარი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების ადრეულ ეტაპზე რეალურად შექმნის მათი მაქსიმალურად სრულყოფილი სახით შემუშავების შესაძლებლობას. ამ მხრივ კონვენცია ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეებს, ხელი შეუწყონ საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას სახელმწიფოს მიერ ნორმატიული დოკუმენტების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებამდე, ამისათვის დაადგინონ გონივრული ვადები, უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის დროული მიწოდება დაინტერესებული საზოგადოებისათვის და მისცენ მათ შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობა უშუალოდ ან წარმომადგენლობითი საკონსულტაციო ორგანოების მეშვეობით, რომლებიც შეძლებისდაგვარად იქნება მიღებული მხედველობაში.

ორჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების მონაწილეობის გარდა, ადგენს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების რეგულირების მექანიზმებს. კონვენცია მიჯნავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციის სამ ძირითად საფუძველს: თუ დაინტერესებული მხარის მოთხოვნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არ დაკმაყოფილდა; თუ დაინტერესებულ მხარეს უსამართლოდ ეთქვა უარი ინფორმაციის მიწოდებაზე; თუ დაინტერესებულ მხარეს ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შესახებ.

კონვენციაში დამატებით განსაზღვრულია ის დარღვევები, რომლებიც შეიძლება გასაჩივრდეს ორჰუსის კონვენციის დებულებათა შესაბამისად: ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა; გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლების დარღვევა; გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა ზოგადად. კონვენცია ადგენს, რომ ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს საჯარო დაწესებულების ნებისმიერი გადაწყვეტილება, მოქმედება ან უმოქმედობა, რომლებითაც საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება დაირღვა და რომლებიც გარემოს დაცვის ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს ეწინააღმდეგება. მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა – თავისთავად, ეს არის ბერკეტი გარემოსდაცვითი სამთავრობო დაწესებულებების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, რაც მათ აიძულებს, იმოქმედონ მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობის ფარგლებში.

კონვენციის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, ეროვნულ დონეზე უზრუნველყონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლების დარღვევის გასაჩივრების შესაძლებლობა სასამართლოში, ან სხვა, კანონით დადგენილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში. ამასთან, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის გასაჩივრებისათვის გათვალისწინებული პროცედურის შედეგად მიღებული საბო-

ლოო გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იყოს შესასრულებლად ინფორმაციის მფლობელი საჯარო დაწესებულებისათვის. კონვენციით განსაზღვრულია მხარეთა ვალდებულებები მართლმსაჯულების პროცედურებთან დაკავშირებული ფინანსური თუ სხვა სახის დაბრკოლებების აღკვეთის თაობაზე. საინტერესოა, რომ ორჰუსის კონვენციის ფუძემდებლებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრინციპის გარანტიების ხელშეკრულებაში გამტკიცებისათვის რეალური საფუძვლები ჰქონდათ – ერთი მხრივ, ეს იყო ადმინისტრაციული და სასამართლო გარჩევების პროცედურების ვადების დარღვევა, ხოლო მეორე მხრივ, იმ გადასახადების არაგონივრული ოდენობები, რომლებიც პროცესის მხარეებს უნდა გადაეხადათ, რაც თავისთავად მათთვის დამატებით დაბრკოლებას ქმნიდა. სწორედ ამ დაბრკოლებების აღმოფხვრის მიზნით, კონვენციამ დაადგინა, რომ მართლმსაჯულების პროცედურა არ უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებისათვის უკიდურესად ძვირადღირებულ ღონისძიებას, პროცედურები უნდა იყოს დროული, ხოლო მათ შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

ამგვარად, ორჰუსის კონვენცია არის პირველი საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტი, რომელმაც გლობალურ დონეზე განსაზღვრა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის ძირითადი მიმართულებები და კომპილირება გაუკეთა ყველა მანამდე არსებულ საერთაშორისო თუ რეგიონულ დოკუმენტს ამ სფეროში, რომლებიც, მართალია, გარკვეულ დებულებებს ადგენენ ამ მიმართულებით, მაგრამ მინც საკმაოდ ზოგადი ხასიათის გამო ნაკლებად გამოიყენებინან თეორიასა და პრაქტიკაში.

საინტერესოა, რომ ორჰუსის კონვენციამ შექმნა მანამდე არარსებული სტანდარტი და სამართლებრივი მექანიზმი ეკოლოგიური უფლებების დასაცავად. ამ კონვენციასა და გაეროს ეგიდით შემუშავებულ სხვა ხელშეკრულებებს შორის შედარებითი ანალიზისას თვალნათელია, რომ ორჰუსის კონვენცია არის პირველი უნივერსალური ინსტრუმენტი ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით. რამეთუ, ინდივიდისთვის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება მიიღწევა მხოლოდ მაშინ, თუ იგი ფლობს ობიექტურ ინფორმაციას მისი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ, თუ იგი ჩართულია შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადრეულ ეტაპზე და თუ მას მისი ეკოლოგიური უფლებების დარღვევისას ხელი მიუწვდება მართლმსაჯულებასთან. ნიშანდობლივია ისიც, რომ კონვენცია არ ზღუდავს ინდივიდებს სხვადასხვა ბიუროკრატიული მექანიზმით და მათთვის ინფორმაციის საჯაროობას თვით სახელმწიფო უმაღლეს ორგანოთა უშუალო მოვალეობად მიიჩნევს. ამასთანავე, კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს უფლებას აძლევს, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრონ დამატებითი ხელსაყრელი პირობები, რომლებიც ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს გაამყარებენ.

### 14.3. ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები, როგორც უკვე აღინიშნა, არაფერს ადგენენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მხრივ. კონვენციის მიღების დროს (1950-იანი წლები) აქტუალური არ იყო გარემოს დაცვის საკითხები და, ამდენად, სასამართლოს წინაშე წარდგენილი ყველა სარჩელი ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ არსებით განხილვაზეც არ იქნა დაშვებული. ასე, მაგალითად, უარყოფილ იქნა სარჩელი *დოქ. ს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (Dr S. v. the Federal Republic of Germany)*; *X და Y გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (X and Y v. the Federal Republic of Germany)* და ა.შ.

თუმცა ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მალე გააცნობიერა, რომ არაჯანსაღი გარემო უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, რაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას იწვევს. ამდენად, კომისიამ ამ გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ დასაშვებად გამოაცხადა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სარჩელები. ასე, მაგალითად: *არონდელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Arrondelle v. the United Kingdom)*; *ბაგისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Bagges v. the United Kingdom)* (ხმაურთან დაკავშირებული სარჩელი); *პაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell adn Rayner v. the United Kingdom)* (ხმაურთან დაკავშირებული სარჩელი); *ვეარნკომბი და სხვები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (Vearncombe and others v. the Federal Republic of Germany)*; *X საფრანგეთის წინააღმდეგ (X v. France)* (ხმაურსა და სხვა დისკომფორტთან დაკავშირებული სარჩელი); *ზანდერი შვედეთის წინააღმდეგ (Zander v. Sweden)* (წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებული სარჩელი) და სხვ.. ეს სარჩელები, ძირითადად, შევიდა სასამართლოში კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლების, დამატებითი პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევის მოტივით. ევროპული კონვენციის წინაშე წარდგენილ საქმეებს შორის საინტერესოა საქმე *ჰაკასონი და სტურესონი შვედეთის წინააღმდეგ (Hakasson and Sturesson v. Sweden)*, (1979 წლის 4 დეკემბერი), რომელიც ეხებოდა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას, რაც, მოსარჩელის ინფორმაციით, მის კუთვნილებაში არსებული მიწის ჩამორთმევით იყო განპირობებული. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე ეკოლოგიური უფლებების დარღვევის კონტექსტში დაადგინა, რომ, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის შეზღუდვა.

მსგავსი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი საქმეზე – *ფრედინი შვედეთის წინააღმდეგ (Fredin v. Sweden)*. მოსარჩელე აცხადებდა, რომ დაირღვა მისი საკუთრების უფლება კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად, თუმცა სასამარ-



თლომ დაადგინა, რომ დარღვევა არ ყოფილა, რადგან მოსარჩელე აწარმოებდა მის კუთვნილ ტერიტორიაზე ისეთი ბუნებრივი რესურსის ექსპლოატაციას, რომელიც ბუნების კონსერვაციის მიზნით აკრძალული იყო ეროვნული კანონმდებლობით. მსგავსი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი საქმეზე – *pine valley development ltd და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Pine Valley Development Ltd and others v. Ireland)*. ამგვარად, ევროპული პრეცედენტული სამართლის მიერ შეიქმნა არაპირდაპირი გზა (*par ricochet*) ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიზნით. როგორც პრ. მაქვილონ დეჯანტ-პონსი აღნიშნავს, ევროპულ კონვენცასთან მიმართებით ეკოლოგიური უფლების დაცვის სამართლებრივი გზები ორი მიმართულებით განვითარდა: ერთი მხრივ, კონვენციით გარანტირებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა, ხშირ შემთხვევაში, მოითხოვს ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფას უშუალოდ ამ უფლებების რეალიზაციისათვის; ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს მასში ჩამოყალიბებულ უფლებათა და თავისუფლებათა მართლზომიერი შეზღუდვის შესაძლებლობას სახელმწიფოს მიერ დემოკრატიული საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, შეიზღუდოს კონვენციის მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და სხვა მუხლები ადამიანისათვის ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების მიზნით. კონვენციის მუხლების ეკოლოგიური უფლებებისა და წონასწორობის შენარჩუნების მიზნით შეზღუდვის ნათელი მაგალითებია საქმეები: *კოსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Coster v. the United Kingdom)*, *ზვოლსკი და ზვოლსკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Zvolsky and Zvolsky v. Czech Republic)*, *პაპასტავროუ და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Papastavrou and others v. Greece)*.

კონვენციით დაცული უფლებების შეზღუდვის ნათელი მაგალითია ასვე ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *მურიელ ჰერიკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Muriel Herrick v. the United Kingdom)*. საქმე ეხებოდა მოსარჩელე მხარის მიერ მისი კუთვნილი სათავსოს გამოყენების აკრძალვას, რომელიც ჯერსის კუნძულზე მდებარეობდა. მოსარჩელეს ადგილობრივი მთავრობის მიერ (და შემდგომ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებითაც) აკრძალა ამ სათავსოს გამოყენება, რადგან ჩაითვალა, რომ იგი მდებარეობდა ჯერსის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილას, ევრეთ წოდებულ „მწვანე ზოლში“ და ამით ირღვეოდა საზოგადოების ინტერესები.

გამომდინარე *მურიელ ჰერიკის* საქმიდან, ნათლად ჩანს, თუ როგორ და რა ფორმით განიხილება გარემოს დაცვის საკითხები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ ჯერსის ლანდშაფტური განვითარებისა და გარემოს დაცვის საკითხები მეტად აქტუალურია ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების ინტერესების გათვალისწინებით. ამდენად, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, შეეზღუდა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები, რათა მოეხდინა გარემოს არაპირდაპირი დაც-

ვა. კომისიამ ჩათვალა, რომ, მართალია, ჯანსაღი გარემოთი სარგებლობის უფლება ინდივიდუალურ უფლებად ითვლება, ის მაინც რჩება კოლექტიური დაცვის ობიექტად და, ამდენად, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების შებლუდვა გამართლებულია.

ამ საქმიდან გამომდინარეობს, რომ ევროპული სასამართლო სახელმწიფოებს უტოვებს დისკრეციულ უფლებას, ანუ გარკვეულ თავისუფლებას იმის შესაფასებლად, აუცილებელია თუ არა ადამიანის კონკრეტული უფლების შებლუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს უფლება აქვთ, შებლუდონ ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ იმ კანონიერი მიზნების მისაღწევად, რომლებიც პირდაპირაა გათვალისწინებული ხსენებული მუხლის მეორე პუნქტით (აქ: ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის). მურიელ ჰერიკის საქმის მსგავსი გადაწყვეტილებები იქნა გამოტანილი საქმეებზე: *გილოუ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gillow v. the United Kingdom)*, *სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ (Sporrong and Lonnorth v. Sweden)*. საქმე *ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain)*, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული, იყო ბიძგი, რათა კონვენციით გარანტირებული უფლებები ეკოლოგიური უფლებების დაცვის კონტექსტში ყოფილიყო გამოყენებული. ამ საქმის შემდგომ მოხდა სასამართლო პრაქტიკის გაძლიერება ამ მიმართულებით და შემდგომმა საქმეებმა დაადასტურა, რომ კონვენცია საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რათა არაპირდაპირი გზით იქნეს დაცული ადამიანის ეკოლოგიური უფლებები. ამგვარ საქმეებს განეკუთვნება: *ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell adn Rayner v. the United Kingdom)*, *ანა მარია გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Anna Maria Guerra and others v. Italy)*, *ლ.ც.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (L.C.B v. the United Kingdom)*, *ჰატონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hatton and Others v. the United Kingdom)*, *მაკინლი და იგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McGinley and Egan v. the United Kingdom)*, *ონერილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey)* და *მორენო გომესი ესპანეთის წინააღმდეგ (Moreno Gomez v. Spain)*.

საქმეები – *ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain)* და *ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell adn Rayner v. the United Kingdom)* – იყო პირველი სარჩელები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნა კონვენციის მე-3, მე-8, მე-11, მე-13 მუხლებით და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრული უფლებების დარღვევის მოტივით, რაც, მოსარჩელების მტკიცებით, გარემოს მდგომარეობის გაუარესებით იყო გამოწვეული. მოსარჩელები თვლიდნენ, რომ გარემოს გაუარესებული მდგომარეობა უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მათს პირად ცხოვრებაზე და აფერხებდა ზემოაღნიშნული მუხლებით უზრუნველყოფილი უფლებებით სარგებლობას.

სარჩევლებში გამოყენებულ იქნა ევრეთ წოდებული „*par ricochet*“-ის (რიკოშეტის) პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ ეკოლოგიური უფლებების დაცვა ხდება არაპირდაპირი გზით. საქმეზე – *ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom)* – განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თვითმფრინავის ხმის ინტენსივობამ და ხანგრძლივობამ, რომელსაც იწვევდა საჰაერო მიმოსვლა ჰისროუს აეროპორტში, შელახა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. მოსარჩელე რიჩარდ ჯონ პაუელის სახლი მდებარეობდა იმ ზონაში, რომელიც, დადგენილი ხმაურის ინდექსის ნომრის მიხედვით, (NNI) ნაკლებად მაგნე ზონაში იმყოფებოდა. მეორე მოსარჩელის, მაიკლ ანტონი რაინერის, სახლი კი, ხმაურის ინდექსის ნომრის მიხედვით, მაღალი საშიშროების ზონაში იმყოფებოდა. სარჩელი სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნა კონვენციის მე-6, მე-8, მე-13 მუხლებისა და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის მოტივით. საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა: „მაგნე ზემოქმედების განსხვავებული ხარისხის მიხედვით, ხელყოფილ იქნა მოსარჩელების პირადი ცხოვრება იმ ხმაურის გამო, რომელიც გამოიწვია ჰისროუს აეროპორტის ექსპლოატაციამ,“ თუმცა სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებაში დაადგინა ზღვარი ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის და მიუთითა, რომ მოსარჩელების უფლებები ნაკლებად პრიორიტეტულია საზოგადოებრივ ინტერესებთან (აეროპორტით სარგებლობის საჭიროება) შედარებით. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში არ დარღვეულა კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლები. საქმე *ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain)* ეხებოდა საჩივარს სუნის, ხმაურისა და კვამლით ჰაერის დაბინძურების გამო, რაც გამომწვეული იყო განმცხადებლის საცხოვრებელთან ახლომდებარე ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროს ექსპლოატაციით. განმცხადებლის მტკიცებით, ისინი არღვევდნენ მისი საცხოვრებლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას და ამით მას დამამცირებლად ეპყრობოდნენ (კონვენციის მე-8 და მე-3 მუხლები). სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა, დაედგინა ჯანმრთელობისათვის ფაქტობრივი ზიანის მიყენება და კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ: „ბუნებრივია, გარემოს მნიშვნელოვანმა დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდთა კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მათ, ისარგებლონ თავიანთი საცხოვრებლით, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, იმის მიუხედავად, მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თუ არა მათი ჯანმრთელობა. სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა მსჯელობა საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვაზე, რადგან გარემოს მაგნე დაბინძურება, რომელიც ქარხნიდან გამომდინარეობდა, გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა ადამიანის ჯანმრთელობას, რისი კომპენსაციაც არ შეიძლება. კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ, თუმცა მოსარჩელე მხარის საცხოვრებელი პირობები საკმაოდ ძვირად იყო, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლებები არ დარღვეულა და მათ დამამცირებლად არავინ მოპყრობია.

გემოაღნიშნული საქმეების ანალიზიდან და შედარებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა – ფაუელი და რაინერის საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის მოტივით. სასამართლოს აზრით, ბრიტანეთის ხელისუფლებამ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც ნაწილობრივ ამსუბუქებდნენ მოსარჩელების მდგომარეობას და, ამდენად, ფაუელისა და რაინერის საქმეში სახელმწიფოს მიერ დაცულ იქნა ბალანსი საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ (მოსარჩელების) ინტერესებს შორის. აბსოლუტურად განსხვავებულია სასამართლოს მიდგომა *ლოკებ ოსტრას* საქმესთან მიმართებით. ამ შემთხვევაში სასამართლომ დაადასტურა ესპანეთის ხელისუფლების ბრალი, რომელიც მისი პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობით იყო გამოწვეული. ამდენად, ნათელია, რომ სასამართლომ *ლოკებ ოსტრას* და *ფაუელის* და *რაინერის* საქმეების განხილვისას გაითვალისწინა შესაძლო და დამდგარი საფრთხის ხარისხი და, კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოიტანა საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებთან დაკავშირებით.

საქმეში – *ფადეევა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (Fadeyeva v. Russian Federation)* – სასამართლომ კვლავ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა გარემოს დაბინძურების მიზეზების საფუძველზე. განმცხადებელი ცხოვრობდა ქ. ჩერეპოვეცში, 450 მეტრის მოშორებით ფოლადის კერძო ქარხნიდან. მისი მტკიცებით, ქარხნის მუშაობა უარყოფითად მოქმედებდა გარემოზე და იწვევდა მის დაბინძურებას, კერძოდ: ხმაურს, მტვერს, ტოქსიკურ გამონაბოლქვს, რაც აზიანებდა მის ჯანმრთელობას. განმცხადებლის მტკიცებით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და დაადგინა, რომ სახელმწიფოს უნდა ებრუნა მოსარჩელის უფლებების დაცვაზე და მისთვის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით სხვა საცხოვრებელი ადგილი გამოეყო ან გარემოს დაბინძურების დონე შეემცირებინა.

საინტერესოა საქმე *ჰატონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hatton and Others v. United Kingdom)*. ეს საქმეც ჰისროუს აეროპორტის საპაერო მიმოსვლის გამო მე-8 მუხლის დარღვევას ეხებოდა. ამ საქმეზე, *ფაუელისა* და *რაინერის* საქმის მსგავსად, დადგინდა მე-8 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, მაგრამ არ იქნა დადგენილი მე-2 პუნქტის დარღვევა. თუმცა სასამართლომ თავდაპირველად დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, მაგრამ საქმე გასაჩივრდა სასამართლოს დიდ პალატაში, რომელმაც სახელმწიფო გაამართლა.

გარდა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებებისა, საინტერესოა განიხილოთ ეკოლოგიური ხასიათის ინფორმაციის მიღების თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-10 მუხლით ადგენს გამოხატვის თავისუფლებას. ტერმინი „გამოხატ-

ვა“ არ შემოიფარგლება შეხედულებების, აზრის გამოთქმის წერილობითი ან ზეპირი ფორმით. იგი მოიცავს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც იდეების გამოხატვასთან ან ინფორმაციის გადაცემასთან არის დაკავშირებული. მე-10 მუხლი ადგენს ინფორმაციის მიღების თავისუფლებას, რაც პირებისათვის სახელმწიფოს მიერაც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. დაუშვებელია ინფორმაციის, რომელიც საინტერესო საზოგადოებისათვის, სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვა, დაფარვა ან ცალმხრივად გაცემა.

ამგვარად, ეკოლოგიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც, თუმცა კონვენციის მე-10 მუხლში პირდაპირ არააფერია ნათქვამი ამის შესახებ. მე-10 მუხლი აცხადებს: „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად.“ ინფორმაციის თავისუფლების ხელყოფას დაეყრდნო მოსარჩელე მხარე საქმეში – *ანა მარია გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Anna Maria Guerra v. Italy)*. მოსარჩელე აცხადებდა, რომ ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა არ შეასრულეს თავისი პოზიტიური ვალდებულება და არ აცნობეს ქიმიური ქარხნის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას (მათ შორის მოსარჩელებს) იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ქარხნის ექსპლოატაციას სდევდა თან. მოსახლეობას ასევე არ ეცნობა უსაფრთხოების იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ უეცარი ავარიის დროს უნდა მიეღოთ, რაც პრეზიდენტის განკარგულებით იყო დამტკიცებული. მოსარჩელე მხარე თვლიდა, რომ სახელმწიფომ ამით დაარღვია კონვენციის მე-10, მე-8 და მე-21 მუხლებით გარანტირებული მათი უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია თავის გადაწყვეტილებაში დასაშვებობის შესახებ დაეყრდნო სახელმწიფოს იმ შესაძლებლობებსა და ვალდებულებებს, რომლებიც მას კონვენციის მე-10 მუხლით ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ეკისრებოდა და საქმე ხმათა უმრავლესობით დასაშვებად გამოაცხადა. კომისიამ დაადგინა: „ევროპული სამართალი ... ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი ინფორმაცია არის საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის უმთავრესი იარაღი, იმ სიტუაციებში, რომლებიც გარემოს საშიშროებას უქმნის.“ კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სახელმწიფო, არდამდგარი უარყოფითი შედეგის მიუხედავად, ვალდებული იყო, გაეტარებინა ყველა ღონისძიება, რათა საზოგადოებას შეეტყო ქიმიური ქარხნის მავნე ზემოქმედებისა და საშიშროების შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. კომისიის აზრით, სახელმწიფო ამ ვალდებულებას მუდმივად არ ასრულებდა, დაწყებული 1988 წლიდან (პრეზიდენტის განკარგულების გამოცემის თარიღი). საბოლოო გადაწყვეტილებაში დასაშვებობის შესახებ კომისიამ დაადგინა, რომ მოსახლეობის ხანგრძლივი არაინფორმირებულობა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც თან სდევს მათი საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს მდებარე ქიმიური ქარხნის მუშაობას, არის სახელმწიფოს მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელმაც დროულად და დეტალურად არ აცნობა მოსახლეობას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. თუმცა საბოლოო განაჩენში სასამართლომ არ

დაადასტურა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი და გადანყვეტილება მოსარჩელების სასიკეთოდ, კონვენციის მხოლოდ მე-8 მუხლის დარღვევის დადასტურებით, გამოიტანა. ზოგადად, საერთაშორისო სამართლის განვითარებამ ცხადყო, რომ ინფორმაციის (გარდა კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოებისა) საჯაროობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია და თითოეული სახელმწიფოს ხელისუფლება ვალდებულია, დაუბრკოლებლად და სრულყოფილად გასცეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოების ინტერესებშია, მით უმეტეს, იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის მიუღებლობამ შესაძლოა, რისკი შეუქმნას მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ორჰუსის კონვენცია ადგენს: „გარემოსათვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიანოდოს მოსახლეობას, რომელსაც შეიძლება ეს შეეხოს, მათ განკარგულებაში არსებული მთელი ინფორმაცია, რაც მოსახლეობას მისცემს საშუალებას, მიიღოს ზომები მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან ზეგავლენის შესამცირებლად.“

საქმეში – *ლ.ც.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (L.C.B v. the United Kingdom)* მოსარჩელე ეყრდნობოდა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლებს და აცხადებდა, რომ, ვინაიდან მამამისს ჯანმრთელობა შეერყა ქრისტმას აილანდზე (შობის კუნძული) მიღებული რადიოაქტიური დასხივებით (იგი გაერთიანებული სამეფოს საჰაერო ძალებში მსახურობდა და უსაფრთხოების პირობების დარღვევისა და სათანადო აღჭურვილობის არქონის გამო კანისა და სხვა ორგანოების დაავადებები გაუჩნდა), მას ამის შედეგად დედის მუცელში ყოფნის დროსვე შეერყა ჯანმრთელობა და დაავადდა ლეიკემიით. მოსარჩელე სახელმწიფოს ადანაშაულებდა მისი მშობლებისათვის საშიშროების შესახებ ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობის გამო, რის შედეგადაც (მისი განცხადებით) მისი ჯანმრთელობაც სერიოზულად გაუარესდა. მოსარჩელე მხარე აცხადებდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მისი მშობლებისათვის საშიშროების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდების შემთხვევაში მას ექნებოდა დიაგნოზის დროულად დასმისა და სათანადო მკურნალობის უკეთესი საშუალება, რაც მის ცხოვრებას უფრო დღეგრძელს გახდიდა. მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ საქმე დაშვებადად გამოაცხადა, 1998 წლის 9 ივნისის გადანყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ საქმეში არ ყოფილა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევა. სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ, დაავადების მემკვიდრეობით გადაცემის ალბათობის მიუხედავად, სახელმწიფო ვალდებული არ ოყო, ეცნობებინა მოსარჩელის მშობლებისათვის იმ შესაძლო საფრთხის შესახებ, რომელიც მამამისის რადიაციული დასხივების შედეგად, სავარაუდოდ, მისი მემკვიდრეების ჯანმრთელობას შეექმნებოდა. კონვენციის მე-2 მუხლი შეიძლება დაირღვეს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება არ მიანვდის ინფორმაციას არსებული რისკების თაობაზე იმ ადამიანებს, რომლებიც რისკის ქვეშ იმყოფებიან. ამ საქმეზე სასამართლომ აღიარა სიცოცხლის უფლების ფართო გაგება,

რომლის თანახმად, სახელმწიფოს გარკვეულ გარემოებებში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის მიზნით ზომების მიღების პოზიტიური ვალდებულება ეკისრება.

საქმეში – *ტაურია საფრანგეთის წინააღმდეგ (Tauria v. France)* – განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა სახელმწიფოს მიერ ბირთვული ცდების განახლებასთან დაკავშირებით. მაგრამ ამ საქმეზე განმცხადებელმა ვერ შეძლო, დაერწმუნებინა მოსამართლეები, რომ ის იყო მე-2 მუხლის დარღვევის მსხვერპლი, კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით. იმის მტკიცება, რომ ცდების „შესაძლო შედეგები“ საფრთხეს შეუქმნიდა მას და არსებობდა „რადიოაქტიური გაჟონვის საშიშროება“, არ აღმოჩნდა ამისთვის საკმარისი. კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი ადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრების უფლებას და ამ უფლების განხორციელების შეზღუდვის პირობებს. ასე რომ, საკუთრების უფლება მიეკუთვნება იმ უფლებებს, რომელთა შეზღუდვა დაშვებულია. შესაბამისად, საკუთრების უფლების დარღვევის საკითხის განხილვისას სასამართლო არკვევს სახელმწიფოს მიერ განმცხადებლის კერძო და საჯარო ინტერესს შორის დადგენილი ბალანსის სამართლიანობას. საკუთრების უფლების გარემოს ზემოქმედებისაგან დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებს თუ გადავხედავთ, ნათელია, რომ ეკონომიკური ინტერესი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესი, შესაძლებელს ხდიდა საკუთრების უფლების დარღვევის გარეშე ბირთვული ქარხნის ამუშავებას, აეროპორტის ფუნქციონირებას და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენებას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში აღიარა გარემოს ზემოქმედების მიზეზით საკუთრების უფლების დარღვევის შესაძლებლობა. როგორც მემოთ იქნა აღნიშნული, სასამართლოს პრაქტიკით დაშვებულია საკუთრების უფლებით სარგებლობის შეზღუდვა, როდესაც ეს სარგებლობა გარემოს დაცვას უქმნის საფრთხეს. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია ზოგიერთ შემთხვევაში მე-2 პუნქტში ფორმულირებულ „საერთო ინტერესს“ გარემოს დაცვის მიზნებისათვის იყენებდა. ამის ნათელი მაგალითია „ბუნების კონსერვაციის“ გაერთიანება „საერთო ინტერესის“ ცნებაში. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლომაც დაამთხვია „საზოგადოებრივი ინტერესები“ გარემოს დაცვის ინტერესებს და განაცხადა, რომ დღევანდელ საზოგადოებაში გარემოს დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლებას ადგენს, სასამართლოს განმარტებით, ასევე მოიცავს „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას“ მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უფლებას. გარემოს დაცვის პრობლემატიკასთან კავშირში მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის ამ უფლების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარემოს ზემოქმედება გავლენას ახდენს „სამოქალაქო უფლებებზე“. საგულისხმოა, რომ თვით კონვენცია არ იძლევა ტერმინ „სამოქალაქო უფლებების“ განმარტებას, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა ნათელს ჰფენს მის მნიშვნელობას. საქმეში – *ზანდერი შვედეთის წინააღმდეგ (Zander v. Sweden)* – განმცხადებელი ამტკიცებდა მე-6 მუხლის დარღვევას იმის საფუძველზე, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა, სასამართლო წესით დაეცვა თავისი საკუთრების

უფლება გარემოს ზემოქმედებისაგან. სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან „სამოქალაქო უფლებები“ მოიცავს საკუთრების საკითხებს. საქმეში – ბალმერ შაფროთი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Balmer-Schafroth and Others v. Switzerland*) – განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მე-6 მუხლით მათ უფლება ჰქონდათ, სასამართლო წესით გაესაჩივრებინათ ატომური ელექტროსადგურის ამუშავების თაობაზე მთავრობის გადაწყვეტილება. სასამართლომ არ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან არ დადგინდა პირდაპირი კავშირი ატომური ელექტროსადგურის მუშაობასა და მათი „სამოქალაქო უფლებების“ ხელყოფას შორის. მსგავსი საქმეა ათანასოგლოუ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (*Athanassoglou and Others v. Switzerland*). გემოთ განხილული საქმეებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოქმედების პირველ წლებში ეკოლოგიური უფლებების რეალიზაციის საკითხი აქტუალური არ იყო. იმ დროისათვის მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არსებობდა რეალური ეკოლოგიური საფრთხე, რაც მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას საფრთხეს უქმნიდა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულმა აქტიურმა ეკონომიკურმა და სამრეწველო პროცესებმა დაადასტურა, რომ ეკონომიკური ზრდა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების ხარჯზე უნდა მიმდინარეობდეს, რაც საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისა და ჯანსაღი მომავლის უმთავრესი ატრიბუტია.

მსოფლიო ეკონომიკურმა და სამრეწველო პროცესებმა საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებაზე. თუ სასამართლოს საქმიანობის პირველ წლებში სასამართლო არსებით განხილვაზეც არ უშვებდა ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებს, შემდგომ პერიოდში ამგვარი უფლებების რეალიზაცია სასამართლოს მიერ ეგრეთ წოდებული *par ricochet*-ის პრინციპის გამოყენებით ხორციელდებოდა. სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლების მრავალმხრივი ინტერპრეტაციისა და განმარტების საფუძველზე შეძლო, არაპირდაპირი გზით დაეცვა ჯანსაღი გარემოთი სარგებლობის უფლება, რაც დემოკრატიის განვითარების მეტად აქტუალური ფაქტორია. საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ინტერესების დაბალანსების პრინციპის დაცვით, ევროპულმა სასამართლომ შეძლო, გაეცლო ზღვარი შესაძლო და დამდგარ ეკოლოგიურ საფრთხეს და დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობას შორის. დღესდღეობით ევროპული კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლები არის ევროპული სასამართლოს მიერ ეკოლოგიური უფლებების დაცვის რეალური ბერკეტი, რომელთა განმარტება, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მეტად მრავალფეროვანია.



## 15. გარემოს დაცვა და შეიარაღებული კონფლიქტები

გარემოს დაცვისა და ჰუმანიტარული სამართლის ურთიერთმიმართების საკითხის განხილვისას აუცილებელია, ხაზი გაესვას 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის 26-ე პრინციპს, რომელიც განსაზღვრავს: „ადამიანსა და მის საარსებო გარემოს თავიდან უნდა ავაცილოთ ატომური და მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების შედეგები. ხოლო სახელმწიფოები, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, სასწრაფოდ უნდა შეთანხმდნენ ამგვარი იარაღის ლიკვიდაციისა და განადგურების თაობაზე“. სტოკჰოლმის დეკლარაციისგან განსხვავებით, 1982 წლის ბუნების მსოფლიო ქარტიამ შეიმუშავა უფრო განზოგადებული მიდგომა, რომელშიც ნათქვამია, რომ: „ბუნება უნდა იყოს დაცული საომარი მოქმედებებით გამოწვეული დეგრადირებისგან“ და „გარემოს დამაზიანებელი სამხედრო მოქმედებები უნდა იქნეს აღკვეთილი“. ამავე საკითხს, ასევე ეხება 1992 წლის რიოს დეკლარაციის 24-ე პრინციპი: „საომარი მოქმედებები ყოველთვის გამანადგურებელი შედეგებით აისახება მდგრად განვითარებაზე. ამიტომ სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ საერთაშორისო სამართალს, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს გარემოს იცავს, და ხელი შეუწყონ მის მომავალ განვითარებას.

საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ისეთი წყარო, სადაც არ არის შეზღუდული ქმედებები საომარი მოქმედებებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ზღუდავს იმგვარ მოქმედებებს, რომლებიც აუცილებელია სამხედრო მიზნების მისაღწევად, თუმცა შეიძლება გამოიწვიონ არააუცილებელი და მნიშვნელოვანი ზიანი. ჯერ კიდევ 1899 წელს სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ მებრძოლთა უფლებები მტრისათვის ზიანის მისაყენებლად არ იყო შეუზღუდავი. 1949 წლის ჟენევის კონვენციის 1977 წლის პირველი დამატებითი ოქმის თანახმად: „ნებისმიერი სამხედრო კონფლიქტის დროს მხარეთა უფლება, აირჩიონ საომარი მოქმედებების მეთოდები და საშუალებები, არ არის შეუზღუდავი.“ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების თანახმად, საკუთრების განადგურება აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს არის უკიდურესი აუცილებლობა სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად, მაგალითად, დანაღმული საკუთრებების განადგურება. ჩვეულებრივი, ქიმიური, ბიოლოგიური და ატომური იარაღების ტესტირება, წარმოება, შენახვა და ტრანსპორტირება, თვით სამხედრო მოქმედებები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. მეორე მსოფლიო ომმა, ავღანეთის, ვიეტნამის, სპარსეთის ყურისა და ბალკანეთის კონფლიქტებმა დაამტკიცა, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს გარემოს დაცვის საკითხები ასევე გასათვალისწინებელია, რამეთუ, მყისიერი ზიანის გარდა, გრძელვადიანი უარყოფითი ზემოქმედების მომტანია. აღსანიშნავია, რომ

გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის სამართლიანობის საკითხის განხილვამდე დღის წესრიგში უკვე იდგა სამხედრო იარაღის, საშუალებებისა და გარემოს დაცვის ურთიერთმიმართების საკითხი. ზემოაღნიშნულ საქმეზე გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული მოსაზრებით, პირველად იქნა ცნობილი საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ნორმები ჩვეულებითად და მისაღებად შეიარაღებული კონფლიქტის დროს. სამხედრო მოქმედებებისგან ადამიანისა და მისი საკუთრების დამცველი ხელშეკრულებები გარემოს დაცვასაც ისახავენ მიზნად, თუმცა არაპირდაპირი გზით. მაგალითად, 1997 წლის წყლის არხების კონვენცია აყალიბებს დამატებით მიდგომას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მისამართით და 29-ე მუხლში ადგენს – „საერთაშორისო წყლის არხები, შესაბამისი დანადგარები, მოწყობილობები და სხვა სამუშაოები დაცულ უნდა იქნეს გლობალური და სხვა ტიპის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის წესების თანახმად“.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების სფეროში სახელმწიფოებს უზღუდავს საომარი მოქმედებების წარმოების მეთოდებსა და საშუალებებს. ეს რეგულაციები შემუშავებულია ადამიანისა და მისი საკუთრების დაცვისათვის. გარემოსდაცვითი საკითხები არ არის ამ რეგულირების მთავარი მიზანი, თუმცა ირიბად მაინც რეგულირდება. ჰააგის სამშვიდობო კონფერენციებზე რუსეთის იმპერიის დელეგატის, ფრიდრიხ მარტენსის ეგრეთწოდებული „დათქმა“ ითვალისწინებს, რომ კონკრეტული რეგულაციების მიღებამდე სამოქალაქო პირები და კომბატანტები რჩებიან სამართლის იმ პრინციპების მოქმედებისა და დაცვის ქვეშ, რომლებიც თავისთავად ჩვეულებით სამართალს ეყრდნობა. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ არ უნდა მოიცავდეს ეს წესები გარემოს დაცვას. ის ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც ზღუდავენ საომარი მოქმედებების მეთოდებსა და საშუალებებს, კრძალავენ ზოგიერთი სახის იარაღისა და საომარი მოქმედების ფორმის გამოყენებას, რომლებიც განსაკუთრებით მავნეა გარემოსათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგულაციები მეტწილად შექმნილია ადამიანების, ვიდრე გარემოს დასაცავად, მათმა გამოყენებამ შეიძლება უზრუნველყოს გარემოს დაცვაც.

პირველი ხელშეკრულება, რომელმაც დაადგინა სამხედრო მოქმედებათა შედეგებისაგან გარემოს დასაცავი სპეციალური წესები, იყო 1976 წლის კონვენცია „გარემოს მოდიფიკაციის ტექნიკის სამხედრო ან სხვა სახის გამოყენების აკრძალვის შესახებ“ (ENMOD), რომელიც კრძალავს სამხედრო და სხვა სახის საშუალებების გამოყენებას, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა გარემოზე. კონვენცია კრძალავს სამხედრო ან სხვა ნებისმიერი საომარი ტექნიკის გამოყენებას, რომელიც გამანადგურებელი, ხანგრძლივი და მასშტაბური შედეგით მოქმედებს ნებისმიერი სხვა ქვეყნის გარემოზე. კონვენცია განმარტავს „გარემოსათვის მავნებელ ტექნიკას“, როგორც „ნებისმიერი სახის ტექნიკას, რომელიც, ბუნებრივი პროცესების

წინასწარგანსაზღვრული წარმართვის გზით ცვლის დედამიწის დინამიკას, სტრუქტურასა და შემადგენლობას, მისი ლითოსფეროს, ჰიდროსფეროს, ატმოსფეროსა და ბიოსფეროს ჩათვლით. ტერმინებისათვის „ხანგრძლივი“, „მასშტაბური“ და „გამანადგურებელი“ ზუსტი შესატყვისი არ გამოძებნილა, მიუხედავად იმისა, რომ განიარაღების საკითხების კომიტეტის კონფერენციამ, რომლის მეშვეობითაც შეათანხმეს კონვენცია, დაურთო მას შემდგომში გენერალური ასამბლეისათვის წარდგენილი „განმარტებები“.

ENMOD-ის კონვენციის მიღებიდან რამდენიმე თვეში, 1977 წელს, 1949 წლის ჟენევის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი მიიღეს, რომელიც შეიცავს ორ მიუკერძოებელ გარემოსდაცვით ვალდებულებას. 35-ე მუხლის მიხედვით, „აკრძალულია საბრძოლო ქმედებების ან იარაღის გამოყენება, რომელიც დააზიანებს ან შესაძლოა, დააზიანოს ბუნებრივი გარემო ხანგრძლივი და კატასტროფული შედეგებით“. „ბუნებრივი გარემოს დაცვის“ სახელწოდებით ცნობილი 55-ე მუხლის თანახმად კი: „ომის დროს ბუნება უნდა იყოს დაცული ხანგრძლივი, მასშტაბური და კატასტროფული ზიანისგან. მისი დაცვა ითვალისწინებს საბრძოლო ქმედებების ან იარაღის აკრძალვას, რომელიც ზიანის მომტანია ბუნებრივი გარემოსათვის, აგრეთვე მოსახლეობისა და მათი ჯანმრთელობისათვის“.

1990 წელს ერაყის ქუვეითში შეჭრამ უშიშროების საბჭო პირველად დააფიქრა მხარეთა პასუხისმგებლობაზე უკანონო სამხედრო მოქმედებების გარემოზე ასახულ შედეგებთან დაკავშირებით. უშიშროების საბჭოს 687-ე რეზოლუციის მიხედვით, ყველაფერთან ერთად, ერაყი პასუხისმგებელი იყო საერთაშორისო სამართლის წინაშე ქუვეითში შეჭრის შედეგად გარემოს დაზიანებისა და ბუნებრივი რესურსების ხელყოფის გამო. ამ შემთხვევამ საჭირო გახადა შეიარაღებული კონფლიქტისა და ომის შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანისა და არსებული სახელშეკრულებო ნორმების ადეკვატურობის დადგენა. 1992 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია გარემოს იმგვარი დაზიანების შესახებ, რაც არ იყო გამოწვეული სამხედრო აუცილებლობით; აგრეთვე, ხაზი გაესვა საერთაშორისო სამართლის არსებულ დებულებებს, რომლებიც კრძალავდა ჭაბურღილების განადგურებას და ნედლი ნავთობის ზღვაში ჩაშვებას. გენერალურმა ასამბლეამ აიძულა მხარეები, ყველა შესაძლებელი საშუალებით უზრუნველყოთ მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით გარემოს დაცვა ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს. გარემოს დაცვის სფეროს განეკუთვნება, ასევე, შეტევების აკრძალვა საფრთხის შემცველ ნაგებობებსა და დანადგარებზე, თუნდაც ისინი სამხედრო ობიექტები იყოს, თუ მსგავსი შეტევები გამოიწვევს საშიში ნივთიერებების დაღვრას და მძიმე დანაკარგებს. ასეთი საფრთხის შემცველი ობიექტებად მიიჩნევა კაშხლები და ატომური ელექტროსადგურები, ქიმიური ქარხნები და ა.შ. ამასთან, შეტევა მსგავს სახიფათო ობიექტებზე ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოიყენებიან საბრძოლო მოქმედებების მხარდაჭერისათვის და მათზე შეტევა ამ მხარდაჭერის შეწყვეტის ერთადერთი გზაა. შეტევა საფრთხის შემცველ ობიექტებზე, როდესაც ცნობილია,

რომ ეს გამოიწვევს დიდ დანაკარგებს მშვიდობიან მოსახლეობას შორის და დიდ ზარალს, ითვლება სამხედრო დანაშაულად. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (IAEA) გამოვიდა ატომურ ობიექტებზე შეტევების აკრძალვის ინიციატივით, რადგანაც მათ შეუძლიათ, გამოიწვიონ რადიაქტიური ნივთიერებების დაღვრა და მძიმე შედეგები.

## ბიბლიოგრაფია

- Philippe Sands, Jacqueline Peel, Adriana Fabra, Ruth MacKenzie, Principles of International Environmental Law (CUP 3<sup>th</sup> edn, Cambridge 2013).
- Philippe Sands, Jacqueline Peel, Adriana Fabra, Ruth MacKenzie, Principles of International Environmental Law (CUP 4<sup>th</sup> edn, Cambridge 2018).
- James Salzman, Barton H. Thompson Jr., Environmental Law and Policy (FP 5<sup>th</sup> edn, Stanford 2019).
- David Hunter, James Salzman, Durwood Zaelke, International Environmental Law and Policy (FP 1<sup>st</sup> edn, New York 1998).
- Malcolm N. Shaw, International Law (CUP 6<sup>th</sup> edn, Cambridge 2008).
- Richard G. Hildreth, David R. Hodas, Nicholas A. Robinson, James Gustave Speth, Climate Change Law Mitigation and Adaptation (TR 1<sup>st</sup> edn, New York 2009).
- Hans-Joachim Koch, Doris KÖning, Joachim Sanden, Roda Verheyen, Legal Regimes for Environmental Protection Governance for Climate Change and Ocean Resources (BN 8<sup>th</sup> edn, Leiden 2015).
- Norman J. Vig, Regina S. Axelrod, The Global Environment Institutions, Law and Policy (CQP 1<sup>st</sup> edn, Washington 2015).
- Maguelonne Dejeant-Pons, Marc Pallemaerts, Human rights and the environment (COE 1<sup>st</sup> edn, Strasbourg 2002).
- Daniel Garcia San Jose, Environmental protection and the European Convention on Human Rights (COE 1<sup>st</sup> edn, Strasbourg 2005).
- Volker Rittberger, Bernhard Zangl, Andreas Kruck, International Organization (PM 2<sup>nd</sup> edn, London 2011).
- ბითაძე მ., საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის შექმნისა და განვითარების ისტორია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით, თბილისი, 2003.
- ბითაძე მ., ადამიანის ეკოლოგიური უფლებების საკითხები საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ჟურ. საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2005.
- ბითაძე მ., ეკოლოგიური უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ.კორკელია, თბილისი, 2006.
- ბითაძე მ., ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გავლენა ქართულ სამართალზე, ხელმძღვანელი კონსტანტინე კორკელია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007.
- ბითაძე მ., ორპუსის კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინება ქართულ სამართალში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება, რედ. მიხეილ გოგიშვილი, თბილისი, 2007.

- ბითაძე მ., საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის საერთაშორისო სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, რედ. დავით კერესელიძე, თბილისი, 2007.
- გივიაშვილი ი., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გარემოს დაცვა, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რედ. კ.კორკელია, თბილისი, 2005.

### **საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონფერენციები**

- ფრინველების დაცვის საერთაშორისო საბჭო, 1902 წელი.
- ზოოლოგიის საერთაშორისო კონგრესი, წელი 1910.
- კონვენცია ზღვის გოჭების დაცვის შესახებ, 1911 წელი.
- ბუნების საერთაშორისო დაცვის კონფერენცია, ბერნი, 1913 წელი.
- ბუნების დაცვის საერთაშორისო საზოგადოება, პარიზი, 1920 წელი.
- კონვენცია ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ფაუნის და ფლორის დაცვის შესახებ, 1933 წელი.
- მონტევიდეოს კონვენცია სახელმწიფოთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, 1933 წელი.
- კონვენცია დასავლეთ ნახევარსფეროში ბუნების დაცვის შესახებ, 1940 წელი.
- ბუნების დაცვის საერთაშორისო ლიგა, ბრიუკენე, 1945-1947 წელი.
- ვეშაპების რეწვის საერთაშორისო კონვენცია, 1946 წელი.
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წელი.
- ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების შესახებ 1950 წელი.
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, 1966 წელი.
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, 1966 წელი.
- ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, 1969 წელი.
- კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის შესახებ, 1971 წელი.
- სტოკჰოლმის დეკლარაცია გარემო ადამიანისათვის, 1972 წელი.
- კონვენცია გარეული ფლორის და ფაუნის გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ, 1972 წელი.
- კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ, 1973 წელი.
- შეთანხმება პოლარული (თეთრი) დათვების დაცვის შესახებ, 1973 წელი.
- კონვენცია ხმელთაშუა ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ, 1976 წელი.

- ქუვეითის რეგიონალური კონვენცია ზღვის გარემოს დაბინძურებისგან დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, 1978 წელი.
- კონვენცია შორ მანძილებზე ატმოსფერული ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ, 1979 წელი.
- მიგრირებადი სახეობების კონვენცია, 1980 წელი.
- ბუნების დაცვის მსოფლიო სტრატეგია, 1980 წელი.
- ბუნების მსოფლიო ქარტია, 1982 წელი.
- გაეროს საზღვაო სამართლის კონვენცია, 1982 წელი.
- ბრუნლანდიის კომისია, გარემოს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისია, 1983 წელი.
- კონვენცია კარიბის რეგიონის ზღვის გარემოს დაცვისა და განვითარება, 1983 წელი.
- ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ, 1985 წელი.
- კონვენცია ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, 1985 წელი.
- კონვენცია აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონის საზღვაო და სანაპირო გარემოს დაცვის, მართვისა და განვითარების შესახებ, 1985 წელი.
- კონვენცია წყნარი ოკეანის სამხრეთ რეგიონის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის შესახებ, 1986 წელი.
- კონვენცია ბირთვული ავარიის შემთხვევაში ოპერატიული შეტყობინების შესახებ, 1986 წელი.
- მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ, 1987 წელი.
- აფრიკის რეგიონული კონფერენცია გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების შესახებ, 1989 წელი.
- კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებზე კონტროლის თაობაზე, 1989 წელი.
- კონვენცია დამოუკიდებელ ქვეყნებში ძირძველი ხალხების და თემური წყობილების მქონე ხალხების შესახებ, 1989 წელი.
- კონვენცია ტრანსსასაზღვრო გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ, 1991 წელი.
- კონვენცია სანარმოლო ავარიების ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ, 1992 წელი.
- კონვენცია ბალტიის ზღვის რაიონის საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ, 1992 წელი.
- რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია გარემოს დაცვის და განვითარების შესახებ, 1992 წელი.
- კონვენცია საერთაშორისო ტბებისა და ტრანსსასაზღვრო მდინარეების გამოყენებისა და დაცვის შესახებ, 1992 წელი.
- კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, 1992 წელი.
- კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ, 1992 წელი.
- კონვენცია მდინარე დანუბის დაცვისა და მდგრადი გამოყენების სფეროში.
- თანამშრომლობის შესახებ, 1994 წელი.

- კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის (განსაკუთრებით გვალვიან, მაგ. აფრიკის ქვეყნებში) შესახებ, 1994 წელი.
- კონვენცია საერთაშორისო წყლების არასანავიგაციო მიზნით გამოყენების შესახებ, 1997 წელი.
- კონვენცია სანაოსნო გზების არასანაოსნო მიზნებით გამოყენების შესახებ, 1997 წელი.
- კონვენცია რადიოქტიური ნარჩენების და დაღვრილი საწვავის მართვის უსაფრთხოების შესახებ, 1997 წელი.
- კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, 1998 წელი.
- აფრიკაში ნარჩენების მართვის შესახებ ბამოკოს კონვენცია, 1998 წელი.
- კონვენცია სამიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით ვაჭრობისას წინასწარდასაბუთებული თანხმობის პროცედურის გამოყენების, 1998 წელი.
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის კარტახენის ოქმი ბიოუსაფრთხოების შესახებ, 2000 წელი.
- კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ, 2001 წელი.
- იოჰანესბურგის სამიტი – მსოფლიო სამიტი მდგრადი განვითარების შესახებ, 2002 წელი.

### სასამართლო გადაწყვეტილებები

Trail Smelter Case (*United States v. Canada*) (Arbitral Tribunal, Merits) (1941) 3 RIAA.  
 Lake Lanoux Arbitration Case (*France v. Spain*) (Arbitral Tribunal, Merits) (1957).  
 Corfu Channel Case (*UK v. Albania*) (Merits) [1949] ICJ Rep 4.  
 Nuclear Test Case (*Australia v. France*) [1974] ICJ Rep 253.  
 Nuclear Test Case (*New Zealand v. France*) [1974] ICJ Rep 457.  
 Case Concerning Nuclear Tests (*Australia v. France*) (Interim Protection) [1973] ICJ Rep 99.

### ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებები

დოქ. ს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Dr S. v. the Federal Republic of Germany*), 1960 წელი.  
 X და Y გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (*X and Y v. the Federal Republic of Germany*), 1962 წელი.  
 არონდეილი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Arrondelle v. the United Kingdom*), 1980 წელი.  
 ბაგისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Bagges v. the United Kingdom*), 1985 წელი.



ვეარნკომბი და სხვები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (Vearncombe and others v. the Federal Republic of Germany), 1989 წელი.

X საფრანგეთის წინააღმდეგ (X v. France), 1990 წელი.

ზანდერ შვედეთის წინააღმდეგ (Zander v. Sweden), 1993 წელი.

ჰაკასონი და სტურესონი შვედეთის წინააღმდეგ (Hakasson and Sturesson v. Sweden), 1990 წელი.

ფრედინი შვედეთის წინააღმდეგ (Fredin v. Sweden), 1991 წელი.

„pine valley developments ltd“ და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Pine Valley Developments Ltd. and others v. Ireland), 1991 წელი.

კოსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Coster v. the United Kingdom), 2001 წელი.

ზვოლსკი და ზვოლსკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Zvolsky and Zvolsy v. Czech Republic), 2002 წელი.

პაპასტავროუ და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Papastavrou and others v. Greece), 2003 წელი.

მურიელ ჰერიკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Muriel Herrick v. the United Kingdom), 1985 წელი.

გილოუ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gillow v. the United Kingdom), 1986 წელი.

სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ (Sporrong and Lonroth v. Sweden), 1982 წელი.

ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom), 1990 წელი.

ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain), 1994 წელი.

ფადეევა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (Fadeyeva v. the Russian Federation), 2003 წელი.

ჰატონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hatton and Others v. the United Kingdom), 2003 წელი.

ანა მარია გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Anna Maria Guerra and others v. Italy), 1998 წელი.

ლ.ც.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (L.C.B. v. the United Kingdom), 1998 წელი.

ტაურია საფრანგეთის წინააღმდეგ (Tauria v. France), 1995 წელი.

ზანდერი შვედეთის წინააღმდეგ (Zander v. Sweden), 1993 წელი.

ბალმერ შაფროთი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Balmer-Schafroth and Others v. Switzerland), 1993 წელი.

ათანასოგლოუ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Athanasoglou and Others v. Switzerland), 2000 წელი.



ISBN 978-9941-8-3765-4



9 789941 837654